



716
1931

საქართველო

წიგნი მეექვსე

ქართულ მშენებელთა გამომცემი

კარგი
1981

8. გამყრელიძე

363ელი ქალაქი

93

ვრცელი ქალაქი შემოგვესალტავს ძარღვიან მკლავებს
მკლავებს გატენილს ელექტრონით და რადიოთი.
რეკლამის შუქთან წართმევიათ ფერი ვარსკვლავებს,
მთვარე აცხია ცის ნაფლეთებს როგორც იოდი.

აქ იყო წინად ცარცისა და ყინულის ხანა
და მომონტები დადიოდენ თეთრი ეშვებით.
ეხლა კი მფრინავთ დაუბყრიათ მთელი ქვეყანა,
ხან აღის ზევით ღირიყაბლი, ხენ ძირს ეშვება.

შენს მუნჯ მზერაში დრო და ჟამი არ იხედება,
იღლება სული ნერვიული ღამის ვედრებით.
თუჯის ბორბალზე სრიალებენ გრძელი ღვედები,
სთვლიან კილოვატ-დროს და მანძილს ხრონომეტრები.

ისე გაისმის მოტორების ბრძოლა მქშინავი,
თითქოს მოდიან ურდოები ძველი მექქიდან
ცაში გაიხსნა პარაშუტი და მას მფრინავი
გადმოვარდნილი ჰაერიდან ჩამოეკიდა.

შენს კაფე-ბარებს, რესტორანებს, ღამის ლოკალებს
შეკედლებიან მაკლერები ყალბი დიდებით.
ქუჩაზე ბირჟა გაუმართავთ შეღებილ ქალებს,
სოველ ასფალტზე მათხოვრობენ ინვალიდები.

შენი ქუჩები მორწყულია მშვიერთა სისხლით,
დანახარჯ შრომის რომ იღებენ მხოლოდ მინიმუმს.



შენს სახურავებს დასწოლია ქარხნების ნისლი,
ნისლი ედრება გადადნობილ ალუმინიუმს.

ამ გაქანებას , ამ სიგიჟეს რა შეედრება?
მეტყველებს თუჯი და ფოლადი ცეცხლის ენებით.
მიწა დაჭრილი შემწეობას ცას ევედრება;
ღმერთს ქარხნის საყვირები და სირენები.

ღამუვიღობება

(უძღვნი შალვა ამირეჯიბს)

როცა დავტოვე მყუდრო მხარე, ჩემი სოფელი,
რალაც სხვაგვარად შრიალბდენ ცაცხვის რტოები,
თითქოს მესმოდა მშვენიერი ვალსი შოპენის
ღამუვიღობების, სამუდამო გამოთხოვების.

რუ ჩხრიალბდა გულ-მოკლული, პატარა, წმინდა,
და ყვაილენი გაპენტილი და ფერ-მიხილილი
მეუბნებოდენ: — „სად მიდიხარ? რისთვის არ გინდა
ჩვენთან დარჩენა, ჩვენთან ყოფნა, ჩვენთან სიკვდილი?“

„ჩვენ შენ გიამბობთ ამ მიდამოს დიდებულ ზღაპარს
და სიყვარულის შეგასწავლით მარად ხვაშიადს.
სხვა საქართველოს, სხვა სამშობლოს, სხვა თავშესაფარს
ვერსად იპოვნი, ამაზე კარგს, ამაზე დიადს.“

სწუხდენ მინდვრები, სწუხდენ მთები, სწუხდა ჯეჯილი,
(მეც ნაღვლიანი გავსცქეროდი მტრედივით ზეცას).
უტბად მომესმა გრამაფონის ხმა ჩახლეჩილი,
ვილაც სულელი ამღერებდა მარსელიეზას.

და ეს მოტივი ხრინწიანი და არეული
შესტრფოდა ახალ ალტაცებას, ახალ დროებას.
შორს, ერთ გორაკზე სჩანდა ციხე ჩამონგრეული
და მყუდრო ჭალას შესჩიოდა ამაოებას.

ბერლინი, 1928 წ. მაისი.

რ ა ლ ფ ი

დედ-მამა

მშვიდობით, ჩემო სამღვთო სიტყვებო!
შევბოძლი ვამბობდი: დედა და მამა!
აწი ამ სიტყვებს ოდეს ვახსენებ
კანკალი უნდა დაიწყოს ხმამა!

მშვიდობით, ლოცვავ ჩემის ბედის წილ,
დედა ღვთისადმი რომ აღმართავდა,
და სასოებით, ცოდვის უცნობი
მაცხოვრის სურათს ცრემლებით რწყავდა!

და ვინ იღარდებს თუ ჩემი კვალი
ვინც და რაც დამრჩა ილევა, ჰქრება,
მშვიდობით, ლტოლვილს გამზრდელ კერასთან
იქ წაშლილია ან წაიშლება?!

მშვიდობით, მზრუნველ დედ-მამის შორის
გავლილო წლებო, სიტკბო-სიმწარე,
რაც არასოდეს აღარ აღსდგები,
სამარადისოდ რაც მიეფარე!

შენ კი, ნახვამდის მშობელთ სამარე,
ფიქრი, ოცნება სულ შენსკენ მოდის,
სიზმარში გხედავ, გეაღერსები,
ცხადათ არ ვიცი დაგხედავ როდის!

რომ დავიღუბო მიუსაფარი,
და გავათავო შორს მწარედ ღღენი,
უკანასკნელი ტანჯა იქნება,
რომ შენთან არ მაქვს მე განსასვენნი!...

სოფ. სეაილი, 1927 ♡.

გ ი ო რ გ ი უ ი ფ ი ა ნ ი

შპრადი სუკრათეზი

ოქროს შტოებით ევლება მიწას,
ნაძვის ფოთლებში უხვად ბანაობს,
გარიჟრაჟიდან ცამ მოიწმინდა,
დაქრილ ზანგივით ღამე ქანაობს.

რაკ... რუკ... რაკ... სცემს სარეკელი,
ჩაძინებია ფქვილში მურიას,
და მეწისქვილეს წისქვილის მტვერი,
თმებზე ქუდივით გადმოხურვია.

გადმორბის ღარში წყლის ჩანჩქერები,
შხრიალებს ფრთებში, ბრუნავს ბორბალი,
ხარხარებს ხმები, მივეჩქარებით
გლეხის ოცნება, მე და ხორბალი.

გადმოზნეჟილა მწვანე გორები,
სოფლის ორღობე, შარა გაშლილი,
გზაზე გორდება ურმის ბორბლები,
მისდევს სიმღერა გრძნობა აშლილი.

ხმა ჩახლეჩილი ზარავს ზარივით,
ღარიბ ქოხიდან ბავშვის ლიკლიკი,
მიიკლაკნება დაღლილ მგზავრივით
მთის ფერდობებზე ვიწრო ბილიკი.

ფხვიერ მიწაზე ხიხინებს თოხი,
გორდება ოფლი ერდგულ გარჯაში,
თეთრი ფიცრებით შენდება ქოხი,
ძველ ნაძვის ძირებს ჯიჯგნის ნაჯახი.

ბიბინებს პური თავ-თავ ქალარა,
ვით ზღვიდან ზვირთის ლურჯი გორები,

ლამემ ნახშირბადმოაყარა,
მოდის შორიდან გიშრის თვალებით.

ტყე ყაჩაღივით ჩასაფრებულა,
შეშინებული გაშლილ შტოებში,
იქ დანით დაჰკლა წითელ ველურმა
სატრფოს ძახილში აგვისტოელი.

ორთიან ფოთლები, ეშვება საფლავს,
დგანან ხეები თავებ-დახრილი,
მწარე ქვეთინით გადივლის აღმართს
შვილის ძებნაში დედა დაღლილი.

ვილაც ხითხითებს, ვილაც იცინის,
სოფელს კი გლოვა უტერს მარწუხებს,
შავ სინამდვილის მოკლე მანძილი
მწარე წვიმების მიწას აწუხებს.

სოფელო, ისევ ცეცხლის გრგვინვიდან
თავზე გამსხვრევა სახე ველურის,
მე კი ცრემლებით დამიგვირგვინდა
შენი ალერსი და სიყვარული.

მზიან დღეებში უცქერ მაისებს,
მშობელო მხარევ, ნუ მემდურები!
სანამ გავყვები ცრემლის დაისებს
გულ-გადამტვრეულ სალამურებით.

კიდევ მაწვალებს ყოფა დიდი-ხნის,
ცოცხალ ხორცს სჯიჯგნის მძიმე ფიქრები,
თუ ძვლები შემრჩა მას შენ მოგიძღვნი
ჩემი ბავშური კმაყოფილებით.

ლამე ეშვება შავ ღრუბლებიდან,
უცხო ოთახში წვება ზანგივით,
და სურათები მოგონებიდან
ყელზე მეხვევა მეგობარივით.

გიორგი ყიფიანი

ქარხანაში

(უძღვნი თ. ჯ.)

დალღილ საათებს ღამე დაათრევს,
შუა ღამეა, ღრინავს მანქანა,
ძილი მოსვლია ფერ-წასულ მთვარეს,
ღამემ ლანდები გადაატარა.

ფიქრ-დატვირთული გიძგერის გული,
მხრით ეზიდები ფოლადის უღელს,
წინ გეფინება ტკბილი წარსული,
ორე-ხი-ორა გასძახი ურემს.

თავზე შიშველი გიცქერს მაშინა,
შემოგხვევია რკინის კუდები,
გამოჩნდა სახე, რამ შეგაშინა?
ტკბილი ოცნების მწარე წუთები.

დედიკო... დედი... მაგრამ მოგშორდა,
სახე კანკალით გაჰყვა აჩრდილებს,
აღბად სურვილი უბით დაგქონდა,
ქარხნის ხმაური გადმოგაპირეს.

ქარხნის საყვირი ცად აზიდულა,
ნერწყვი გიშრება გამშრალ ენაზე,
მანქანა ღვედზე გადმოკიდულა,
როგორც ყაჩაღი სახრჩობელაზე.

ისევ ლანდები აღარ გასვენებს,
ცეკვავს ქამარი რგოლზე მტუნარე,
ქშინავს დინამო, ღვედი სანსალებს,
უცქერ მანქანას სახე მწუხარე.

მუნჯი სხეულის ლალი ოცნება,
სატრფოს ცრემლებში გრძნობა მალული,
მოგონებებით გიორკეცდება,
სოფლის გოგონა და სიყვარული.

ნაღეს ფოლადზე გამოჩნდა სახე,
როცა თვალები სიამეს თვლემდა,
მოგეალერსა, ხელი შეახე,
და დაიბზავლე: — მიშველე, დედა!

ქართულ დაძახილს ვინ გაიგონებს,
თავზე გემსხვრევა ქარხნის ხითხითი,
შორეულ მთის შვილს ვინ შეგიბრალებს,
სატრფოზე ფიქრმა მოგტაცა თითი!

აღბად გოგონა შუა ცეცხლის პირას
ცრემლებით ვიქსოვს მხურვალე ალერსს,
იქ ზამთარია, სცივა და ყინავს,
შენ კი ნატვრაში თითი ვასცვალე!

პარიზი, 12 — 29 წ.

დ. ყურულიშვილი

ფიქრები საქართველოზე

ხალხში ცხოვრება, მაგრამ მაინც კვლავ სიმარტოვე.
გულში ფიქრებმა დამისეტყვა ნორჩი ხალისი.
ეკლიან გზაზე ალბად ხვალაც ვივლი მარტოვე,
კიდევ პატარა, ყველასაგან შესაბრალისი!

გულში უღევი სურვილები სჭკნება ვარდივით,
გიჟი ოცნება აფერადებს დალილ გონებას!
ღამე ფიქრებში მაწვალებენ — თეთრი დარდივით
ავედევენები სიბნელეში ტკბილ მოგონებას!

მეშლება თვალ-წინ ჩემი ქვეყნის უხვი შვენება,
მიდამო მწვანედ მოსირმული პალმების ბაღში!
ზმანება მათრობს, გრძნობ სიზმარში ტკბილ მოჩვენებას,
წინავე სიხარულს, შვებით ვმღერი საბრალო ბავში:

მსურს დავალაგო შენს კალთებზე ცისარტყელებად
ჩემი ლექსები დანისლული სევდების ბუდე...
ვიცი ელვარე სურვილების ღრმა გახელება,
ბრძოლის ქარ-ცეცხლით გადაანგრევეს ფოლადის ზღუდეს!“

სიმღერა ტკბილი, ალტაცებით გადმოღვარული
საბრალო გულის საიდუმლო ნაპრალებიდან,
თამარის მიწას ეამბორო ამოპარული,
უკვდავი გრძნობის ხავერდოვან აჩრდილებიდან!

გაქრა ზმანება, უნუგეზოდ დაობლდა გული,
გული სიზმარში რომ გაგორდა მწვანე მდელით...
ღამრჩა სიტყვები, გულში სევდის ჯვარზე გაკრული.
მწვავეა — მწვავე დღეს ფიქრები საქართველოზე!

27—9—31 წ. ბიანკურო

——*

ფიქრები ორი ამაზი ემიგრანტის

მამა-დავითის ლურჯ გუმბათს მოგწყდით,
შემზარავ კენესით ჩამოგჯა კარი,
ტალღების მთებით ჩვენ გადმოვგორდით,
ზურგზე აგვიდეს წამების ჯვარი
რუსულ კეტებით...

ბედით სამშობლოს ჩვენ გადავებით
და გაგვეფატრა სიცოცხლე ურჩი,
ევროპა შეგვხვდა სარმით, მოგვერდით...
რკინის მუხრუჭებს ვერ გადავურჩით
ბასრის წვეტებით...

ოცნებას ფრთები ჩამოეთხლიშა...
ვერც გადავეშვით აფრიკის ხვარტში,
ესლა უფსკრულის ჩვენა ვართ პირმშო
და ურწმუნონი, ურჯულო მარტში
დავეხეტებით...

ასე უღმერთოდ გადის დღეები,
ჩვენ — ამბოკარი, მუდამ ეული —
შარბათს ვერ შევსვამთ აქ დაბერებით,
დაცხრილულ გულით გადმონთხეული —
სისხლის წვეთებით...

...ცეცხლთან ორივე ჩვენ ტერფებს ვითბობთ
ჩაით ვიხურებთ მუცლის ნაწნავებს...
გულში ორივეს გვიზის გომბიო,
ჭრელი ფიქრები გვიმძიმებს თავებს
ცხელი ბელტებით...

ღრუბლიან დღეში და სიცივეში
უსაქართველოდ ჩვენ ვერ გავთბებით.
ამ სტრიქონებით, ობლობის თვეში,
ჩვენ მხოლოდ სევდას ავუმხედრდებით
მაღალ სვეტებით...

ა. ქეიზური

ჩემის ცხოვრების დღე

დ ი ლ ა

იქ.

ნუნის ბედი ბეწვზედ ეკიდა... შეთქმულობა უკვე მომხდარი იყო და კატასტროფის დღეც დადგა. ის კი ძველებურად სათნო და კეთილის თვალებით მაჩერდებოდა და ზანტად იცოხნიდა სულ ნორჩ, ახლად გამოთოხნილ ჩალის ღერებს.

არა, მარტო მე არ მიძნელებოდა მისი გამოთხოვება; დედასაც ხომ შევიღვივებთ ჰყავდა აღზრდილი; დღემდისაც ჩვეულებად დაჰყოლოდა: კაბის კალთის ქვეშ ამოფარებულ, ოდნავ ვითომ დაზიანებულ სიმინდის ტაროს სხეების შეუმჩნეველად პირში უდებდა. დიდხანს ისმოდა მისი ხაშა-ხუში და ტკარუნი — ნუნისაც თითქოს ენანებოდა ამ „ძღვენის“ ერთბაშად გამოთხოვება.

მაგრამ რა ექმნა დედასაც? მრავალის წლოვით ნანატრი ბედი ცალის ფეხით კარებს მოსდგომოდა და განა ამას რიგიანი დახვედრა და „შემოტყუილება-შემოპატიყება“ არ სჭიროდა? ჩემი უფროსი და ეხლა ოც წელს გადაცილებული იყო, დიდის ხნით ცდა კარგს არას უზამდა ოჯახს. საჭირო იყო ამ ცალის ფეხით მომდგარ ბედის შემოთრევა რაღაც არ უნდა დაგვეჯდომოდა და აი, პირველი მსხვერპლიც ნუნის ხარჯზე უნდა გავველო.

რამდენი რამ სჭიროდა ოჯახს...

სასიძოხათვის საჩვენებელს ყველაფერს მეზობლებიდან ხომ ვერთხოვდით — ზოგი რამ საკუთარიც უნდა დართოდა. და განა „მნახველებს“ გამასპინძლება ადვილი რამ იყო? მერმეთ ამ „ნახვას“ უეჭველად სხვა წვეულება, გადაპატიყება, დღეობებში, ჯარში თუ სალამოზე შეხვედრაც უნდა მოჰყოლოდა და ამას რამდენი რამ სჭიროდა?

ამ პირველშიდ გაწეულ ხარჯებს დაკარგულად ვინ ჩასთვლიდა: ეს საძიკველი იყო საქმის უმზითვებოდ გათაგებისა და ხვალინდელ დედლისათვის დღეს განა ერთი კვერცხი უნდა დაგვეშურვა?

ასე ფიქრობდენ ადამიანები, ჩვენი ოჯახის წევრები და ჩვენს „კვერცხზე“ ბევრ იმედებს ამყარებდენ — თუმცა გამოცდილი, გარეშე ხალხი ნუნისას არც თუ დიდათ სახარბიელო კვერცხად სთვლიდა...

დაბერდა, გაშრა რძისაგან და ქონიც დაუდნა საბრალო ნუნისას. მაგრამ რამდენიმე თაობათა დედის დამსახურება ასეთ განსაცდელის უამს რა მოსაგონი უნდა ყოფილიყო და საბედისწერო დღევ დადგა

მეზობლის მსახურმა გიგომ ერთხელ კიდევ გადუსვა ხელი ძროხას გატყაულ გავაზედ, ღრმა ფიქრებში წასულმა ზედიზედ გააბოლა გრძელტარნიანი ჩიბუხი და ნუნია ზანტად ჭასთან მიიყვანა.

— არ დალევს მეტს ჩემო გიგო“, ეუბნება დედა ჩემი, „წელან დაღალევიანე როგორც იყო“.

— აბა რა ეშველება რომ ასე მიკვრია ფერდები? ცოტათ მინც წამობერვოდა ეს ოხერი მუტელი“...

ნუნია ცივის წყლით საგსე ტაშტშიდ ცხვირს ჩაუყოფს, ნესტოებს შეათამაშებს, მერმე თავს ამოსწევს, გაიქნევს და წვრილის ნაკადით უშვებს ანკარა წყალს. მას მოსაზრებული არა აქვს ადამიანის მახე, მაგრამ შემთხვევით მინც არ ებმის შიგ და მე ამითაც დიდათ ბედნიერი ვარ...

— დალიე, შე სამგლე“ ... და მაგრა ეწევა თოკით გიგო, მაგრამ ძროხა ისევ ნდობით უცქერის მას და ცივ წყალში ცხვირის ჩაყოფა აღარა სურს.

მინდა მასთან ახლოს მივიდე, ყელზე მოვეხვიო, ძირს ჩამოშვებული რბილი და თბილი ღიღაბი დავუკოცნო; სიყვარულით საგსე თვალებში, შიგ რომ ხშირად ჩემი სახე დამინახავს, ძველებურად ჩაეხედო... მაგრამ გიგოს ასეთ რამეებისათვის არა სცალიან; უკვე ხალხი კარგი ხანია მიერეკება საქონელს ენში საბაზრო მოედანისკენ და ისიც მაგრა მოსწევს თოკს. არა, ძროხას ჯერ კიდევ არ დაუკარგავს ადამიანებისადმი ნდობა და არავითარ წინააღმდეგობის გაწევაზე არ ფიქრობს... ზანტად მიჰყვება მეზობლის მსახურს საპარასკეო „თვალის სეირის“ სანახავად.

დედა მათ ჭისკრამდე აცილებს და დაბეჯითებით ცდილობს გიგოს დარიგებას, რომ ვაჭრობაში არ მოატყვიღონ...

— რაგა გეკადრება, ბატონო“ ... ამშვიდებს გიგო, ნაბიჯს უმატებს, „მაგათი ოინები თუ აღარ ვიცი“...

— დედა,, გადმოსძახებს აივანიდან უფროსი და, „მეზორცეს არ მიჰყიდონ, დასაკლავად არ გვინდა გავიმეტოთ-თქო“...

— რაგა შეიძლება შვილო. ამისთანა ჯიშისას დასაკლავად აბა ვინ გაიმეტებს? ჯერ კილო იმაკებს“ ... ამშვიდებს დედა და ისევ უყვება

გიგოს — თუ რა ძვირფასის ჯიშისაა და საიდან მოდის ნუნისა მოდგმა.

აი, გავიდა გიგო, ბოგირზედ გადაიყვანა და დაზანტებულ, გამხდარ ნუნის ერთი წკებლიც შეჰკადრა.

ჩემი გული ეხლა სიბრაღულით ივსება; ცრემლებს ვეღარ ვიკავებ და დედას კალთას ვეტანები — მითხრას რამე, მანუგემოს! ... ნუ-თუ სამუდამოდ დავკარგეთ ჩვენი ნუნია? მე არ მესმის „სამუდამოთ“-ის ნამდვილი აზრი, მაგრამ ვიცი, — ჩვენი სასიმილდეს უკან, საცა ასე გვეყვარდა ბავშვებს თამაში, ნუნისა ვეღარ ვნახავ; ყურთან ვერ მოვფხან, კისერზე ვერ შევაჯდები....

მე პირველად ვარ უბედური ჩემის ცხოვრების გზაზედ.

ადამიანთა უძირო სისასტიკეს აშკარად ვხედავ... და იბზარება ჩემი ოცნება, რომ დედა მარტო სიყვარულის და შებრალების საუნჯეა.

არც ჩვენი მეზობელი, მამა იაკინთე გამოდგა დიდის სათნოების მატარებელი ღვთის მსახური. მღვდელი ხომ ამოდენი წლების მანძილზე იცნობდა ჩვენს ნუნისა, იცოდა თუ რა მეგობარი იყო ელოსი და ჩემი ეს მუდამ თბილი, მომთმენი და რბილი ნუნია. რამდენჯერ დაუნახავს მასაც თუ როგორ მოთმინებით კისერჩაკიდებული იდგა ძროხა და ნელა მირხვედა ყურებს, როცა ელოს ორივე ხელებით მალლა ვსწევდი და მის კისერზე შეჯენას ვუბირებდი. ახალუხ გახსნილი, ფართე ჭილოფის ქუდით ჩამოფხატული, გვიცქერდა გრძელ წვერა მღვდელი და თან მალლა ხარხარებდა. მერე ღობეზე გადმოაბიჯებდა და გაჭირვებაში მყოფს მომეშველებოდა.

— აბა, ჩემო სანატრელო ამაზონელო“ ... ხითხითებდა შეუჩერებელი ელოს მამა, „გასწი, გაჰკურცხლე; მათრახიც გინდა შვილო? აჰა, ეს წნელი; მარა მაგრად არ შამოკრა, ცოდვაა... რძეც გასვას, გეთამაშოს, ყველიც გაჭამოს და კიდევ გატაროს? ამდენიც არ შეუძლია“...

სულ ტყუილი გამოდგა მამა იაკინთეს თანაგრძნობის სიტყვები; თურმე მის გულშიაც ისეთივე სისასტიკე ბუღობდა, როგორც იმ მეზობლებისა დედას რომ ნუნისა გაყიდვას ურჩევდენ. — ბებერია, რალად გინდა, უჩქარე და გაჰყიდე სანამ წაიქცეოდესო. უფრო მეტიც: მღვდელმა დიდის სიამოვნებით დაუთმო დედა ჩემს მოჯამაგირე გიგო და ამ „ცინცხალ“ პარასკევს მუშაობას მოაქდინა. ეს რომ არ ექმნა — იქნებ ნუნისა წამყვანი ამ ხელად ვერავინ გვეშოვნა და შემდეგ პარასკევამდე ვინ იცის რა მოხდებოდა; სასიძოსაც იქნებ გადაეფიქრა და ოჯახური ცხოვრებაც ნელა, ძველის კალაპოტით წინ წასულიყო. ასე ვფიქრობდი მაშინ და ეს ჩემი გულის წყრომა ელოსაც არ დავუმაღლე...

არა! მე დღეს არა მსურს მასთან თამაში — განა ყოველთვისა ვარ ამის გუნებაზედ? და მერე ვისლა უნდა ვეთამაშოთ? ნუ თუ ვერ ხედავს,

რომ სასიმინდეს უკან, საცა ჩვენი სათამაშოები გვიწყვია, ჩვენი ნუნია კუდს აღარ გვიქნევს?

— არა, მე დღეს მგლოვიარე ვარ და არც თამაში და არც ვისმესთან ლაპარაკი არა მსურს...

მე აივნის ხის კიბეზედ ვარ ჩამომჯდარი და თვალს ვარიდებ ვარდის ფერ კაბიან გოგონას ჩემს წინ სამიოდე ნაბიჯით რო სდგას და ჩუმად საღდაც მიმიხმობს. მას ხელში რაღაც უჭირავს და ფიქრობს — ეხლა ამით დამაინტერესოს. ჩვენი „დუქნისთვის“ შევნიერი ნაჭრები და ფერადივე შუშების ნამსხვრევები მოუტანია, ფულებიც გამოუჭრია წითელ ქალღიღინად. ის ამ სამკაულებს ჩემს წინ დაალაგებს და ღიმილით მიცქერის — აბა რას ვიტყვი ამაზე? არა, მე მას არ ვუცქერი, არც მისი მოტანილი მინდა რამე. საერთოდ მათი ოჯახიდან და მისი მამის იაკინთეს „ნაწყალობევი“ მე არა მეჭირვება რა. რაც წინად მოუტანია ისიც შეუძლიან უკანვე წაიღოს...

— არ წამოხვალ? არ გინდა თამაში?“ მეკითხება ხელახლა.

— არა, მე ლაპარაკიც მიმიძიმს და მზისაგან გახურებულ თავს სულ ძირს ვხრი.

— არც მე მინდა შენთან თამაში, მარტო ვერ ვითამაშებ თუ?“ ამბობს ის ნაწყენი და აგროვებს და ახვევს მოტანილ სამკაულებს. მერმეთ ადგება და უსიტყვოდ მიდის ჩვენ სათამაშო ადგილისაკენ. მე თვალს გადავყოლებ, მაგრამ ის ჩემკენ აღარ იცქირება. წაბრძანდეს!... მხოლოდ სასიმინდეს უკან რო მიეფარა ერთხელ მაინც გამოიჭკრიტა იქედან, და ისევ მიიმალა.

აჰა, მიმელის განა? სულ ტყვილა... იცადოს, მე არ მინდა მამა იაკინთეს შვილის მეგობარი ვიყო; ჩვენს შორის აწი სიყვარული და ამხანაგობა აღარ იქნება. ის მისთვის, მე ჩემთვის...

— რა დაგემართა ბიჭო, რამ გაგაბრუა?“ მეკითხება დედა, „რატო არ თამაშობ შვილო, ელო არ მოვიდა დღეს?“

— მოვიდა...

— მერე სადაა? რატო არ თამაშობთ?

— არ მინდა.

— არ გინდა?“ გაიკვირვა მან; — მე ვატყობ რომ ძალიან იოცა — „ავათ ხომ არა ხარ გენაცვალე?“

— ჰო, ავათ ვარ... დედა...“ და მე ვეხვევი მის კალთას, ვეკვრები მკერდში და ჩემი თვალები ცრემლებით სავსეა. ეხლა დედის ალერსი ისე მინდა როგორც არასდროს ... იგი მამჩნევს, რომ ჩემი ავადმყოფობა სხვანაირია და ზედიზედა მკოცნის.

— ნუ შვილო, ნუ იღარდებ. ჩვენ მალე ახალ ნუნიას მოვიყვანთ,

პატარა უშობელს გავზრდით, იმას მერე სულ პატარა ხბო ეყოლება, ბევრი რძე გვექნება ისევ; ყველი, ხაჭაპურიც...

არა, მე არ მინდა რძე, არც ხაჭაპური... მე აწი არაფერი აღარ მინდა; მე არასდროს აღარ ვითამაშებ. არც ელო იქნება ჩემი ამხანაგი.

— რატო შვილო? წაიკიდეთ თუ? მართლა წაიკიდეთ? მერმეთ რისთვის? ის ისეთი კარგი გოგონაა; შენაც ხო ჩემი ბიჭიკო ხარ... არა, მე ისევ შეგარიგებთ. დარდი ნუ გაქვს!!“ ეს შეუძლებელია, ეს არასოდეს არ მოხდება. ვფიქრობ მე, მაგრამ დედას ეს არა სჯერა. ძალად მივეყვარ სასიმიინდესაკენ და გზად ელოს უხმობს. ისიც დარცხვენით, თავჩაკიდებული გამოდის და ნელა გვიახლოვდება. უნდა ხელი მივსცეთ ერთმანეთს, ისევ ამხანაგებად დავრჩეთ და ვითამაშოთ....

ჩვენ უგულოდ, უხმოდ ვიწყებთ ნივთების უაზრო გადალაგებ-გადმოლაგებას და დამშვიდებული დედაც ნელა გვეშორდება.

თამაში მაინც არ ეწყობა. წუთები დუმილისა მეტად მძიმეა.

ბოლოს ის მეკითხება:

— ნუნია წაიყვანეს?

— მამა შენს ასე უნდოდა და გიგომ წაიყვანა.

— არა, მამას არ უნდოდა ნუნიას გაყიდვა. დედა შენმა თვითონ თხოვა გიგომ გამიყიდოსო.

— მე ბიჭი ვარ, უფრო ვიცი რაშიცაა საქმე.“ სასტიკად მოვუჭირი და ისევ სიჩუმე ჩამოვარდება.

— მე არ მინდა შენთან თამაში, სულ არ მინდა აწი თამაში“, ამბობს ის პაუზის შემდეგ და დგება, წასვლას ეპირება უზომოდ განაწყენი... იქნებ ჰგონია, რომ შევეპატიებები? განა მე კი არ შემიძლია უმისოდ თამაში? წაბრძანდეს და დღეიდან ნურც ის გადმოაბიჯებს ჩვენს ლობეზედ; არც მე მივალ როდისმე მათთან. განა მასზე ნაკლებია სალომეს გოგონა კესარია? ან კატოს ბიჭი ერასტი? რასაკვირველია, მე დღეიდან მარტო ბიჭებთან ვითამაშებ — მათ მართლაც იციან ამხანაგობა.

— წაიღე ისევ შენი მოტანილი სათამაშოები“, ვეუბნები მწყურლად და ვუხვევ ქალაღში ძაფის კოჭებს, პაწია ყუთებს, შუშის ნამტვრევებს და ნაჭრებს.

ის ჩამომართმევს და უსიტყვოდ სდგას. რაღას უცდის? იქნებ კიდევ დარჩა რაიმე?

არა! ეს პაწია გოგორა, რომელშიაც სამეფვა ცხენი აბია ხომ დიდი ხანია „დუქნის“ საკუთრებად ითვლება, მით ვეზიდებით ყოველგვარ საქონელს, მასალას და წყალს... ის არც მისია, არც ჩემი.

მე არ შემიძლიან ამ გოგორას გარეშე ჩვენი სავაჭრო წარმოვიდგინო. ესაა სული, გვირგვინი, ესაა მთელი წარმოების ძარღვი და ამას ვერავის მივსცემთ... რამდენ ბავშს დაუნახავს ის და თვალი დარჩენია ზედ. რამ-

დენს უნატრია ამგვარი საუნჯე... არა, ამას რასაკვირველია ვერავის და-
ვანებებ. არც ის ამბობს რასმეს, არას ითხოვს.

— რას უცდი ეხლა? წადი. წაუღე ეგენი მამა შენს. მე თქვენნი არა-
ფერი მინდა. — ეს კი ეტყობა უკანასკნელი წვეთი იყო მის მოთმინების
სასწორზე რო დავარდა — ისიც შეტრიალდა და გასწია. ღობესთან რო
მივიდა, შედგა და მომახალა:

— ესენი შენთვის მიჩუქნია, მე სხვებიც ბევრი მაქვს სახლში“...
და ნაჭრები და შუშის ნამტვრევები ამაყად თავზედ გადმომაყარა.

ეს კი მეტის მეტი იყო. ალბად მას ეს „წვრილმენები“ არ აკმაყოფი-
ლებენ ამ გაყოფისას.

მას მთავარი უნდა — სურს მთლად გამოუშალოს ფუძე ჩემს სავაჭ-
როს: უნდა ცხენიანი გოგორა წაიღოს და ეს შუშის ნამტვრევები კი მე
დამრჩეს. რაც მას მოუტანია უკანვე ითხოვს.

მე ვიცი, ამით ყველაფერი მოიშლება, აღარც ნუნია, არც ცხენი-
ანი გოგორა... მაგრამ რა გაეწყობა! ამისთვის ეხლა ხომ არ დავუწყებ
ტირილს და ხვეწნას. ვერ მივართვი; მე ასეთი გლახაკი არ გახლავარ...
დღეიდან მაინც უნდა კარგად გამიცნოს — გაიგოს, რომ ის გოგოა და
მე კაცი... უკეთეს ვიზოგნი მალე. წაიღოს; თავშიც უხლია. ესეც მამა
იაკინთესთვის დამითმია...

და მე მიუბრუნინე ჩვენი სავაჭროს უდიდესი განძი, საყვარელი წი-
თელ-თეთრად შეღებილი გოგორა.

— წაიღე. არ იფიქრო რამე მინდოდეს. შენი მათხოვარი არ გეგო-
ნო... ვიცი — ამას უცდიდი ამდენი ხანია. მომაშორე...“ და უკან გამო-
ვბრუნდი, რომ ბრაზისაგან უცებ ტირილი არ დამეწყო.

მივეყრდნე ხეს და ვუცქერი, თუ როგორ აჩერდება ის პატარა გო-
გორას ლამაზ ბორბლებს, როგორ უსინჯავს ცხენს ფეხებს... ეხლა მა-
ინც რალას უდგია?

— მიჩუქნია შენთვის“, მეუბნება და თავს კი ჩემკენ არ ხრის.

— მაღლობელი ვარ, არ მინდა.

— არ გინდა?

— არა...

ის გააგდებს ხელიდან ძვირფას საგანს, შესდგება ზედ ფეხით და
წიხლსა სცემს. მე მესმის როგორ ტყდება პაწაწა ღერძი, როგორ იჩე-
ჩქება ცხენის თავი, როგორ იმსხვრევიან ბორბლის თვლები... თითქოს
მე მცემენ, უწყალოდ მამტვრევენ და ნაფლეთებად მწიწკნიან...

ალბად ის ფიქრობს — მივეარდები, შევკვივლებ, შევაყენებ და ცო-
ტა რამეს მაინც გადავარჩენ. არა — მე ასეთი არ გახლავარ! მე კაცი ვარ
და ყველაფერი უნდა მხნედ ავიტანო. და ის ატირებული გადადის ღო-
ბეზედ... გათავდა, დაიხშო ჩემთვის ყველაფერი.



მე მინდა დედას ვუამბო, თუ რა საშინელი მძიმეა ცხოვრება; მინდა ხელახლა ვიტყვი, მაგრამ დედას ეხლა დრო არა აქვს — ჩვენთან მაკრინე მოსულა და ისევ იმ „ყმაწვილის“ ამბებში არიან, კვირას რომ უნდა გვეწვიოს.

— დედა მე ავით ვარ, მუცელი მტკივა...

— არაფერია შეილო; ალბად ხილზე წყალს დალევდი, „ბალკონზე“ წამოწევი და გადავიარს.

მაგრამ მე ძალიან მინდა აქ დარჩენა — მასთან ახლოს, დედის კალთაში ერთი მაინც ამოვიტირებ.

— გვაცალე ბოშო ახლა, ნუ ამოიღე სული; გადი გარეთ — შენი საქმე არაა ახლა აქ.“ მეუბნება ის, როცა ამჩნევს, რომ კალთაში თავის ჩადებას ვლამობ. ვწევარ აივანის სკამ-ლოჯინზე და გუცქერ ღრუბლის ორ ნაკვეთს ნელ-ნელა რო ქრებიან და უცნაურ სახეებს იღებენ. გადის დრო, ბევრი, ძალიან ბევრი — მე ვხედავ აივანის მოაჯირის ჭურჭრუტანიდან — როგორ დადის იაკინთე თავის ეზოში, ჭილოფის ქუდი და სასხლავით ხელში და ხეებს გამხმარ ტოტებს აჭრის. მას ელოც თან დაყვება და ისინი ძალიან გართული არიან ბაასში. მე მესმის ელოსგან ჩემი სახელიც, მაგრამ ვერ ვარკვევ მის სიტყვებს. ხანდისხან მღვდელი ხმა-მალლა გადინარხარებს, ელოს მალლა ასწევს, მერმეთ ჩაპკოცნის და ისევ ჩამოსვამს. მეზარება ეს კოცნა, აბა რა მღვდლის საქმეა? მაგრამ ელოს ეტყობა ძალიან მოსწონს ეს და არაფერში იმჩნევს ჩვენს დამღურებას. არც მე ვიმჩნევ — იყვნენ თავისთვის...

სადილის შემდეგ წყაროზე მივდივარ, ლიტრით წყალი მომაქვს და დიდხანს შევჩერდები ხილზე, მდინარეში ვიცქირებო და ვეძებ მის ბსკერზე ლორჯოებს და კიბოებს... წყალი ისეთი ანკარაა, რომ მე იმათ კარგად ვხედავ ღრუბების წინ სილაზე გაწოლილთ. შემდეგ სახლისაკენ მოვდივარ და როცა იაკინთეს ლობეს გავუსწორდები, მოვიმღერი ხმა-მალლა, — მაშ რა გონიათ? იქნებ ფიქრობენ, რომ მე ეხლა ოთახში ვზივარ და ვტყვი... უკაცრავად! მე ამხანაგებს, რამდენიც მინდა ვიშოვი და გოგორას დედა მიყიდის, ახალს... ის მაინც აღარ ვარგოდა; აბა ვის ვაუგონია სამ-ფეხიანი ცხენი? — და მე სიმღერით იქაურობას ვაყრუებ.

— გადავიარა შეილო მუცელმა? ასე იცის!“ ვიცი, დედა ამით ერთხელ კიდევ მიგებს ნიშანს, მაგრამ ეხლა უკან დახევაც აღარ ხერხდება და მეც ვიღიმი და ვეხვევი ყელზე.

მაგრამ სახლში სევდა ისევ მიპყრობს ნელ-ნელა. ლოდინმა დაღალა თვალები.

სკამ-ლოჯინზე წამოწოლილი ვიცქირები ხელახლა მოაჯირის ჭურჭრუტანაში, მაგრამ იქ ეხლა არაფერია საყურადღებო. კაკლის ხის ქვეშ ჭილოფზე გამხლართულა მამა იაკინთე, გული გაუხსნია და სძინავს...

მისი გვრინვა ისეთი ხმამაღალია, რომ ხანდისხან ჩემამდეც ყრუდ აღწევს. დიდხანს ვსციდილობ არ დამეძინოს, მინდა ვიდარაჯო, გავიგო თუ გამოჩნდება წითელკაბა პაწია გოგო და მძინარე იაკინთესთან მივა, მაგრამ იქ არაფერი სჩანს.

ტყვიასავით მძიმე ხდება ჩემი თვალის ქუთუთოები — აღარ შემიძლიან ძველებურად ვიფხიზლო... აღარც ცაზე სჩანან ღრუბელთ ნამცეცები, არც პაწია გოგონა გამოდის გარედ... მე ძალიან უბედური ვარ, მიტოვებული, ეული... ისე უბედური, რომ სჯობს თვალები დავხუჭო და სულ დავეძინო — მაშ რაღას უნდა ვუცადო კიდევ? ...

— იძინოს ბეჩა ბალანამ, რა უჭირს“... მესმის ნაცნობი ხმა, მაგრამ ვერ ვერკვევი.

— სამი საათია ძინავს ბატონო!“, ამბობს დედა ჩემი, „ეყოფა, თვარა ამელამ აღარ დაეძინება“.

სკმ-ლოგინზე გიგო ჩამომჯდარა და მილიმის.

— რა ქენი ყმაწვილო, კაი რამე თუ დაგესიზმრა?“ და მან არაყით სავეს ქიქა პირში ჩაიშხო. მერმეთ მის წინ მდგომ თევზიდან ვაშლის ნაჭერი აიღო, შემდეგ თხილის კაკლის გრძელი ჩურჩხელა შუაზე გატეხა და შემთავაზა.

— არ უნდა გიგო... მაგას კი ეყოფა, შენ მიირთვი“... ეუბნება დედა; მაგრამ მე ჩურჩხელა უკვე ჩამორთმეული მაქვს და ეხლა ვაშლისა — კენ ვიციქირები... უცებ მაგონდება განვლილი ამბები და ამათ ყოველივე აზრი ეკარგებათ. არ მინდა არც ჩურჩხელა, არც ვაშლი...

— ცოტა რო გვეცლია და გვეპატივებია, იქნება მოსუქებულიყო სამ-ოთხ კვირაში“, ამბობს გიგო, „ქე მოვახსენე მამა იაკინთეს — ვიცი აქოური მყიდველების ამბავი, მავაში რვა მანეთსაც არავინ მოგვცემდა. ნამეტანი ბევრი ნახირი მოერეკათ მაინც დღეს... ტევა არ იყო“.

— რა გაეწყობა ჩემო გიგო“, ჩაურთავს დედა, „მართლა და ტყვილა ხო ვერ დავკარგავდი, ცოდვას... იქნება მართლაც ქე იმაკოს კიდო“!

— აპა, პა, პა... მაგი არ დაიჯეროთ ბატონო“...

— ნუნია მოიყვანე?“ ვეკითხები გიგოს და პასუხის ვაგონებამდე გული გაგლეჯას აპირებს.

— მევიყვანე შე კაცო — არ გინდოდა მოშორება და ვერც მე გაგიტეხე ხათრი...“ — სადაა?

— ჯიბაში ხომ არ მეყოლება; გადი და ნახავ“...

გიჟივით გამოვრბივარ, მესმის საკუთარი გულის ძგერა, ყურები მიხურს და გზა სასიშინლემდე გრძელია, უღვევი... აი, მივვარდი მის უკანა ბოძს, ჩავკიდე ხელი და გვერდზედ მივიხედე...

— ნუნია, ჩემო ნუნია...“ ის ტკბილის, ნაზის თვალებით მიცქერის და ნელა ცოხნის გატყაულ ჩალის ღეროებს. მე ვეხვევი თბილს კისერში

იმდენად ბედნიერი გავხდი ეხლა — ერთბაშად, რომ ამის შეუძლებელი ხდება. ეს ყველამ უნდა გაიგოს. ეხლავ უნდა იცოდეს.

რა ტყვილა დავწამე ცილი მამა იაკინთეს...

რასაკვირველია, მართალია ელო, რომ მასაც ძლიერ უყვარდა ნუნია. აბა როგორ გაიმეტებდა გასასყიდათ? ალბათ თვითონ თუ უთხრა გიგოს — ისე გაატარ-გამოატარე და მოიყვანეო. არავინ არ მიყვარს ისე ძლიერ, როგორც მამა იაკინთე — ვიცი, რომ ის ყველაზე უფრო კეთილია ამ ქვეყნად. მე უცებ გავსწევ მისკენ, რომ თვითონვე ვახარო, სანამ გიგო ამბავს მიუტანდეს.

მამა იაკინთეს ახლა დიდრონი სათვალეები ჩამოუდვია და მუხლზე გაზეთი გაუშლია. მე ვიცი, რომ ამ გაზეთს „ივერია“ ჰქვია და ჩვენს სავაჭროში მე და ელო მას გასახვევად ვხმარობთ.

— ბიძია...

— რა გინდა ბიჭო?...

— გიგო მოვიდა, ნუნია ისევ მოიყვანა; არ გაუყიდა.

— ჰო-და რაღა გიჭირთ შვილო შენ და ელოს, შეგჯექით თქვენს გატყაულ რაშზე და აქენეთ ძველებურად...

იაკინთე მღვდელი იცინის და სათვალეებს შუბლზე აიწვეს...

— ელო სადაა ბიძია?

— ელო? რას კითხულობ მის ამბავს, ხო წაიკიდეთ?...

სიჩუმე.

— წადი შვილო, ბებია მისთანაა — სამზარეულოში... აბა ჩქარა!

— ელო გამოდი, რაცხა უნდა გითხრა“, ვუხმობ სამზარეულოს კარებთან.

— რა გინდა?“ მესმის მისი ანაზებულის და თან გაცეცებითი ხმა.

— უნდა რამე გითხრა. გიგომ ნუნია მოიყვანა... არ გაუყიდათ. წამოდი, ვნახოთ.

— სადაა?“ მეკითხება ის ალტაცებული და კომლისაგან გაწითლებულ თვალებს ისრესს.

მე უცებ დავავლებ ხელს და მიშყავს.

ნუნია ეხლა აღარ იცოხნის და კუდს გვიჭნევს. ელო მიცინის... მე ვაძლევ ნახევარ ჩურჩხელას. ის ამას საერთო „დუქანს“ სწირავს. მაგრა მოვებხვევი და პირველად ვკოცნი...

აქ.

ამ ქვეყნად ყველაფერი თანდათანობით ხდება — გაუარესებაც და გამოკეთებაც, რომელიმე მოვლენას ან უბედურებას უეცრივ დავინა-

ხავთ და გვეგონია, თითქოს ესეცაა რაღაც შემთხვევით მოხდაო. არა, ეს თანდათან მზადდებოდა, შიგნით მწიფდებოდა, მაგრამ ჩვენ მისთვის არ გვეცალა, ვერ დაფუკვირდით და ხიდიც „უცებ“ ჩატყდა, ვიდრე ჩვენ გონებას მოვიკრეფდით.

მაგრამ ჩემი და დიასახლისის ომი სრულის ლოდიკურის კანონიერებით განვითარდა და მე მართლაც არ შემეძლო მეთქვა, რომ „კატასტროფა“ მოულოდნელად მოხდა.

ორიოდე თვის შემდეგ ჩემის ბინის დადებისა, ჩვენ იდუმალ გაუცხევით ერთმანეთს გული, შემდეგ — შეხვედრისაც თვალის არიდება დავიწყეთ და სალამიც სულ უფრო და უფრო „ჰაეროვან“ ხმით გაისმოდა, ვიდრე მისი აკუსტიკა სულ არ გაჰქრა.

ბოლო ხანებში მე დილაობით მესმოდა კარებზე მოუჭიდებლად კაკუნი, რომ საუზმე მზად იყო და როცა კარს გავაღებდი, ვამჩნევდი, რომ ფანჯრის დაზგაზე გაწყობილ საუზმის კალორიები თანდათან მცირდებოდა; რძე წყლიანდებოდა, ყავა სიმეგრეს და ფერს ჰკარგავდა და პურის ნაჭერთა რიცხვი და ზომა პროგრესიულად იკლებდა.

ბოლოს თვით ასსორტიმენტებმაც იკლეს — გაჰქრა ჯერ რძე, შემდეგ პური და ბოლოს ყავა და შაქარიც. ეხლა მე სრული „ბლოკადა“ მქონდა გამოცხადებული და აღარც დილის კაკუნით მაწუხებდნენ... ეს „საუზმეები“ ნამდვილი „ნოტები“ იყო, რომლებიც ლოდიკურად ამზადდებდნენ ომს და აბა რა მქონდა ბედის სასაყვედურო, რომ მან თითქოს „მოულოდნელად“ თავს დამატეხა ეს ამბები. მე ვიცი — ამ ბლოკადას დიდხანს ვეღარ გავუძლებ; ციხის კარებს თვითონვე გავაღებ და ჩემი ძირ გავარდნილ კალათის და ხელ-მოწყვეტილ ჩემოდანის გამოტანის ნებასაც არ მომცემენ, ისე დავეშვები მალა კიბიდან: დამარცხებული, თავდახრილი, გაწითლებული...

— ოხ, ეს მოხეტიალე ემიგრანტები... აგვირიეს მშვიდი ცხოვრება; მუქთახორები — მიტომაც ვადმოჰყარეს ბოლშევიკებმა; მათ ასეთები არ უყვართ“ ... გავიგონებ ერთხელ კიდევ ამ სიტყვებს და გავყვები მშვიერი ტბის ნაპირს იმ მწარე ფიქრით, რომ განმეორებით სისულელე ჩავიდინე, რომ უკანასკნელი ბარგიც აქ ჩავტოვე; ხომ შემეძლო ღამით გადმომეტანა ჩემოდანი, ან და ნელ-ნელა ამომელაგებინა ჩემი უკანასკნელი რელიქვიები...

ისევ მაგრა შეფუკურთხებ ჩემს თავს და საბოლოო განაჩენს გამოვიტან, რომ ქართველი კაცი არაფერში არ ვარგა... ვერასოდეს ჰკუას ვერ ისწავლის.

აი, თუნდაც ეხლა: ორი დღეა არა მიჭამია რა; ალბად სულ მალე წავიქცევი, მაგრამ მაინც თავს არ ვიტებ მწარე ფიქრებით, არავითარ ზომას არ ვიღებ, რაიმე გამოსაეალს არ დავეძებ.

სხვა ამ დროს ყველა შორეულ და ახლო ნაცნობებს შემოიბრუნდა, რაიმე სამუშაოს ძიებით და ვედრებით ქვეყანას გააწყალებდა და ბოლოს რასმე გახდებოდა მართლაც...

მე კი ამ დილითაც ეს მზე უცნაურად მახარებს, საუცხოვო რითმა თავში მითამაშებს, ვხედავ საქართველოს ტანწერწეტა ალვის ხეების ხეივანებს, დაყურსულ ვენახებს, ლურჯათ რომ აუჭრელებია შაბიამანს, მტვერს მტრედის ფერად რომ ცამდე აღის და თეთრ ფხვნილად რომ ფხვსაცმელებს ეყრება. პურის ფქვილის სუნი ჰქონდა იმ მტვერს, ჩემი სოფლის მიწის მტვერს... ვხედავ ატეხილ ჭალებს, ზურმუხტ ჭალებს და მესმის ჭრიჭინას ხმა — მწიფე პურში დაუღალავად რომ ატკობდა ჩემს სმენას...

ქართველი კაცი ვერასოდეს ისწავლის ჭკუას და მეც მივდივარ ტბის ნაპირას წითელ კიოსკისაკენ, საცა აუარაბელი ნაგებია და მეთოლიები ათასობით ირევიან და ხმა დაბლა უცნაურ საყვედურს ჟღერტულევენ... რა მინდა მე ამ დილითაც იქ? ნუ-თუ ვფიქრობ, რომ ამ ტბის პირას მდიდარ სუფრას გამიშლიან და შემდეგ მოსასვენებლად ხავერდოვან, ზვიად სალონში გადმიპატიჟებენ, საცა ღრმა, უძირო სავაი-რძელში ჩავჯდები და ჰავანის უძვირფასეს სიგარას გავაბოლებ?

რა მინდა ეხლა იქ?

ალბად მე ვფიქრობ, რომ ამ დილითაც ის ლურჯ-თვალა ქალი იქა და მეთოლიებს აპურებს.

მერმეთ — განა ღირს კი, რომ დღესაც დამინახოს!? განა გუშინ დილით საქმაოდ არ შევირცხვინე თავი მის წინაშე?

ამ დარდმა ხომ მთელი ღამე არ დამაძინა — ეხლაცა მწვავს სირცხვილი... რას იფიქრებდა ჩემზე ეს შვენიერი ასული, რომელიც თვითონ მეთოლიასა ჰგავს? მისი თეთრი მოსასხამი ნელ ქარზე მეთოლიას ფრთებად იშლებოდენ და მისი სიცილი ისეთი გულუბრყვილო იყო, რომ მე არ შემეძლო თვალის მოშორება.

ის უცნაური ქალი ისე ახლოს იყო ამ ფრინველებთან, რომ ისინი ოდნავაც არ ერიდებოდენ მას. მოაჯირს მიყრდნობილს ხელი გადაეწვდინა და „ბუტერბროდების“ ნამცეცებს ტბაში ჰყრიდა. ასობით ირეოდენ მის წინ ფრინველნი და ფარფატით და ჭყივილით თავზედ ევლებოდენ; შემდეგ ხელშიც სწვდებოდენ და პირდაპირ გლეჯდენ პურის ნაჭრებს; მიჰქროდენ, სადმე მოშორებით ჩამოჯდებოდენ, ნანადირევს ჩაიტკბილებდენ და ისევ მოჰყვებოდენ ფარფატს და ეხლა უფრო თამამად უკორტნიდენ თითებს ამ შვენიერ ასულს.

დიღხანს ვუტკიერდი და ვსტკებოდი. ველარ მოვითმინე:

— ნეტაი მაგათ!?!“ თითქოს ჩემთვის ჩავილაპარაკე. შემომხედა, ნაზად გამიღიმა.

— რაღა?...

— შეუძლიათ თქვენის ხელიდან სჭამონ...

ერთბაშად გავთამამდი და მოვყევი.

— მერწმუნეთ ასევე ბედნიერი იქმნებიან თუ თქვენის ხელიდანაც მიიღებენ...“

და მან ერთი ნატეხი გამომიწოდა ისე ბეჯითის და მტკიცე მოხვრით, რომ უარი აღარ მეთქმოდა. მოვტეხე ერთი ლუკმა და თეთრ პურზე კარაქი და ჰოლანდური ყველი რო დავინახე, მუხლები მომეკვეთა...

რაღაც მძლავრად დაიძრა ჩემში და კუჭი გადმოაბრუნა, წამოიღო და პირდაპირ ყელთან მომაბჯინა. ხელახლა უხვი ნერწყვით გაუფმასპინძლდი მას, რაზედაც წვრილად წამოიყვინა და უკმაყოფილო ღრუნას შეუდგა ის. ვატყობდი, რომ „ის“ მეორედ ამას არ მაპატიებდა, ცარიელ შიგნებს მძლავრად ჩასობდა ბასრ კბილებს და შანძრევ-შემოანძრევდა, ვიდრე სულ არ დაფლეთდა...

— ხომ ხედავთ“, მეუბნება თეთრ-მოსასხამიანი ქალი და ეტყობა კმაყოფილია, რომ მეთოლიებმა უცებ გამონიცალიერეს ხელი.

ქალი ხსნის პაწია ჩემოდანს და თხელ ქალღმერთში გახვეულ ერთ წყვილ „ბუტერბროდს“ იღებს. ეხლა უფრო თამამად ჩამოვართმევ ერთს და ნელ-ნელა ვციცნი, რომ გამოგუზოგო მაინც ამ გაუმაძღარ ფარფატებს.

— ტუუ, ტუ — რა, რი — ტუუ!..“ ისმის ავტოს სირენის საამო ხმა და ქალი ერთბაშად შეერთება, „უკაცრავად — უნდა გავსწიო, ეს მამას ავტოა“... და ფარფატასავით ერთს წუთს შორს გადიფრენს. მე ვდგევარ მოაჯირზე მიყრდნობილი და ვფიქრობ, რომ მეთოლიებს ეს დღეს ეყოფათ და შეიძლება აწყინოსთ კიდევ ამდენმა ყლაპვამ.

რაღა საჭიროა, რომ ეს ნახევარი „ბუტერბროდიც“ ამათ შევაცინცლო?... მერე რა სქლად დაუტეხიათ ზედ ქალღმერთით თეთრი კარაქი, რა მადლიანის ხელით მოუჭრიათ სქლად ინგლისური „შესტერი“, ჩვენებურ კვახის გულსა ჰგავს...

არა, ამის ატანა ჩემს კუჭს არ შეუძლიან; ის ეხლა ყოველგვარ თავზიანობას ჰკარგავს, აიწურება და საშინელის წივილით და წვით ეძგერება ჩემს მკერდს; გადმოღის — ტანს მეხვევა, ხელებს შემიკრავს — თითებს მომიღუნებს; და მე პარალიზის გავლენით ვშემდები და ნახევარ „ბუტერბროდს“ ხელს ვუშვებ, ის ერთბაშად კბილებს ჩაავლებს, ორჯერ-სამჯერ შეატრიალებს და ცოხნას იწყებს.

— მოვტყუვდი, ეს მამას ავტო არ ყოფილა“, მესმის ლურჯ თვალას სიტყვები და ვხედავ, ის ისევ ჩემს გვერდითა სდგას და მეთოლიებს უხმობს...

ვამჩევ, ის ჩემს პასუხს უცდის; ელის სიხარულის გამოთქმას, მაგ-

რამ ინგლისური ჩესტერი იმდენად მაგარია და მშრალი, რომ ყელში არ გადადის; — კიდევ საჭიროა ხანგრძლივი ცოხნა...

მე პირ-გამოვსებული უცნაურად ვიღრიკები და ვამჩნევ, რომ უკვე დამბლა მომდის, ცოხნის ძალა არა მაქვს, საცაა დავიხრჩვები...

ვხედავ ჩემს თავს — ვიცი, რა საცოდავი, სასაცილო ვარ; რა გულიანად ვადიხარხარებს ალბად ეს ქალიც, როცა გაიგებს, რომ „ქედ-მაღალი რასის“ ამაყი შვილი ვარ

ვამჩნევ ოფლის ცივ წვეთებს შუბლზედ რო ცვრებად დამდინდა და ვიცი, ამ დროს ბაიის ფერი ვარ ალბად...

ქალი თვალს მარიღებს, მთელ „ბუტერბროტს“ წყალში ვადისვრის და ისევ ჩემოდანში რაღაცას ეძიებს. რასაკვირველია, ამ დროს ის არაფერსაც არ ეძებს და მარტო ჩემი კბილების იმედი აქვს, რომ ცოხნას როგორმე მოვრჩები.

პაუზა უხერხული ხდება; მე წყალში ფარფატებს ვუცქერი და ვამბობ: — „ნახეთ — როგორი ჩხუბი გამართეს იმ დიდ ნადავლზე!“...

მე პასუხს არ ველი, არც მას ვუცქერი და ქალიც სცდილა უხერხულობა დაფაროს.

— ოო, ეხლა კი ნამდვილად მამას ავტოა“, სთქვა მან და ღიმილით უცებ გამშორდა. აბა, საიდან მოიგონა? ეხლა ხომ სირენის ხმა სრულიად არა გვსმენია!...

შემდეგ მთელი დღე ვვხეტე, ღამე არ მიძინებია და ეხლაც კი უსი-რცხვილად ისევ იქეთ მივდივარ. რაღა?

საღლაც ყრუდ მაქვს იმედი, რომ ის დღესაც იქ იქმნება... იქნებ არც კი დაუნახავს რაიმე; არც შეუმჩნევია... ან რა იცოდა, რომ უეჭველად მის „ბუტერბროტსა“ ვჭამდი? იქნებ თუთუნს ვლეჭდი, ან კეკს... მე შემოდღიან მას ვუთხრა, რომ უცნაური ჩვეულება მაქვს: — მუდამ კეკსა ვლეჭ და ისე უშნოდ, რომ ყველას ჰგონია დიდ ლუკმას ვიცოხნები...

არა, ქართველი კაცი ვერასოდეს ისწავლის ჭკუას.

რად მივდივარ ეხლა მე იმ ტბის ნაპირისაკენ? რა საქმე მაქვს მე ამ ვილაც ქალთან, რომელსაც იმდენად ვეჭაზნიკები, რამდენადაც ის ათასი თოლიები — ხელიდან რო ლუკმას გლეჯენ.

რამდენს იცინებდა ჩემს „ქედმაღლურ“ ეესტზედ; ალბად მამა მისს მშიერ მოხეტიალის ამბებს მოუყვა, მეთოლიებს რო ეჯობრება და თავი „იოლად გააქვს“... რად ვიმცირებ თავს? არა, ქართველი გაუსწორებელია — რომანტიკოსი...

ჩემი კუჭი ხანგრძლივმა ბრძოლამ მოთენთა, ეხლა ის ერთ კუთხეში გდია და ყრუდ კენესის. ჩემი იმედი არა აქვს — იცის, ქართველი ვარ და „მისთვის“ თადარიგს ცაზე მოარულ ღრუბლების ცქერა მირჩენიან; სიმშილის დროსაც გამომყავს ცაზედ ჩემი ოცნების მაგრატლით

თეთრი ვარდები, შროშნები და სურნელოვანი ლეკვობები. და ლურჯ
კის ნაგლეჯში, ლურჯ თვალებს ვხედავ თეთრ მოსასხამად გრძელი
ღრუბელი რო აპკიდებია...

და გაუსწორებელ ქართველს საშინლად მიცემს გული, ყურში
უცნაური ზუზუნი მესმის.

ის იქ სდგას; დღეს მას წითელი მანტია აცვია, მაგრამ მაინცა ვსცნობ
— მის წინ ირევთან და ფარფატებენ მეთოლიები; ისმის ათასთა ყვი-
ლი და ზეიმი.

და იწყებს ზეიმს ჩემი გულიც ლურჯ თვალების დანახვაზედ...

ჩვენ ძველ, კარგ ნაცნობებივით მუსაიფში ვერთობით და მოფარ-
ფატე ფრინველნი ენერგიულად გვგლეჯენ თითებიდან ნაირ ყველით
გამზადებულ „ბუტერბროდებს“. როგორ არა — მან იცის ქართველთა
ამბები.

— საიდან?“ ვეკითხები გაოცებით.

— თქვენაც დიდი ხანია გიცნობთ.

ხუმრობა მგონიან, მაგრამ ის მარწმუნებს, რომ ეს მართალია... ჩე-
მი სიტყვაც მოუსმენია, საჯაროდ თქმული სიტყვა საქართველოზე.

გასაოცარია! ამ უცხოეთში სად უნდა მელაპარაკნა? ვის ეცალა
ჩემთვის ყურის საგდებად?

— ეს იყო სწორედ ორი წლის წინად პირველ მაისს; ნ-ის მოედნის
წინ ჩემი ავტო წამიხდა და ტური შევაჩერე, შინ დავტურეკე და დიდხანს
მომიხდა ლოდინი, ვიდრე ჩვენი შოფერი მომეშველებოდა. მანამ კი ვი-
დექ და დიდ მიტინგს ვუსმენდი. ჩემი ავტოს სკამიდან ყველაფერი შევე-
ნიერადა სჩანდა; აუარებელი დროშები ფრიალებდა.

და თავჯდომარემ გამოაცხადა: ეხლა ილაპარაკებს ემიგრანტი, ჩვე-
ნი ამხანაგი ქართველიო. მე მეგონა ვინმე შავი, უშველებელი კაცი გა-
მოვიდოდა და თქვენ კი გამოჩნდით. ძალიან მომეწონა თქვენი ლაპა-
რაკი. შევნიერი, კარგი ტემბრის ხმა გაქვთ და თქვენი აქცენტიც საა-
მოდ ხვდებოდა ყურს“.

მინდა ამ შემთხვევით ვისარგებლო და ვიწყებ ბაასს საქართველოს
წარმტაც ბუნებაზე, იქაურ გაზაფხულზე. ლურჯ-თვალა ერთხანს მის-
მენს, შემდეგ კი მოულოდნელად მაწყვეტინებს და მეუბნება:

— იცით რა? მე ამ წუთას უნდა გავსწიო, მამა კონტორაში მელო-
დება; ხოლო თქვენ კი ჩემ მაგიერ ამ მეთოლიებს გაუმასპინძლდით, რომ
დღეს ნაკლები არა ხვდეთ და არ იწყინონ“...

ხელში ერთ დიდ ნაჭერს მაჩეჩებს და ჩქარა მშორდება. ასე მოუ-
ლოდნელად გამაწყვეტინა ამბები შვენიერ საქართველოზე...

და ამ დროს ვამჩნევ, მოაჯირზე თეთრ ქალღალღში გახვეულ პაკეტს,
ხელში ვიღებ და ვმინჯავ. ეს არის მთელი წყება „ბუტერბროდებისა“,

რომელთაც გამაღიზიანებელი სუნი ასდისთ... კარგად იცოდა ამ ლურჯ თვალამ თუ რაგვარ „რაინდებთან“ ჰქონდა საქმე; მან ნახა — როგორ შევეუქამე გუშინ მეთოლიას მისი კერძი და ეხლა მთელი დასტა მოუტანია და განგებ დაუგდია აქ ჩემთვის. რასაკვირველია, მას ეხლაც გააცინებდა ჩემი ამბები საქართველოს ორბებზე და იებზე და ამჯობინა დიდძალ „ბუტერბროდებთან“ მარტო დავეტოვებინე... მითომ და დააწყდა....

ვხედავ მის წითელ მოსასხამს და შავს ქუდს. ის ხიდისაკენ მიდის; კიდევ შეიძლება მივეწიო.

მივრბივარ პაკეტით ხელში და მიკვირს: რა მჩატეა ყველაფერი, როგორ შურდულივით მივქირი; სად იყო ეს ძალა დაფარული? ორის დღის უქმელს, უძინარს საიდან მომაწვა ერთბაშად ამდენი ენერგია შეურაცყოფილს?...

— ქალბატონო, მომიტმინეთ!... ერთის წუთით; თქვენ დაგრაათ ეს პაკეტი“... და სწორედ ხიდზე დავეწიე და მივაწოდე.

— არა! არა!...“ ამბობს ის და უცნაურად სწუხს. „ეს დავტოვე; მე მინდოდა, რომ თქვენ ისინი კარგად დაგებურებინათ. წაიღეთ“... და გაბრუნდა.

— უკაცრავად; მე შემოძლიან საათობით ვუცქირო, როცა ქალი ფრინველთ აპურებს; ეს ძალიან ლამაზია და გასართობიც, მაგრამ მე თვითონ კი არავითარი ხალისი არა მაქვს ვიდრე და ვუსმინო მათ ჭყავილს და დაუსრულებელ მათხოვრობას...

— მე ეხლა მამასთან მივიჩქარი და აკი გთხოვეთ...

— უკაცრავად ქნო, არც მე მაქვს ამდენი დრო. მაგრამ ხათრს არ გაგიტეხთ, მშიერს არ დავტოვებ მათ“...

და მე გადავისროლე პაკეტი ხიდიდან ტბაში...

— არ ისროლოთ, დაიცათ“, შეჰკივლა ქალმა, მაგრამ უკვე გვიანდა იყო; პაკეტი კარგა მოშორებით ლურჯ ტალღებში დასცურაობდა.

— არა უშავს“, დავამშვიდე ის, „აქაც დაფასდება თქვენი გულკეთილობა: თევზები მას გახსნიან და მეთოლიებს გაუნაწილებენ. ისე ბეგია, რომ ორთავეთ ეყოფათ“...

მაგრამ ამ ქალს ჩემი აღარა ესმის; ნერვიულობს, ხელებს შლის, რაღაცას ვაპყვირის და მესმის დაუსრულებელი საყვედური და სიტყვა: „ფული“, „ორი დოლარი!“... დანარჩენი კი ქარს მიაქვს...

— რა მოხდა ქალბატონო, ეგრე რად ცხარობთ?

თქვენ დიდი უმადური ხართ... იმ პაკეტში ფული იდო ორ დოლარიანი... ეხლა რა უნდა ვქნა?

— თქვენ არ იცოდით, რომ ფრინველები დოლარებს არა სჭამენ?

— თქვენი ხუმრობა ამ დროს არაფერსა ჰგავს!...“ ის ბრაზობს, აქეთ იქეთ ხილზე დარბის და არ იცის რას ეწიოს...

— ღმერთო ჩემო! ორი დოლარი ტყვილა წყალში იკარგება“... გაჰყვირის ის ეხლა უკვე გონება არეული და მისი სახე სულ აშლილია, თვალები ამღვრეული აქვს. მე ვშიშობ ჯავრით არ გაგიჟდეს, ან წყალში არ გადაეშვას და ვანუგეშებ:

— დამშვიდდით, იპოვნიან, არ დაიკარგება... მენავე! შენ, ეი!

— ბატონო!

— აი, ის თეთრი პაკეტი რო სცურავს, შემთხვევით გადაგვივარდა. შიგ შვენიერი ბუტერბროდებია და ორი დოლარი... თუ დაიჭერ შენი იყოს — შეგარგოს!“.

ქალი წიწმატობს, ჩარბებს იკვნეტს და გახარებულს, მაგრამ მაინც გაცოცხლებულ მენავეს ეუბნება:

— ეს ყმაწვილი, რა თქმა უნდა ხუმრობს; მაგრამ თუ ამოიღებთ და მოიტანთ, გასამრჯელოს მიიღებთ“.

ეხლა კი დარწმუნდა მენავე საქმის სერიოზულობაში და ნიჩბებს მაგრა მოუსო.

— მე კი გიმეორებ“, მივაძახე მას, „რომ თუ მართლაც გამოიტან, შენი იყოს... ორი დოლარი რა ფულია, რომ იმაზედ კიდევ გევაჭრო და ჩემი სიტყვა გავტეხო. პაკეტი გადავისროლე და ნებაცა მაქვს დაკარგული ჩემს გემოზედ გავაჩუქო“...

— ეს კი მეტის მეტია!“... ამბობს გაბრაზებული ქალი და ეხლა მისი თვალები წითელია მისი მოსასხამივით.

— მაპატიეთ ქალბატონო; მე რა თქმა უნდა ვიხუმრე. პაკეტიც თქვენია და ფულიც. მე მგონია, ორი ცენტრიც რო აჩუქოთ — ეყოფა. მეტი მართლაც არ ღირს!“...

ის ხმას არა მცემდა და მთელის ყურადღებით მართო მენავეს მისჩერებოდა. უსაზღვროდ გაუხარდა, როცა დაეწია და პაკეტი გადაარჩინა.

მე სხვა საქმე აქ არა მქონდა ეხლა; მდაბლა თავი მოვუხადე და ჩქარა გამოვსწიე. ის კი უძრავად ელოდებოდა გამარჯვებულ მენავეს... ეს! განა ისწავლის როდისმე ჰკუხას ქართველი კაცი!?

გიორგი ურუღი

„ნატვის თვალნი“

ნაწყვეტები

(ნახულ—გაგონილიდან)

(გაგრძელება)

ელიზბარი მეტეხის ციხეში რომ ჩასვეს დიდ დარდათ ის წაყოლია, რომ შინ უმწეოდ დასტოვა ცოლი და ორი პატარა ვაჟი. იცოდა ისიც, რომ რუსის მთავრობა იმათი შევიწროებით ამოაყრიდა მის ჯავრს.

საზოგადოთ რუსები პირველსავე შემოსვლისას ამისთანა პოლიტიკას აწარმოებდნენ: წინ წამოსწიეს ის გვარები, რომელნიც საქართველოს უკანასკნელ მეფეების ორგულად იყვნენ ცნობილი და სამაგიეროდ იმ ოჯახებს, რომელთაც ერთგულება ბოლომდე შერჩათ, ამცირებდნენ.

სრული ორი წელიწადი იჯდა ციხეში ელიზბარი, სხვა თავის თანამოაზრეებთან ერთად. ერთხელ ციხიდან გამოქცევაც კი მოაწყეს. მალულად გამოანგრის ციხის კედელი და ყველამ თავს უშველა და გაიქცა. ელიზბარი დიდი, ახოვანი და ერთობ ზორბა ადამიანი ყოფილა. როდესაც დააპირა იმანაც კედლის ხვრელში გაძრომა, ველარ გაეტია თურმე და ძლივს-ძლივობით მოესწრო უკანვე გამობრუნება. ჩაწვა თავის ლოგინში და თავი მოიმძინარა. არასფერი არ გამოიგიაო, უბედური ძილი ვიცი, ზარბაზნებიც რომ ისროლოთ ჩემს ახლოს, ისიც ვერ გამაღვიძებსო. ამით იმართლა თურმე თავი, თორემ საციმბიროდ უზღებოდა საქმე.

ელიზბარის ორი ვაჟი ერთ დროს შინ იზრდებოდა, მაგრამ ბოლოს მამამ გადასწყვიტა, ახალი დროების მიხედვით, სასწავლებელში მიეცა. უნცროსი ვაჟი სარდიონი ჯერ სულ პატარა იყო და ადრე იყო მისი სხვაგან მიბარება, უფროსი კი ჩაიყვანა მაზრის ქალაქში და მისცა იქ ახლად გახსნილ სკოლაში. ბინად ერთ დარბაისელ ქვრივის ოჯახში დააყენა და კვირაში ერთხელ, ბიჭის ხელით, უგზავნიდა სოფლიდან საჭირო სურ-

სათ-სანოვაგეს, როგორც თავის შვილს ისე იმ ქერივის ოჯახს. მთელი ოთხი წელიწადი დარჩა ელიზბარის უფროსი ვაჟი, ალექსანდრე სამაზრო სასწავლებელში. ამასობაში ელიზბარი ძალზე დაბერდა; ციხეში ჯდომამ მოსტეხა ერთ დროს ლომივით კაცი და ავადმყოფობა დაიწყო. მამულის მოვლის თავი აღარა ჰქონდა, მეტადრე ძლიერ უძნელდებოდა ცოლეურის მამულში გადასვლა, რომელიც ობოლანთ კარზე 15 ვერსის მანძილზე იყო. იმ მამულში ბევრი მოუსვენარი მეზობელი ჰყავდა ელიზბარს; ისინი სარგებლობდნენ იმით, რომ პატრონი აქ არ არისო და რითაც კი შეიძლებოდა უფუჭებდნენ მამულს. ყველაზე ძლიერ ელიზბარს ის ადარდებდა, რომ ტყეს უჩხედნენ უწყალოდ, იმ ტყეს, რომლითაც ამაყობდა და ხშირად იტყუოდა ხოლმე: „მართალია პატარაა, მაგრამ თითო ხე შვილივით გამიზრდია და იმიტია საყვარელი“-ო.

ბოლოს გადასწყვეტა უფროსი ვაჟის შინ დაბრუნება, რომ მას მაინც გაეწია მამულისათვის ის პატრონობა, რომელიც ასე საჭირო იყო. ალექსანდრეს დაბრუნების შემდეგ ელიზბარმა თავისი მეორე ვაჟი, სარდიონი, გაგზავნა სამაზრო სასწავლებელში. იმასაც ბინა იმ ქერივის ოჯახში გაუჩინა, სადაც წინად მისი ძმა ალექსანდრე ცხოვრობდა.

ელიზბარის უფროს ვაჟს, ალექსანდრეს, ამოდ არ ჩაუარა სკოლაში და ქალაქ ადგილში ოთხი წლის ყოფნამ. სასწავლებელში მუყაითად და კარგად სწავლობდა; ქართული წიგნი ხომ ჯერ შინაც იცოდა, ქალაქის სკოლაში რუსულსაც ასწავლიდნენ და კიდევ სხვა საჭირო საგნებს. უნდა გენახათ ობოლანთ-კარელების სიხარული, როდესაც სააღდგომოდ ამოსული ალექსანდრე პირველად დაინახეს. მაშინ ალექსანდრე პირველს კლასში იყო. როგორც ჩვეულება ქონდა წინადაც, სოფლის ბიჭებ-ამხანაგებთან ერთად ეხლაც დაიარა ჰონაზედ. ყველგან, სადაც ჰონა მივიდოდა, ალექსანდრეს შეეკითხებოდნენ: — აბა, გენაცვათ, ალექსანდრე, გვითხარი, რა ისწავლე სასწავლებელშიო. ალექსანდრესაც ეს უნდოდა და გადმოაღაგებდა ხალისით ნიმუშებს, რაც მისთვის უსწავლებიან იმ პირველ წელს.

ქართული დრამატიკის ნიმუში ასეთი იყო: „სილიბისტრო რომთა პაპა; სილიბისტრო რომთა პაპას; სილიბისტრო რომთა პაპამ“ და სხ. ყველაზედ მეტად კი ალექსანდრეს ტოლ-ამხანაგებს და მათ მშობლებს ის აკვირებდა, რომ რუსული ენა ისე მალე როგორ შეუთვისებიაო. ამ „შეთვისების“ ნიმუში ასეთი იყო: იაკოვ ი ნიკოლაი, ვიხოდია იზ უჩილიშჩა ველი სეზია ხოროშო“.

იმ აღდგომას სხვებზე მეტი კვერცხი ალექსანდრეს ერგო. ყველაზე დიდი მიღწევა კი ის იყო, რომ ალექსანდრეს წიგნების კითხვა შეუწყვარდა; ამით თანდათან გონებაც გაეხსნა. 18 წლისა იყო, რომ ალექსანდ-

რე. სოფელში დაბრუნდა. თავისი სოფელი ძალიან უყვარდა; მალე გულმოდგინეთ ჩაება სასოფლო ცხოვრებაში და ყოველ-დღიურ სასოფლო მუშაობაში. მამულის ხალისიანად მოვლაში არც ერთ გლეხს, სახლისკაცს არ ჩამოუყვარდებოდა; ძალიან მალე ჩახვდა სასოფლო მეურნეობის ყველა ხერხებს, ყოველი წვრილმანი მის გულისყურს იზიდავდა, ყველაფერს თავისი საკუთარი ხელით ლამობდა.

მალე, ახალი ხილის ბაღის გაშენება გადასწყვიტა; გაგონილი ქონდა, რომ ზოგიერთ დიდ თავადის მამულში დაეწყით აქა-იქ ხილის ახალი ჯიშის მოშენება და მოისურვა თავისი თვალით ენახა ის მამულები. იმ დროს, ყველაზე უფრო განთქმული ბაღი ერთი თავადიშვილისა იყო; სამაზრო ქალაქთან ახლო. იმ მემამულეს ვაჟი საფრანგეთში სწავლობდა სასოფლო სამეურნეო დარგს და იქიდან აწოდებდა თავის მამას ხილის საუკეთესო ჯიშებს. სწორედ იმ ბაღიდან გავრცელდა თანდათან ქართლის ზოგიერთ სოფელში ხილის ახალი ჯიშები.

ალექსანდრე იმით არ დაკმაყოფილდა, რომ თავისთვის გაიშენა ახალი ბაღი: ობოლანთ-კარელ გლეხებსაც ახალისებდა, რომ მათაც ჩაეყარათ ახალი ჯიშები.

მუყაითად მუშაობდა ალექსანდრე ობოლანთ-კარში, მაგრამ არც თავის დედულს სტოვებდა უყურადღებოდ. იქ კი სამი დღის ზვარი ჰქონდა და რაკი ვენახის ერთი მხარე არ იყო ვაზით გავსებული, ალექსანდრემ იქაც გაიჩინა ახალი ხილის ბაღი. ერთი სიტყვით, ყველგან კარგად მიყავდა საქმეები ელიზბარის უფროს ვაჟს, მაგრამ მაგარი ის იყო, რომ მეზობლები არ ასვენებდნენ და არა! ცოლეური მამულის გამო ჯერ თვითონ ელიზბარის მიერ იყო დაწყებული ერთი დავა და ათიოდე წელიწადია ქალაქიდან რალაც მთავრობის „კომისიას“ ელოდენ, რომელსაც ის დავა უნდა გაეშინჯა. რუსის სასამართლოები მაშინ ახალი შემოსული იყო და მოსახლეობა ჯერ კიდევ ვერ შესჩვეოდა მის წესებს. ეს კი ადვილად შეიგნო ყველამ, რომ ერთ დღეს გასაქვებელ საქმეს რუსის სასამართლოები მთელი წლობით აჭიანურებდნენ და ქრთამის გარეშე ყოველგვარი საქმის მოგება ადვილი იყო. იმ დროს ხალხს არ უყვარდა მაინცდამაინც რუსის სასამართლოში სიარული, მაგრამ როცა მეზობლებში დავა მეტად გამწვავდებოდა და შინაურულად მორიგება აღარ ხერხდებოდა, მეტი ღონე არ იყო, რუსის სამართალისათვის უნდა მიემართნათ.

სწორედ ასეთი მდგომარეობა დამყარდა ელიზბარის ცოლეურს მამულში. იქაურ მოუსვენარ მეზობლებს და მოქიშპეთ „მტრებს“ უწოდებდა ხოლმე ელიზბარი და ხშირად იტყოდა: „აბა ამოდენა მოსეული „მტრები“ მე მარტოკა როგორ მოვიგერიო. თუ მთელი დღე ცხენზე არ ზინარ და ქორივით გარს არ უვლი შენს მიწაწყალს, ყველა იმას სცილი-

ლობს ძალით წაგვლიჯოს რამე, მისიაკუთროს და შენ ხახა-მშრალი და-
გტოვოსო. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ თავის მოსაშველებლად უფ-
როსი ვაჟი გამოიყვანა სასწავლებლიდან და შინ დააბინავა.

მართლაც, ალექსანდრეს დაბრუნების შემდეგ ელიზბარი თითქო
უფრო გასწორდა წელში. თავისი ვაჟის სიყოჩაღეს რომ ხედავდა, სა-
კუთარი სიყმაწვილე ახსენდებოდა და მეტი იმედიც მიეცა, რომ იმისგან
კარგად დაყენებული მამული არამც თუ დაკნინდებოდა, არამედ უფრო
გაფართოვდებოდა და აყვავდებოდა. მიუხედავად უკვე ღრმა მოხუცე-
ბულობისა, ელიზბარს ხალისიც და ღონეც თითქო მოემატაო.

მართალია, საქმეების გარიგება შვილს მიანდო, მაგრამ მაინც ყვე-
ლაფერი ელიზბარს ეკითხებოდა და ისიც არ აკლებდა თავის შვილს სა-
ჭირო რჩევა-დარიგებას.

ელიზბარს მთელს მანძალში დიდი ჭკვიანი კაცის სახელი ჰქონდა გა-
ვარდნილი: ძალიან შორსმხედველი, ყოველთვის ამწონ-დამწონი და წე-
სის მიმცემი კაცი არისო, ამბობდენ მეზობლები. ეს სწორედ ასეც იყო.
სიყმაწვილიდან შრომაც უყვარდა და წესიერებაც. „კაცური კაცი ის
არისო“, იტყოდა ხოლმე თვით ელიზბარი, „ვინც თავისი ყოფა-ცხოვ-
რებით თავისიანებისათვისაც არის სამაგალითო და სხვებისთვისაც“—ო.
სტუმარ-მოყვარე ადამიანი იყო, მაგრამ ეჯავრებოდა მუქთა-ხორა ხალ-
ხი, რომელიც არც არას აკეთებდა და ტანტალის და ჰარი-ჰარალის ყვი-
რილის მეტი არა იყო რა. როდესაც კი ასეთი უსაქმური კუდა აზნაური
ხელში ჩაუვარდებოდა, მოურიდებლად დასტუქსავდა და ეტყოდა: „კა-
ცო, არ გეყო ამოდენა ტყუილ-უბრალოდ ხეთიალი? შენს ოჯახში ან
გუთანს არ უნდა შებმა, ან კალოს გაშლა, ან ვენახს მოვლა, საქონელს
დაბმა და კვება, რომ აგიღია თავი და ამ ვაცხარებულნი მუშაობის დროს
დაეხეტები? აი წამოახედა საცოდავი მამა შენი და დაანახვა ეგ შენი
უსაქმურობა, კარგს დღესაც დაგაყენებდა!“

გლახებდაც კი ეშინოდათ და ერიდებოდათ „ნათლია“ ელიზბარის.
ზაფხულში ცხარე მუშაობით დაქანცულ ობოლანთ-კარელმა გლახებ-
მა გარეთ იცოდენ ძილი, თავისი, იმ დროს ჯერ კიდევ მიწური სახლების
დერეფნების წინ; გარიჟრაჟდებოდა თუ არა, მეზობლები ერთი ამბით
და სიცილით აღვიძებდენ ერთმანეთს: „არიქა, ბიჭო, ავდგეთ, საქმეს მა-
ლე მივხედოთ, თორემა აგერა ნათლია ელიზბარი მობრძანდება და კო-
კით წყალს თავზედ დაგვასხამს, ვისაც ლოგინში მოგვასწრებსო“. მა-
რთლაც და ამისთანა ჩვეულება ჰქონდა ელიზბარს და მისი ვითომ-და
„შიშით“ ლოგინიდან ნახევარი საათით ადრე მაინც წამოიშლებოდენ
ხოლმე ობოლანთ-კარელები, რომ დაენახვებინათ „ნათლიასათვის“ —
ვეხზილობითო. ვაი იმისი ბრალი თუ ლოგინში მწოლარე დახვდებოდა
ვინმე: სურით მოტანილ წყალს მასზედ დასცლიდა და დაამატებდა: —

„ჩემი საქმისთვის ხომ არ გავიძებ, შვილო, ადექ მალე, შენს საქმეს და-
ადექი, აგერა მთელი სოფელი სამუშაოდაა გასული“. მოხდებოდა ხოლმე
რომ საბანში გახვეული რომელიმე ბიჭი ბოდიშის კილოთი მოახსენებდა:
„ნათლია, დღეს მე ავად გახლავარ, წელი ვერ ამიწევია“-ო. ამ სიტყვე-
ბზე ელიზბარი გადახედავდა ავადმყოფის დედას, რომლის დაღონებულ
თვალეებში ამოიკითხავდა შიშსაც და დარღსაც. „ნათლი-დედა“, ეტყო-
და ამნაირს შემთხვევაში ელიზბარი, „რატომ დროზე არა შეგვატყო-
ბინე რა, წამალს მივცემდით სახლიდანა. წავალ ეხლავე ჩემს ალექსან-
დრეს გამოვგზავნი“-ო.

ამგვარად სცდილობდა ელიზბარი, რომ მის ოჯახს ასეთი კავშირი
დაექირა სოფელთან: „სოფელი ღონიერია“, არიგებდა თავის ალექსან-
დრეს, „უნდა ეცადო რამეში გამოადგე მასა; დადგება დრო ისიც გამო-
ვადგება“-ო.

უნცროსი შვილის, სარდიონის, ბედი სულ სხვაფრივ დატრიალდა.
იმ ხანებში რუსებმა, საქართველოს ფარგლებში, თავის პოლკებთან ერ-
თგვარი სამხედრო სასწავლებლები დამართეს, სადაც იუნკრებს ამზა-
დებდენ, რომ მათთვის საჭირო ოფიცრების კადრი შეექმნათ. სამაზრო
სასწავლებელის დასრულების შემდეგ, არ გაიარა ძალიან დიდმა ხანმა
და ამნაირ სამხედრო სასწავლებელში გადაიყვანა ელიზბარმა თავისი
ვაჟი სარდიონი. ამნაირი გადაწყვეტილება ელიზბარს ბევრნაირმა მო-
საზრებამ მიაღებინა. მართალია, მას საკმაოდ კარგად დაყენებული მა-
მული ჰქონდა, მაგრამ ჯერ ერთი რომ არ იყო დიდი ის მამული და მო-
მავალში ვერ გახდებოდა ორი ძმისათვის საყოფი.; ცარიელი მამულის
შემოსავლითაც ვერ მოახერხებდა ელიზბარი ოჯახიც ერჩინა და შვი-
ლის გამოსაზრდელათაც საჭირო ხარჯები გაეწია. ამიტომ იძულებული
იყო ისეთი რამ სასწავლებელი მოენახა, სადაც საჭირო ცოდნის მისაღე-
ბად ხარჯის გაწევა არ მოუხდებოდა.. სწორედ ასეთი იყო პოლკებთან
დაარსებული საიუნკრო სკოლები.

ახალმა დროებამ, რომელმაც თანდათან შესცვალა მოსახლეობის
წინანდელი ყოფა-წესი, აიძულა თავად-აზნაურთა გვარები გამოენახათ
ახალი რაიმე წყარო ცხოვრებისა. დიდი ყმისა და მამულის პატრონი
ძველებურს ცხოვრებას ჯერ კიდევ ახერხებდა — ყმის გაყიდვით თუ
მამულის დაგირავებით, მაგრამ მცირე მამულიან გვარებს, რომელთაც
ყმაცა და მამულიც ნაკლებად გააჩნდათ, ან სულაც არ ყავდათ ყმები,
სხვა გზაზე უნდა შემდგარიყვნენ და ეს იყო რუსის სამსახურში შესვლა.
მცირე ნაწილი სამოქალაქო სამსახურში შედიოდა, უმრავლესობა კი
სამხედროში ჩაება. რუსი იმ დროს გამუდმებულ ომებს აწარმოებდა,
ხან მთიულებთან, ხან ოსმალსთან, — მას ესაჭიროებოდა მომზადე-

ბული სამხედრო ძალები და სწორედ ეს უადვილებდა ახალგაზდა ქართველობას, ვაჟკაცობის გამოჩენით, ეშოვნათ სანატრეო „აფიცრის ჩინი.“

მალე, ბევრის თვალში, ის ოჯახი იყო ბედნიერად მიჩნეული, რომელსაც „აფიცერი“ შვილი ჰყავდა. სათქმელად ჰქონდათ შემოღებული: „ბედნიერი ის ოჯახია, სადაც ერთი აფიცერი მაინც არის, თავის დროზე მოსდის და მოსდის ჯამაგირი ყოველ-თვიურად; არც სეტყვისა ეშინია, არც გოლვისა! მოკვდება და მიაყრიან იმის ოჯახს — ეს პენსიაო ეს პოსობიეო და ათასი ამისთანები“-ო.

ერთი სიტყვით, ამნაირმა მოსაზრებებმა თუ სხვა რამე გარემოებამ გადააწყვეტინა ელიზბარს უნცროსი ვაჟი სააფიცროდ მოემზადებინა და აი, სარდიონიც შევიდა საიუნკრო სკოლაში. არ გაიარა ორმა-სამმა წელიწადმა და სარდიონი იუნკრის ხარისხით გამოვიდა კიდევ სასწავლებლიდან; რუსის ჯარების მთიულებთან შეტაკების დროს დიდი სიყოჩაღე გამოიჩინა და მალე ოფიცრის პირველი ჩინიც მოუვიდა.

ელიზბარის ოჯახს ყველა ნატვრის და ზოგი შურის თვალითაც შესტკეროდა. „ოჯახი კვლავ ფეხზე წამოდგა და გაივსო ყოველგვარი დოვლათითა“-ო, ამბობდენ მეზობელ სოფლების აზნაურები.

მამის საერთო ხელმძღვანელობამ, უფროსი ვაჟის გონიერმა საქმიანობამ და სარდიონის ჯამაგირით ოჯახის მოშველიებამ, ის საქმე ჰქნეს, რომ რაც-კი მამულს ვალი ჰქონდა ნელ-ნელ მოიშორეს.

უნდა ითქვას, რომ ერთ-ხანობას დიდ გასაჭირში იყო ჩავარდნილი ელიზბარის ოჯახი. მისი დაკნინება სწორედ მაშინ დაიწყო, როდესაც ელიზბარი მეტეხის ციხეში იჯდა. იმისი მეუღლე, ნენე, მთელი ორი წელიწადი ისე უვლიდა მამულს როგორც ერთი კარგი ვაჟკაცი. ხშირად უხდებოდა ცხენით ხან მამულების დავლა-დათვალიერება, ხან მაზრის ქალაქში ჩასვლა. შეჯდებოდა ცხენზე, გაიყოლებდა ერთგულ მოსამსახურეს და ასე გაუდგებოდა ხოლმე შორს გზას. დიდი გაჭირვება და შეწუხება გამოიარა იმ ხანებში ნენემ. მამულისათვის ზრუნვის ვარდა, დიდ ძალი ხარჯის გაწევა უხდებოდა ქმრის ციხიდან მალე გამოსაყვანად. თუმცა იმ დროს „ადვოკატობა“ არ იყო ჯერ შემოსული, მაგრამ მაინც იყვნენ აქა-იქ რუსების ახალ სამართალში დახელოვნებული პირები, რომელნიც ყოველგვარ საქმეების მოგვარებას კისრულობდნენ. სხვა არა იყოს რა — რუსული ლაპარაკი მაინც იცოდნენ და ამით იყვნენ საჭირო. ზოგ იმათგანს სახელიც კი ჰქონდა მოხვეჭილი და ყველა ეს ფულად ღირდა და კი ფულადაც! მარტოდ-მარტო დარჩენილ ნენეს არც სოფლის შემოსავალი ჰყოფნიდა და ზედმეტი ხარჯების გასაწევად არც თუ რამე სხვა წყარო გააჩნდა. სწორედ მაშინ მოუხდა ორი დიდი ნაფუძრის გაყიდვა, ისეთი ნაფუძრების, რომ კაცს თვალი ზედ შერჩებოდა.

როდესაც ეს ფულიც შემოეხარჯა და ქმრის ციხიდან დახსნას კი ჯერ ბოლო არ უჩანდა, მეტი ღონე არ იყო, გაბედა და ფული ისესხა, იმ მხარეში ცნობილ მევახშე სტეფანე ჭურმაზანდაშვილისაგან. დიდი მოხერხებული და რუსის მოხელეებში დიდი გავლენიანი პირი იყო ის სტეფანე. უკვე ხანში შესული კაცი იყო რუსული ენა რომ შეისწავლა. მის ახალ ხელობაში გამოსაყენებელი კანონები სულ ზეპირად იცოდა, სასამართლოების კარებების გაღება-გამოხურვის საიდუმლოებაც ჯიბეში ელო. იმ მხარეში რუსის მოხელეებს ქრთამი მისი ხელით ეძლეოდათ და ამიტომ სტეფანე ერთობ საყვარელი კაცი გახდა იმ მოხელეთათვის, და ამავდროს საჭირო ადამიანი ადგილობრივ მოსახლეობისათვის. მამა-სისხლად ასესხა სტეფანემ ოთხმოცი თუმანი ელიზბარის მეუღლეს.

მართალია, თავისი ხელობით დიდ გამორჩენაში და მოგებაში იყო ჭურმაზანდაშვილი, მაგრამ, კაცმა რომ სთქვას, სტეფანეს ცხოვრება ყოველთვის არ იყო ტკბილი და საამური. რამდენი „ქნიაზის“ ცხარე მათრახი და ცემა-ტყეპა მას გამოუვლია — კაცი ვერ დასთვლის! ეს მათრახები მაშინ უფრო მოხვედებოდა ხოლმე სტეფანეს, როდესაც ვინმე ვალის გასწორების წინაშე დადგებოდა და სტეფანე თავის „სჩოტს“ წარუდგენდა. ძალიან ითმენდა ჭურმაზანდაშვილი ამ მათრახებს და იტყოდა ხოლმე: „რა გაეწყობა! თუ კაცი არ გაისარჯა, ფულსაც ვერ გააკეთებს“-ო.

მაგრამ ისიც ადამიანი იყო, მობეზრდა ამოდენა ცემა-ტყეპა და ბოლოს გადასწყვიტა საჭირო ზომები მიეღო. აი, ერთხელ რა მოხერხებულ ხრიკს მიმართა რუსის კანონებში ზედმიწევნით დახელოვნებულმა სტეფანემ. ერთ ცნობილ დიდ მემამულეს ხილის ბაღი ჰქონდა მასთან დავირავებული; ბაღი ასე ათი დღისა მაინც იქნებოდა და სულ კარგი ჯიშის ხეხილით იყო გავსებული. იმ მებატონეს მებაღეთ საიდლანაც გადმოხვეწილი გერმანელი ჰყავდა შეხიზნული, ერთი უბედური ლოთი, მაგრამ თავის საქმის კარგი მცოდნე. დიდი ყმის და მამულის პატრონი იყო ხსენებული თავადი და დიდს ცხოვრებასაც მიჩვეული. რაც დრო მიდიოდა, მამულის შემოსავალი კლებულობდა და აღარ ყოფნიდა დიდრონი ხარჯების დასაფარავად. პირველად უამრავი ფულის დახარჯვა სასახლის აგებაზედ დასჭირდა. თავის მამა-პაპეულ სოფელში ისეთი დიდი და უზარმაზარი სასახლე დაიდგა, რომ მთელს საქართველოში არ ყავდა ბადალი: ოთახების კედლები სულ ჩუქურთმებით მოაფენინა და კედლებში ზოგან ვეებერთელა, ზოგან პაწაწინა სარკის შუშები ჩაასმევინა; სასადილო დარბაზში მარმარილოს მოხდენილი შადრევანი დაადგმევინა, ორი ლულით: ერთიდან წითელი ღვინო ამოსჩქეფდა, მეორედან თეთრი. დიდი ფული დაუჯდა სასტუმრო ოთახების და მეტადრე „ნამენიკების“ მისაღებ ოთახის გალამაზება და მოკაზმვა. საუკეთესო

მხატვარი მოიწვია, რომელმაც კედლები დაასურათა სხვა და სხვა საგმირო, ან სანადირო სურათებით.

ტფილისში „ნამესტნიკი“ რომ ზეიმებს მართავდა თვალ-საჩინო ალავი იქ ამ ჩვენს თავადს ეჭირა ხოლმე. თვითონაც, წელიწადში ორჯერ მაინც, მართავდა საპასუხო ზეიმს, ერთს — სოფელში და მეორეს — ტფილისში, თავის საკუთარ სახლში. როგორც დიდი გვარის შვილს, ეთაკილებოდა სხვებს ჩამორჩენოდა რამეში, მეტადრე სხვა ქართველ დიდკაცობას, რომელთა შორის ამ ნიადაგზე იყო ერთი შეჯიბრება და და ქიბში: — რომელი რომელს აჯობებდა ხარჯების გაწევაში! რა თქმა უნდა, ამისთანა ფლანგვას ვერ აუვიდოდა იმ ღროინდელი სოფლის შემოსავალი: — მალე ყმებიც მიყიდ-მოყიდეს, მამულებიც დაავალიანეს და დააგირავეს და ქალაქის საკუთარი „სასახლეებიც“ გაჰყიდეს. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ იმ დიდ მებატონეს დიდი ფული ემართა სტეფანე ჭურმაზანდაშვილისა. საკვირველი კი ის იყო, რომ მთელი რვა წლის განმავლობაში ის თავადიშვილი სარგებელსაც დიდს იხდიდა, თითქო ვალიც რამდენჯერმე ჰქონდა გადახდილი, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ისე გამოდიოდა, რომ ვალი მაინც სასესებით გადაუხდელი რჩებოდა. არც „ქნიაზი“ სცდილობდა ამ გაუგებრობის გამორკვევასა და არც სტეფანე ჩქარობდა ფული მაინც უკან გამოეტანა. უნდა ითქვას, რომ სტეფანეს დიდი ხანია თვალი ეჭირა იმ მებატონის ქალაქის სახლებზე და სოფლის ბაღზე. მას იმდენად ფულის დაბრუნება არ ენადგლებოდა როგორც ამ მამულების ხელში ჩაგდება: თუ ორივესი არა, ერთისა მაინც.

ერთ მშვენიერ დღეს სტეფანემ გაიგო, რომ ქალაქის სახლები უკვე წასვლოდა ხელიდან იმის მოვალეს: სხვა „სტეფანეს“ ვალების დასაფარავად გაეყიდა „ქნიაზს“. ამ გარემოებამ აიძულა ჭურმაზანდაშვილი ცოტა ფეხი აეჩქარებინა, რომ სოფლის ბაღიც არ დაჰკარგოდა. და, აი, ერთ დღეს იახლა სტეფანე თავის მოვალე თავადიშვილს და მოწყალების ხმით მოახსენებს: ფული მიჭირს და დამბრუნე შენი ჭირიმეო, ისე ჩავთვლი თითქო გეჩუქებინოსო! ტფილისის სახლების დაკარგვით გაბრაზებული და შერცხვენილი თავადი ვერ დაუხვდა სტეფანეს კარგ გუნებაზე. „როგორ თუ ვალი დაგიბრუნო!“, დაუყვირა სტეფანეს მან, „რის ვალი, რა ვალი! შენ ეშმაკისკერძო შენა, ავერ რვა წელიწადია მიგაქვს ჩემგან ფული და მიგაქვს და აქამდინ ვერ გადახდა ის შენი ვალი თუ რა არი?! წადი, გაეთრიე აქედან და აღარ გაბედო ვალზედ ლაპარაკი, თორემ მამი ჩემის სულსა ვფიცავ, გაგაწვევ აქა და როზგით აგიჭრელებენ ჩემი ბიჭები ტანსა და პირსა!“

სტეფანე არ შეუშინდა ამ მუქარას, თუმცა კი რვა წლის განმავლობაში ერთი ორჯერ მაინც მოხვედრია თავში განრისხებული ფეოდალის ჩიბუხი. სტეფანემ გადასწყვიტა ერთხელ კიდევ მოეთმინა ყვე-

ლაფერი, ოღონდ თავისი გეგმა სისრულეში მოეყვანა და სანატრელი ხილის ბაღი და მაზრის ქალაქში პატარა, მაგრამ მოხდენილი სახლები ხელში ჩაეგდო. სწორედ ასეც მოიქცა. მოთმინებიდან გამოსულმა თავადმა ასეთი ულტიმატუმი დაუყენა: — რადგან ამ რვა წლის განმავლობაში სულ ცოტა, ხუთჯერ მაინც გაქვს დაბრუნებული ნასესხი ფული, ეხლავე მომიწერე ხელი, რომ ვალში სრულებით გასწორებული ვარ. სტეფანე უარზე დადგა. დაუძახა ბატონმა ყმებს: — წააქციეთ ეს რეგენი ჩემს თვალ წინ და მიაყოლეთ წკებლები, მანამ არ შეგაჩეროთ! წააქციეს შენი სტეფანე, და რა დაინახა აღარ მეხუმრებიანო, აღუთქვა მოვალეს: — კარგი, ბატონო, იყოს შენი ნება. მაგრამ უცბად მოაგონდა ხილის ბაღი და სახლები და ისევ გადასთქვა. კვლავ წააქციეს ბიჭებმა და აი უპირებენ „ვაროზგვას“. ბოლოს სტეფანესაც მოსწყინდა ეს დავიდარაბა და მოუწერა ხელი ქალაღდზე, სადაც ეწერა, რომ ფული სავსებით ქონდა მიღებული.

თავადიშვილმა ხელთ რომ ჩაიგდო სტეფანეს მიერ ხელმოწერილი ბარათი, ერთბაშად დაუყვავა მას და უბრძანა ბიჭებს პური ეჭმევინათ მისთვის. მშვიდობის ჩამოვარდნის ნიშნად თვითონაც გვერდზე მოუჯდა და ასე დაყვავებით გაისტუმრა უკან. მაგრამ ბოლოს და ბოლოს, „კნიაზის“ ბაღი და სახლები მაზრის ქალაქში მაინც სტეფანეს ხელში გადავიდა და აი სწორედ აქ გამოჩნდა ჭურმაზანდაშვილის ეშმაკობა და მოხერხება. ერთ დღეს ახალი რუსის სასამართლო იბარებს ჩვენს თავადიშვილს და ამგვარ ბრალდებას უყენებს: — ჭურმაზანდაშვილი გიჩივით, რომ იმისგან ნასესხებ ფულს არ უბრუნებთ და თანაც გიცემითათო. გაიოცა ფეოდალმა — ეს რა მოუჭორავს იმ შეჩვენებულსაო, ბარათი აქ ჯიბეში მიღევს და ის კიდევ ფულსა მთხოვსო!? მეტი ღონე არ იყო, იკადრა და თავისი ფეხით წარსდგა სასამართლოში, თუმცა კი ძალიან ეთაკილებოდა, რომ ვილაც სტეფანეს ჩივილით უხდებოდა სასამართლოში მასთან ერთად ხლება. როდესაც საქმის გარჩევა დაიწყო, თავადმა მედიდურად ამოიღო უბის ჯიბიდან სტეფანეს ბარათი და ამცნო მოსამართლეს, რომ აი ამ ბარათში თვითონ სტეფანე ამტკიცებს, ფული მიღებული მაქვსო! ამის საპასუხოთ სტეფანე მოკრძალებით მოახსენებს მოსამართლეს: — აბა კარგად წაიკითხეთ რა აწერია ბარათსა და ისე გამსაჯეთო! მოსამართლე გადახედავს ბარათსა და ბოლოში ამოიკითხავს: — „ძალათ ხელს მაწერინებენ სტეფანე ჭურმაზანდაშვილსა“—ო რა თქმა უნდა სტეფანემ მოიგო; მოსამართლემ აუხსნა „კნიაზს“, რომ კანონით ძალდატანებით ხელმოწერილ ბარათს არავითარი ძალა არა აქვს და ამასთანავე ამ ბარათითვე, რომელიც თქვენ თვითონ წარმოადგინეთ, მტკიცდება, რომ გიცემითათო. ყველა ამის გამო — ფულიც უნდა გადიხადოთ და ცემისთვის სამართალში მიეცემითო. რა თქმა უნდა, შედე-

გად ფულიც გადახდა და როგორც „დამატება“ ბალიც სტეფანეს ხელში გადავიდა და სახლებიც. ამ დამატებითი საფასურით გადაარჩინა თავადიშვილმა თავისი თავი ციხესა.

აი ამ სტეფანეს ვალი ემართა ელიზბარის ოჯახსაც. როდესაც ელიზბარის მეუღლე ნენემ ფული ისესხა, ჭურმაზანდაშვილი ჯერ ახლად იწყებდა თავისი მევახშეობის ხელობას და იმ დროსთვის საკმაო შეღავათიან პირობებში სცემდა ფულსა. მადა მას თანდათან მოემატა; რაკი ფულის მთხოვნელთა რიცხვი დღითიდღე მატულობდა, სესხის პირობებსაც აძნელებდა და სარგებელს გადამეტებულად ახდევინებდა. ამნაირად სტეფანეს სარჩოც იზრდებოდა და თვითონაც სულ ზევით-ზევით აღიოდა. ბოლოს ხომ თავი ისე ასწია, რომ იგი უკვე სტეფან ნიკიტჩის ჩურმაზანდოვი გახდა. იმ ხანებში სტეფანემ თავის ერთადერთ ვაჟს არტაშას სავაჭრო გაუხსნა ტფილისში, სადაც იგი კარგა ხანს ვაჭრობდა „არტურ სტეფანის ჩურმაზანდოვი“-ს ფირმით. ვერ წაუვიდა კარგად თავისი სავაჭრო არტაშას, ბოლოს გაკოტრდა კიდევ და მთელი მისი ტფილისის უძრავ-მოძრავი ქონება ერთ „კროა“ სომეხს ჩაუვარდა ხელში. იმ ხანობაში ბევრი ასეთი, საქართველოში ძველ მოსახლე სომხის ქონება გადავიდა „კროების“ ხელში; მათ ისინი „საიდღანაც მოთრეულებს“ უწოდებდნენ, ვითომდა საიდღანაც შორიდან არიან მოსულეები და საქართველოს მკვიდრ სომხობისათვის უცხო არიანო. თავის თავად ცხადია, რომ თვით „მოთრეულები“ არასფერში იყვნენ დამნაშავე. მათი ტფილისში თანდათანობით გაძლიერება და მომაგრება იყო უმთავრესად სალიანის მეთევზეობის და ბაქოს ნავთის შადრევანების გამარჯვება — პრიმიტიულ პირობებში მყოფ მამა-პაპურ მედუქნეობაზე, რომელსაც მისდევდნენ ტფილისელი ძველი სომხები, თავიანთ ნახევრად დარაბებ გამოხურულ დუქან-მაღაზიებში... რამდენათაც „მოთრეულების“ დამკვიდრება საქართველოს დედა-ქალაქში იყო წინანდელ ძალთა განწყობილების დარღვევა, იმდენათ იგი სწორედ საუკეთესო მასალადა და მიშველებად გახდა იმ ერთა გათიშვის პოლიტიკისათვის, რომელსაც რუსული მთავრობა აწარმოებდა ჩვენს ქვეყანაში... ბოლოს ხომ „მოსულმა“ და „შინაურებმა“ ზავიც ჩამოაგდეს ერთმანეთში და ხელი-ხელ ჩაკიდებული იღვწოდნენ თავისი მიზნების განხორციელებისათვის....

(გაგრძელება იქნება)

მ. ამირეჯიბი

უზნობანი ურგებანი თორნიკენი

მოთხრობა

1

იყო უკვე ჟამი გვიანი, სერობის ლოცვის შემდეგ, როდესაც ათონის მთის ქართველთა მონასტრის იპიტირიტისი ზოსიმე ბერი ექვთიმეს სენაკში შევიდა. მონასტრის წესდების ძალით ბერების ასეთი გვიანი ერთმანეთში მიმოსვლა აღკრძალული იყო. მაგრამ ბერი ზოსიმე თვით იყო მონასტრის ძმთა ყოფაქცევის დამხედვარი, ანუ იპიტირიტისი და ყოველ ჟამს ნება ჰქონდა ვისიც უნდა სენაკის კარი შეეღო.

მაგრამ იპიტირიტისი ზოსიმე ამ ჟამად დასახედავად არ იყო მოსული. ის მოვიდა ძმა ექვთიმესთან, რომელიც საღვთისმეტყველო წიგნებს სთარგმნიდა, ლავრის წინამძღვრის, მამა იოანეს, შვილი იყო, დღედღეზედ ლავრის დიდი იკონომოსი უნდა გამხდარიყო, შემდეგ თვით ლავრის წინამძღვარი, მონასტრის სჯულის მღებელი და წმინდანი.

ამ შესანიშნავ ბერთან საუბარი, ზოსიმესათვის, როგორც თითონაც უნაკლო ბერისათვის და ამის გამო იპიტირიტისად დადგენილისათვის, მუდამ ჭეშმარიტი ნეტარება იყო. სწორი ქრისტიანული დოგმის მოძღვრება, საეკლესიო სჯულის ცოდნა, ბერძნული ენის ბრწყინვალე ლაპარაკი, საღვთის მეტყველო თხზულებათა დედანისაგან ამოკითხვა და უბიწო და ღვთისათვის შედგომილი სამაგალითო მონაზონური ცხოვრება, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ექვთიმეს სწორუბოვარ ბერად ხდიდნენ.

მაგრამ იპიტირიტისი ზოსიმე, რომელიც მისი სწირი და გულმოდგინე მსმენელ იყო, არც ამ სულის მარგებელი საუბარისათვის იყო დღეს მოსული და სახეზედაც ჭმუნვა გადაჰკრავდა. ძმა ექვთიმე დღეს მას სჭირდებოდა როგორც იმ ბერთა და მორჩილთა მასწავლებელი და ხელმძღვანელი, ვინც ლავრაში წიგნებს გადასწერდნენ, ხატებითა და ფერადოვანის კამარებით ამკობდნენ და ყლით ჰკაზმავდნენ.

სენაკში შესულმა ბერმა დაინახა რომ ძმა ექვთიმე მარტო არ იყო.



მასთან იჯდა, ეს ერთი ხანია, შორეულ ქართლითგან ჩამოსული მგზავნი
ხნის ახოვანი ბერი იორდანე, მეფე დავით კუროპალატისაგან საგანგე-
ბოდ ათონზედ გამოგზავნილი, რათა ექვთიმის მიერ ბერძნულითგან ახ-
ლად ნათარგმნი ვასილი დიდი კესარიელის „ითიკა“ წაეღო.

„ითიკაც“ იმავე მოზრდილ მაგიდაზედ იდო, რომელსაც მასპინძე-
ლი და სტუმარი უჯდა. ეს იყო უშველებელი წიგნი, მაგარ ტყავის ყდა-
ში დაკაზმული და ეხლა ჭილოფში შეკერილი, რომ წიგნს მგზავრობა
კარგად აეტანა.

ქართლითგან მოსული კაცი დილაზედ უკან ბრუნდებოდა და ექ-
ვთიმე თავის თარგმანს აბარებდა. დარიგება და სხვა რამე თუ როგორ
ეტარებინა ბერს წიგნი, ან ის ძღვენი, რომელსაც ლავრა თავის მფარ-
ველ მეფეს უგზავნიდა, ექვთიმეს უკვე ნათქვანი ჰქონდა. ეხლა ის ფი-
ქრობდა, რა დაებარებინა ამ კაცისათვის იმ ქვეყანაში, საითგანც თი-
თონაც იყო და ვერაფერი მოეგონა.

ვისთან? იქაურს არავის იცნობდა და იქაური არაფერი ახსოვდა!
იმისი ცნობრება საოცარი იყო. საოცარი იყო არა მარტო თავისი ბერუ-
ლის ხვედრით, საოცარი იყო კაცურის თავგადასავალითაც. იმისი მამა
აქ იყო, მონასტერში, და ექვთიმეს არ შეეძლო ეთქვა, რომ ყოველივე
მსოფლიო დაუტევა და ისე შეუდგა ღმერთს! აქავე იყო იმისი მამის ძმაც,
რომელმაც ურიცხვი შესაწირავის ვალებით, ეგოდენ უშველა ექვთიმეს
მამას და თვით ექვთიმესაც — ლავრის დაარსებაში. მაშასადამე ექვთი-
მე ვერც იმას იტყოდა, რომ ღმერთი გლახაკმა და უსასყიდლომ დაიმ-
კვიდრა! ქართლში დედა და ძმები დარჩნენ. მაგრამ პირველი ცოცხალი
აღარ იყო, მეორენი არ ახსოვდა. მას არ ახსოვდა თავისი სახლიც კი, სა-
დაც დაიბადა, ხოლო მამისაგან ამისი გამოკითხვა და სოფლის ურგებთა
საქმეზედ უბნობა — ბერისეულ საქმედ არ მიაჩნდა.

ექვთიმე ჯერ სულ ჩვილი იყო, როდესაც იმისმა მამამ, მეფე დავით
კუროპალატის წარჩინებულმა დიდებულმა, ვარაზვაჩე ჩორჩანელმა თავის
„ოქრო ციხეზედ“, მთელს სამკვიდრებელზედ, სოფლის დიდებულზედ
და ცოლშვილზედ მოულოდნელად ხელი აიღო და ყველასაგან იღუმა-
ლად ჭოროხის ხეობაში, ოთხთა ეკლესიათა ლავრაში, — ბერად აღი-
კვეცა. როდესაც მახლობლებმა მისი ბინადრობა შეიტყეს, ხოლო მო-
ნასტერშიაც მისი ვინაობა გამოჟღავნდა, იოანე ბერმა — ასეთი იყო, მი-
სი სამონასტრო სახელი — საქართველო მთლად მიატოვა და უკვალოდ
უცხოეთში გადიკარვა. ექვთიმე ამ დროს ორის წლისა იყო და თავისი
სახლის ეს მწუხარება არც უგრძენია. მაგრამ გაიარა მცირე ხანმა და ეხ-

ლა თვით პატარა ექვთიმე შეიქმნა თავისი უცნაური ბედის მსხვერპლი. ქართლის სხვა დიდებულთა შვილებთან ერთად, ყრმა ექვთიმე მძევლად იქნა კონსტანტინეპოლში გაგზავნილი, კეისრის კარზედ. მშობელ სახლს მოშორებულმა და სხვის კარზედ მყოფმა ექვთიმემ ესლა კი იგრძნო თავისი ობლობა. მან დაივიწყა დედა-ენა და ბერძნული შეითვისა. აქ, კეისრის კარზედ და უპატრონო უცხოელს ვინ იცის რა ელოდა? ბედს შეეძლო ძირს დაექანებინა და კეისრის მრავალ რიცხოვან დაბალ ჯალაბში გარეთულს, გინეკეს უბრალო ევნუკად ამოეყო მერე თავი, ან როგორც მაღალი ჩამომავლობის კაცს და მთლად გაბერძნებულს, ბიზანტიელი კარის კაცის საბეჭურით დაემშვენებინა მხარი. მაგრამ მას ერთი და იგივე წინად შემზადებული და გზას გადუხრელი ბედი სდევდა!

შვილის ამბავმა მის გადაკარგულ მამამდისაც მიაღწია, რომლის კვალი ოლიმპის მთის ქართველთა მონასტერში აღმოჩნდა. მამის გრძობამ ბერის განდგომილებას სძლია, იგი სულის ძირამდე აღძრა თავისი ყრმა შვილის ასეთმა ბედმა, სამეუფეო ქალაქს დაეშვა, კეისარს წარუდგა, აქ თავისი ვინაობა გაამჟღავნა და შვილი უკან გამოითხოვა. ვარაზ-ვაჩე ჩორჩანელს კეისრის კარზედაც კარგად იცნობდნენ და კეისარმა შვილი გაუნთავისუფლა.

ექვთიმემ მამა იპოვნა, მაგრამ მამამ შვილი დედას კი არ მიჰგვარა, როგორც ამას შვილის ჩვილი ასაკი მოითხოვდა, ან როგორც თვით დედის სურვილიც უნდა ყოფილიყო, არამედ ოლიმპის მთაზედ მონასტერში წაიყვანა. რა კი განგებამ ისევ შვილს შეახვედრა, გადასწყვიტა შვილი თავისთან ჰყოლოდა. ბავშს ისევ დედა ენის სწავლება დაუწყო და გულში ბერის მომავალი განუმზადა.

პატარა ექვთიმესათვის მონასტრის ერთფეროვანი ცხოვრება დაიწყო. მონასტერში აღამიანები ერთმანეთს ჰგავდნენ არა მარტო სამოსით, რომელიც ასე უგემურად განირჩეოდა კონსტანტინეპოლში ნანახ ბრწყინვალე საკარიკაცო ჩაცმულობისაგან, — ერთმანეთს ჰგავდნენ სახეებითაც. ის რომ მონასტერში ერთად ერთი ბავში იყო, ეს იქითგან იცოდა, რომ სათამაშოდ ტოლი არ ჰყავდა. აქ რომ ქალებიც არ უნდა ყოფილიყვნენ ამასაც იქითგან იყო მიხვედრილი, რომ აქ არ იყო იმისი საყვარელი დედა. პატარა მიხვდა რა გაუგებარ სიღრმეში ჩავარდა და თავი ჩაჰქინძრა. ლოცვები, რომელსაც მამა აზეპირებდა, მწუხრის რეკა, რომელიც ყოველ-დღე ერთნაირი იყო, ეკლესიაში ვალობა, მოალერსე. მაგრამ სევდიანი, რომელსაც ასწავლიდნენ, გულს იმ ხალისით ვერ უგესებდნენ, რომელიც მის ასაკს სჭირდებოდა. მაგრამ მამის სიახლოვე და ოლიმპის მწვანე მთა, ეს მიწყვიტ ძველი და ახალი ღმერთების სამყოფი, გამსჭვირვალე ჰაერით, ნაზის მცენარეულობით და წყნარის ზღვით, პატარა ექვთიმესათვის სულის კარგი ბინა აღმოჩნდა. მან შეით-

ვისა თანდათან ეს ადგილები, ისე, როგორც ბავშვები ითვისებენ თავის დაბადების ადგილს, იმ პატარა მანძილს ქვეყნის ამ განუზომელ სივრცეზედ, სადაც მათი მახლობლები სცხოვრობენ და მონასტერი შეიქმნა მისი ბავშური აზროვნების ის დასაბამი, საითგანაც მისთვის დანარჩენი სამყარო იწყებოდა.

იმისი მამა მონასტრის ჯორებს აძოვებდა. შვილი ხშირად დასდევდა მამას და თავის სიხარულს ამ უწყინარ ცხოველებს უყოფდა. აქეთგან, მონასტრის ამ საძოვრებითგან მშვენიერი გადასახედი იყო. ოლიმპი მწვანეში იფლობოდა, ძირს კი ზღვა იწვა, მოთეთრო იალქნებით და შორი კუნძულებით, რომელსაც არხიპელაგის ფირუში ცა ხურავდა. ყველაფერი — ჰაერი, მიწა და წყალი გაელენთილი იყო მზის ცხოველი სხივებით, რომელიც მთელი წელიწადი ათბობდა. ამ მზეს მხოლოდ მოკლე წვიმები სცვლიდნენ, რომლის შემდეგ მდინარეთა ნიაღვრებისაგან სუფთად ჩარეცილი ოლიმპის კალთები უფრო მეტის ბრწყინვალეობით მოლამაზობდნენ. პატარა ექვთიმე ხშირად გასცქეროდა ამ სივრცეს და სდუმდა. და ეს დუმილი პირველში ფიქრის მაგიერობას უწევდა.

მონასტრის ცხოვრება სასტიკი და უცვალებელ წესებზედ დამყარებული, თავის რიგზედ მომდინარეობდა. მაგრამ ის არ იყო მთლად უძრავი დაწესებულება, რომელშიაც, სარწმუნოებრივ გარინდებასა და უმოქმედო განდგომილებაში, ადამიანები მარტო ღმერთის დიდებით კმაყოფილებოდნენ. იმ ბერთა გარდა, რომელნიც დაყუდებულთა ცხოვრებას მისდევდნენ და მონასტრის გარეთ, სათითაოდ, ცალკე სიხასტერებში სცხოვრობდნენ, დანარჩენი ძმობის ყოველ-დღიური ცხოვრება ჩვეულებრივი ადამიანურის მხნეობით იყო სავეს და მონასტერი ჭიანჭველას ბუდეს ჰგავდა. ბერი მრავალი იყო. მათი ჭამა-სმა და ჩაცმა-დახურვა რთულ მეურნეობას ითხოვდა. მათ ჰქონდათ ვენახები, სადაც ვაზს აშენებდნენ და მონასტრის დიდი მარანი, სადაც ღვინოს აყენებდნენ. ჰქონდათ ყანები და მათი მუშაობა ჩვეულებრივი სოფლის მუშაობისაგან არაფრით განირჩევიდა. ჰყავდათ ფუტკარი, რომელიც მონასტერს სურნელოვან თავფლს, სანთელს და საკმეველს აძლევდა. სამზარეულოსა და სახაბაზოში ცეცხლი არა ჰქრებოდა და ყოველივე ეს აუარებელ მუშა ბერის ხელს მოითხოვდა. ისინი ჩადიოდნენ ზღვაზედ, იქერდნენ თევზს, სხდებოდნენ ნავებში და გადიოდნენ კუნძულებზედ, ტვირთი მიჰქონდათ და მოჰქონდათ. ამიტომ შეუძლებელია, რომ მონასტრის ცხოვრებას პატარა ექვთიმეში უმოქმედობისა და უძრაობის გრძნობა ჩაენერგა. პირიქით, ღვთის საბრძანებელი მის ბავშურ გონებას ერთ დიდ და უშველებელ მოძრავ მანქანად ჰქონდა წარმოდგენილი და რათგანაც ამ მანქანას არც მონასტერი იყო ჩამოჭრილი, ფიქრობდა, რომ იქ, მონასტრის ზღუდეთა იქითაც ცხოვრება ისეთივე უნდა ყოფილიყო, რო-

გორც აქ, მონასტრის კედლებში. მან არ იცოდა ჯერ, რა განსხვავება იყო მასა და იმ მოზრდილ ადამიანთა შორის, რომლებიც მისავით მონასტერში სცხოვრობდნენ და ბერის ჩოხას ატარებდნენ: ამიტომაც ისიც, ექვთიმეს, რომ ერთხელ ამ ჩოხას ჩაიცვამდა, თავისი ცხოვრების ბუნებრივ გაგრძელებად მიაჩნდა. მაგრამ თუ ამ სახით იგი სამუდამოდ მონასტერში დარჩებოდა და მის გარეთ მყოფ ადამიანებში ცხოვრება არ შეეძლებოდა, ამას მიხვედრილი არ იყო. თანაც ეს ამბავი შორეული საქმე იყო. ეხლა ის ბავში იყო და მისთვის ისიც კმაროდა რომ მამის გვერდით სცხოვრობდა. მონასტრის ბუნება ლამაზი იყო და მზა იყო კიდევ დიდ ხანს ყოფილიყო აქ — მამის გვერდით და ამ ლამაზ მიდამოებში, ვიდრე მზე ათბობდა და მონასტრის ხეხილი ნაყოფს იძლეოდა, ვიდრე ვენახში ყურძენი მწიფდებოდა და მწვანე ველებზედ მისი საყვარელი ჯორები სძოვდნენ.

მონასტერი მისი სახლი გახდა, ოლიმპი მისი სამშობლო შეიქმნა.

3

მაგრამ ადამიანებმა, თავისი პატარა სიყვარულით, აჩქარებითა და პირმოთნეობით, პატარა ექვთიმეს ხელი შეუშალეს დიდ ხანს ზრდილიყო ერთს ადგილას, ერთს ნიადაგზედ როგორც ღვთისაგან დანერგილ ყველა მცენარისათვის არის საჭირო.

მალე ოლიმპის მთაზედ ყველამ გაიგო, რომ ხარტულახის სახელით ცნობილი ქართველი ბერი, ექვთიმეს მამა, რომელიც, უზომო თავმდაბლობის გამო, მონასტრის ჯორთა მსახურების უბრალო ღვაწლს ეწეოდა, სოფლად დიდებული გვარის და დიდი ხმისა და ძალის მექონი კაცი ყოფილა. ბერმა, თუ ერის კაცმა დენა დაიწყო, რათა მის ღვთისათვის მოსაწონ თავმდაბლობისათვის პატივი ეყოს.

სწორმა და თავის წარსულზედ სამუდამოდ ხელ ადებულმა ბერმა განსაჯა, რომ ხალხის პირმოთნეობა თავყანსა სცემდა არა მის ეხლანდელ სიდაბლეს, არამედ მის წინანდელ დიდებას და რათა ადამიანთა ამ მდაბალი და ღვთისათვის უნები თვისებისათვის ზედმეტი საბაბი არ გამზდარიყო, გადასწყვიტა — თავისი შვილით და რამდენიმე ქართველი ბერით ოლიმპის მთას გასცლოდა.

ექვთიმე ამ დროს ათის წლისა იყო. მან იტირა, როცა ქართველი ბერები ოლიმპს სტოვებდნენ. ის შორდებოდა ნაცნობ ადგილებს, იმ ლამაზ კუნძულებს მწვანე ოლიმპისას, რომლებიც იმისი ბავშური ფიქრებით იყვნენ მიმოზნეული, ძვირფას კუთხეს, რომელიც ამ ქვეყნად ყველაზედ მახლობელ ადგილად მიაჩნდა.

მამამ შვილი ათონის მთაზედ, ათანასე დიდის ლავრაში მოიყვანა.

ახალმა მონასტერმა, უცხო ბერებმა და უცნობმა ადგილებმა ექვთიმეს გული უცბად ვერ მოინადირეს. ბავში ისევ ოლიმპზედ ნაღვლიანობდა. მის თვალებს ძველი და საყვარელი ნაცნობი ადგილების ბისტი ჰქონდა გადაკრული და ვერა ხედავდა რა მომხიბლავი, რა მშვენიერი იყო მათი ახალი ბინა!

მამისა და მათთან მოსულ ქართველ ბერთა შემწეობით ექვთიმე ქართული ენის შესწავლას განაგრძობდა, მაგრამ ძნელად ითვისებდა. მას აწუხებდა ის გარემოება რომ საკუთარის ძალით იგი ამას ვერ მიახწევდა. მაგრამ აქ, მონასტერში, სადაც ყველაფერი ღვთის განგებით და სასწაულობით იყო სავსე, ბავშურის გულუბრყვილობით ფიქრობდა, რომ ერთი სასწაული მასზედაც გადმოვიდოდა.

ერთ საღამოს ბავშმა ფრიად ილოცა და დაწვა.

ექვთიმემ სიზმარი ნახა! ღვთისმშობელი გამოეცხადა და ქართულის ენით უთხრა:

— „აღდეგ, ნუ გეშინიან და ქართულად ხსნილად უბნობდი!“—ო.

ღვთის მშობელი ისე ტკბილად და ნარნარად ეუბნებოდა ამას, რომ ყრმა მიხვდა თავისი დედა ენის სიადვილეს და ექვთიმე ქართულად ალაპარაკდა.

როდესაც ექვთიმე წამოიზარდა და მამამ დაინახა, რომ, ღვთის მშობლის მადლით, იმისი შვილი ქართულს და ბერძნულს ერთნაირის სისრულით და უცდომელობით უბნობდა, უთხრა:

— „შვილო ჩემო! ქართლის ქვეყანაი დიდათ ნაკლულოვან არს წიგნთაგან და მრავალნი წიგნი აკლან. და ვხედავ რომ ღმერთსა მოუმაღლებია შენდა. აწ იღვაწე, რათა განამრავლო სასყიდელი შენი ღმერთისაგან!“

ექვთიმე საღვთისმეტყველო წიგნების შესწავლას შეუდგა.

როდესაც ექვთიმე ისეთ ასაკში ჩადგა, რომ ღვთის ჭეშმარიტი სამსახურის ტვირთის ზიდვა შეეძლო, მამამ განუმხილა, რომ მისი ხვედრიც ბერის ჩოხა იყო.

ფიქრობდა თუ არა თვით ჰაბუკი ექვთიმე ბერად შედგომას? იქნება არც კი, თავის უდიერ მოწიწებისა გამო!...

მაგრამ მის ცხოვრებაში არასოდეს ადგილი არა ჰქონია არც ისეთ სხვა ზრახვას, არც ისეთ სხვა გარემოებას, რომელიც სხვა გვარი მიმზიდველობის ძალით ამაზედ უარს ათქმევინებდა. მის სულს არასოდეს არ განუცდია სოფლის ის მიზეზნი, რომელთა გამო ადამიანები ყველანი არ მიდიან მონასტერში. ამიტომ მამას უყოყმანოდ დამორჩილდა და ბერად შედგომის სამზადისს შეუდგა.

ბოლოს ის დღეც დადგა, როდესაც ახალგაზრდა ექვთიმემ სქემა შეიმოსა.

ადამიანთა უმეტესობა სულის ცხონებისათვის მიდიოდა მოსანანიებლად. ში და მხოლოდ მათი უმცირესობა მიდიოდა ცოდვათა მოსანანიებლად. როგორც შროშანი სპეტაკი, ღვთის უსამზღვრო მდებარეზედ ამოსული, ღვთისათვის ისედაც სასიამოვნო იყო. მას არც მოსანანიებელი ჰქონდა რამე, ვინაიდან უცოდველ იყო, ვითარცა კრავი, დაბადების პირველ და უბიწო გაზაფხულისა. მაგრამ ექვთიმემ მაინც ბერის ჩონხა შეიმოსა და უბიწო განცოდვილდა, რადგან, რაც არ უნდა იყოს, ბერის ჩონხა მაინც ცოდვის შევლთა სამოსი იყო!....

ის განაგრძობდა საღვთისმეტყველო თხზულებათა შესწავლას და მათ თარგმანებას. მაგრამ მის სულს, აქამდე ეთერის ნაკადივით სწორს და მოღვივლებს ნაზნებეჭი და ჩრდილები გაუჩნდა. იმის ახალგაზრდა და უმბლეს სულიერების სილამაზით დალაგებულს სახეს ჰმუნვა შეეპარა, რა იყო მართალი და რა იყო მცდარი მისი ჰკუთის მთავარი საგანი შეიქმნა. ექვთიმე მათ განცალკევებას შეუდგა. მას ეგონა, რომ, უსამზღვრო სათნოებისა და მოწყალების-და-მიხედვით, ღმერთი ამ მართლისა და მცდარის შუაზედ დარჩებოდა. მაგრამ წიგნები და წმიდა მამათა სწავლანი განუწყვეტლივ ჰკარნახობდნენ მას, რომ ღმერთის ადგილი მხოლოდ სიმართლესთან იყო და თანაც მის სათავეში. მცდართან და მცდარის წინ კაცი ლა რჩებოდა. ამ რიგად ღმერთიც ისე გამოეყო კაცს, როგორც მართალი მცდარს. ღმერთი დიდებითა და აღზუფლობით მაღლა წავიდა. კაცი კნინებითა და დამდაბლებით ძირს დარჩა. დაწევნა ამ ოტებული ღმერთის, რომელიც მით უფრო მეტად შორდებოდა კაცს, რაც უფრო მეტად შეივრცობდა ჰუმარიტებას — კაცის ხვედრი შეიქმნა. ექვთიმე დამორჩილდა იმ აზრს, რომ სარწმუნოება და ეკლესია საღმრთო და ხელის შემწყობი იარაღი იყო. რათა ადამიანი ღმერთს დასწევოდა. ხოლო როდესაც იოანე მმარხველის „კანონი შეცოდებულთანი“ შეისწავლა, თითონაც საბოლოოდ დარწმუნდა, რომ საბეჭური უფლისანი ადამიანებს კაცურ ვნებათა სასტიკ ქარიშხალზედ ჰქონდათ წამოსხმულნი.

ასეთი იყო მისი ცხოვრება.

ეხლა ის სახელ განთქმული ბერი იყო. მან შეისწავლა ღვთის მტყველება და კანონი სჯულისანი და სთარგმნიდა ისეთის სილაღით, რომ „ხელ ეწიფებოდა შემატებაიცა და კლებაიცა“, როგორც ამბობდნენ მისი თანამედროვენი.

მაგრამ ეხლა თავის სტუმრის წინ მუნჯად იჯდა და თავის ნათქვამისათვის ერთი სიტყვა ვერ მიემატებინა, ის იყო ჰუმარიტად სოფლი-

ოთგან გაბიჯებული კაცი და მოსაკითხი ქართლში არავინ ჰყავდა. ექვთიმეს კიდევაც სურდა, რომ სტუმარი მეტს აღარ დარჩენილიყო მის სენაკში. ამ კაცთან სულ რაღაც ორი კვირის ნაცნობობა აკავშირებდა და მთელი ამ ხანის განმავლობაში მისთვის უჩვეულო სიმხურვალეს და უცნობ სურნელებას გრძნობდა.

— ნუ თუ ეს ქართლის ველებისა და ტყეების სუნი იყო?

ეს გარემოება აღელვებდა.

ამიტომ მას სურდა რომ მისი სტუმარი ჩქარა გამოსთხოვებოდა, ეს მისი „ითიკა“ ჩქარა ამოეჩარა მკლავში და სენაკითგან ჩქარა გასულიყო. იპიტირიტისი ზოსიმე სწორედ ამ დროს შემოვიდა მასთან.

ახალი სტუმრის შემოსვლაზედ ძველი სტუმარი მართლა წამოდგა და მასპინძელს გამოემშვიდობა.

ექვთიმეს გულზედ მოეშვა. სტუმარი გაჰქრა და თითქოს ის წარმოდგენილი სუნიც გაჰქრა, რომელიც ორი კვირა მოსვენებას არ აძლევდა.

ეხლა ის იპიტირიტისის პირისპირ იდგა და წინასწარ იცოდა რა იქნებოდა მათი საუბრის საგანი.

ლაგრაში სამასი ბერი იყო და მათ მიერ წესების დარღვევას საზღვარი არა ჰქონდა.

— მადლი, მამაო!

სთქვა ზოსიმემ.

— მადლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი...

დაიწყო ექვთიმემ. — რა შიგან ვართ?

ზოსიმე ღელავდა, რაც ამ სწორი და გამოცდილი ბერისათვის მეტად უჩვეულო იყო.

— მოვედი რჩევისათვის.

დაიწყო მან.

— ჩემიცა და შენი მრჩეველი მამა ზეციერია! თუმცა სთქვი, უმი-ზეზოდ არ მოხვიდოდი. ჩამოჯექე მაგ სკამზედ, სენაკებ დაგლილი იქნები და დალილი.

იპიტირიტისი ჩამოჯდა.

— შენ იცნობ ახალგაზდა ბერს-ზენონს, — დაიწყო მან — ძმათა შორის სამაგალითოს და სამონასტრო წესების მორჩილს? შენთან მუშაობს...

— როგორ არა, მიწყევ სათნო ბერი იყო!

უთხრა ექვთიმემ.

— დიახ. მაგრამ ამ ბოლო დროს რაღაცა დაემართა. სამონასტრო წესებს არღაი გულს უდებს!...

ბერი ზენონის ხსენებაზედ ექვთიმეს სმენა დაუფაცურდა. ზენონი

მისი საყვარელი მოწაფე იყო. იყო კარგი მუშაკი და კარგი მხატვარი. ზატავდა სამის ფერით: ლაქვარდით, მეწამულით და ოქროთი. ნახატი მუდამ საუცხოვო გამოსდიოდა. ფერებს გასაოცარის ოსტატობით ახამებდა და მისი ხელოვნება მუდამ მშვენიერი იყო. ბევრჯერ უქია. მაგრამ ქებასა და მოძღვრულ სიყვარულს მოწაფე კრძალულებისა და მორჩილებისაგან არასოდეს არ გამოუყვანია. ექვთიმეს არ ესიამოვნა რომ იპიტირიტისი სწორედ ზენონს უჩიოდა.

მან ჰკითხა ზოსიმეს:

— როდის აქეთ?

— ორი კვირა იქნება.

ექვთიმეს მოაგონდა, რომ სწორედ ორი კვირა იყო, რაც ზენონის ნახატებს უჩვეულო სიხალისე დაეტყო. ამას წინეთ ზენონმა იესო ნავინის სურათი უჩვენა. სურათი ჩვეულებრივ კარგი იყო. მაგრამ გასაოცარი ის იყო, რომ ზენონის მიერ დახატული იესო ნავინი ექვთიმეს ბიძას, დიდ თორნიკს ჰვავდა, რომელიც აქავე ლავრაში სცხოვრობდა. ექვთიმემ სურათი მოუწონა, მაგრამ უბრძანა — მოკვდავთა სახენი ნაკლებ ეხატა. სხვა ცუდი მისგან არაფერი ახსოვდა. მიუხედავად ამისა ზოსიმეს საჩივარი მაინც ყურადსაღები იყო და ჰკითხა:

— რას აშავებს?

— ურგებ უბნობას მისდევს!

— კარგია ღვთის მადლმა!

გაიოცა ექვთიმემ და რათგან ასეთი რამ მისთვის სრულიად მოულოდნელი იყო, სახეზედ პატარა ღიმილმაც კი გადურბინა.

— მაინც რას ამბობს?

— თითონ არაფერს!

— მაშ?

— სხვას უგდებს ყურს!

— სხვას!?

კიდევ უფრო გაიოცა ექვთიმემ.

— განა უფრო სწორი არ იქნებოდა შენი გულის ყური იმისთვისაც მიგებყო ვინც ამ ურგებს უბნობს და არა მარტოდენა მისთვის, ვინც ურგებს ისმენს?

სთქვა ექვთიმემ თითქოს თავისი მოწაფის სარჩლად.

— ღვთით, სწორსა ბრძანებ! მაგრამ რაი ვქნა, ძმათა შორის მე ყველაზედ გლახაკმან, როცა...

იპიტირიტისი შეჩერდა.

— რაო, როცა?

— როცა ეს სხვა თვით თორნიკია!

— თორნიკ! ბიძა ჩემი?

— დიახ, დიდი თორნიკ, ბიძა შენი.

იპიტირიტისმა თავისუფლად ამოისუნთქა. თითონაც არ ელოდა, რომ ლაპარაკი ასე ოსტატურად მოეწყობოდა. განა ადვილი იყო მისთვის აქ, ძმა ექვთიმესთან მოსულიყო და ბერ იოანეზედ, სოფლად თორნიკ ერის-თავზედ, მამა წინამძღვრის ძმაზედ და თვით ექვთიმის ბიძაზედ საჩივარი ეთქვა! ამიტომ მან გადასწყვიტა, რომ ამის შემდეგაც ისევ მარტო ახალგაზდა ბერ ზენონზედ ელაპარაკნა და თორნიკზედ შეძლების და გვარად ნაკლები ეთქვა.

— ზენონი ღვთისნიერად აღარ იქცევა და მონასტრის წესს არღვევს. გუშინ სატრაპეზოში აღარ შეუშვი და ხვალაც ზღვაზედ ვგზავნი, თე-ვის საჭერად რომ ამით მაინც აართვას თავი ცოდვიან ფიქრებს. ამბობდა იპიტირიტისი და მეტის თქმასაც აპირებდა, მაგრამ ექვთიმემ შეაწყვეტინა:

— რას ლაპარაკობს მერე ბიძა ჩემი?

— ბიძა თქვენი! მე არ ვიცი როგორ გაუბედო და როგორ მოვახსენო მამა წინამძღვარს... არა და მთელი ძმობა მისი სენაკის კარზედ ათევს.

— რას აკეთებენ თორნიკის სენაკის კარზედ?

— ყურს უგდებენ. მწუხრის შემდეგ დიდი და პატარა იქ გროვდება, თორნიკ გამოდის თავისი ახოვანის ტანით, ალგზნებულის თვალებით და იწყებს ლაპარაკს.

— რაზედ?

— ყველაფერზედ. ცხოვრებაზედ, სააქაოზედ, იმაზედაც რომ ღმერთი სათნოა და ყველას ყველაფერს აპატიებს.

— ღმერთი მართლა სათნოა! „მოვედით ძმანო ჩემნო საყვარელნო და ვისწრაფოთ სათნოყოფად ღმრთისა, ვიხილნეთ ქველის მოქმედებანი მისნი“!

სიტქვა ზეპირად ექვთიმემ გრიგოლ ღვთის მეტყველის თავის ერთ თარგმანებითგან.

იპიტირიტისი ცოტა არ იყოს წახდა. ექვთიმეს სიტყვები როგორღაც არ ეჭაშნიკა. ნუ თუ მარცხი მოუვიდა და თორნიკეს საუბრებში არაფერი უმართებულო და ღვთის საწინააღმდეგო არ იყო. რა შუაშია მაშინ საბრალო ზენონი, ან დიდი თორნიკის ხსენება? მაგრამ ბერმა თავი მოიმაგრა და განაგრძო:

— გუშინ ომზედ ილაპარაკა, როგორ სძლია ბარდა სკლეროს; როგორ ომობდა თითონ, რამდენი აწყვიტა მტერი, რამდენი აოტა იგი, რა ერთი წამოიღო დაეღა, რა მადლობა უთხრა დავით კუროპალატმა, ვითარის პატივით შეხვდნენ აკორდეონში, კონსტანტინეპოლში და რა ფრიადის საბოძვართი დასაჩუქრეს კეისრებმა! ღირსო მამაო, შენ ხარ

ლამფარი ნათლისა, რომელიც ასხივოსნებ ამ ლავრას, შენ უკეთ იცი რა არის სათნოება და რა არის ცოდვა... მე ვერ აუფალ იმის გადმოცემას, რასაც თორნიკ ლაპარაკობს! კაცს მისი მჭევრი ენა უნდა ჰქონდეს, რომ მისი ნათქვამი გაიმეოროს, მაგრამ მე გლახაკი სულითა, იპიტირიტისი ზოსიმე ვფიქრობ, რომ დიდი თორნიკ ბერულს არ ლაპარაკობს! ბერები ირევიან მის ლაპარაკზედ, ზენონი მარტო არ არის, ზენონი იქნება მეტად გადარია მისმა ლაპარაკმა, მაგრამ მას სხვებიც მოსდევენ. სენაკის კართა ზედა შეკრება აღკრძალული არ არის, თუ საუბარი სულის საქმეს ეხება. მაგრამ თორნიკი ლაპარაკობს სააქაოს ბავით, რომლისგანაც მე და შენ დიდი ხანია განვედით!

ზოსიმე დადუმდა. თავისმა ნალაპარაკებმა თითონვე აღძრა. იგი ადგა, ხელები მალა აღაპყრა და წარმოსთქვა:

— ღმერთო, შენ აპატიე თორნიკსაც და მრავალ სხვასაც!

— ღმერთო, შენ დაიფარე ჩვენი ივირონი!

სთქვა ექვთიმემ და ისიც წამოდგა. ექვთიმემ ეს სიტყვები ბერძნულად წარმოსთქვა, რასაც მაშინ სჩადიოდა, როცა მხოლოდ თავის გასაგონად სურდა ხოლმე რამეს თქმა. ვარეგნულად მშვიდათ დარჩა, მაგრამ ამბავმა სულის ძირამდე აღძრა.

ის იდგა მალალი, ლამაზი და ახალგაზდა ბერი და იმ წუთზე ფიქრობდა, როცა იმისი ბიძა თორნიკ პირველად მოვიდა ათონს და მათთან ბერად აღიკვეცა. ივირონი მაშინ ჯერ არ არსებობდა. ისინი ისევ წმ. ათანასეს ლავრაში სცხოვრობდნენ. მაგრამ როდესაც ქართველმა ბერობამ იმატა, მათი დარჩენა ბერძენთა ლავრაში შეუძლებელი გახდა და წმ. ათანასემ თითონ ურჩია ქართველებს საკუთარი ეკლესია აეგოთ. ექვთიმეს მამამ და ბიძამ, ბერძენთა ლავრის ახლო, იოანე ნათლის მცემელის სახელზედ საკუთარი ეკლესია და სენაკები ააგეს. ღარიბები იყვნენ და ხელ-მოკლედ სცხოვრობდნენ. მაგრამ მოხდა ის, რასაც ქართველი ბერები არც იფიქრებდნენ. ბიზანტიის კეისრებს — ბასილს და კონსტანტინეს თავისი ხელქვეითი, ბარდა სკლეროსი განუდგა და მცირე აზიის მთელი სამფლობელოები თავისკენ გადიბირა. ახალგაზდა ძმა კეისრები უძღურნი გამოდგნენ მოჯანყე მორჩილებაში მოეყვანათ, დახმარებისათვის ქართველ მეფესათვის უნდა მიემართნათ და დესპანად მისი ყოფილი დიდებული და ყმა თორნიკ გაგზავნეს. თორნიკ ქართლში მივიდა და დავით კურაპალატი დაიყოლია ბერძენებისათვის ჯარი მიეშველებინა. მაგრამ ყველაზე მოულოდნელი ის იყო, რომ ამ ჯარის უფროსად დავითმა თვით თორნიკ დანიშნა და თორნიკმაც ეს არა ბერის საქმე იკისრა. ბერმა კარგად იომა და გაიმარჯვა. ბარდა სკლეროსი სპარსეთში განდევნა, ხოლო მოლაღატე ბერძენ დიდებულებს მამულები ჩამოართვეს. კეისრებთან დადებულ პირობის ძალით

ამ დავლის ნახევარი ქართველ ჯარს ეკუთვნოდა, ნახევარი პირადათ თორნიკს. ასე განდიდებულ თორნიკეს შეეძლო ან ქართლში დარჩენილიყო, ან ბიზანტიაში. მაგრამ მეფისა და კეისრებისაგან დასაჩუქრებული თორნიკ ამ დიდ ძალი განძეულობით ისევ ათონზედ მოვიდა და კვალად ბერობა ისურვა, თავისი ქონება განურჩევლად ათონის მონასტრებს დაურთო, ხოლო ქართველ ბერებს დიდ ძალი მამული უყიდა და ღვთის მშობლის სახელზედ ახალი და ყველაზედ აღმატებული ეკლესია აუშენა. ასე შეიქმნა ივირონი, თორნიკის აღნაგი, ექვთიმის მამის, იოანე წინამძღვრის აღნაგი, თვით ექვთიმის აღნაგი!

ეხლა ჰგავდა რომ თორნიკ ამ თავის აშენებულ ივირონს ანგრევდა. იბიტირიტისი ჩუმად შესცქეროდა ექვთიმეს და მისგან ნუგეშის სიტყვას ელოდა.

— ღვთით რას აპირებ?

მოესმა მას ექვთიმეს ხმა.

— დილაზედ მამა წინამძღვართან მივალ.

მიუგო იბიტირიტისმა და ნიშნად დიდის მწუხარების თავი დახარა.

— ზენონს თევზის საჭურად ნუ გაგზავნი. ის მე სწორედ ხვალ მჭირდება.

უთხრა თითქოს საპასუხოდ ექვთიმემ.

— იყოს ნება შენი და ღამე მშვიდობისა!
სთქვა ბერმა და სენაკითგან გავიდა.

5

მეორე დღეს ექვთიმე არც თავის მამასთან წასულა, არც თავის ბიძასთან, თუმცა გუშინდელს აქეთ საბაბი დიდი ჰქონდა. მან იმ სახლისაკენ გასწია, სადაც მწერალნი, მკაზმავნი, კამარათა მკეთებელნი და მხატვარნი მუშაობდნენ. მყუდრო მუშაობისათვის ეს სახლი ცალკე და მონასტერზედ მოშორებულ შენობაში იყო მოთავსებული. გზა მონასტრის ვენახზედ გადიოდა.

იყო მაისის დილა. მზე უკვე ათობდა. მაგრამ ჰაერი მაინც მთის გრილი ჰავით იყო სავსე. ექვთიმემ გზაში რამდენსამე ვაზს ჭიგო გაუსწორა. ნუშის ხითგან შველი გამოვიდა, ექვთიმესთან მოვიდა და ჩოხის კალთაზედ მიელამუნა. ასე ხვდებოდნენ ყოველ დილას ერთმანეთს შველი და ექვთიმე. შველი ექვთიმეს საკუთრება იყო, ბერძენი ბერის პაფნუტის ნაჩუქარი, რომელიც მეზობელ მონასტერში სცხოვრობდა და ექვთიმესაგან დოღმატიკის სწავლას ღებულობდა.

ექვთიმემ ნახ ცხოველს ზურგზედ ხელი გადაუსვა და მალე გაუ-

შვა. თითქოს დღეს იმისთვის არა სცალოდა. მისი გონება გუშინდელი ნაამბობით იყო შეპყრობილი და ისევ თორნიკეზედ ფიქრობდა.

ექვთიმე თავის ორმოც წელს უახლოვდებოდა. სოფლად არასოდეს არ უცხოვრია და ქვეყანა და მისი ცდუნებანი არ ეგემნა. მაგრამ როგორც ღრმად გონიერ ადამიანს, კარგად ჰქონდა წარმოდგენილი, როგორ მოქმედობდა კაცზედ სოფლის სიჭრელე, მისი უთვალავი ფერი, დამატყუებელი სიტკბოება; უქნისი ბორცვა და მარად ამხედრებული ამაოება, მთელი თავისი სიცოცხლე მონასტერში გაატარა, ბერიც ბევრი ჰყავდა ნანახი, ზოგნი — „ანგელოზი მიწისა და კაცი ზეცისა“, რომელნიც სათნოებითა და მშვიდის გულით მტვერის ნაწილაკზედ დაეტეოდნენ, ზოგნიც — ამბოხნი და სულნი, სათნოებაში დაუტევარნი! მონასტრებში ბევრი უხეში და უბირი ხალხი იყრიდა თავს, რომელთაც პირველს დიდი ბრძოლის გაწევა უხდებოდა. მონასტერის წესდება, სასტიკი და შეუბრალებელი, ბევრს უგრეხდა კისერს. დაუდგარებს სჯიდნენ, ჰკვემდნენ, დასასრულ, ჩოხას ხდიდნენ და მონასტრებიდან სდევნიდნენ. ასე ხსნილობდნენ მონასტრებს და მის წესს ადამიანის უხეში თავდასხმისაგან.

მაგრამ ვის რა უნდა ექმნა ბერი იოანესათვის, ვისი სახელი აქაც კი, მონასტერში, დიდ თორნიკ იყო, ვინც სოფლად ციხეებს ანგრევდა და დღეს ლავრის ერთ მცირე სენაკში იყო გამოკეტილი, ვინც კარში უამრავ ჯარებს ბრძანებლობდა და დღეს ძმა იპიტირიტისის მორჩილი უნდა ყოფილიყო?!

ექვთიმემ ისიც კი არ იცოდა, რა სახით ჰყავდა წარმოდგენილი თორნიკს ღმერთი? როგორც სოფლიოში ძალის მქონე კაცს, ვისთვისაც მთავარი მნიშვნელობა ცხოვრებაში შეხების გრძნობას ჰქონდა, რომლითაც ადამიანსა და ნივთს, მოქმედებასა და ფიქრს განიცდიდა, თორნიკს ღმერთი იქნება არც ესმოდა, იქნება ამ ქვეყნად მცხოვრები არც ეგონა, რადგანაც ცხოვრებაში ღმერთი არსად შეხვედრია. ამიტომაც თორნიკის სააქაო ღმერთი ექვთიმეს არცა სჯეროდა! მაგრამ როგორც კაცთაგანს, რომელთაც ღმერთისა უფრო ეშინოდათ ვიდრე უყვარდათ, თორნიკს ღმერთი მაინც უნდა ჰყოლოდა და ეს ღმერთი საიქიოს ღმერთი უნდა ყოფილიყო. ეს საიქიოს ღმერთი ამ კაცთაგანებს მხოლოდ ცხოვრების დასავალზედ ეცხადებოდათ, როცა თითონაც იქ უნდა გამგზავრებულყვნენ, სადაც მათი წარმოდგენით ეს ღმერთი ცხოვრობდა.

ექვთიმეს აზრით თორნიკის ღმერთი ასეთი იყო. ამიტომაც მოვიდა იგი ათონის მთაზედ ეგოდენ დიდის წარსაგებელით და შეწირულებით, როგორც მოვალე მევახშის წინ, თავნითა და სარგებელით, ქრთამით, რომელსაც წინ ჯოჯოხეთი უნდა აეშენებინა, ასაკით, რომელსაც უკან აღარაფერი ედო!

დიდის ძღვენისა და ქრთამის შემდეგ, მონასტრებს ეს ხალხი ალაპებში შექონდათ და ლოცვითა და ვედრებით საიჭოს გზას უკაფავდნენ. თორნიკიც ერთი ასეთთაგანი იყო. იმ დიდი დოვლათისათვის, რომელიც მან მონასტერს შესწირა, თორნიკს ალაპი გაუჩინეს. ცხოვრებითაც სხვა ბერებისაგან გამორჩევით სცხოვრობდა. სამუშაოზედ არ დადიოდა და იჯრაც გამორჩეული ეძლეოდა. ღვინოსაც თავანკარს უდგავდნენ სატრაპეზოში. მაგრამ მონასტრის ზღუდეთა იქით, ქვეყანა მისი ამაო სახელით და ოხერი დიდებით იყო სავსე და ერთი დღის მოგონება, ერთი ღამის სიზმარი კმაროდა, რომ თორნიკ ღმერთისაგან უკან წაეგვარათ. საიჭოს კარზედ იდგა და სააქაომ დაუძახა! ექვთიმეს გულწრფელად ეცოდებოდა თავისი ბიძა. თორნიკ მისთვის ბერი არ იყო!... მაგრამ! ივირონი — ივირონი იყო! ივირონი მონასტერი იყო! ექვთიმეს მონასტერი უნდა დაეხსნა!... დეე! თორნიკ ცოდვიანიც ცხონდებოდა. ორჯელ ერის კაცი და ორჯელ ბერი, ყოვლად სახიერის უსამზღვრო სათნოებით, ერთ სასუფეველს ისედაც მიიღებდა. მაგრამ ცოდვიანი მონასტერი, ცოდვიანი ივირონი, ნერგი ექვთიმის მამისა, ღვთის მომავალი ნერგი, ღვთის შეგინება იქნებოდა...

(გაგრძელება იქნება)

გ. ა. უტყელო

მწერლობის მემოზრისადმი

ბარათი პირველი

„სხვა საჭარტველო“

მე და ჩემს მეგობარს უშუალო კავშირი ქართულ ლიტერატურასთან თუმცა არა გვქონია, მაგრამ პლატონიურად მაინც გვიყვარდა ის და ვიცოდით მით გახარება. მან პოლიტიკით გატაცებულმა ემიგრაციაში დაჰკარგა კავშირი ქართულ ხელოვნებასთან და თუ ვისმეს მოიგონებდა ისევ ძველ დროიდან (1921 წლის წინა მწერლობიდან), შემდეგი მისთვის არარაობაა, გათახსირება... მე გააფთრებით შევებრძოლე და დაუუმტკიცე, რომ ეს ლაბირინტია მისთვის და არა ობიექტიური არარაობა. მაგალითებიც მოვუყვანე, წავუყითხე. მისი ნილილიზმი ოდნავ მაინც შევარყიე. ის კეთილშობილი მოწინააღმდეგე აღმოჩნდა და მთხოვა ჩემი ფიქრები ქალაღზე გადამეტანა — იქნებ სხვებსაც ვამოადგესო... მეც აღუთქვი და ვცდი...

არ იფიქრო, რომ ჩემი დაპირება მარტო სიტყვის მასალა ყოფილიყოს! მე აქამდისაც შევასრულებდი შენს დავალებას, მაგრამ ათასი დაბრკოლება ყოველ დღე ათას-თავიან მდევრით მდარაჯობდა... ქარხანიდან მხოლოდ რვა საათზე ვბრუნდები „სახლში“, და ისეთი დაქანცული ვარ, რომ კალმის ხელში ალება მიმიძის. არც გონება მუშაობს და თვალების უპეები ტყვიასავით მიმიე ხდებიან — ხანდისხან ტანზე გახდაც დიდი გმირობაა ხოლმე. მაგრამ მიუხედავად ამისა, მე შემთხვევას ველოდი მაინც და წარმოიდგინე ამ დღის წინ მოულოდნელად მეწვია: დაზგასთან დგომისას მეზობელ მუშასთან გამობაასებამ ისე გამიტაცა, რომ ბორბალს თვალი ვერ მოვასწარ და მუხლის თავზე მაგრა მომხვდა.

ტკივილები აუტანელი შეიქმნა, მუხლიც გამისივდა, მაგრამ საავადმყოფოში მაინც არ დავიცადე და ეხლა კმაყოფილიცა ვარ, რომ სახლში მოსვენებითა ვლალობ. საშიშო არაფერია და აბა დასვენებაზე უარს ვინ იტყოდა? „ჭირიც რომ მარგებელია“ — ამის რწმენა ქართველობამ ემიგრაციის მწარე დღეებში და უძილო ღამეებში „გამოხარშა“. დაადნო და გააქრო... მაგრამ მე კონსერვატორი ვარ, ტრადიციები ისევ ცოცხალ ბაცილებად დამიდინან სხეულში და მინდა ჭირი ისევ „მარგებლად“ ვაქციო. ამ მოულოდნელ „დასვენებით“ ესარგებლობ და დაპირების ასრულებას ვიწყებ.

იქნებ დაგავიწყდა ის ამბავი? მე კი არა... აკი გითხარ — ტრადიციის კაცი ვარ და ქართული დაპირება ჩემთვის სხვაა, ვიდრე ის, რასაც გადაგვარებულნი „იმერლობას“ უწოდებენ. საწყალი იმერეთი... მაგრამ საქმეზე: — გახსოვს ამ სამი თვის წინად მე და შენ დიდ ხანს ვცხარობდით ლუქსემბურგის ბაღში და შემდეგ ლათინთა კვარტალის შეინდის ფერ სელის სკამებიან კაფეში? ბევრ რასმეში ვერ დაგარწმუნე, მაგრამ ბოლოს იმ მინიმუმზე მაინც შევეთანხმდით, რომ დღეის ქართული კაზმული მწერლობაც შესწავლის ღირსია. წარმოიდგინე, ჩვენს პირობებში ამ მინიმუმის შესრულებაც კი ფრიად ძნელია.

ხალხი, ქართველობა მარტო პოტენციით კი არა სცხოვრობს, რის გამომქლავებაც თითქოს ისტორიამ ჩვენ მისიად გაგვიხანდა. ამ გაზვიადებულ წარმოდგენას თავის თავზე და ძალებზე უნდა თავი გავანებოთ. მართალია, შენ და შენი (ჩემიც) მეგობრები დღემდის კიდევ შეურიგებელ, შეუწყვეტელ ბრძოლას ქადაგებთ და ქართველობის ღირსებას ამ პერმანენტულ აქტუალობაში „ვაჟაკურ შებმა“-ში ხედავთ, მაგრამ ვინ იცის — ხანდისხან იქნებ ჩარბის კენეტა, ნილაბის ტარება, აზვირთებულ რისხვის ტალღის თავის შეკვრა და დაჭერა უფრო „ვაჟაკურია“... ქართველობას რომ თავის გრძელ და მძიმე ისტორიულ გზაზე შეგუების უნარი, გულჩათხრობის და ზეინაბობის თვისებები მტკიცედ არ ჰქონოდა გამჯდარი, „მარტო ვაჟაკურ“ შებმით ასეთ გრძელ და მრავალფერ მდიდარ მატთანეს ვერ დასწერდა. მძიმეა „ზეინაბობა“ მთელი ერისათვის, ყოველ ბორკილებზე, ყოველ ჯვარზე უფრო მძიმეა და ამიტომ ბევრი ქართველი ვერ უძლებს მას და „საბა-ბერობა“-ს არჩევს.

მაგრამ მე არ მინდა სავანს გადავცდე და დაპირებას ვუბრუნდები. პატარა შესავალი მაინც საჭირო იყო, რადგან მრავალია დღესაც ემიგრაციაში ისეთი, რომელთაც ჰგონიათ საქართველოს ცა დაიხურა; რუსების ხელ-ახლა შემოჭრის შემდეგ, ქართული სული, თქმა, უნარი, სტილი, ქმედობა ჩაიხრჩო, გაწყალდა და რუსიციზში ძველებურადვე პარპაშობს; რომ ქართული ხელოვნება, მწერლობა როგორც აგეთი 1921 წლიდან უკვე აღარ არსებობს და ყველაფერი უხეირო, უსიცოცხლო და ტლან-

ქი ფოტოგრაფიაა დღეის მოსკოვის დაქირავებულ და გამასხარავებულ „ხელოვნებისა“. რაღა ეს უხეირო, უნიჭო გადმოცემა წაეკითხო, ამბობს ის, როცა შემძლია მის მოშხამულ სათავეს უშუალოდ დაეხედო? ვიღაც ეულების და გადარეულების ბოდვის ნაცვლად შემძლია მაიაკოვსკის პატოლოგიურ ოდებს პირდაპირ გავეცნო (ორიგინალი მაინცაა), იმ მაიაკოვსკის, რომელიც ურცხვად სცენაზე აცხადებს: „მე პოეტი ვარ, სიფილიტიკი ვახსლავარ“-ო... ვანა ვიღაც ბუაჩიძეების ჩლუნგ და უძარღვოდ ნაცვოდილარ-ნაცოხნის კითხვას არ მირჩევნია მისი მძძანებელის და პატრონის ბუხარინ, ჩუჟაკ, ლეონოვების გაშიშვლებულ ტლანქ უტილიტარისტულ თეორიას გავეცნო?

ამ აზრს რო გავეყვით ცუდ სამსახურს გაუფწევთ ჩვენს ხელოვნებას; ვერც იმით დავიჩემებთ კარგ პატრიოტობას, რომ ქართველ მწერლობის მიერ განვილილ ეკლიან ბილიკებს, ცრემლებით და ტანჯით სავსე ხვეულებს, ქარაგმების გზებს ხელაღებით უარყყოფთ და ამ ქართულ საქმისათვის გამირულ წამებას, რასაც აგერ ათი წელია განიცდის ჩვენი მწერლობა ოდნავადაც ვერ გავიგებთ.

იმ სიმანხინჯესთან, რომელსაც ეული-ბუაჩიძეები ატარებენ არის კიდევ ნამდვილი, ტრადიციული, წმინდა ქართული სიტყვა, თუ სიტყვა არა — სიმბოლო მაინც, ქარაგმა... ისეთი, რომლით ზეინაბი ანანია ვლახას ელაპარაკება პირველ შეხვედრისას.

და ჩვენ უნდა შევიწარჩუნოთ უნარი ამ „გადაკრულ ლაპარაკის“ გაგებისა, ამ სიმბოლოთა სწორ ახსნისა. ამაშია ჩვენი ამოცანა... და თუ ჩვენს 21 წლის შემდგომ მწერლობას მეტის სათუთობით მოვეპყრობით, თუ მას გულდასმით მოვუსმენთ, კვლავ ვიპოვით ახალ ძალას, ახალ ენერგიას სიცოცხლისადმი, გავიგებთ ისევე ძველ ქართულ სტილს და სულს ახალ უცნაურ ფორმებით და თქმებით მოვლინებულს. ჩვენ კიდევ უნდა შევსძლოთ ნიღაბის ქვეშ ნამდვილ სახის დანახვა, სტრიქონებს შუა ამოკითხვა და ეს გავგმართავს წელში მძიმე ჯვარის ქვეშაც კი... არა, ჩვენ მას მტრებს ვერ დავუტოვებთ საჯიჯგნად, ჩვენ მაიაკოვსკებს და ჩუჟაკებს არ წაეკითხავთ; ჩვენ მოვსძებნით ბარათაშვილის და გურამიშვილის, ილიას და აკაკის, ყაზბეგის და ვაჟას გავრძელებას დღეის სინამდვილეშიც, დღეის „დამუნჯებულ, დამონებულ“ მწერლობაშიც და მათ გულის ძეგრას გამახვილებულ სმენას მივებყრობთ; და ჩვენ გავიხარებთ ქართული ხელოვნების უკვდავებით.

ჩვენ ვერას ვეტყვით ჯერ მათ, ვერც მადლობას მივუძღვნით, მკვდრებსაც კი ვერ დავადებთ გვირგვინებს, მაგრამ ვიცით, მათი ჯილდო უფრო დიდია და ხელთუქმნელი, უკვდავი. გადივლის სუსხი, დაემხოება მონობა, რუსეთის აქოთებული ტალღა ისევე თავის საზღვრებში მოემწყვდევს და თან წაიყვანს და უცნობ ადგილას მიმალავს პატარა კა-

ცუნებს — ბუაჩიძე-რადიანებს, ზომლეთელ-ეულებს. ვინ მოიგონებს მათ? იმ ჭაობში ჩაძირვასთან ერთად სამუდამოდ წაიშლებიან. და დარჩება მარტო ხალასი, მტკიცე და ნამდვილი ქართველი ხელოვანი. ქართული სახე, სიტყვა და სული რომ გამოიტანა ბარბაროსების ცეცხლიდან და სისხლის ტბებიდან.

ქართულმა ხელოვნებამ თავისი რაობა დიდი ხანია გამოამჟღავნა, მისი სტილი საუკუნოებით მოდის და უცნაური ჩუქურთმებით ამკობს ისტორიის გზას, მისი სიტყვა მეხვივით ჰქუხს და აზრს ცეცხლის ენერგიას აძლევს... ის არ ძველდება, „შუშანიკის ცხოვრება“ ანტონ ქათალიკოზის რიტორიულმა თქმამ ვერ შესცვალა და წინანდებურად უკომენტარიოდ ესმის თანადროულ ქართველს.

ნუ ვიქმნებით უსაზღვრო პესიმისტები და ნურც დღეის წითელ ორდენებით „გაბედნიერებული“ ორიოდ ქართველი იქმნება გადაჭარბებული იმედებით ათამაშებული: — საქართველოს უკანასკნელი სიტყვის თქმა არა სურს, არ უყვარს გედის სიმღერა... ეს „რეზოლუციები“, „დეკრეტები“, „ლოზუნგები“ არაა — ეს სინამდვილეა, რომელსაც ორი ათასი წლის (მეტისაც) ტრადიცია ამაგრებს; მის ნაცადი ფენომენი — ხერხემალი არ ტყდება, ის იღუნება სიმძიმის ქვეშ. რუსთაველს მახარაძე-კახიანები ვერ წაშლიან, სვეტი-ცხოველს, ამ „ქართველი ერის სოლომონის ტაძარს“ (პრ. ცავარელი) ზარების ჩამოხსნით, წარსულში ღირსეულ თქმას ვერ დაუჩრდილავენ. მე ვიცი, რომ მტერს ჩვენი გაბუტვა და განდგომა გაახარებს, მას უნდა ქართული თქმა და ქმნა ეხლა სხვაგან გადვიტანოთ, სხვაგან ვეძიოთ. არა, ჩვენ ამას არ ჩავიდნით... ჩვენ ვიცით, რომ „სხვა საქართველო“ არ არსებობს, არც იქმნება, არც გვინდა რომ იყოს.

ასე მსჯელობდა, ან ამას ინტუიციით გრძნობდა ქართველი ხელოვანი, როცა მან ამ საშინელი ქარიშხლის დროს ქართული კერა არ დასტოვა, მალულად, უხმოდ გადანახული ენერგია შეუკეტა და ქურა თუ არ გააჩაღა, მაინც არ გააცივა. „გაჩაღება“ სახიფათოა, მტერმა თვალი არ მოჰკრას. ეჰ, რა ხშირად გვჭირია დღეს აკაკის უკვდავი ალეგორიები, გადაკრული ნიშნები... და ჩვენც ვიგონებთ მის თითქოს განაცრებულ „ჩაფერფლილ კერას“, რომელიც საიდუმლოდ, სიღრმეში ნაკვეერჩხალს ინახავს ახალ გენიის, ცეცხლის გასაღვიძებლად.

ქართული მწერლობა დღესაც დაუპყრობელ მალლობად ითვლება. მტერმა იცის, რომ ყოველი ოდა „ზაპსი“-სადმი თვალთმაქცობაა, რომ „ლენინის“ შესხმის იქეთ ზიზღი იმალება ამ დამპყრობისადმი და ამიტომ „ერთხელ კიდევ“ ითხოვს ახალ ფიცს, ერთგულების აღთქმას, „ერთხელ კიდევ“ მიიღებს მას, ასჯერაც, მაგრამ სული მისი მაინც ბორგავს, იკლაკნება სხეული, იწეწება იმედის, ერთგულების დროშა... მას არა

სჯერა, ყველაფერი სიზრმად ეჩვენება, ელის საშინელ სიცხადეს, ნილაბების ჩამოხსნას, ძრწის სინამდვილის საშინელების წინ.

ქართული ხელოვნება კი დროს უცდის და საქართველოს რაობის გამოძღვანების ახალ გზებს და საშუალებებს ეძიებს: — ხშირად წაიქცევა, ტალახში ამოისვრება, თავის ღირსების აყრაზე, ველურ ინსტიქტების წაქეზებაზე თვითონვე იცინის, ისტერიულად ხარხარებს, გულში ცეცხლ-დანთებული ბნელიანივით გიჟურად ცეკვავს და ყვირის: — „ვაშა ლენინ, გაუმარჯოს ბუდიონის — ძირს 26 მაისი“... და ღამით ჩუმად წმინდა ლოცვებში, ხელოვანის მწველ ცრემლებში იწურება და ახალ ძალას, ამაღლების და გახარების სახეებს ეძიებს. სწერს და შლის, სწერს და ხევს, ქმნის და წვავს, ვიდრე ისეთ ფორმას და ნილაბს არ გამოუძებნის, რომელიც დესპოტიზმისათვის უცნობი გახდება, რომელიც დაქირავებულ ბუჩქიძე-ქიქოძე-დუღუჩაძეების გასაღებებით ვერ გაიხსნება.

მაგრამ ის ჩვენთვის იწერება; ჩვენთვის ხდება დღის სიცხადის საშინელი თავგანწირვანი და დამცირებანი, რომ ღამის თქმა, მისი სიმბოლო გაეხსნათ და კვლავ დავსტკბეთ „სიტყვა ქართულით“, შევისვათ ვნება ვაჟური, ქართულის ჟინით და ქალურის სინაზით განსხივოსნებული. ჩვენთვის მოაქვთ მათ ეს ზვარაკი, წმიდა მსხვერპლი, საკუთარი გული რუსულ ხიშტის წვერზე აგებული და ჩვენც გვმართებს: — „ქუდეები მოიხადეთ, მის კვალს ემთხვეით-ის გაგრძელებაა ძველის, ქართულის ამ მძიმე მონობის დროსაც“...

„სხვა საქართველო სად არის?“ — და ამიტომ ყოველი იქვეები უკუყრილ ვქმნათ, გაუფგოთ მას, ვინც ამ წყვდიადში ჩუმად, ქურდულად ისევ საკუთარ კერისაკენ გვეძახის.

ბევრია კიდევ სიძნელე, ბევრია შიგნიდან ციხის გამტეხი; ბევრისთვის ნილაბი მართალ სახედ იქცა და ისიც „გაქვავდა ნილაბში“, სუსტები დაეცნენ, მაგრამ ნაკვერჩხალი მაინც ღვივის და ჩვენც ვიმედობთ ქარაგმებით თქმის უცილობაც ქრება...

მანდალიზმი

ამას ტრადიცია არა აქვს ქართულ ლიტერატურაში; ისტორია კი, მაგრამ ფრიად მოკლე, შეიძლება ორ-გვერდიანი. მოწიწებით უნდა ვილაპარაკოთ შოთას, ჩახრუხადის, შავთელის, ხონელის ჭანაზე. აქ დიდრონი ქანდაკებებია გამოკვეთილი, დიდი და მრავალ სახეებად, ეპოქებად, „რეალობად“ დასახსნელი სიმბოლოებია მოცემული. გამოყენებითი — დღევანდელის გაგებით — არაფერია შიგ; უნივერსალურის, ეპოქების გარდამლაზველ დენისთვის ყველაფერი „გამოყენებითი“ —

ამიტომ უკვდავი. ერთ ეპოქაში მითია, მეორეში სიმბოლო, მაგრამ ცოცხალი, მატყვევებელი, ესთეტიურად გამართლებული.

მეორე, ძლიერი გაქანებაც ქართულ მწერლობისა ვერცხლის სახელს რო ატარებს (მეთვრამეტე საუკუნე) შორსაა ვერცხლის ანგარებისაგან. მასში ქართული რაობა შეულახველად მეტყველებს, თუმცა ინსტიკტით გრძნობს საბედისწერო ხაზის შემოსაღტვას, მაგრამ ქედმაღლობის უნარი ძველებურად მჭრელობს და იგივე ინსტიკტი ასწავლის, რომ „ბედლი ქართლისა“ ჯერ არ გადაწყვეტილა. არა, მას კიდევ შეუძლია აზიის ფესვებს დაეყრდნოს, ფერად მზის ცხუნარობა ივემოს და ნათელის გონებით ვოლტერის და გოეთეს ქვეყნებისაკენ გაიჭვრიტოს..

იმ „წყალობის“ შექმნაც, რაც სუსხიანმა ჩრდილოეთმა 1801 წ. საქართველოს „დიდ რუსეთის“ გუბერნიებად გადაქცევით მოგვევლინა, არ გაღუნვია ხერხემალი ქართულ ხელოვნებას. თავისუფლება მისი არსებობის საფუძვლად დარჩა. გამეფდა რუსული ძალა, მოიდგა პეტერბურგის კულტურამ ფეხი, მაგრამ სიტყვა და აზრი ქართულ მწერლობას ამისათვის არ გაუხრია. არ გამოჩენილა გამცემი მწერლობისა, „ვერ ისყიდეს ვერცხლად თქმაი მისი...“

დაიფლითა საქართველოს სხეული, გადმოსჩქეფა გულიდან სისხლის ნაკადმა, მაგრამ მისი სული მტერს მკვდარი რო ეგონა, დღევით ფეთქდა — სიცოცხლის ჟინით ავსებდა ქართლის ბუნებას.

და ეს ფეთქა ყველაზე აშკარად ქართულ მწერლობაში ჩნდა: — საშინელი ალტყინება, ბრძოლის ჟინი, გამოღვიძების წადილი, ქართულ რაობის შენარჩუნების და ამაღლების წყურვილი აპოხიერებდა ამ პოეზიის ბაღს. ამირანის თავის აშვების იმედი, ჯაჭვის გაწყვეტის პოტენცია ატივტივდა და განა კიდევ არსებობს ამაზე უფრო მკაფიოდ ნათქვამი „სადღეისო“, ან თუ ვნებავთ, „სამოქალაქო“ მოტივი? და წარმოიშალა გვარი ორბელიანთა, ბარათაანთა, ერისთავთა მძღავრის და მჭრელის სიტყვით რომ დაჰმემს „გაგუბერნიება“ და გადაკრულ სიტყვაში ძველი, რაინდული ქართული სული გამართეს ქართველი ხალხისათვის მისაწვდენ შაირით. მარტო სამშობლოსათვის გოდებითაც რომ აევსოთ ჩვენი ლიტერატურა მაინც არ იქმნებოდა ის, რასაც უტილიტარიზმი ჰქვია. (მე განვებ არ ვამბობ „ვანდალიზმი“, რაც სრულიად ვერ მიუდგება მე-19 საუკუნეს). არა, აქ არაფერია წინასწარ დაკვეთილი, არც ხარისხებად დაყოფილი: მწერალი გულის თქმას მიჰყვება, უშუალოდ ალაპარაკებს აზვირთებულ გრძნობებს და ვის უნახავს, რომ ტაღლის სიგიჟე ერთ-ფერ-ზომის კალაპოტში მომწყვედუელიყოს., მათემატიკურ ფორმულებით წარდგენილიყოს!?

აი, დიდ, ზვიად ბუნებაში წარმოიშლებიან წარსულ დიდების სურეთები : — ერთი სანახაობა მეორეს იწვევს და წარსული ხელსახები

ხდება. და უფრო მწვავეა გრძნობა მისი დაკარგვით გამოწვეული. სწორედ ის, ვისაც ასე ცოცხლად, სახიურად ესმის: —

ცხენთა თქრიალი, შუბთა ტრიალი, ჯირითთ სრიალი, ყურთმაჯთ ბრიალი, უზანგთა ცემა“... დღეს ნოვეგოროდში ზის და „მზისა წილ ყინვა“ უმასპინძლდება მას... მან იცის — ყოველი ნატვრა ამოა, ოცნება მიუწვდომელი: —

ვინღა აღჩნდეს გმირი,
რომ მის ძლიერი
ბედს დაძინებულს ხმა აღადგენდეს
რომელ მარჯვენით
ერთისა დაკვრით
უსულოდ ვეშაპს მიწად დასცემდეს?“

მაგრამ უცებ ეკვეცება ფრთა მის ნატვრას; იცის ძალა „ვეშაპისა“, იცნობს ბუნებას ამ „მიკულასას“ მაჯლაჯუნად რო დასწოლია პატარა ქვეყანას...

„გადმოხვეწილმა ჩრდილოს წყვიდადსა,
სადღა იხილოს ცა მშობლიური?
შენ ხარ პეტერბურღს, მე ნოველორდსა,
გარედ მკლავს ყინვა და შინ უგარი“...

(გრ. ორბელიანი)

შეთქმულობის შემდეგ პეტერბურგ-ნოვეგოროდში გარდახვეწილი საქართველოს მოწინავე თაობა „უგარში“ იხრჩობა, მაგრამ მისი ოცნება ორგანიულად მიკრულია ვით მერცხლის ბუდე ჩვენი ქვეყნის ბჭესთან.

„აღარ მეღირსა მშვენიერო ჩემო კახეთო,
რომ გომბორის მთით შენს მშვენებას კვლავ გადმოხვდოდ“...

(ვახ. ორბელიანი)

გადილია გული, დაიშრიტენ ცრემლები, დასკდენ ღაწვები, ღარებით დაისერა შუბლი სამშობლოზე ფიქრით, მისი ბედით დაირთვილა ნორჩი მწერლობა, „მამების“ კვალი რო უყვარდა. და მერე რა ძლიერად მოქნეული ხრმალი, რა ბასრია და ტყვიასებრ მძიმე თქმა ამ მწუხარებისა? განა უძირობა არაა თქმაში:

„მარად და ყველაგნ საქართველოვ მე ვარ შენთანა,
შენის სისხლითა გული სრულად გარდამებანა...“
აქ კი კვენისის, ჰკივის დიდი სევდა დიდი პოეტის.

მაგრამ განა მარტო ამ ერთ ძალუმ ფესვზე იდგა ქართული მწერ-

ლობა მე-19 საუკუნისა? ძლიერი, ნოყიერებით სავსე, მიწაში ღრმად ჩასულიყო ის ფესვი, მაგრამ ქართულ მწერლობის ხე მარტო მით არ იკვებებოდა. „პატრიოტიზმი“, ეს უკეთილშობილესი და უმაღლესი თქმა არ ანელებდა ძველ ქართულ ძიებას ცხოვრების რაობისას? მას აღელვებდნენ მრავალი პრობლემები, რომლებიც ინსტიკტივ ძველებურად ატყვევებდნენ და „ტადრის“ შესავალ კარებს აძებნიებდნენ. იქნებ მას ეხლაც ვერ მოენახა ეს კარები; ვერც მონახავდა, მაგრამ მისი ბუნება მუდმივ ძიებას ითხოვდა და „სულთა ღელვანი დაუცხრომელნი“ ძველებურად აწვალებდნენ ქართველ მწერლებს. მუდამ ახალი და მუდამ ძველი ფენომენები: სიკვდილი, სიყვარული — წინანდებურად სტანჯავენ გურამიშვილის და ბესიკის შვილებს, შვილისშვილებსაც...

მაგრამ „გუბერნია“ პრობლემის თვისებას ჰკარგავდა და სინამდვილით სიმწვავეს ამეფებდა... და საშინელი, მახინჯი სახით გადმოალაჯა კავკასიის გზით პისარევმა. არა, მე არ მინდა ტენდენცია მომაწერონ უკანა აზრებით ხელმძღვანელობა. ეს კრიტიკაშიც ისეთივე მიუღებელია როგორც პოეზიაში... გულწრფელობა, ობიექტივობა (არა მშრალი, ფოტოგრაფიული) შემფასებელსაც ისე ეჭირვება, ვით მთქმელს.

და სწორედ ეს ობიექტივობა მათქმევიწინებს, რომ პირველი ბარბაროსები ქართულ მწერლობაში დღეის „ბატონები“ იყვნენ. საშინელი, პირველყოფილი პრიმიტივობა შემოიტანეს მათ მწერლობაში. და ეს სრულიად შემთხვევითი არაა, რომ დღემდის ასე „უღმერთოდ“ აწვალებენ ისინი დ. ჭონჭაძეს და ეგ. ნინოშვილს... ნინოშვილი დიდი პოტენციის მხატვარია, მჭრელი ფსიქოლოგი, გულის ფარულ ხაზების გამხსნელი. მე მისი შემოქმედების ბევრ დადებით მხარეებზე არ ვლაპარაკობ — შორს წამიყვანდა, მაგრამ აქვს თავისი ეპოქის ნაკლი, ფეხისადგმის ბევრი ნიშნები, უსუსურობა, პოტენციის გაუშლელიობა და „რაციონალ“-ს სრული ჰეგემონობა ესთეტიურ რაობაზე. და მერე რა მოსწონთ დღეის „ბატონებს“ ნინოშვილში? სწორედ ეს პრიმიტივობა: უიშვილის ბედის სქემატიზაცია, მკლავაძის მკლავებითი არგუმენტაციაში ხედავდნენ კლასის გამოსვლას. მცირიშვილი ქვევიდან ებრძვის მაღალ კლასს... ქრისტიანე იასონის მსხვერპლია და მთელი საქართველო კი მოსე მწერალის.... საშინელი სიმარტივე, სქემატიზაცია; კანვა, რომელზედაც ავტორმა ფსიქიური გზები დასჭრა და პრობლემები (არა მარტო ეკონომიური) წარმოშალა.

საქმე ისაა, რომ ამ „კრიტიკოსებს“ მარტო კანვა ესმით და იციან, რომ ეს მიუდგება მათ „კრედო“-ს, ათანხმებს პროგრამას „ცხოვრებასთან“. ეს იყო პირველი ნიშანი „მომავლის ქამის“ მოახლოებისა, რომელსაც მრავალი ფერები არ უყვარს და შეუფენებლად ყველაზე მჭრელს — წითელს ირჩევს. სქემატიურია მისი ფიქრი, გაზომილია და წინასწარ

შემოფარგლული „შესაძლებლობა“, ასე რომ „აღმაფრენა“ მისთვის უფსკრულში გადაფრენას უდრის. ეს კიდევ არაფერი — მაგარი ისაა, რომ მას საშინელი პრეტენზიები აქვს; ეს პრეტენზია უვნებელი თვისებისაა, ვიდრე მას ძალა-უფლება არ უფარდება, მაგრამ როცა რუსულ პრიმიტიულ კრიტიკასთან, როცა დამარხულ, არქივში მიცემულ „უტილიტარიზმთან“, რუსული ზარბაზანიც შემოდის, მაშინ მისი პრეტენზიები საშიში სახეს იღებენ და „კრიტიკა“ დიკტატურის ტოგაში იმოსება. და ლენინის ესთეტიურ ტრადიციებზე აღზრდილ დიკტატორს საქართველოში რასაკვირველია მარტო ვანდალიზმის გამეფება შეუძლია. ლენინიც ხომ დამახინჯებული პისარევია და მდაბალი შებრუნებულნი გამოცემა დაბროლიუბოვის „ეთიურობისა“.

მარტო ერთი მომენტი რადა ღირს: —

„მუსიკის მოსმენა ხშირად არ შემიძლია“, ეუბნება ლენინი გორკის, „მოქმედობს ნერვებზე, მსურს კეთილ სისულელეზე ლაპარაკი (სიკ!) , და ხელის მოსმა თავზე ადამიანებისა, რომლებიც სცხოვრობენ ბინძურ ჯოჯოხეთში და შეუძლიათ ასეთ მშვენიერების შექმნა. დღეს კი არაფერზე არ შეიძლება ხელის მოსმა, ხელს მოგჭამენ — საჭიროა ცემა თავზე, ცემა უმოწყალოდ, თუმცა ჩვენ იდეალებში წინააღმდეგი ვართ ადამიანებზე ყოველგვარ ძალადობისა“... (ამოღებულია პოლონსკის წერილიდან ლენინზე; იხ. „მნათობი“ ნომერი 1, 1928 წ.). განა ამას კიდევ სჭირია განმარტება? ამაზე უფრო გამოშვლებული აპოლოგია „უმოწყალოდ დარტყმისა“, (თუმცა „იდეალებში“ ის ამის წინააღმდეგია, როგორც სიკვდილით დასჯისა...) ჯერ ქვეყანას არ უნახავს. აქ ვანდალიზმი ლაპარაკობს უშუალოდ და უსირცხვიოდ... ოდნავ გამოღვიძებულ და წამოშლილ ესთეტიურ გრძნობებს, უმაღლეს ემოციებს — რასაც იწვევს და ფებს ადგმევიანებს ხელოვნებითი შემოქმედება — იმ წუთშივე „უმოწყალო დარტყმა“ სჭირია, რადგან საშიშოა, მან სიყვარულის, ადამიანთან დაახლოვების, შეთვისების გრძნობები არ წარმოშალოს; ესე იგი, სწორედ ის გრძნობები, რასაც ადამიანის გაკეთილშობილება შეუძლია და რასაც მუდამ სჩადის ნამდვილი ხელოვნება. არა, ეს მას არა სწამს, ამისი მას ეშინია, რადგან ეს „დააბნელებდა კლასობრივ შეგნებას“... მე მგონია ზოგს მოაგონდება ანალოგიური მოტივები ჩვენი ახლო წარსულიდანაც, თუმცა არც ასე მთლად გარდატეხილად და ლენინისებურად ნათქვამი მისი ცნობილი „დარტყმით“, მაგრამ იქაც რუსეთიდან შემოტანილი. ეს უცნაური პრიმიტივობა შეიძლება არც მთლად ბუნებრივი იყო ლენინისათვის, მაგრამ ის უპირველესად ასკეტი იყო და მან იცოდა ადვირის მარჯვე ხმარება. პოტენციას მანამ ჰკლავდა, სანამ ის კიდევ პოტენცია იყო და აშკარა საფრთხედ — ნამხელ ძალად არ გარდქმნებოდა. მაგრამ ლენინის მთავარი „ცოდვა“ იმაშია, რომ მან მდაბ-

ლი ინსტიტუტები, ქუჩის ბრბოს „გემო“ გააბატონა და ამ „ნილილიზმს“ ისეთები გაჰყვეს, რომელთა ტუჩს ლაგამი აღარ უდგებოდა... და აქედან გასაგებია, რომ ბელადის „დარტყმა სათუთ გრძნობებზე“ მათში ინტრიგას იწვევს და პატარა ხალხიც ულტიმატუმებით გამოდის: ის გარკვევით მოითხოვს, რადგან იცის აზრს ლენინის ავტორიტეტი უმაგრებს და ზურგს რუსული ჩეკა (ახალი ატრიბუტი „გუბერნიისა“). და ამ დოვლათით ის ყოველ ორჭოფობის გარეშე იწყებს ჯირითს მთრთოლვარე გულელებზე და ულტიმატუმს ულტიმატუმზე გვიყენებს.

ულტიმატუმი

მართალია, ლენინმა ესთეტიკაში ვანდალიზმი გამოაჩინა და მხატვრულ ემოციებზე მწვავე დარტყმას ითხოვდა, მაგრამ აქ ბევრი პოზაც იყო. მას უნდოდა რუსეთის ჩამორჩენილ, კულტურის პრიმიტიუბის უმდაბლეს დონეზე მდგომი მასსა „გმირად“ გაეხადა. მაგრამ არა ცოდნით, პროგრესით, კულტურით, არამედ „დარტყმით“... ეს იყო შოკ-ლე გზა, რაც მის ჰეგემონობასაც უზრუნველჰყოფდა. არ შეიძლება ითქვას, რომ ლენინს ხშირად არ ესმოდა, რომ სარკე მრუდათ აჩვენებდა, რომ ბრბოს ინსტიკტი, დაგროვებული-თავშეკრული პოტენცია ხშირად ყოველი რაციონალიზმის წინააღმდეგ ამოხეთქდა. მაგრამ ლენინიც მიტომ იყო და რჩებოდა „ძლიერად“ რომ ტალღას მკერდს არ მიუშვებდა — ის კითხულობდა ამ „აჯანყებულ, აწყვეტილ“ ველურ ვნების იღუმალ ზრახვას. ჯერ მათ ვერ ეთქვათ აშკარად, რომ ბუნებრივია, აუცილებელია ძველ მმართველობის და წარმოების ორგანიზაციასთან ძველი კულტურაც დაიმსხვრეს, განადგურდეს, მოისპოს ძველი ხელოვნება, ესთეტიკა... საზამთრო სასახლის დაპყრობა თუ მოხერხდა, მითომ ვერ შესძლებდა ოლიმპის მალღობის აღებას? განა ბუდიონის ხრმალი იქ ვერ გაჰყვეს? და ლენინმა ამოიკითხა ამ უტრადიციო და უკულტურო ბრბოს იღუმალი სწრაფვა — ყველა დარგებში შეჭრა, გაბატონების წადილი. ისე როგორც ამოიკითხა დალილ, განაწამებ ჯარისკაცთა წადილი ომის დაუყონებლივ გათავებისა.. და ისიც გაჰყვა ტალღის ენერგიას, შეუქმნა ნაწვალევი „იდეოლოგია“ — ქვენა ზნეობის, მდაბალ ხარისხის, სწორედ ისეთი — ჰიპნოზით დამთვრალ ბრბოს რო სჭიროდა... რასაკვირველია ის არ იყო ბელადი, არამედ მან უბრძოლველად დაუთმო ბრბოს ეს ბელადობა. და ლენინმა სთქვა მჭრელად, მკვეთრად ის სიტყვა, რაც შიშით ვერ ეთქვა ბრბოს, რის გამჟღავნებაც მას ინსტიკტიურად აშინებდა. და გახდა ლენინი საყვარელი „ბელადი“... არა, ის ბრძოლის ქმედობის პიროვნება არ ყოფილა, მასში იყო შეიძლება ბევ-

რი ანარქისტული, მაგრამ დინამიური კი, შემოქმედებას რო უსწრებს, არა. ის იყო უფრო პასიური ანარქიის მოციქული*). ეს პრობლემა დიდია, საინტერესოც (მწვავედ რომ ვახდა მილიონებისათვის), მაგრამ ეხლა ჩვენ ის შორს წავგიყვანდა. დაერჩით განაწამებ ხელოვნებასთან

დაუჯერებელია, რომ ლენინს „დარტყმის“ პოლიტიკის დამლუპველობა როდისმე არ დაენახა. შეიძლება „ნები“ შესავალი იყო ხელოვნების ხელახლა დახსნის ცდის კარებისაკენაც. ევროპაში ხანგრძლივად ნაცხოვრები, ევროპის მუშების კულტურას და მათი ესთეტიურ გემოვნებას კარგად გაცნობილი ლენინი დიდი ხნით ვერ აპყვებოდა მდაბალ ინსტიკტებს რუსეთის ლუმპენ-პროლეტარიატისას. მის არ შეეძლო არ დაენახა, რომ პრიმიტიობა უფრო და უფრო უფესკრულში იძირებოდა და კაცობრიობის მიერ საუკუნოებით მონაპოვარ განძებსაც ამ წუმპეში თან მიათრევდა. ლუმპენი ითხოვდა ჰეგემონიას არა მარტო პარტიაში, პოლიტიკაში, წარმოებაში, ვაჭრობაში, არამედ მეცნიერებაში, პედაგოგიაში, ხელოვნებაში, ესთეტიკაში: „ყველაფერი რაც დღემდე ყოფილა — ბურჟუაზიას და ფეოდალებს შეუქმნია გაბატონებულ კლასებს და ამიტომ მის დაღს ატარებს. თავისუფალ სულს ის არ უდგება და უნდა შეიქმნეს ახალი ამ დარგშიაც. მაგრამ ამისათვის საჭიროა ძველის დანგრევა, უწყალოდ განადგურება“... და მან დაიწყო დაგროვილ სულიერ კულტურის ბარბაროსული განიავება. და აქ ლენინს არ შეეძლო ერთგვარი შიში არ ეგრძნო; სრული არარაობის წინაშე დადგომის შიში და ახლის აშენებამდე ძველის „შესწავლა“ არ მოეთხოვნა.

მაგრამ ლენინი მოკვდა ისე, რომ თავისი სიტყვის თქმა ვერ გაბედა რევოლუციაში, „ნები“ იყო ერთად ერთი მისი „აქტიობა“, ინერციიდან გამოსვლა, მაგრამ ისიც ხომ ძალად ათქმევინა რუსის გლებობამ (როგორც დღეს სტალინს — თავბრუდახვევიდან უკანდახევა“). და იმდენად

*) ეს თითქო პარადოქსია, მაგრამ ცივი ანალიზი უეჭველად აქ მიგვიყვანს. ლენინი უფორმულის, ამორფულის ბელადი იყო; დაშლილობის (მოშლილობისაც) ზარატუშტრა...

დაგუბებულ პოტენციის გახსნა და მისი „მიშვება“ ყოველ კალაპოტის გარეშე, არის პასიობის აპოლოგია; და ამის პირველი ორდენი ლენინმა დამსახურებით მიიღო. საოცარია მხოლოდ — რად ჰქვია მას „რევოლუციონერი“ იმ აზრით, მარქსიზმი რო ჰქადაგებს, როცა ლენინი ამ რევოლუციის ერთ ნახევარს იღებდა... არა, ის რუსი იყო, ინერტი, მიმშვები და ამ „აყრა-მიშვება“-შიც უსისტემო ბუნტარი. ამ ცნებებში წინააღმდეგობა იმდენია, რამდენიც თვით ლენინის მარქსიზმ-ნილილიზმში იყო... მეტი არა.

დაგვიანებითი იყო ეს „აქტიობა“, რომ მან რღვევის სტიქია ველარ შე-
აჩერა და ყველაფერი ისევ ნაცად შაბლონში დარჩა. და ბრბო, რომე-
ლიც ძალა-უფლებას დაპატრონებოდა ძველებური შეუპოვობით, შე-
იძლება მეტი თავხედობითაც წაიწია კულტურულ განძების კერპთა და-
სამსხვრევად. ენლა მას სათავეში უდგნენ უტრადიციო, უკულტურო
პატარა კაცუნები, რომლებიც ჰეროსტრატეს ეწეოდა, ავიყებდა, მაგ-
რამ მისს როლშიაც ვერ გამოდგებოდენ.. და დაიწყო ახალი სახით გან-
მეორება მთელ „დედა-მიწის მეექვსედ“ მანძილზე სქემსტიურად გა-
მოქნილმა პრიმიტიობამ: ადამიანთა სულზე, ინდივიდუალობის პრობ-
ლემაზე, ესთეტიზმზე... აღარ შეიქმნა საჭირო არავითარი გონებრივი
მუშაობა, იდენის „წვალებით“ შობა, აზრთა გაწვრთნა და გამართვა, იჭ-
ვების დამარცხება. ყველაფერი ეს მზა-მზარეულად მოდიოდა კრემ-
ლიდან და ერთი ტემპით, ფორმით და ინტერესით ვრცელდებოდა დე-
დამიწის მეექვსედზე. რაღა საჭირო იყო შემოქმედება, როცა ყველა-
ფრის გადმოტანა და გადათარგმნა შეიძლებოდა? და განა დღეის ოფი-
ციალი ქართული, სომხური, უკრაინული, ბელორუსიული მწერლობა
იგივე არაა რაც მოსკოვის? მართალია აქაც არის „უკლონები“, ერო-
ვნულ-ინდივიდუალურ მეობის გამოჩენის წადილი, მაგრამ რამდენი
ხვრელი უნდა გაიაროს მწერალმა, რამდენი იღუბება კიდევ ამ „მე“-
ობის გამოჩენის გამო. და დღეს თუ რაიმე ცოცხალის ძიება კიდევ შეი-
ძლება მწერლობაში, ეს სწორედ ჯვარზე გაკრული მარჯვენა ან მარ-
ცხენა „უკლონიზმია“: ამ „გადახრებით“ თავი ისახელა ქართულმა მწე-
როლობამ და დღეის მწვავე სუსხი მის ხერხემალს ვერ სტეხს. ათასეული
წლის ტრადიცია სდგას მის უკან და ათი წელი ძალიან პაწია შავი წე-
რტილია ამ დიდ , ფართო პერსპექტივას რო ვერ დაჩრდილავს. ამ ათ
წელში განუწყვეტლივ აწამებენ მას, „რყენიან დედაწულითა“, ფლე-
თენ მის გულს, ფათურობენ ბინძური ხელებით მისი სულის ყოველ კუ-
ნჭულში, მაგრამ ამოდ: ის მაინცა სდგას და ქედს არ უხრის შემოსეულ
მტერს.

იმ დღიდან რაც რუსის ჯარებმა ქართული მიწა-წყალი კვლავ ვე-
რაგულად დაიპყრეს და მოლაღატე ქართველ კომუნისტებს კომისრო-
ბა, ცეკას წევრობა და გენერალური მდივნობა აჩუქეს; იმ დღიდან რაც
ჩვენში კომპარტიის ყრილობები დაიწყო, უდიდეს ყურადღების ღირ-
სი ყველა ამ ყრილობაზე „იდეოლოგიური ფრონტი“ შეიქმნა. მოიხსნა,
შეიცვალა ან გადაგვარდა სხვა ათასი ლოზუნგი და ფრონტი, მაგრამ ეს
კი უცვლელი რჩება. და ამ ფრონტზე იერიშები არ დამცხრალა არც ერთ
წუთს. რატომ? იმიტომ რომ მის მწვერვალზე ძველებურად სდგას ქა-
რთული მწერლობა, რომელმაც „გენსეკრეტრებივით“ სული 30 ვერ-
ცხლად რუსის ჯარსა და ჩეკას არ მიჰყიდეს. და ტფილისში ტრადიცი-

ულად გადიქა ყველა წლის და მნიშვნელობის პარტიულ ყრილობები-სათვის, რომ ამჟღავნონ „შავი გული“ ქართულ მწერლობისა, რომ შესაფერი ლექსები, ამონაწერები, სიტყვები, ნიშნები გახსნან ამ ყრილობებზე, რომ ტყვილა არა სდგას რუსის ჯარი ტფილისში, რომ ტყვილა არა სჭამს პურს რუსული გეპეუ.

იწყება ულტიმატუმების მეტი გაშიშვლება, განმარტივება და განსაზღვრულ პერსონების წინაშე წაყენება — ამას უფრო ვერ დაემალება თავხედი მწერალი.

თანდათან ცვდება ძალა ამ ულტიმატუმებისა და მონა გრძნობს, რომ ამ ეფექტით არ შეიძლება მოსკოვი კმაყოფილი დარჩეს და უფრო მტკიცე „არგუმენტს“ იძიებს — სანქციებზე გადადის. დამშეული, დევნილი მწერლობა მაინც ძველ გზას მიჰყვება — დეკლარაციას იძულებით ხელს აწერს, მაგრამ საქართველოს აღდგომაზე მაინც ოცნებობს და ჩუმად იმდერის ცრემლებით დატვირთული ისევ ნაცად, ძველ ქართულ სიმღერას.

გადიან წლები და მისი გული კანთან ერთად არ იცვლება. და თავის სანუგეშოდ უძღური, უილაჯო აგენტი უცხო ძალისა გაიძახის, რომ ეს მემარჯვენე, რეაქციონური მწერლობაა, თორემ ნამდვილი, ახალი მწერლობა სახელოვანად განაგრძობს ლენინის ტრადიციულ დარტყმას. და აი, ეხლაც მეთე წლის წინ რუსეთის აგენტურის სულ პაწაწა აგენტი ძველებურად ბრაზობს, უშვერად იგინება და საქართველოს მწერლობის დიდ ჩამორჩენაზე სტირის.

„ღირსშესანიშნავია ის გარემოება, რომ ფრიად დიდი განსხვავება არსებობს ჩვენი მწერლობის მემარჯვენე ფრთასა (ნიშნავს ქართულ ეროვნულ ლიტერატურას) და უკრაინის, ბელორუსიის მწერლების მემარჯვენე ფრთას შორის. არც კი შევადარებთ რუსულ მწერლობას. იქ მემარჯვენე მწერლობა საბჭოთა სინამდვილის საფუძველზე, ოქტომბრის რევოლუციის დაყრდნობით საკმაოდ რეალური პრეტენზიებით სთვლის თავს სოცმშენებლობის ორგანიულ მონაწილედ, რევოლუციონურ ენტუზიაზმის მატარებლად, საბჭოთა ლიტერატურის კადრად.... ჩვენი მწერლობა (მემარჯვენეობა) არამც თუ საბჭოთა პრეტენზიების ფარგლებშია, არამედ რევოლუციის ცნობა არ ცნობაზე მსჯელობს (იგულისხმება ალბად ოქტომბრის რევოლუცია) საქართველოს „სახელმწიფოებრივ ძალას ეძებს, მას მისტირის“... (ბ. ბუაჩიძე, „მნათობი“, 1930 წ.). აი თურმე „რა აბრუნებს, რა ზნე ჭირსა“ დღესაც ქართულ მწერლობას, რაზე ფიქრობს, რას უმღერის... ამ კაცუნებს ავიწყდებათ, რომ საქართველოს მწერლობა მთელი საუკუნე უმღერდა დაკარგულ სახელმწიფოებრივ თავისუფლებას, მწვავე „ბედს ქართლისას“, მას მისტიროდა. და 26 მაისს მან ნახა გახარება; ნახა, რომ ეს „სიმღერა და-

ქრილ არწივზე“ მის ბარტყებს ზრდიდა მშობლიური სიყვარულის შთანერგვით, აღდგომის და ხელ-ახლა მალა გაფრენის წადილით. და ერთხელ კიდევ აჩვენა შავი დღე „ყოვებსა“ და „გაჰფანტა ველად მათი ბუმბული“. რა ქმნას? ამის მნახველს, განმცდელს ქართულ მწერლობას არ შეუძლია არ იგრძნოს ყველა დეკლარაციების სისულელე და ულტიმატუმების უსუსურობა. ამით განიჩევეა შეიძლება მართლაც ქართული მწერლობა დანარჩენებისაგან — მას ახსოვს, გამოუცდია, აუტანია და ბოლოს გაუტანია კიდევ.

და გულ-მოკლული პატარა აგენტ ბუაჩიძე სხვას რას შესძლებს თუ არ ჩასმენას კრემლის მედროვესთან: —

„ამ შედარებით ცხადი ხდება,, , ლულულულებს ის უილაჯო შიშით მოცული, „თუ რამდენი სხვაობა ყოფილა ჩვენი ტრადიციებით დამბლა დაკრულ მემარჯვენე მწერლობის და უკრაინა - ბელორუსიის მწერლობის მემარჯვენე ფრთას შორის“ (იქვე).

აგენტს (განგებ არ ვამბობ ჩეკისტს, რადგან ბუაჩიძეებს ეს სახელწოდება საკვეხნად მიაჩნიათ) ძალიან ახარებს უკრაინა-ბელორუსიის მწერლობის დამონება, წელში გაწყვეტა, მაგრამ აღონებს ქართულ ლიტერატურის გაუტეხლობა. მას ამის მიზეზებიც კი უპოვნია, რომლებიც ისევე ღრმა და მეცნიერულია, როგორც ის „თეორიები“ მზა-მზად თავში რო ჩაულაგეს მოსკოვის „აღებმა“. თურმე უბედურება ქართულ მწერლობის ჩამორჩენაში ყოფილა: —

„ფაქტია — მწერლობის საარაკო ჩამორჩენა ცხოვრების დაკვრითი ტემპისაგან. მწერლობა კუს ნაბიჯით, მონური ტემპით მოძრაობს..... კოლექტივიზაცია და მთელი რიგი ახალი დაკვრითი ამოცანები მათთვის ჩინური ანბანია. აქ თამაშობს როლს... ქართული მწერლობის საზოგადოებრივი ალღოს სიჩლუნგე და კულტურის დაბალი დონე...“ (იხ. ბუაჩიძე, „მნათობი“ ნმთ. 1, 1930 წ.). ამ უბადრუკი, ბრაზით ნაკარნახევი სტრიქონების გაგრძელება კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ აბა ვისთვისაა საჭირო ვიღაც ბუაჩიძის ნაჯახირევი?! განა მას შეუძლია შეურაცკყო ქართული მწერლობა, განა მას შეუძლია იმსჯელოს ჩვენი ლიტერატურის „კულტურულ დონეზე“? რას იცნობს ის, რა წაუკითხავს, რა შეუსწავლია, რომ შეგვეძლოს „ქართული“-ს პატივისცემა მთავრით? ქართულ კრიტიკის მესვეურნი მან დროზე ჩაასმინა. გადაასახლებინა შორს ჩრდილოეთის სუსხში და ეხლა მის მაგიდას მიუჯდა, მისი კალამი დაიჭირა და სწერს, რაც მოსკოვის გაზეთებიდან ამოუკითხავს, ყრილობებზე გაუგონია. და ყრილობები დღეს უმადლესი ტრიბუნალია მწერლობისათვისაც. იქ უმართავენ ჩვენს ლიტერატურას გაუგონარ ინკვიზიციას ჩვეული, ნაყიდი „პროპაგანდისტები“; გაცვეთილ, შაურთან ფილისოფიით იწყება ეს განახლებული შეტევა მწე-

რლობაზე და დამფრთხალი კომუნისტები გაშმაგებით უკრავენ ტაშს „გენმდივანს“ მწერლობაში ახალ მოღალატის აღმოჩენისათვის. ყრილობები კვებავენ ამ დუღუჩავენს, ქიქოძეებს, ბუაჩიძეებს მუშიშვილებს, ბახტაძეებს და მრავალთ სხვებს, რომელთაც დარჩათ სხვისი მავიდა, პორტველი და რომელთაც მოიპარეს სხვისი ქაღალდი და კალამი. აზრები? ეს ხომ მოსკოვმა ყრილობის საშუალებით ვადმოსცა მათ!

და შერე რა უცნაური, არგავონილი პრეტენზიით გამოდიან ამ ყრილობებზე „ყველაფრის მესაიდუმლენი“, „ყველაფრის მცოდნენი“, ენციკლოპედისტების გენმდივნები; როგორი მიუწვდენელი სიმაღლიდან დაჰყურებენ ამ „სხვათა-შორისო“ საქმესაც, როგორი ავტორიტეტით ცხრილავენ და სცოცხავენ საცოდავ მწერლობას. თითქოს ეს ასეთი „ყურადღება“ კი დიდ ბედნიერებად უნდა ჩასთვალონ ჩვენმა მწერლებმა. აი, გამოდის ყოველგვარ გადახრების მამხილებელი, ყოველნაირ მწვალებლობის მდევნელი კახიანი (რომელიც ამ ბოლო დროს ზედმეტ ერთგულებისათვის მოსკოვმაც კი ითაკილა და პირშავად „გააზვარაკა“) და თესვის კომპანიის, კომსომოლების კადრების შემზადების, კოოპერატიულ დუქნების გახსნის შესახებ მოხსენებათა შემდეგ, სულ ბოლოს, მაგრამ მაინც მძლავრი რიხით გადადის ქართულ მწერლობაზეც და ტალახში სვრის მის წარსულს და აწმყოს. ის საშინელ მუქარას უთვლის ზოგ „გაუსწორებელ“ მწერალს და მათ ლექსებში „აღმოაჩენს ფრაზებს, საცა ნათქვამია „ქართული, საქართველო, სამშობლო“... ამ საშინელ დანაშაულთა აღმოჩენის შემდეგ ის ისევ იგონებს, რომ დეკლარაციაზე ხელი უკვე მეზუთეჯერაა მოწერილი და სჩანს „კუზიანს მარტო საფლავი გაასწორებს“-ო. ამის შემდეგ თავხედობა იქამდისაც მიდის, რომ ის მწერლობას „ასწავლის“ თუ რაზე, როგორ, რა ფორმით, რა მხატვრული ხერხით უნდა სწეროს... აგენტიც მიტომ არის, რომ უტიფრობის საზღვრებს არ იცნობდეს და ის იქამდისაც მიდის, რომ ენის შესახებაც „რიტორს“ წამოისროლის. არ მოსწონს ქართული ენაც კი, მეტ გახალხოსნებას ითხოვს დღეის სალიტერატურო ენისას. ეს ცუდი არ იქმნებოდა, რომ კახიანს მოსკოვურად არ ესმოდეს „გახალხოსნება“. მოკლედ რო ვსთქვათ, ის ქართულ ტრადიციულ სტილის, ქართულ ენის რაობის აღმოფხვრას მოითხოვს. ეს სტილი მას მართლაც საბუთიანად აშინებს და მწარე ფიქრებს უშლის. ალბად გრძნობს ინსტიქტით, რომ სტილი ინდივიდუალური გამომჟღავნებაა ერის რაობის; რომ სტილში საუკუნოები ლაპარაკობენ და შემოქმედებითი ენერგია, პოტენცია ეროვნულ სულიერ კულტურისა მის ენაში და მის სტილში გამოსჩანს. თუ სტილი ადვილად ითვისებს, ისევამ სხვა სტილს, თუ ის მასში უმტკივნეულოდ გადადის, მაშინ მას დაკარგული აქვს საკუთარი დინამიკის უნარი, ქმედი ცენტრი; მაშინ მისი გადაგვარება, სხვად გამოყვანა ადვილია.

ჩვენ არ ვლაპარაკობთ ხელოვნურად დახშულ გზაზე საკუთარი სტილის გამოჩენის წინააღმდეგ. ეს მუდამ წარმავალია და ოდნავი „აშვება“ გაორკეცებული ენერგიით იწვევს სტილის „მიძინებულ“ ენერგიის რენესანსს. ქართული სტილი, მისი ქმედობრივი ინდივიდუალობა ვერ დაეცხრო და დაანელა საუკუნოებრივმა მონობამ. ერთ ხანს მას მარტო მწერლობაში და მხატვრობაში შეეძლო მისი მკლავება; განვლო დრომ, ქართულს მიეცა ასპარეზი მოქმედების გასაშლელად: მიწა-წყალი განთავისუფლდა და ერთბაშად იფეთქა შემოქმედების ძალამ, „მიძინებული“ რაობა თურმე სავსებით პოტენციაში ინახებოდა: აყვავდა ქართული მწერლობა, გაცოცხლდა ძველი ფილოსოფიურ-ტექნიკური, ლიტერატურული ლექსიკონი, გაიმართა ენა; ამაყად თავი აიყარა მეცნიერებაში, გაძლიერდა ქართული თეატრი, მხატვრობა, მუსიკა, — გაჩნდა ქართული ოპერა, ბალეტი და გაცხოველდა ხუროთმოძღვრება. და „შეიქმნა კვლავად“ ქართული სტილი, მისი რენესანსის პირველი საძირკველი დაიდო. შემდეგ დადგნენ შავი დღეები, მიწა-წყალი ისევ რუსის ჯარმა და მისმა მომყოლებმა, რუსების მიერ ნაყიდებმა ჩაიგდეს ხელთ. ვიცით რაც იყო; რა საჭიროა ამ უმაგალითო ბრძოლაზე და ტკივილებზე ხელახლა ლაპარაკი!.. ყველას გულზე სწვრია დაუსრულებელი სახელები განწირულ, გარდასულ გმირთა... მაგრამ საშინელმა უკუნეთმა და წამებამ ვერ მოჰკლა ქართული ქმედობა; ქართული სტილი ისევ მეტყველებს და ცოცხალი ძალები კვლავ ფუსფუსებენ ჩვენს კერასთან. არ უნდა შესწყდეს ჩვენი რენესანსის ხანა, არ უნდა მიძინოს ისევ ქართულმა თქმამ... და ყრილობები იწყებენ გააფთრებულ შეტევას ამ უცნაურ უტეხობის წინააღმდეგ; ისევ გოდებს კახიანი: — მწერლობა ძველს დაეძებს; მას, დაკარგული რაობას უკავშირდება. ტრადიციით, რეაქციით გაყენილია მისი მეობა. ენლა ხუროთმოძღვრება? „რატომღაც (?) მიღებულია, რომ თუ სახლი შენდება, უსათუოდ საჭიროა ქართული სტილის დაცვა... საჭიროა თუ არაა საჭირო იგონებენ სტილს, რაღაც თალებს (?) ვიწრო ფანჯრებით...თურმე (?) ეს სტილიც არის ძველებური, ძველი საყდრებიდან გადმოღებული“... ასევეა თურმე თეატრიც: — „სამწუხაროდ თეატრი ჯერ კიდევ მჭიდროდ ვერ დაუახლოვდა იმას, რაც ჩვენ გვჭირდება“...

როგორც ხედავთ, ბნ კახიანს წარმოდგენა არა აქვს ქართულ სტილზე და „რაღაც“ ვიწრო თალებზე ლაპარაკობს, რომელსაც „რატომღაც“ აკეთებენო. რუსული არქიტექტონიკა კი, თუნდაც მოდერნულიც, მისთვის რასაკვირველია ადვილი გასაგებია. მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა ამ ქართული სტილით დაფრთხობა კახიანისა და გალაშქრება თვით ყრილობაზე ქართული თეატრის, მწერლობის, ხუროთმოძღვრების და სხვ. წინააღმდეგ. ასეთი საშინელი „კრამოლა“ ყველა დარგში



დაბუდებულია და იქნებ სჯობს დეკრეტით ხელოვნების სრული გათავისუფლება კი...

და კახიანი მოჰყვება ავტორიტეტულ განცხადებებს სტალინ-ბუ-ხარინისას (ეს მაშინ კიდევ სტალინთან იყო) და მისი „არგუმენტაცი-აც“ რასაკვირველია ერთხმად „მისაღები“ ხდება.

შემდეგ კახიანის ავტორიტეტს ეფარება დუდუჩავა, ან მუშიშვილი, დუდუჩავას ბუაჩიძე და მიდის ასე იერარქია... ყრილობა კრიტიკისათვის მარტო გეზს როდი იძლევა; ამომწურავ პროგრამას აწვდიან გენმდივნები იმ მიმოხილვათა სერიებისათვის, რითაც ასე აწვალბენ ქართველ მკითხველთ როდიონ-ბუაჩიძეები. თუ წინად კრიტიკოსისაგან არა მარტო ესთეტიურ-ფილოსოფიურ მომზადებას, მხატვრულ ალღოს და მასალის გადახარშვას, არამედ იმასაც კი მოითხოვდნენ, რომ კრიტიკოსი თვით თუ სულ პოეტი არა, პოეტურ ექსტაზით აღტაცების უნარის მქონე მაინც ყოფილიყო, დღეს ყველაფერი ეს ერთბაშად ზედმეტი ბარგი შეიქმნა.

თქვენ უნდა გახდეთ პარტიის გენმდივანი და ყველა ატრიბუტები ესთეტიურ შეფასებისათვის თავისთავად თქვენს ხელთ იქმნება. თქვენ შეგიძლიათ ამ უნივერსალურ-ჯადოსნურ თვისებებში თვით დარწმუნდეთ; — ამისათვის საჭიროა პარტიულ ყრილობათა ანგარიშების გადათვლიერება: ერთმანეთს სცვლიან კალეიდოსკოპიური სიჭრელით და სიმარდით ეს „ბუმბერაზები“, რომლებიც უნებლიე გადახრების შემდეგ სასაცილოდ დავარდებიან, მაგრამ ყველანი ერთი გამბედაობით და რიხით, ავტორიტეტით და პრეტენზიით, ზვიადობით და ცინიზმით ამათრახებენ ქართულ მწერლობის ტრადიციებს. საუკუნოებით გამართლებულ ქართულ სიტყვას უხამსა და ბრახს ანთხევენ. და მდივანი ორჯონიკიძე, ლომინაძე, ორახელაშვილი, კახიანი, ლოლობერიძე — ყველანი ერთსა და იმავეს იმეორებენ გასაოცარი უბადრუკობით და უფრო გასაოცარი და მოსაწყენი ერთფერობით. და აი, ათი წელიწადია ყოველგვარ საბჭოების, კულტმუშაკების, კოოპერატივების თუ პარტიის ყრილობებზე გაისმის ეს „გრგვინვა“ ჩვენი მწერლობის და საერთოდ ხელოვნების დასათრგუნველად, მაგრამ ეს „გრგვინვა“ დამბლადაცემულის ლულულს უფრო ჰგავს, უმწეო და უნიათო ყეფაა უკბილო ძაღლისა. და ჩვენ გვესმის ყველა ამ ყრილობაზე გაუთავებელი ვაება იმის შესახებ, რომ ქართველმა ინტელიგენციამ ვერაფერი ისწავლა, რომ ის ისევ დამპალ ჭაობში იხრჩობა, გახრწნილ რეაქციონურ ჰავით უხამავს არე-მარეს. და „საბუთები“ ფრიად დამარწმუნებელია იმ კაცუნებისათვის, ვინც აქ მოსულა და იერარქიის კიბეზე აცოცხლებს ლამობს. ძირს აბაშელი, გრიშაშვილი, გამსახურდია, ლორთქიფანიძე ისევ ძველებურ ჰაფზე რო მღერიან და საქართველოს ჩასვენებულ ღირსებაზე სტირიან..

არა, ზაჰესებმა ვერ ამოაგეს მანქანებით მათი გრძნობა, ვერ დაადუმეს მათი კენესა ტურბინების ქშენამ...

„უმღერე გენერალურ ხაზს და მის სადღეისო ლოზუნგს, ან სულ დადუმდი“, — აი მოკლე კრედო და დეკრეტი რაც ამ ყრილობებზე გაისმის. მაგრამ ტყუილი გამოდგა გენმდივნების ტრაბახი, რუსული ჩეკის იმედიც გაცრუვდა... როგორღაც ვერ ახდენს ეფექტს ეს რუსული ხიშტით ქართულ მაღლობებზე შეტევა. ჭეშმარიტად უსუსურობის და უბადრუკობის მატარებელია სარდალი, რომელიც ათი წლის განმავლობაში „უკანასკნელს, შეუდრეკელს და ურყევ“ განკარგულებას იძლევა ყოველ ტიპის ყრილობებზე, რომლებიც მინიმალურად თვეში ერთხელ მაინც ხდება. რა იქმნა? რით ვერ მოერივნენ ამ გრიშაშვილ-აბაშელთ? განა ძნელია გამსახურდია-ლორთქიფანიძეების გაძევება?.. რაღა საჭიროა ამ „უკანასკნელ“ შეტევის ამბის კიდევ მესაგჯერ განმეორება?

დიახ, მიხვდა ის დიდ ბობოლებიდან დაწყებული ვიდრე პაწაწკინა, სულ იაფად ნაყიდ აგენტებით გათავებულნი, რომ ეს მაღლობი მატერიალურ სფეროს გადაღმა იმყოფება, რომ მექანიკური „იარაღებით“ შეტევა ამ სულიერ კათეგორიის ფორტებზე სულ უნაყოფო ვარჯიშობაა; რომ შეგიძლია მუსიკოსს ჭიანური თავზე გადაამტვრიო, მაგრამ მის ინდივიდუალურ რაობაში ათამაშებულ ჰანგებს შენს ბრძანებაზე ვერ დააწყობ; აბაშელი-გამსახურდია არ არიან ქართულ მხატვრულ რაობის ატრიბუტები, არიან სხვანი ასნი და ათასნი, რომელთაც იგივე აწვალებს, იგივე თანა სდევს, ატირებს და ამღერებს რაც ამათ. და იცის ჯალათმა, რომ ქართული მწერლობა ახალ მსხვერპლებსაც ვაჟკაცურად აიტანს, ახალ მთქმელთ წარმოშობს და უშიშრად გაჰყვება თავის გზას...

პარიზი, 1930 წ.

იხახარ

დიდი სახეები პატარა ჩაჩოკოებში

მეფე ერეკლეს ქალები

„დაბინდა ხმელთა არენი,
ალარ აქვთ ვარდთა შლილობა“...
ბატონი შვილი მარიამი

იმ სასახელო და თავგამოდებულ ხანგრძლივ ბრძოლაში, როკელ-საც საქართველოში რუსების ბატონობის წინააღმდეგ ერეკლეს ვაჟები აწარმოებდნენ, მათ შესანიშნავ დებს უკანასკნელი ადგილი არ ეჭირათ; შეიძლება იმათ უფრო მეტი სიმწვავეთ აწვათ სათუთ და მგრძობიარე მკერდზე ციციანოვის რუსული ჩექმა; შეიძლება ისინი უფრო მეტი ტრადიკული იერით განიცდიდნენ საქართველოს განგვირგვინებას, სახელმწიფოს სხეულის დარღვევას და ტახტის მოშლას.

და ეს განა ბუნებრივი არ არის? მათ ხომ არა ჰქონდათ საშუალება ძმებთან და ძმისწულებთან ერთად ბრძოლის ყიყინაზე გადასულიყვენ და ან გარეშე ძალებს შემოძლოლოდნენ (ალექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილებივით) და რუსის მხედრობისათვის სასტიკად შეეჭათ, ან შიგნით (ვახტანგ, იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილებთან) საქართველოს სხვა და სხვა ადგილში აჯანყების დროშა აეფრიალებინათ და მტერთ — მოლაღატეთ დარეოდნენ... არა!... ამ სახელოვან ქალთ ასეთი გზით სვლა არ შეეძლოთ (თუმცა დიდებული მეფე ერეკლე ზოგ მათგანს „ვაჟებად დაბადებულს“ ეძახდა: თეკლას). მაგრამ საკმაოდ ბევრია იმის საბუთი, რომ ერეკლეს ქალები ერთი წუთითაც არ შერიგებინან საქართველოში უცხო ძალის გაბატონებას და ამ მოპატიჟებულ სტუმარს, რომელსაც ერთმომწმუნე პატარა ხალხისათვის რაინდული მფარველობა უნდა გაეწია და რომელმაც ნამდვილად მისი სახლი მთლად

მისაკუთრა, — ამ ურცხვ „სტუმარს“ ერეკლეს ქალები მაღალი ზიზ-
ლით უცქეროდნ და მისთვის უხვად ჰქონდათ დაგუბებული ნაღველი
ამაყი მკერდის ქვეშ...

შიდიღება ითქვას, რომ ეს ქალები თავისი უშუალო ინსტიქტით
უფრო ნათლად „ხედავდნ“ იმ ნამდვილ სახეს ეკატერინა მეორესას და
პავლე პირველისას, რომელსაც ისინი თეთრ პარიკებისა და უფრო თეთრ
პუდრის ქვეშ ფარავდნ...

მამა-კაცებს, რომელთაც ამ დროს საქართველოს დიპლომატიის სა-
ქე ხელთ ეპყრათ და დაუღალავად და გულმოდგინედ ტფილისსა და პე-
ტერბურგს შუა მოგზაურობდნ, არა ჰქონდათ საკმაოდ შეთვისებული
რუსული დიპლომატიის წესები; ამ უკანასკნელს ხომ პირმოთენობა,
ფარული და დაფარული ზრახვა უფრო ახასიათებდა, ვიდრე რაინდო-
ბა, „მფარველად“ მოვლინებულს რომ უნდა ჰქონოდა. ამიტომ ჰვავჭა-
ვაძე და ავალიშვილი, მძიმე ღრამოტანი აქეთ-იქით რო დაჰქონდათ, სრუ-
ლებით ვერ ამჩნევდნ, რომ მათ თვალის ასახვევად დაატარებდნ და
„წყალობათ“ ნამდვილი ღრამოტები კი კნორრინგს*) პირდაპირ მი-
დიოდა ლინიაზე და კავალენსკის**) ტფილისის სასახლის კარზე, საცა
ის მოუთმენლად ელოდა მეფე გიორგი მე-13-ის სიკვდილს; და პავლე
1-ის „მაღალ“ სურვილის თანახმად ყველაფერს ამზადებდა, რომ ბა-
ტონიშვილი დავითი რუსულ ღენერლის მუნდირითაც დაკმაყოფილე-
ბულიყო და საქართველოს ტახტი კი რუსეთს მუზეუმში მოსათავსებ-
ლად გარდაეგზავნა.

კარზე მომდგარი საფრთხე, საუბედუროდ, ბევრმა მაინც ვერ დაი-
ნახა და ვერც იმ გარემოებამ გამოაფხიზლა, რომ გიორგის სიკვდილის
შემდეგ დავითი ტახტზე აღარ აუშვეს და — ინვესტიტურებს მანამდე
ალოდინეს, ვიდრე თვითონ შეპყრობილი ვახტანგ ბატონიშვილთან ერ-
თად რუსეთში არ გაგზავნეს...

მაგრამ ამ გულუბრყვილობით და დიდი რუსეთის „რაინდობის“
ილუზიებით ყველანი არ ყოფილან შეპყრობილნი ერეკლეს სასახლე-

*) რუსეთის ჯართა მთავარსარდალი კავკასიის „ლინიაზე“ საქა-
რთველოს ტახტის გაუქმების შემდეგ პირველი მმართველი საქართვე-
ლოსი.

**) რუსთა ელჩი საქართველოს კარზე. გიორგი მე-13 გარდაცვა-
ლების შემდგომ კი კნორრინგი მთავარი რწმუნებული საქართველო-
ში; ციციანოვის დანიშვნის შემდეგ (12 სექ. 1802 წ.) კნორრინგთან ერ-
თად ესეც გადაყენებული იქნა.

ში და ერთი ნაწილი მაინც შიშით და გულისძვერით უცქერდა რუსთა იმ ბატალიონებს ტფილისში რომ იდგა და სახელმწიფო საბჭოს მიერ კნორრინგის გამოგზავნას ვითომდა ადგილობრივ მდგომარეობის შესასწავლად.

ამ ჯგუფს უფრო ძველი, ნაცადი გზა და ორიენტაცია ერჩივნა იმ „შეჩვეულ ლხინს“, რომელსაც ჭავჭავაძე და ავალიშვილი რუსეთიდან ჩამოტანილ ღრამოტებით ჰპირდებოდნენ საქართველოს და ბაგრატიონებს.

ამ ჯგუფს, ამ ანტირუსულ მიმართულებას სწორედ ქალი უდგა სათავეში და ეს ქალი იყო დარეჯან დედოფალი, რომელსაც თვისი ღირსეული და მრავალრიცხოვანი ვაჟების და ქალების ხომლი ერტყა... მაგრამ ყველაზე უფრო ახლო მასთან მაინც მისი ქალები იყვნენ და სწორედ ისინი აძლევდნენ ძალას და მხნეობას საყვარელ დედასა და დედოფალს.

საინტერესოა რამდენიმედ მაინც გაცნობა ამ ქალთა განცდასთან და დაწვედნა მათ კეთილშობილ ვაებად, საქართველოს განგვირგვინების გამო რომ აღმოხდენიათ განსაკუთრებით მარიამს, ქეთევანს და თეკლას (რამდენადაც ეს მათი დღემდე აღმოჩენილ პოეტურ შემოქმედებიდან გამოსჭვივის) *). ამათ ერეკლეს სახელისა და ძლევაშობილების ამბები ჯერ კიდევ ცხოვლად ახსოვდათ, რომ ასე ერთბაშად შერიგებოდნენ შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობას. ეს ქალები ყოველის მხრივ ღირსეულ მამის მაღალ ტრადიციების მატარებლები იყვნენ, თან დედის სიმტკიცე და კეთილშობილი თავმოყვარეობა უხვად ჰქონდათ გადმონერგილი, და მონობას, თუნდაც დიდ ფუფუნებაში განვეულს, ისინი წუთითაც ვერ აითვისებდნენ... მაგრამ პოლიტიკურ ასპარეზზე მათი მოქმედების საშუალება შემოფარგლული იყო და განსაკუთრებით შევიწროვდა დედოფალ დარეჯანის გადასახლების შემდგომ.

მაინც უნდა ვიფიქროთ, რომ ქეთევან ბატონიშვილთან ერთად, (ქერივი იოანე მუხრან-ბატონისა და დედა კონსტანტინესი), მისი დები და რძლებიც იღებდნენ ახლო მონაწილეობას მაშინდელ შეთქმულებაში რუსთა წინააღმდეგ.

*) ჩვენ ვერას ვამბობთ ერეკლეს დანარჩენ ქალების — (ეკატერინა, ანასტასია, თამარ) შესახებ, რადგან მათ სამწერლო პოეტურ მემკვიდრეობას ვერსად შევხვდით; რასაკვირველია, საფიქრებელია, რომ ბაგრატიონთა მწერლობრივ ტრადიციას არც ისინი იყვნენ მოკლებული...

ქეთევანმა კი არა ერთხელ დაიმსახურა საყვედური, გაფრთხილება და ბოლოს რისხვაც კი არა მარტო ციციანოვისა, არამედ თვით ხელმწიფე ალექსანდრესიც კი; განსაკუთრებით, როცა გამოირკვა მისი მონაწილეობა 1804 წლის აჯანყებაში.

ამ აჯანყებაში, როგორც ვიცით, ქეთევანის ვაჟი კონსტანტინეც დიდ მონაწილეობას იღებდა და არა მარტო ალექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილთა ჰქონდათ მასთან კავშირი, არამედ თვით ფეხტ-ალი ხანიც (ბაბა-ხანი, შაჰი სპარსეთისა) მასზე დიდ იმედებს ამყარებდა...

ქეთევანის პირადი მსახური ყოფილა შიკრიკი და საიმედო პირი ამ შეთქმულების დროს. ამ შიკრიკს თვითონ წამოუღია სპარსეთიდან ბაბა-ხანის ფირმანები, რომლებიც შაჰს არაგველებისათვის, ოსებისათვის, ფარნაოზ ბატონიშვილისათვის, თამაზ ორბელიანისათვის და თვით ქეთევანის ვაჟისათვის (კონსტანტინესათვის) გამოეგზავნა.

ეს ფირმანები ცეცხლად-ანთებული მოწოდებებია რუსთა წინააღმდეგ ასამხედრებლად და მათ გასაჟღერად. ბაბა-ხანი ქეთევანის ვაჟს რომ დიდ როლს აკუთვნებდა, ეს იქიდანაც სჩანს, რომ მას თითქმის სიტყვა-სიტყვით იმასვე სწერს, რასაც ბატონიშვილ ფარნაოზს, რომელიც მთიულეთის 1804 წლის აჯანყებას მეთაურობდა.

შაჰი დიდ მადლობას უცხადებს კონსტანტინე მუხრან-ბატონს გაწეულ ერთგულება-სამსახურისათვის და დიდ წყალობასაც ჰპირდება საქართველოდან „გიაურ რუსების“ გარეკისა და ქართულ სახელმწიფოს აღდგენის შემდეგ; იყავით მხნედ, როგორც აქამდე ყოფილხართო, სწერს ბაბა-ხანი, არ შესწყვიტოთ დაულალავი წინააღმდეგობა რუსებისადმი... ვით აქამდე, აწიცი ჩაუნგრით რუსის მხედრობას ხიდებში და მოუჭერით გზები, რომ ვერც ერთი ველარ გაგვექცესო... (იხ. აქტები“, ტ. 2, გვ. 818).

ეს შაჰის ფირმანები საყურადღებო ინსტრუქციებით, და უნდა ვიფიქროთ, თვით ალექსანდრე, თეიმურაზ და ლევან ბატონიშვილთაგან გამოგზავნილ დავალებებით, სპარსეთიდან ქეთევანისათვის გადმოუციათ, მაგრამ უკვე მოგვიანებით (1804 წლის დეკემბერში). ამ დროს კი საქართველოში უკვე საშინელი რეაქცია მძვინვარებდა.

ციციანოვი, რომელიც მაშინ საქართველოს დიდ რისხვად მოეგლინა, შეშინებული, რომ საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში (განსაკუთრებით კი მთიულეთში და ოსეთში) აჯანყება საშიშო სახეს იღებს და თვით ტფილისსაც ემუქრება, რომ დარიალის ხეობა დაჰკეტეს და რუსთა გზები მოუჭრეს და მრავალი სტრატეგიული ადგილი უკვე აჯანყებულთა ხელშია, — ხსნის ალყას ერევანს და დიდძალი ჯარებით ისევ საქართველოსაკენ გამოემუშრება ამბოხების ჩასაქრობად... კონსტანტინე მუხრანთან ერთად, რასაკვირველია, მისი დედა ქეთევანიც დიდ ეჭ-

ვების ქვეშ ჰყავდა მრისხანე ციციანოვს, რის გამო ამ დავიანებით მიღებულ ფირმანთა დანიშნულებსამებრ გადაცემა ბატონიშვილმა ქეთევანმა ველარ შესლო და იანვარში 1805 წ., აჯანყების ცეცხლითა და მახვილით ჩაქრობის შემდგომ, ეს წერილები სხვა საეკვო მასალებთან ერთად ციციანოვმა აღმოაჩინა. ამასთან დაკავშირებით ციციანოვმა პირადათ მოახდინა დაკითხვა ტყვედ ჩავარდნილ ფერნაოზ ბატონიშვილისა, რომელიც მთიულეთის აჯანყების სულისჩამდგმელი იყო და გამოარკვია, რომ ქეთევან ბატონიშვილი მის ძმასთან, ალექსანდრე ბატონიშვილთან, ამ ამბოხებათა გამო მიწერ-მოწერაში იყო და სხვათა შორის ქეთევანი აჩქარებდა ბატონიშვილს საქართველოში შემოსატრელებად; ალბად იმ მოსაზრებით, რომ რუსების ჯარის დიდი ნაწილი და კერძოდ ყველაზე უფრო დიდი საფრთხე — ციციანოვი, ამ დროს საქართველოს საზღვრებს გარეშე იმყოფებოდენ (ერევანთან). ამის გამო ციციანოვმა ბატონიშვილი ქეთევანი თავის სასახლეში დააპატიმრა და მისი საქმეც საიდუმლო საგამომძიებლო კომისიას მიანდო*). ქეთევანის შესახებ ცნობებს გენერალი ციციანოვი 29—1—1905 წ. ხელმწიფე ალექსანდრე პირველს აწვდის და ითხოვს ამ ღონისძიებათა (დაპატიმრების) სანქციას, რაც, რა თქმა უნდა, მიიღო (აქტები 2)**). ციციანოვი გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ ბატონიშვილი ქეთევანს, რასაკვირველია, უფრო სასტიკ მოპყრობის ღირსი იყო, მაგრამ შიშობს: — ვაი თუ ამით უფრო გააღიზიანოს „ქარაფშუტა“ და „ყოველ ჭორებს ადვილად ამყოლი“ ქართველი ხალხი...

*) ამ კომისიას ციციანოვმა პირველ ჩვენებათა მთელი მასალები ჩააბარა და განსაკუთრებული ინსტრუქციაც მისცა, რომლის მეორე მუხლში ის შეთქმულების მონაწილე ბატონიშვილ ქეთევანს ეხება. (იხ. აქტებში, ტ. 2 — 2 — 1805 წ. წერილი ციციანოვისა კომისიის თავჯდომარე ტარასოვისადმი.

***) 21 მარტს 1805 წ. მინისტრი კოჩუბეი ხელმწიფე ალექსანდრეს დავალებით ციციანოვს უბასუხებს: — „შესახებ ბაბა-ხანის ფირმანებისა და არა-კეთილ (აღმაშფოთებელ) განწყობილებისა ბატონიშვილ ქეთევან მუხრანისა გაუწყებთ: ხელმწიფე იმპერატორმა ბრძანა: — ეს ფირმანები, თანახმად თქვენის სურვილებისა, უკანვე დაგიბრუნდესთ და ამავე დროს ინება მოწონება იმ ღონისძიებათა, რომელთა მიღებაც თქვენ საჭიროთ დაინახეთ, რათა აღგეკვეთათ ბატონიშვილ ქეთევანის მავნებელი მოქმედებანი და საზოგადოთ მოიწონა ზომები მისდა შესაყენებლად ყოველგვარ საწინააღმდეგო ნაბიჯებისაგან“

სწორედ ამ პატიმრობის ხანას უნდა ეკუთვნოდეს ბატონიშვილ ქეთევანის მრავალ-მხრივ შესანიშნავი ლექსი: — „ჰოი ვითარ ვსთქვა“... საერთოდ ერეკლეს ქალებმა (ქეთევან, მარიამ, თეკლა) ღირსეულად და დიდი სასიკეთოდ შეინახეს ბაგრატიონთა მწერლობითი ტრადიცია და ზოგი მათი ნაწარმოები ბევრით მაინც არ ჩამოუვარდება მათი ძმების (ფარნაოზ, მირიან, იოანეს) და ძმის შვილების (დავითს, ბაგრატს) პოეტურ შემოქმედებას *).

ბაგრატიონების პოეტური მემკვიდრეობა, რომლითაც ქართული მწერლობა გამართლებულია და კერძოდ კი ერეკლეს და გიორგის ოჯახთა ლირიკა ბევრ მხრივაც შესანიშნავი და თან უკეთილშობილეს პატრიოტულ განცდათა გამმალვიძებელი...

მაგრამ მათში შეიძლება ერეკლეს ქალების პოეზია უფრო ბევრის და ნათესაურის მთქმელია დღეს ჩვენთვის... ქეთევანის — „ჰოი ვითარ ვსთქვა“-ც ამის საუკეთესო ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს:

„ჰოი ვითარ ვსთქვა განსარკრთომელი,“ მოსთქვამს ის: —
 „ჩემის სიცოცხლის დამამცრობელი,
 „**ჩრდილოთ** ვიხილეთ მცირე ღრუბელი,
 აზიის მთიებთ დამბნელებელი,
 „**ბედნიერთ პალატთ დამამხოზბელი,**
 „მშვენიერთ წალკოტთ არ მფურჩენებელი,
 „ჰოი ვითარ ვსთქვა...“

ეს „ჩრდილოეთიდან“ წამოსული ღრუბელი, რომელიც „მფარველად“ უნდა მოვლინებოდა განაწამებ ივერიას, ქეთევანს — თავის დედა დარეჯან დედოფალთან — თავიდანვე „მთიების დამბნელებლად“ მიაჩნდა და კარგად იცოდა, რომ „ბედნიერთ პალატთ დამამხოზბელი“-ც იქნებოდა ეს დიდი და უტრადიციო სახელმწიფო... ამიტომ უდგნენ ირაკლის ქალები მხრებში საყვარელ და შორსმჭვრეტელ დედას.

საუბედუროდ, გადაჭარბებული სიუხვით გამართლდა ამ ქალთა წინადგრძნობა: მოვიდა ის ჩრდილოეთიდან მოწოლილი „ღრუბელი“ და საქართველოში უჩვეულო სუსხი მოჰყვა მას ციციანოვის სახით — და

* საშუალოდ, „ქართ. მწერლ. ანთოლოგია“-ში ტ. 2, რომელითაც ჩვენ გვიხდება სარგებლობა, ყველა ის ლექსები არაა მოყვანილი, რაც პატივცემულ პროფესორ ექვთ. თაყაიშვილს მოხსენებული აქვს თავის „ოპისანიე“-ში, ტ. 2.

„აღმოფხვრნა ვარდნი, უცხოდ ნაზარდნი,
„თვისთა მამულთა ჰყო განავარდნი“...

სჩივის ბატონიშვილი ქეთევან და დასძენს:

„ალარ ჰყვავიან ზამბახნი, ვარდნი,
„განჰჭრივნა ყოვლგნით, მკლავს მათნი დარდნი,
„მათი მგონები აწ, გულო, დადნი,
„არ გაქვს წამალი მამთელებელი“...

საქართველოს წალკოტში, მის წიაღში „გაფურჩქნელი და ნაზარდი“ — მისი სიამაყე და დამამშვენებელი იყო მისი დამოუკიდებლობის ემბლემის მატარებელი, მუდამ მის წინარეგებში მდგომი მეფე ერეკლეს ოჯახი და სწორედ მას დაედგრა ყველაზე უფრო სასტიკად გენერალი ციციანოვი. მან არ იკმარა თვით ალექსანდრე პირველისაგან მისთვის პირადად ბოძებული ინსტრუქცია მეფის ოჯახის ზოგ სახიფათო წევრთა რუსეთში გადასახლებაზე და თვითონ აცნობა პეტერბურგს, რომ საქართველოში მინამ არ იქნება მშვიდობიანობა, ვიდრე ყველა ბაგრატიონს არ გადავსახლებ აქედანო. და მანაც რკინის ხელით დაუწყო საქართველოს სახელმწიფოს სხეულის დაშლა. პავლე პირველის მიერ ნაჩქარევად გამომუშავებული, ხოლო ალექსანდრე პირველისაგან უფრო დახვეწილი „მანიფესტი“ არა ჰკმაროდა; საჭირო იყო ტახტის განიავებით ბაგრატიონთა მუსრის გავლება და ამავე დროს მათი ქონებრივი „განაიარალება“-ც; და მან მათი სიმდიდრე მალე სახაზინოდ გამოაცხადა და ცარიელზე დარჩენილ ბატონიშვილებს, მათი ურიცხვი ოჯახებით, „ულუფას“ რუსეთში ჰპირდებოდა. ამსვე დროს საქართველოს სუვერენობის ერთგულთ უღმობელი ტირანი მკერდს ცინიზმით უგმირადა.

ქეშმარიტად, რუსეთის ტახტი უკეთეს დამცველს და უერთგულეს ვერავის იშოვიდა და ვინ იცის — შესძლებდა უმისოდ რუსეთი მოტყუილებით ხელში ჩაგდებულ საქართველოს მტკიცედ დანარჩუნებას? — გვგონია რომ ვერა. (ისტორიკოსი ფ რ ო ნ ე ლ ი თვითმპყრობელობის დროსაც კი ახერხებდა ამ იტყუების აშკარად გამოთქმას; იხ. „კახეთის ამბოხება“-ს შესავალი).

იმ დროს როცა ბატონიშვილი ქეთევან ამ მწარე სიმღერას ამბობდა, ციციანოვს უკვე შესრულებული ჰქონდა თითქმის მთლად თავისი დანაპირები რუსეთის კარისადმი: — გადასახლებული იყვნენ დავით (საქართველოს ტახტის მემკვიდრე) და ვახტანგ ბატონიშვილები, რომელთაც თავის ნებით ქეთევან კონსტანტინეს ასულიც („კარგი“ ვახტანგ,

ირაკლის ვაჟის ქვრივი), დედოფალი მარიამ, ბაგრატ ბატონიშვილთან და ყველა დანარჩენ მის შვილებთან ერთად, დარეჯან დედოფალი და უკვე დაპატიმრებული მოზდოკისაკენ მიჰყავდათ 1804 წლის აჯანყების გმირები იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილები, ხოლო მეორე წყება ბატონიშვილთა კი სპარსეთში იყო გადახვეწილი...

ამავე დროს, არ უნდა დავივიწყოთ, რომ საუკეთესო ნაწილი და აქტიური წევრნი მაშინდელი პოლიტიკური ცხოვრებისა, თვითონ სტოვებდენ საქართველოს და დედოფალთან და ბატონიშვილებთან ერთად „ნებაყოფლობით“ ექსორიაში მიდიოდნენ... მათ არ სურდათ ერის ბელადების დატოვება და რუსეთის წინაშეც მარტო ეს საშუალება-და დარჩენოდნენ პროტესტის გამოსახატავად: — თქვენ მიერ „დახსნილ, გაბედნიერებულ“ საქართველოში ყოფნას გვირჩევენა ჩვენს გადასახლებულ ბატონებს თან ვეახლოთო...

წარჩინებულთა მეორე ნაწილი კი ბატონიშვილ ალექსანდრე და თეიმურაზთან გარბოდა და „ბედისწერის შეტრიალებას“ უცდიდა.

მწარე იყო მაშინ საქართველოს ყოფა, განსაკუთრებით იმ უსაშინელეს ეგზეკუციებით შეწუხებულის, რომელიც გენერალ ციციანოვმა მთიულეთს გასანადგურებლად მიუსია. ამიტომაც არის ასეთი უსაზღვრო პესიმიზმით დატვირთული ქეთევან ბატონიშვილის მაშინდელი შემოქმედება...

იმ დროს, როცა საუკეთესო შვილნი საქართველოსი რუსეთმა უწყალოდ „აღმოფხვრნა“ და „თვისთა მამულთა ჰყო განაგარდნი“, თვითონ ქეთევან ბატონიშვილსაც არ ასცილდა შავი დღე: —

„მეცა მეწია ბედით ჩემითა,
ამბობს ის: —

„მიმცა პატიმრად წვიმის ცრემლითა,
„მათთვის ცეცხლითა არ მწვავს ნელითა,
„ვინცა არს ჩემი მაცოცხლებელი“...

თუ რამდენად ჰუმანიური და „რაინდული“ იყო რუსის დარაჯების და განსაკუთრებით ციციანოვის მიერ მიჩენილ გამოძიებულ-ჯაშუშთა მოპყრობა ამ ყოველად ღირსეულ ქალისადმი ამ ლექსის შემდეგ ადგილიდანაც სჩანს: —

გუშავნი მრავლად ჩემთვის მცველობენ,
სხვა და სხვა ჰაზრით გველებრ ჭრელობენ,

არ მცემენ ნუგეშს, მსწრაფლად მწყრალობენ,
მათნი მახვილნი გულსა მჭრელობენ,
კვლავ სხვანი მოვლენ, სადგურს მცველობენ,
მკმუნვარეს გულის დამწყლულებელნი“...

აქ აშკარად სჩანს ციციანოვის მიერ მიღებულ ზომათა უსაზღვრო სისასტიკე ქეთევანის გამოსატყეხად.

რუსეთისათვის ნათელი იყო, რომ ქეთევანმა ბევრი რამ იცოდა შეთქმულების შესახებ, რომ ერთ დროს მისი მეშვეობით იყო გაბმული მთავარი ძაფები სპარსეთიდან ტფილისამდე და მთიულეთამდე... რომ ძირები აჯანყებისა კიდევ არ იყო მთლად ამოგდებული (რაც მალე და-დასტურდა) და ალექსანდრე ბატონიშვილი ამ დროს მირზა - ხანის დახმარებით ბორჩალოში და ყაზახში შემოქრას ლამობდა ტფილისის დასამუქრებლად... მაგრამ ქეთევანი მათ ვერ გასტეხეს და სამაგიეროდ ეხლა რუსეთში გადასახლებით დაუწყეს წამება: —

„არ დამაჯერა აქ პატიმრობას,
ესდენ უწყალოდ განაწირობას,
უთმინოს სევდით გულის შეპყრობას,
მსწრაფლად მპირდება ჩრდილოდ მგზავრობას,
უცხოს, მწირს ადგილს გრძლად სადგურობას,
მყისვე სიკვდილის ვარ მახლობელი“...

და ყოველ მხრივ განაწამები, უიმედოთ მიტოვებული, გლოვით მიმართავს სამშობლოს ერთგულ შვილთ და მარტო გლოვასვე ითხოვს მათ განაც: —

„აწ მე მიგლოვეთ სატროფონო ძმანო,
ყოვლნო მოყუასნო და ზრდილნო ყმანო“...

ქეთევან ბატონიშვილის პატიმრობისას აღმოხეთქილი კვნესანი არ დარჩენილან გამოუხმაურებლად და ყველაზე უწინ მას ეს ხმა იმ ქალმა მისცა, ვისაც მისებურად ძლიერ სწვავდა ცეცხლი „სადავითო მტილის აღმოფხვრისა“, ვინც ქეთევანის გულის თქმასთან და ზრახვებთან ბავშობიდანვე აგრე-რიგად შეზრდილი იყო. ეს გახლდათ თეკლა ბატონიშვილი, მეფე ერეკლეს ყველაზე უმცროსი ქალი, განთქმული შეუღარებელ სიკეკლუტე-სილამაზესთან ერთად თვისი ვაჟური მხნეობით, შემძლეობით და უცნაური სითამამით. ცნობილია, რომ თვითონ ერეკლე „ვაჟაკს“ ეძახდა და 16 წლამდე ვაჟურად ჰყოლია ჩაცმული და თა-

ვისთანაც ხშირად უტარებია მოგზაურობის თუ ლაშქრობის დროს*).

თეკლა ყოფილა სამაგალითო მხედარი ქალიც, რომლის შესახებ მრავალი ეპიზოდია შენახული. ის იყო ცოლი ვახტანგ ორბელიანისა, რომელიც დედოფალ დარეჯანს გადასახლებისას თან გაჰყვა პეტერბურგს. მას სამი ვაჟი ჰყავდა: ცნობილი პოეტი ვახტანგ ორბელიანი, ისტორიკოსი ალექსანდრე და დიმიტრი. თეკლას გასაოცარი სიმხნე-მშვეენებაზე უცხო ლიტერატურაშიაც ბევრი ცნობაა...

ბატონიშვილი თეკლა თავის ლექსში „პასუხად ქეთევან ბატონიშვილს“, კიდევ უფრო ცხოვლად და მუქისფერებით გადმოგვცემს თავისი დის ტყვეობის ამბავს, მტრების სისინს და მისი ვაების და გლოვის მიზეზს. აქ თითქმის ყოველ ცალკე ხანის მეტი ხაზგასმით განმეორებაა:

„სტირ შესაწყალად წალკოტთა რგულთა,
ნათქვამია ამ „პასუხში“: —

ზამბახთა თხზულთა, უზადოდ მკულთა
თვისთა მამულთა აწ განკარგულთა...
იგლოვ მაღალს ტახტს, ვაჟ წახდომილს,
დიდებულს პალატს, მსწრაფლად დამხოზილს,
შვების სიხარულს, ტრფობით შეტკობილს,
ეტლს დაბრუნებულს, მოყვასთგან გმოზილს,
გსურს მყის სიკვდილი, გულ-ლახვარ ცემულს,
აღარა გნებავეს სიტყვის გებანი“...

და თუმცა ბატონიშვილ თეკლასათვის ოდნავადაც არაა დაფარული აუტანელი ყოფა საყვარელ დისა, მუქარა რუსეთის მაღალ მოხელეთა მისი „ჩრდილოდ“ გამგზავრებაზე „გრძლად სადგურობის“ მიზნით, მაგრამ ის მაინც არ სთვლის საქმეს წაგებულად და ქეთევანისებურ უსაზღვრო პესსიმიზმს არ ეძლევა, ცოტათი უსაყვედურებს კიდევ და ეუბნება: „ აბა, რადა გაქვს —

*) თეკლა დაიბადა 1776 წელს; როცა ის 4 წლისა იყო ერეკლემ მას ხუმრობით სიგელი უბოძა, რომლის ძალით მას „თეკლა-ბიჭი“ დაარქვა, და ამიერიდან ყველასაგან ასეც უნდა ყოფილიყო ცნობილი; ეს სიგელი დაუმტკიცებიათ თეკლას ბიძათ; კათალიკოს ანტონს და ბატონიშვილ იულონს.

„გუშავთ სიმრავლით თვალთა შინება,
მათგან უწყალოდ ჭირთა სმინება;
რადგან ჩრდილოთ მზემ ესრეთ ინება,
კრძალვით ითმინე სახმილთ გზნებანი“...

მას იმედი აქვს, რომ მზე ხელ-ახლა გამოანათებს და ქეთევანის გა-
ნჯა გამოსყიდული იქნება; ხოლო ეხლა კი მარტო მოთმინება, ატანა და
გაძღვებაა საჭირო...

ეს „ნუგეში“ გარკვევით არას იძლევა, არას ამბობს: საიდან, რა
გზით იქნება ხსნა, მაგრამ მაინც საკმაოდ აშკარაა თეკლას გულის მო-
ლოდინი და დღესაც ზოგ რამეს ეტყვის ჩვენ გულსაც ამ ჭირთა დაუს-
რულებელ მოთმინების შესახებ...

პატიმარს რისი მოლოდინი უნდა ჰქონოდა?:

„რად გკვირს პატიმარს მწუხარებანი,
მცირე ხანს ლხინთა განმწარებანი“

კითხულობს ის და ბოლოს მაინც გაუტეხელად დასძენს: —

„ნუ სწუხ, დაშრტება ცეცხლთა ღებანი“-ო

სამშობლოს დიდების დაცემით და „ძველთა პალატთა“ რღვევით
გამოწვეული პესსიმიზმი ქეთევანისა მისს მეორე დას, ბატონიშვილ
მარიამს უფრო ენათესაება, ვიდრე თეკლას.

შეიძლება ითქვას, რომ სწორედ მარიამ ბატონიშვილი იყო ერეკ-
ლეს ქალებში ყველაზე უფრო უხვად დაჯილდოვებული პოეტური ნი-
ჭით (მარიამი იყო მეუღლე ქალაქის მოურავის დავით ციციშვილისა).
ის დროშასავით გაშლილი პესსიმიზმი, მაღალი სტილი და გამართული
პოეტური ფორმა, რომელიც შემდეგ თაობაში პოეტ ვახტანგ ორბე-
ლიანს (თეკლას ვაჟს) ახასიათებდა, უხვად პოულობს სათავეს მარიამის
შემოქმედებაში.

შედარებით უფრო ნაირი პოეტური ღირსება, ღრმა პატრიოტულ
გრძნობათა უშვალლობა ლირიკაში და სევდის გულ-გამგმირავი სისადავე
ახასიათებენ ბატონიშვილ მარიამის შემოქმედებას. და ამიტომაც ვი-
მეორებით, რომ ერეკლეს პოეტ ქალთა შორის უდავოდ პირველ ადგილს
იჭერს იგი; ყოველ შემთხვევაში, იმ სამწუხაროდ არც თუ მდიდარ მასა-

ლების მიხედვით, რაც დღემდე ცნობილი და გამოქვეყნებულია*).

ქართლის საბედისწერო „ეტლში“—ა უმთავრესი და შეიძლება ითქვას, ამომწურავი მოტივი მარიამის კეთილშობილ ლირიკისა: და დღეს ამ „ეტლმან“ უსამართლოდ — სჩივის ბატონიშვილი: —

დასთრგუნვა ჩემი დღე-კეთილობა,
ბნელ ჰყო ქართლოსის ძვირფას მტილობა,
„აღღებვა წალკოტსა ვარდთა შლილობა,
მესისხლე მარისხ აქვს ხმალ-წვდილობა“...

მართალია, ციციანოვი (და ხელმწიფე ალექსანდრე პირველიც) ყველა მიმართვაში და ყოველ შემთხვევის დროს იმეორებდა, რომ ბატონიშვილები რუსეთში ბევრად უკეთესს პირობებში იცხოვრებდნენ, ხელმწიფურ დიდებას და პატივს მიიღებდნენ და ყოველ „ბედნიერებით“ მათ ყელამდე აავსებდნენ, — მაგრამ ბატონიშვილებში არ აღმოჩენილა არც ერთი, რომელიც ამ „ფუფუნებას“ და „ოქროს მთებს“ დახარბობდა; წინააღმდეგ — არც ერთი იმათგანი რუსეთს ნებით არ დამორჩილებია და არ წასულა. არ აპყოლია ზოგთა რჩევა-დარიგებას, რომ საქმე უკვე წაგებულა და როგორც სხვებს, იმასაც ბოლოს დაპატიმრებულს რუსეთში წაიყვანდნენ და სჯობიან ნებას დაჰყვეს და „წყალობებზე“ უარს ნუ იტყვის...

არა! ყოველი მათგანი ბრძოლით სტოვებდა თვითეულ კვალს სა-

*) ბატონიშვილ მარიამის ნიჭის მრავალფერობის საბუთად პრ. ალ. ხახანაშვილის ცნობაც ჩაითვლება, რომ მარიამი „ეროტიულ ლექსებსაც სწერდა“—ო. სამწუხაროდ, არსად შეგვხვდებოდა ეს ლექსები და ვეჭვობთ, რომ გამოქვეყნებულაც იყვნენ. ამისი ღირსი კი უეჭვოდ არიან ისინი — თუნდაც იმ მცირედი ნიმუშის მიხედვით, რომელიც პრ. ხახანაშვილს მოჰყავს (თუმცა ს. გორგაძის მიერ გამოცემულ ბესიკში (1912) ეს ლექსიცაა მოთავსებული („ეტრფის მთიება“) ასე რომ გორგაძე ამ ლექსს ბესიკს აკუთვნებს): —

„მეყნოსა ოდეს სურნელება თმისა შენისა,

მყისვე ვაცუდდეს მრავლადობა ჩემის სენისა“... (იხ. გვ. 527).

აქ ძლიერი ხაზმოსმითაა მოცემული იმ „ეროტიკის“ სათავე, რომლითაც ერთი საუკუნის შემდგომ ასე უხვად სარგებლობდა ჩვენი მოდერნული პოეზია (ი. გრიშაშვილი და მისი სკოლა).

ბატონიშვილი მარიამ გარდაიცვალა სამწუხაროდ მეტად ადრე (1810 წ.), ასე რომ მისი მრავალმხრივ შესანიშნავი ნიჭი საკმაოდ გაფურჩქნას ვერ მოესწრებოდა.

ქართველოს მიწისას და სწორედ დაბატიმრებას — ძალად გაგზავნას, ციციანოვის უხეშ და ტლანქ „შემოკერის“ დამორჩილებას ამჯობინებდა...*) ამიტომაც, რომ მგოსანი ქალები ერთნაირად დასტირიან ყველა ამ გარდახვეწილთა ბედს; ჩვენ ვნახეთ — თუ როგორ იღვრებოდნენ მათთვის ცრემლად ქეთევან და თეკლა; მოვუსმინოთ ესლა მარიამსაც:

„ედემის ბაღსა ზრდილნი ყვავილნი,
ვარდნი კოკობნი, ნაზად გაშლილნი,
გულ დამატკობლად ახლად ფურჩენილნი,
ვაჰმე, უწყალოდ მევეს აღმოფხვრილნი,
შორად მიმტაცეს მე მათნი ჩრდილნი...“

და კიდევ —

„ჩრდილოს კერძომან საბავთო ქარმან,
მძვინვარედ მქროლმან და დაუწყნარმან
ჩემნი მთიები ჰყო გარის-გარმან
მიმოაბნივნა შავბედის ღვარმან“...

და განა ამის შემდეგ გასაგები არაა პოეტი ქალის დიდი ვაება? განა მისთვის ვისმეს მოეპოვება კიდევ ნუგეში? არა...

„ჩემსა მომლხენსა“ , განაგრძობს ის, „ვერა ვსჭვრეტ მთვარეს,
ამად ვზი დავსტირ; ვღვრი ცრემლს მდულარეს,
ვინ მანუგეშებს მარად მწუხარეს?
მრისხანე ჯალათთ აქვთ ხმალ-წვდილობა“...

მამულის ერთგულნი, ტახტისა და საქართველოს დროშის მცველნი, რომელთაც საუკუნოებრივ თან მოჰქონდათ ჩვენი ერის დიდება ან შორს იყვნენ გარდახვეწილნი, ან ციხეებში ჩაყრილნი და უფრო მეტად კი ბრძოლებში გმირულად დახოცილნი; საქართველოში კი პარპაშებს მარტო ჯალათი და მასა აქვს „ხმალ-წვდილობა“... აი, ვინ დაეპატრო-

*) თუ დარეჯან დედოფალმა, რომელმაც ყველაზე მეტი წინააღმდეგობა გაუწია ციციანოვს, ბოლოს „წაბრძანებაზე“ ორბელიანს თანხმობა განუცხადა. ამას თავის მიზეზები ჰქონდა, რაზედაც სხვა დროს გვექნება შემთხვევა გამოვსთქვათ ჩვენი აზრი.

ნა მას, ვის დარჩა დღეს ის, ვის საჯიჯგნად გამხდარა ჩემი ედემის მსგავსი ქვეყანაო, ვალალებს მგოსანი: —

„ჩემი წალკოტი აყვავებული,
ყვავილთ სიმრავლით გამშვენებული,
იქმნა, ამაღ ვსტირ ცეცხლ-მოდებული,
ოთხ კიდე სახელ განდიდებული,
ვამე მათგან მოოხრებული,
ვის შეხვდა მათი მოადგილობა?“

(იხ. „პოი დამწარდეს დროთა ტკბილობა“).

და უნუგეგმო პოეტი მოსთქვამს, თუ რად შეესწრო დიდებულ სამშობლოს აგრე დაცემას და მოოხრებას!

მართალია, წინადაც ხშირად უნახავს საქართველოს ბნელი დღეები, მაგრამ მაშინდელი მტერი ახლად შემოჭრილს არა ჰგვანდა; მართალია, ის ქვეყანას დაარბევდა, გადასწვავდა, იავარად ჰქმნიდა, მაგრამ ქართველი ხალხის დაუშრეტელი პოტენცია, მისი უაღრესი სიყვარული ერისა და სამშობლო ქვეყნისადმი, მას ისევე აძლევდა უღვევლ ძალას მამულის ხელახლა გასაშენებლად და აღსადგენად. არა იყო რა საშიშო, ვიდრე მისს რაობას, **სუვერენობას**, ერთბაშად არ მოშლიდენ და დიდი ქვეყნის პატარა ნაწილად არ გამოაცხადებდენ...

ენლა კი სულ სხვა რამესა ხედავს მგოსანი ქალი; იცის — რუსეთი საქართველოს მომავალშიაც გადაგვარების მეტს ველარას არგუნებს და ამის გამო მისი ვაება ენლა მართლაც უძიროა და „სევდით გრაგნილი“:

„ჰე, რად შევესწარ ამა დარესა, ძნელ სახილველსა, შესაზარესა,
სადავითოს მტილს, მოფხრულს არესა, მხედველ სისხლისა ცრემლ
სადვარესა,
ვაჰ, ვერ ვსჭვრეტ დიდთა მნათობთ გვარესა... რადგან მზე ჩვენი
ჩრდილოთ ჰვარესა...

სევდით გრაგნილსა ძნელ სამყარესა“...

არ აკმარა უფლების და ღირსების აყრა „ჩრდილოეთმა“ განაწამებ საქართველოს; მისს, ტრადიკულ ფერებით სავსე მწუხრის ჟამს, სატანისებური ცინიზმით შეხვდა: კნორრინგმა, ციციანოვმა, რტიშჩევმა და სხვებმა უმდაბლესი უტიფრობით და უმაღლესი პათეთიურობით განიმეორეს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის და ტახტის გაუქმება თვით ქართველი ერის „სურვილით“ და მისდა „საკეთილდღეოდ“ მოხდა.



მაგრამ როგორ ფიქრობდა ქართველი ერი და რა „სურვილები“
შეიძლებოდა მას ჰქონოდა ამ დროს, ამის შესახებ ბატონიშვილი მარი-
ამიცი მოგვითხრობს: —

„დაჰფარნა ჩრდილოთ ღრუბელმან მნათობთ არენი ბნელითა
წარხედეს წალკოტნი მაღალნი, ჰოი საცთურითა ძნელითა,
ვაჰ, დიდებულნი პალატნი იქმნა მტერთ საცინელათა...
დაბრუნდა ეტლი უკულმა, წარხდა დღე კეთილ მზიანი,
დაემხო ტახტი მაღალი, რა ბედნიერი, სვიანი“...

მომენა? შერიგება? არა, არც ერთი წუთით... არ შეიძლება აპა-
ტიოს მტერს ასეთი საშინელი დაცინვა და თუ ძალა აღარ არის, რომ მას
გმირულად ეკვეთოს და საქართველოს ძველი, რაინდული ყიფინით ში-
შის თავზარი დასცეს, თუ გათავდა და ამოიწურა წინააღმდეგობის ძა-
ლა, თუ ველარ მოიქნევს ხმაღს ძლიერი მკლავით ქართველი ვაჟი, და
დატყვევებულ დედას თავისუფლებას ვერ დაუბრუნებს, — მაშინ აღარ
აქვს აზრი სიცოცხლესაც, წუთიერ ყოფასაც... განა ქართველები არიან
ისინი, ვინც ციციანოვს გვერდით ამოუდგა და რუსის ჯარი ცეცხლითა
და მახვილით შეასია იმ ადგილებს, საცა აჯანყების და თავისუფლების
დროშა კვლავ ფრიალებდა? არა! და მათთვის იმდენი ზიზღი აქვთ ერეკ-
ლეს ამ სამივე პოეტ ქალთ დაგროვილი, რომ მით სარგებლობა შემდეგ
თაობებსაც შეეძლოთ, თუ ეს საჭირო იქნებოდა და ... მართლაც საჭირო
შეიქნა ამ მარაგით სარგებლობა! ... ამიტომ 130 წლის წინად დაწერილი
მარიამის ბევრი სიტყვები არ ჩაითვლებიან ჩვენთვის დღეს უცხოდ: —

„განცვიფრდი ცაო, განკრთი ძიწაო, მეცა დამფარეთ ღრუბელ-ნისლთაო
აჰა დანთქმული ჩრდილოთ ზღვითაო, მარად აფრქვევდე ღრუბელ-
ნისლთაო,
ვა, განგვაშორეს მზენი სითაო, ჰყვეს განდევნილი შორის გზითაო...“

და ან კიდევ შემდეგი ადგილი: —

„დახდა მზე იგი აზიით, აწ ჩრდილოთ მოეფინება,
მოგვიხვნეს მსწრაფლად მთიები, ვით უძლოს გულმან თმინება....
არ დასცხრა ჩვენზედ მარადის სოფლის საცთურთა შინება,
ამად მაქვს თვალთა მარადის სისხლისა ცრემლთა დინება.
ვაჰმე, მას აქეთ ცოცხალსა არღარა მომელხინება“...

ასე დაბინდდა ამ კეთილშობილ პატრიოტ ქალთათვის, რომელთა

ვაებაში ბევრი მოჭარბებული გრძობაა სევდის, მაგრამ სულ პატარა იმედი.

იმ შავ-ბნელ დროს ხომ ძნელი იყო რაიმე იმედზე ოცნებაც კი; საქართველოს „ეტლი“ ამ მგრძობიარე არსებათ სამუდამოთ შებრუნებულად მიაჩნდათ და მარტო იმასა მოსთქვამდნენ, რომ თავის ძმებთან, ქმრებთან და შვილებთან ერთად ისინიც უსწორო ბრძოლაში არ იგმირებოდნენ...

მაგრამ მიუხედავად ამ საშინელი წყვედიადისა, ერთი პატარა ნაპერწკალი მაინც ღვიოდა საღდაც შორს; და ჩვენ ვნახეთ, რომ ბატონი-შვილ თეკლას მცირედი იმედი კიდევ დაშთენოდა, რაკი ხედავდა, რომ მის ძმას ალექსანდრე ბატონიშვილს ჯერ ხმალი ქარქაშში არ ჩაეგო და ვინძლო „ქართლისა ბედი“ კიდევ ერთხელ შეთამაშებულყო.

საინტერესოა, რომ სწორედ თეკლას შვილმა, დიდმა პოეტმა ვახტანგ ორბელიანმაც, რომელსაც ასეთივე უიმედობა ახასიათებდა მარტო ერთხელ, მაგრამ უფრო მძლავრად გამოსახა ეს დედის ბუნდოვანი „იმედი“*), რომელიც ძველის დიდების, დაუფიწყარ დმანისის ნანგრევებზე უნდა აღმოცენებულყო.

... და ჩვენ იმის მოწმენი გავხდით, რომ „ნაპერწკალი“ გაღვივდა, ცეცხლი კერაზე კვლავ გაჩაღდა, ბედი ქართლისა ერთხელ კიდევ შეთამაშდა, დმანისი მკვდრეთით აღსდგა — საქართველომ 100 წლის შემდეგ კვლავ გაამართლა ბატონიშვილ თეკლას და მისი შვილის სულ მცირე „იმედი“!!!

რა მოხდა შემდეგ? არც ეს უნდა გვაშინებდეს, რადგან ეტლი საქართველოსი ისევ ბრუნავს და „იმედი“ ხომ დღესაც მკვდარი არაა.

*) იხ. „იმედი“ ვახტანგ ორბელიანისა.

დ. ხალირაშვილი

სპარსეთის რევოლუცია

1908 — 1909 წწ.

(მოგონებანი)

თუ გვსურს სპარსეთის 1906 — 10 წწ. განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითადი მიზეზების გაგება, ამისათვის საჭირო იქნება სპარსეთის იმ დროის პოლიტიკური და ეკონომიური პირობების მოკლედ მაინც გათვალისწინება.

სპარსეთი იმ ხანად როგორც მთლიანი სახელმწიფო ორგანიზმი, მისი უნიჭო და უვარგისი მმართველების წყალობით თანდათან სუსტდებოდა და თვით დამოუკიდებლობის დაკარგვის წინაშე იდგა. საზოგადოებრივი ცხოვრება ძველ ფეოდალურ ურთიერთობას ჯერ კიდევ ვერ გასცილებოდა. ადმინისტრაციული აპარატი ერთიანად მოშლილი იყო. ქვეყანა იყო დაყოფილი მრავალ ცალ-ცალკე ოლქად და ყოველი მმართველი განაგებდა თავის ოლქს როგორც მოუპრიანებოდა. თითოეულ სამმართველო ოლქში სხვადასხვა გადასახადი და წესები იყო შემოღებული, რომელთაც ადგილობრივი მმართველი თავის სურვილზე აწესებდა, ვინაიდან ის ოლქს შახისაგან ფულით ყიდულობდა განსაზღვრულ ფასში და განსაზღვრული ვადით, რომლის განმავლობაში მას შეეძლო იგი სხვაზედ გაეყიდა. მაგრამ შახი ხშირად ადგილობრივ მმართველთან დადებულ ხელშეკრულებასაც არ ასრულებდა ხოლმე: თუ მას ფული სჭირდებოდა, თვითნებურად წაართმევდა ოლქს მმართველს და სხვზედ გადაჰყიდდა მას. ამის გამო, რომელიმე ხანი მიიღებდა თუ არა ოლქს სამმართველოდ, ცდილობდა, რაც შეიძლება მოკლედ დროში, თავისი ფულის ანაზღაურებას, მცხოვრებთაგან უკანასკნელი შესაძლებლობის ამოწურვას და ამიტომ მათ ახალ-ახალ გადასახადით და განკარგულებით მოევლინებოდა ხოლმე.

მმართველობის ამგვარ სისტემას არ შეეძლო ცხოვრების ეკონომიურად წინ წაწევა. ხალხი საშინლად ღატაკდებოდა და თავის უკიდუ-

რეს გაჭირვებას ბუნებრივად ადგილობრივ მმართველებს და მათ ბატონ — შახს აბრალებდა. იგი ღელავდა და რაღაც ცვლილებებს მოელოდა. მოწინავე ინტელიგენცია, რომელსაც ევროპაში მიეღო სწავლა-განათლება, ნათლად ხედავდა შახის პოლიტიკის დამღუბველ შედეგებს. იგი მთელი თავისი არსებით მიისწრაფოდა ამ მდგომარეობიდან ქვეყანა დაეხსნა.

იმ დროს, როდესაც ვაჭარ-მრეწველთა ძალა სპარსეთში, უმთავრესად ბაქოსთან და საერთოდ რუსეთთან ალებ-მიცემობისა გამო. საგრძნობლად გაზრდილი იყო, ამ კლასს ქვეყნის მმართველობაში არავითარი წვლილის შეტანის უფლება არა ჰქონდა, პირიქით, იგი ადგილობრივ სატრაპების ხელში უსაზღვრო თვითნებობისა და ექსპლოატაციის საგნად იყო გამხდარი.

ამ პოლიტიკის წყალობით მეტად დასუსტებული სპარსეთი, როგორც სამხედრო ძალა არარაობას წარმოადგენდა. ამ გარემოებით ინგლისი და უმთავრესად რუსეთი მოხერხებულად სარგებლობდენ; რაც დრო გადიოდა, სპარსეთი მათ საჯიჯგნად ხდებოდა.

თუ ერს სურდა სიცოცხლე, არსებობა, მას რაღაც გადამწყვეტი ნაბიჯი უნდა გადაედგა, უნდა დაეჭიმა თავისი სასიცოცხლო ძალები მოახლოვებული საშიშროების თავიდან ასაცილებლად.

პირველი მუჯღუფუნნი ამ მხრივ, სპარსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობას რუსეთის 1905 წლის რევოლუციამ მისცა. 1906 წ. დასასრულს შახი იძულებული გახდა სპარსეთის მოწინავე ელემენტების მოთხოვნილებისათვის ანგარიში გაეწია და მეჯლისი მოეწვია, მაგრამ ჩქარა, რუსეთში რეაქციის გაბატონების შემდეგ, შახი ისევ ძველ პოლიტიკას დაადგა, მეჯლისი იარაღით გარეკილ იქმნა, ზოგი მისი წევრი დაატყვევეს და ზოგიერთი სიკვდილითაც კი დასაჯეს. ეს იყო უკანასკნელი წვეთი ხალხის მოთმინების ფიალის ასავსებად. მეჯლისის გარეკის შემდეგ, მისი წევრები მოედვენ მთელ სპარსეთს და შახის წინააღმდეგ აჯანყების ცეცხლი დაანთეს, ვინაიდან ნათელი შეიქმნა, რომ მშვიდობიანი გზით ქვეყნის გადარჩენა დაღუბვისაგან აღარ შეიძლებოდა.

აჯანყების პირველი დროშა ქალაქ თავრიზში ააფრიალა. მას მოჰყვა რეშტის აჯანყება და შემდეგ სამხედრო ოპერაციები, რომელთა მონაწილე სხვა ქართველებთან ერთად მეც გახლდით და რომელთა შესახებაც მსურს ჩემი მოგონებანი და დაკვირვებანი პატივცემულ მკითხველებს გავუზიარო.

აუშაობა ტფილისში

1908 წლის დასასრულს, სპარსეთის რევოლუციის ლეგენდარული გმირის, სათარ-ხანის მდგომარეობა თავრიზში კრიტიკული შექმნა. ქა-

ლაქი ყოველი მხრიდან შახის მომხრე ჯარებით იყო შემორტყმული. სათარ-ხანი იბრძოდა როგორც ლომი, მაგრამ მისი ბრძოლა იქნებოდა უიმედო, თუ მას დახმარება არ მოუყვდიოდა. აი, ამ დროს, რევოლუციონერებს მუიზა სულთანს, კიარიმ-ხანს და მამედ-ხანს, რომელნიც ქალ. რეზტში სცხოვრობდენ, დაებადათ აზრი მოეხდინათ აჯანყება გილიანის პროვინციაში, მდებარე სპარსეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით, და ამით შეემსუბუქებიათ მდგომარეობა სათარ-ხანისათვის. მართლაც, ამ მიზნით მათ მალე დააარსეს რეზტში სპარსეთის განმათავისუფლებელი კომიტეტი, რომელმაც საქმის დასაჩქარებლად გამოგზავნა ტფილისში ძმები ყიარიმ ხანი და მამედ ხანი. მათ ვრცელი მოხსენება წარუდგინეს კავკასიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის საოლქო კომიტეტს, სადაც ამტკიცებდენ გილიანში აჯანყების შესაძლებლობას და საქართველოდან დახმარებას ითხოვდენ. დახმარება უნდა ყოფილიყო ხალხით და იარაღით, უმთავრესად კი ყუმბარებით. სოციალდემოკრატიული კომიტეტი ამ მოხსენებას სრული ყურადღებით მოეპყრა და ყოველივე დახმარება აღუთქვა მათ. ამ მიზნისათვის დაარსდა განსაკუთრებული კომისია, რომელშიც შედიოდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის საუკეთესო ორგანიზატორი სილია ჯიბლაძე, მუშა გრიგოლ ცინცაბაძე და აგრეთვე მე. კომისია მუშაობას დაუყონებლივ შეუდგა; ძმები რევოლუციონერები კი რეზტში დაბრუნდენ. ჩვენ დამოკიდებულება გვექონდა ერთ, ტფილისში ხალიჩებით მოვაჭრე სპარსელ სადიკოვთან, რომელსაც თავის მხრივ კავშირი ჰქონდა სპარსეთთან და რომლის საშუალებითაც კომისია ფინანსიური მხრივ უზრუნველყოფილი იყო. საჭირო იყო ხალხი, იარაღი და ყუმბარები. ხალხისთვის ჩვენ მივმართეთ ყველა რაიონულ კომიტეტებს: ბათუმში, ფოთში, ქუთაისში, ხაშურში და სხ.. პარტიული ორგანიზაციები ცხობლად მოეკიდენ საქმეს და ჩქარა დაიწყო რაზმელების დენა ტფილისში.

ყუმბარებისათვის პარტიას ჰქონდა ლაბარატორია ტფილისთან და იქაც გახურდა მუშაობა. რაც შეეხება თოფებსა და ვაზნებს — ეს საქმე ცოტა ძნელი იყო, ვინაიდან იარაღი დაფანტულ იყო, მაგრამ მე ჩქარა მოვაწყვე კავშირი ტფილისში დაბანაკებულ ტფილისის ათასეულთან და იქიდან ჯარისკაცების დახმარებით თოფების და ვაზნების საჭირო რიცხვის მიღება მოსახერხებელი გახდა. მალე პირველი რაზმი მზად ყო. მასში შედიოდენ ბათუმის მუშები: ალექსანდრე დგებუაძე, ვალიკო ივანაიძე, ვარდენ თიკანაძე და სხვები. მზად იყო მათთვის ყოველი იარაღი და აგრეთვე ერთი ყუთი ყუმბარები. სადიკოვის საშუალებით მოხერხდა ამ ჯგუფისათვის სათანადო საბუთების მოგვარება. სპარსეთის ტფილისის კონსულმა მათ მისცა სპარსეთში შესასვლელი ქაღალდები. ტფილისიდან ეს ჯგუფი დაუბრკოლებლივ ჩავიყვანეთ ბაქოში და იქე-

დან თალიევის გემით გაემგზავრენ ქ. ენზელით რეშტისაკენ, მუიზი სულთანთან, სადაც მათ უნდა ეცადათ შემდეგი ჯგუფებისათვის.

მეორე ჯგუფის გაგზავნა ცოტა შეფერხდა. საქმე ისაა რომ ამ ჯგუფში შედიოდნენ უმთავრესად ბოლშევიკები კოტე ცინცაძის მეთაურობით. როცა ეს ჯგუფი უკვე მზად იყო, ბაქოში უკვე უხიფათოდ ჩავედით და მათ წასაყვანად გემი უკვე გამზადებული იყო. მათ მუხანათურად უარი განაცხადეს სპარსეთს გამგზავრებაზე. როცა შევეკითხე, მათ მიპასუხეს, რომ მათთვის ნათელი არ არის სპარსეთის რევოლუციის მიზანი და ამის გამო ისინი უარს ამბობენ იქ წასვლაზე. ჩავარდი მეტად მძიმე მდგომარეობაში. ამიტომ კიდევ ერთხელ შევეცადე მათ დაყოლიებას და გავექაჩე ბუღუ მდივანის ბინაზე, რომელიც ამ დროს ბაქოში სცხოვრობდა და რომელთანაც, ჩემი ცნობით, იკრიბებოდნენ ბოლშევიკები. მართლაც, ყველა იქ დამხვდა. მე მათ კატეგორიულად მოსთხოვე დაპირების ასრულება და განვუცხადე, რომ თუ ისინი დაუყონებლივ არ გაემგზავრებიან სპარსეთს, პარტიის წინაშე მოლაღატედ და მატყუარებად დარჩებიან-თქო. მაგრამ არავითარმა ჩემმა ცდამ არ გასჭრა. მათაც აგრეთვე კატეგორიულად განმიცხადეს, რომ ისინი იქ წამსვლელი არ არიან. მაშინ მე მოსთხოვე მათ იმ ხარჯების ანაზღაურება, რაც პარტიამ მათზე გაიღო. ბუღუ მდივანი ამაზე ჩქარა დაყაბულდა და მე წარვუდგინე ანგარიში, რომელიც 500 მანეთს შეადგენდა. ამაზედაც ის ძალიან ადვილად დამეთანხმა და სწრაფად გამომიწოდა ხუთი ახალი ქალაქის ათ თუმნისი. მაგრამ მე ეს ფულები ცოტა საეჭვოდ მივიჩინე; მით უმეტეს რომ ერთ რუს ბოლშევიკ კოლია ტიტულტკისაგან გაგონილი მქონდა, რომ ბუღუ მდივანი და კომპანია ყალბი ფულების გასაღებაში მონაწილეობას უნდა იღებდნენო. ამიტომ მე გადაჭრით მოვითხოვე ოქროს ფული. ბუღუ მდივანი ამაზე თითქო გაწყრა, მერე ცოტა ხნის შემდეგ ჩაიცინა, მაგრამ იძულებული კი გახდა შეესრულებია ჩემი მოთხოვნა. დამახასიათებელია, ეს მოხდა არა იმავე დღეს, არამედ მეორე დღეს. ცხადი იყო, რომ მათ იმ ფულების რეალიზაცია გაუძნელდათ...

ამის შემდეგ მე საჩქაროდ შევკრიბე შემდეგი ჯგუფის ნაწილი ტფილისში, ნაწილი კი ბაქოში და დაუყონებლივ გავგზავნეთ იმ გემზე, რომელიც დანიშნული იყო მათ წასაყვანად. კომისია განაგრძობდა მუშაობას ამავე გზით (უნდა აღინიშნოს, რომ ჩქარა კომისიიდან გავიდნენ სილია ჯიბლაძე და გრიგოლ ცინცაბაძე სხვა და სხვა პარტიული საქმეების გამო). რეშტში გაგზავნილი ამხანაგები სცხოვრობდნენ უკვე ერთი თვე მუიზა სულთანის სახლში. მათ მოთმინება ელევრათ და ამიტომ ალექსანდრე დგებუაძის მოთხოვნით გამოგზავნეს თვით ის ტფილისში საქმის დასაჩქარებლად. ჩემთან შეხვედრისას ის ძალიან ადელ-

გებული იყო და უკმაყოფილო ჩვენი მუშაობით, მაგრამ როცა მე მას გავაცანი მთელი მუშაობა, ბოლშევიკების საქციელი და ამავე დროს ვაჩვენე შეძენილი იარაღი და დამზადებული ყუმბარები, ის დაკმაყოფილდა და იმ წამსვე განაცხადა უკან დაბრუნების სურვილი. მან მოინდომა რამოდენიმე იარაღის თან წაღება. ამის მომხრე მე არ ვიყავი, მაგრამ მან თავისი გაიტანა. სამწუხაროდ, ის გამგზავრებისას, ტფილისის სადგურზე, ერთი რუსი პროვოკატორის მეოხებით, ჩაუვარდა ჟანდარმებს ხელში. თუმცა ყუმბარები მას თან ჰქონდა, მაგრამ მან ისე მოხერხებულად მისცა ჩვენება, რომ ვერ დაუმტკიცეს, თუ ისინი მას ეკუთვნოდნენ. მართალია, მას საქმე სასამართლოში არ წაუვიდა, მაგრამ ციმბირში მაინც გადაასხლეს. ამის შემდეგ მე იძულებული გავხდი არალეგალურ მდგომარეობაზე გადავსულიყავი; მუშაობას მაინც განვაგრძობდი და ბოლოს რეშტში უკვე სამოცმა რაზმელმა მოიყარა თავი. საკმაო იარაღიც იქნა გადაგზავნილი. უკანასკნელი ნაწილი კი, 12 თოფი და ვაზნები, დიდ კალათში ჩაწყობილი, მე მარო ბოჭორიშვილთან ერთად ტფილისიდან ბაქოში ჩავიტანე. ქალთან მოგზაურობა უფრო უხიფათო გამოდგა. ეს საშუალება წინადაც სჭირდა და არც ახლა გვიღალატა. გადავგზავნე რა იარაღი დაუბრკოლებლივ დანიშნულ ადგილას, მეც შევიძინე ბაქოს სპარსეთის კონსულისაგან საჭირო პასპორტი ერთ ჰამადანში მცხოვრებ სომეხ გრიგორ ტერ არუთინოვის გვარზე და გავეოგზავრე სპარსეთს.

პირველად მიხდებოდა კასპიის ზღვაზე მგზავრობა. ერთი ვიცოდი: თუ ჩვენ სამშობლოში რეაქცია მძვინვარებდა და მტერთან პირდაპირ შეჯახების საშუალებას მოკლებული ვიყავით, იქ, სპარსეთში, იმ ზღაპრულ ქვეყანაში, ახალი სურათები იშლებოდა; იქ შეიძლებოდა ახალგაზრდულ ბრძოლის წყურვილის დაკმაყოფილება. მშვიდობით განვლეთ ჩვენ ლენქორანი, მაგრამ ქ. ასტარაში კი ჩვენი გემი გააჩერეს და გაჩხრეკა დაუწყეს. გემზე ამოვიდა ქალაქის რუსი ბოქაული რამოდენიმე ჯარისკაცით და ჩემი პროტესტის მიუხედავად, ბრძანა ნაპირზე გადავეყვანეთ მე და 30 სომეხი, რომელნიც შემდეგში დაშნაკელები აღმოჩნდნენ და მიემგზავრებოდნენ სპარსეთის მოძრაობაში მონაწილეობის მისაღებად. ჩვენ ჩავგვეტეს ერთ პატარა და უსუფთაო ოთახში. შიგ დაჯდომა არც კი შეიძლებოდა და წყალს კარებში გამოჭრილ სარკმელიდან გვაწოდებდნენ. მთელი ღამე ამ ყოფაში ვიყავით. მეორე დილას კი დაიწყო ჩვენი გამოკითხვა. ბოქაული მიმტკიცებდა, რომ მე ქართველი ვარ, მაგრამ მე ჩემსას ვიმეორებდი და კატეგორიულად მოვითხოვდი ჩემს განთავისუფლებას; ვემუქრებოდი მას, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ის აგებს პასუხს იმ ზარალისათვის, რომელიც მე მომდის როგორც სპარსეთის ვაჭარს. ბოლოს იგი პირდაპირ დამაცქერდა და მკვახე ხმით

გამიცხადა: — „კარგი! თქვენ არ გინდათ გამოტყდეთ! აბა, მაშ, მე თქვენ გადაქცემთ სპარსეთის სატრაპებს და რაც მოგივით, თქვენი ბრალი იყოს“. არ ვასულა ბევრი დრო და რამოდენიმე ჯარისკაცის თანხლებით მიმიყვანეს სპარსეთის საზღვარზე.

რუსეთ-სპარსეთის მოსაზღვრე ქალაქი ასტარა წარმოადგენდა უფრო პატარა სოფელს 2000 მცხოვრებით. ქალაქში დაბანაკებული იყო ყაზახების ასეული, რომელიც საზღვრის დაცვის მოვალეობას ასრულებდა; ქალაქის სამი მეოთხედი რუსეთს ეჭირა და ერთი მეოთხედი კი სპარსეთს ეკუთვნოდა. რუსეთს აქ სპარსეთისგან ჰყოფდა მდინარე, რომელზედაც ხიდი იყო გადებული. აი სწორედ ამ ხიდზე მიმიყვანეს ყაზახებმა და აქვე გადამცეს სპარსეთის მცველებს. რაოდენი იყო ჩემი გაკვირვება, როცა სპარსეთის მოსაზღვრე მოხელეებმა არამც თუ დამატუსაღეს, არამედ შედარებით თავაზიანად გამათავისუფლეს. გამოირკვა, რომ ჩემთან ერთად მოდიოდენ გემზე სპარსელი ვაჭრები და მათ სცოდნიათ თურმე ჩემი ვინაობა და მათივე მეცადინობით იყო, რომ მე გამათავისუფლეს როგორც რუსეთის საზღვარზე, ისე აქ, სპარსეთში.

თავისუფლად ვიგრძენი თავი თუ არა, ვინაიდან გემი მხოლოდ მეორე დღეს გადიოდა ენზელისაკენ, შევუდექი ქალაქის დათვალიერებას და ხალხის სულიერ განწყობილების გაცნობას. ყველგან სათარ ხანზე ლაპარაკობდენ, მის გამარჯვებაზე, თუმცა სინამდვილეში მისი დგომარეობა სასოწარკვეთილი იყო. იგრძნობდით ღრმა და დაფარულ სიძულვილს შახისა და მის მოხელეებისადმი. ეს განწყობილება გამოაშკარავდა უფრო ნათლად ე. წ. „ყავახანაში“, სადაც მე მომიხდა ლამის გათევა. ასეთი ყავახანა წარმოადგენს ადგილს, სადაც იკრიბება მილეთის ხალხი, გამვლელ-გამომვლელი; სხედან, განუწყვეტლივ სვამენ „შირინ“ ჩაის პატარა ჭიქებით, ყალიონს აბოლებენ და ბაასობენ ხმა-მალლა ათას გვარ საქმეზე. ხშირად ვინმე ზღაპარს უამბობს აქ შეკრებილთ, საგმირო ამბებს სპარსეთის ძველ ცხოვრებიდან. ეს ყავახანა თავისებური კლუბია. აი ამ კლუბში მომცეს მე ცალკე ოთახი. ასე დაახლოვებით ლამის პირველ საათზე შეკრებილი ხალხის ღრიანცელში გაისმა ვილაცის მქუხარე ხმა. ვილაც აღვზნებული ლაპარაკობდა. იგი იყო „დარვიში“.

დარვიში უამბობდა ხალხს ერთ „შაითანზე“, რომელიც ხალხის წვალებით ვერ ძღებოდა. მას, თავის სურვილების დასაკმაყოფილებლად, თავისი საბრძანებლის გაყიდვაც არ ეშურებოდა. მას მხედველობაში ჰყავდა სპარსეთის უკანასკნელი შახი, რომელიც გაუმაძღრობით ცნობილი იყო და თავისი ქვეყნის გაცემას ინგლისზე და რუსეთზე არ ნაღვლობდა, ოღონდ ბატონობა კი შერჩენოდა.. ხალხი დარვიშს აღტაცებით უსმენდა. მე ვიგრძენი, რომ დარვიში სპარსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის საქმეს ემსახურებოდა.

მეორე დილას უხიფათოდ გავემგზავრე ქალაქ ენზელისაკენ. იგი თუმცა პატარა, სპარსეთის ტიპის და ჭუჭყიანი ქალაქია, მაგრამ გემიდან, რომ მიუახლოვდები მას, ზღაპრულ სანახაობას წარმოადგენს. ის მთლად ფორთოხალის, ლიმონის და მანდარინის ხეებში ზის. ზღვიდან ის მზეზე ისე მოსჩანს, თითქოს მთლად ცეცხლის ალში იყოს გახვეული. ერთი დღე დავყავი ენზელში და გავეშურე რეშტისაკენ, სადაც ჩქარა მოენახე მუიზა სულთანის სახლი. იქ მე დამხვდენ ყველა ჩვენი რაზმელი, მუშაობაში გართული. ზოგი თოფს სწმენდა, ზოგი ყუმბარებს აკეთებდა, ზოგი კიდევ სავაზნეებს ჰკერავდა. მათ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა ჩემს დანახვაზე. ხუმრობა არ არის; ისინი ორთვე ნახევარი იყვნენ მოწყვეტილი, მათ არავითარი ცნობა არა ჰქონდათ საქმის მსვლელობაზე და რასაკვირველია, ჩემგან ბევრის ვაგება სურდათ. ჩემის ცნობით, სათარ ხანის საქმე უნუგეშო იყო და ალბად ერთ კვირაზე მეტს ველარ გასძლებდა, ვინაიდან ქალაქ თავრიზში შიმშილობა დაწყებული იყო. საჭირო იყო დაჩქარება. მით უმეტეს რომ მუიზა სულთანის ბინაზე ცხოვრება უკვე სახიფათო გამხდარიყო. ამიტომ ორი დღის შემდეგ მუიზა სულთანმა მოაწყო სამხედრო საბჭოს სხდომა აჯანყების გეგმის გამოსამუშავებლად. მუიზა სულთანი, რომელიც მთელი საქმის სული და გული იყო, დაჯილდოვებული დიდი ნიჭით, ინტელიგენტი, რომელიც სპარსეთის თავისუფლების საქმეს სწირავდა მთელ თავის ქონებას და სიცოცხლესაც — აკეთებს მოხსენებას საქმის ვითარებაზე. რეშტის გუბერნატორს, მისი სიტყვით, ჰყავდა 500 ჯარისკაცი, რომელიც ქალაქის ცენტრში „დარახანაში“ (ყაზარმები) სცხოვრობდა. რა ძალას წარმოვადგენდით ჩვენ?

მუიზა სულთანი გვიპირდებოდა ას კაცამდე; ეფრემამ განაცხადა, რომ ის გამოიყვანს 30 დაშნაკაკანს და და ქართველთა რაზმიც 61 კაცისაგან შევდგებოდით.

ქართული რაზმის შემადგენლობა შემდეგი იყო: — ერთი რუსი ნემეცი, არტილერისტი, (ეძახდნენ ფედორს), ორი რუსი ანარხისტი, ერთი მათგანი ბაქოში ცნობილი „ალიოშა“, ყუმბარების საუკეთესო მსროლელი, ერთი ტფილისელი ებრაელი, სოც.-რევ. „სტებან“ და დანარჩენი 57 კი ქართველები.

სამხედრო შტაბის სხდომაზე გადასწყდა ამ ძალებით ქალაქის ხელში ჩაგდება. დღის დანიშვნა მიენდო თვით მუიზა სულთანს, ჩვენ კი ყოველი წუთისათვის მზად უნდა ვყოფილიყავით. ეს გადაწყვეტილება იმ წამსვე ეცნობა რაზმელთა ათეულებს და სარდაფებში, სადაც ჩვენ ვიმყოფებოდით, მუშაობა გახურდა. ყველა თითქო აღდგომისათვის ემზადებოდა. ამ ლოდინში განვლო კიდევ რამოდენიმე დღემ.

ერთ დილას, დაახლოებით 10 საათზე, მუიზა სულთანმა შეგვატყობინა, რომ გუბერნატორი თავისი თანამხლებლებით ქალაქ გარედ გავიდა და რომ ის იქ, თავის ბაღში, მთელი დღე დარჩება. მისი აზრით, ეს მომენტი საუკეთესო იყო ქალაქის ხელში ჩასაგდებად, რადგან ჯარი დარჩენილი უხელმძღვანელოდ, დიდ წინააღმდეგობას ვერ გაგვიწევდა. იმ წამსვე შემუშავდა აჯანყების გეგმა. ერთი ჯგუფი — 12 კაცი — ყუმბარებით და მაუხერებით უნდა გაქანებულიყო გუბერნატორის ბაღისაკენ, მოეკლა ის, დანარჩენები დაეტუსალებია და აეფეთქებია ყუმბარა, რომელიც უნდა ყოფილიყო ნიშანი მეორე ნაწილისათვის, რომელიც აგრეთვე ყუმბარებით და თოფებით შეიარაღებულნი, გარს შემოერთყმოდენ დარახანას და ეცდებოდენ ჯარი იქიდან არ გამოეშვათ. ეს გეგმა სასახელოდ ჩატარდა. საჩქაროდ მოემზადა 12 კაცი და მუიზა სულთანის მეთაურობით, ორი ეტლით გაექანა ბაღისაკენ. მეორე ნაწილი ჩუმად შემოერთყა დარახანას და დანარჩენები კი ყუმბარის ნიშანს უცდიდენ. უცბად, ასე 12 საათზე, ბაღის მხარედან მოისმა ყუმბარის აფეთქების ხმა. რაზემელების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა! ეს ხმა გვიწვევდა საბრძოლველად. ერთ წუთში ნაწილები თავს დაეცენ დარახანას და დაუშინეს თოფები და ყუმბარები. ასტყდა საშინელი ხმაურობა: ყოველი მხრიდან ისმოდა თოფის სროლა და ყუმბარების აფეთქების ხმა. სარბაზები (ჯარისკაცები) ჩქარა გამოერკვენ და დაიწყეს თოფებით პასუხი. მათ რამოდენჯერმე სცადეს ალყის გარღვევა, მაგრამ ყოველთვის ჩვენი მწყობრი შეტევის შემდეგ, უკანვე ბრუნდებოდენ. ქალაქი მთლად დაიკეტა. ხალხი კი ქუჩაში გამოვიდა და აქეთ-იქით მიფარებულნი, ჩვენსა და სარბაზების შორის ამტყდარ დუელს ხალისით უყურებდა, თუმც ბევრი მათგანი, განსაკუთრებით ბავშვები ჩვენ გვეზმარებოდენ იმიტ, რომ მოჰქონდათ ჩვენთვის წყალი, რძე, პური და აგრეთვე გვიზიდავდენ ვაზნებს მუიზა სულთანის სახლიდან. მუიზა სულთანს კი, შეასრულა რა თავისი ამოცანა, საჩქაროდ გამოეშურა ჩვენს დასახმარებლად.

გამოირკვა, რომ ჩვენებმა ალყა დაარტყეს თუ არა გუბერნატორის სასახლეს, მუიზა სულთანი, ამოღებული რევოლვერით, შევიდა პირდაპირ მის სახლში; გუბერნატორი კარტს თამაშობდა თავის ახლო პირებთან. მათ განუცხადა მუიზა სულთანმა, რომ ქალაქში აჯანყება და ყველა დატყვევებულად გამოაცხადა. გუბერნატორი შეეცადა გაქცევას, მაგრამ ვალიკო ივანაიძემ მოასწრო ციბესთან და რევოლვერით მოჰკლა იგი.

სარბაზებთან ბრძოლა გაგრძელდა საღამომდე, სანამ მათ მორჩი-



ლების ნიშნად თეთრი დროშა არ ააფრიალეს. თვით მუიზა მუსტაფაშვილი შევიდა მათთან და წინადადება მისცა იარაღი აეყარათ, ალთქვა რა მათ პიროვნული უზრუნველყოფა. ისინი სიამოვნებით დაყაბულდნ და დაიწყო მათი განიარაღება. გამარჯვება იყო სრული. ჩვენი მხრივ ზაოალი იყო: ორი მოკლული და ათამდე დაჭრილი. ერთ მოკლულთაგანი აღმოჩნდა ჩვენი ამხანაგი ქართველი მუშა ჩიქოვანი. მოწინააღმდეგეს ზარალი ვაცილებით მეტი მოსვლოდა. ქალაქი დღესასწაულობდა გამარჯვებას და ხალხი ალლაჰს ლოცულობდა, რომ იგი იხსნა ისეთი ტირანისაგან, როგორც იყო გუბერნატორი. მართლაც, გუბერნატორი ნამდვილი ტირანი ყოფილიყო: — მისი ბრძანებით, დაჭირულს მიაბამდნ ხოლმე დიდი ხის ორ ტოტს, რომელთაც წინასწარ მოლუნავდნ და მერე ამ მოლუნულ ტოტებს გახსნიდნ და საცოდავი „დამნაშავე“ შუაში იგლიჯებოდა. პატიმრებს ჰყრიდნ სველი მიწის სარდაფში, რომელშიც სინათლე ჭუჭრუტანიდან ჩადიოდა. აქედანვე აწვდიდნ თოკით პურსა და წყალს. თვით საკანში პატიმარი მიბმული იყო ჯაჭვებით ერთ მძიმე მუხის კუნძზე ისე, რომ მისთვის წელში გაშლა შეუძლებელი იყო. ასე იტანჯებოდნ პატიმრები მთელი თვეები და წლები. ვიცოდით რა ეს ჩვენ იმ ღამესვე გავანთავისუფლეთ ყველა პატიმარი. მართლაც, მათ ადამიანის ნასახი აღარ შერჩენოდათ და წარმოადგენდნ საშინელ სანახაობას. მთლად ჩონჩხად გადაქცეულიყვენ და წვერები-თმები ზოგს მუხლებამდე სწვდებოდა. იმ ღამეს ქალაქის მცხოვრებლებმა „გურჯების“ (ქართველების) საპატივცემოდ მოაწყვეს წვეულება, სადაც „გურჯისტანისა“ (საქართველოს) და გურჯების ქებას საზღვარი არა ჰქონდა. თითოულ მცხოვრებს თავის მოვალეობად და სასიქადულოდ მიაჩნდა ქართველის დაპატიება.

აჯანყების მეორე დღეს სამხედრო შტაბში დაისვა კითხვა ხელისუფლების შესახებ. აქ პირველად გამოიჩინა ჩვენსა და სპარსელ მოღვაწეთა შორის აზრთა სხვადასხვაობა. ისინი წინადადებას იძლეოდნ გუბერნატორის პოსტზე მოგვეწვია გამოჩენილი სეპახ დაპრი, რომელიც სცხოვრობდა თავის სოფელში სახელმწიფო საქმეებისა და სასახლის ვარეშე. ის იყო ძლიერ გავლენიანი პიროვნება, მას ეკუთვნოდა თითქმის მთელი გილიანი; ერთ დროს სასახლეში დიდათ მიღებული იყო, შაჰის პირად მეგობრად ითვლებოდა, დღეს კი შაჰის მოწინააღმდეგედ. მუიზა სულთანი და სხვები ამტკიცებდნ, რომ მისი მოწვევით მოძრაობის საქმე ვაცილებით ჩქარი ნაბიჯით წავა წინ და საბოლოო გამარჯვება უზრუნველყოფილი იქნებაო. ჩვენ კი მისი მოწვევის წინააღმდეგი ვიყავით და მთელი ძალა-უფლების სამხედრო შტაბისათვის გადაცემას მოვითხოვდით. განსაკუთრებით მოითხოვდნ ამას ანარქისტები და დაშნაკაკანები ეფრემის მეთაურობით. ჩვენ ამის გამო ფრაქციული

კრებებიც კი მოვაწყვეთ. სოციალ-დემოკრატების კრებაზე, განვიხილეთ რა საკითხი ყოველი მხრივ და მივიღეთ რა საოლქო კომიტეტის დირექტივები, რომელიც მე გავაცანი კრებას და რაც იმაში მდგომარეობდა, რომ ჩვენ სპარსეთის შინაურ ცხოვრების მოწყობაში არ უნდა ჩაერეულიყავით, ბოლოს ერთხმად გადავსწყვიტეთ მხარი დაგვეჭირა სპარსელი მოღვაწეებისათვის. ამ გადაწყვეტილების გამოტანის დროს როლი იმანაც ითამაშა, რომ ჩვენებს ძალიან უყვარდათ მუიზა სულთანი და მისი წყენა არ უნდოდათ. სპარსელები მოხარული და მადლობელი დარჩნენ, ანარხისტები და დაშნაკაკანები კი უკმაყოფილონი. ამნაირად გადასწყდა სეპაჰდარის მოწვევა. ის მეორე დღესვე შემოვიდა ქალაქში ორასი შეიარაღებული ცხენოსანით. სპარსელი მოღვაწეები მართალი გამოდგნენ. მისი დანიშვნით ჯერ ერთი, ის გადაჭრით დგებოდა რევოლუციის მხარეზე და ამიტომ მთელი თავისი ენერჯია და გავლენა უნდა გამოეყენებია, რომ მოძრაობა გამარჯვებამდე მისულიყო. მეორე მხრივ, თვით მისი ვასალები ადვილად უერთდებოდნენ მოძრაობას თავისი გლეხებითურთ, — და მართლაც, ყოველ დღე ახალ-ახალი რაზმები ემატებოდნენ ჩვენს ძალებს.

ხელისუფლება ასე განაწილდა: — დაპყრობილ ადგილებში მთელი სამოქალაქო უფლება გადავიდა გუბერნატორის ხელში. სამხედრო და პოლიტიკური — სამხედრო შტაბში, რომელშიც შედიოდნენ მუიზა სულთანი როგორც თავჯდომარე, მისი ძმა ყიარიმ ხანი, სეპეხ დაჰრ, როგორც გუბერნატორი, ეფრემა დაშნაკელებისაგან და ჩვენი მხრივ — ვალიკო ივანაიძე და მე. ივანაიძე იყო ბათუმელი მუშა, სერიოზულად მომზადებული, ბრწყინვალე ორატორი და ვასაოცარი გამბედავი. ის ყველას უყვარდა და სპარსელთა შორის მან დიდი პოპულარობა მოიხვეჭა. სამხედრო შტაბში დიდი გავლენა ჰქონდა ყიარიმ ხანს, რომელიც დიდათ განათლებული და ჭკვიანი პიროვნება იყო. შეიძლება ითქვას: თუ მუიზა სულთანი იყო მოძრაობის სული და გული ყიარიმ ხანი მისი თავი იყო. სამხედრო შტაბში აფასებდნენ აგრეთვე ეფრემს. ის იყო კარგი პარტიზანი, გამოჩენილ სომეხ პარტიზან ანდრონიკის ნაამხანაგევი. იგი მშვენივრად იცნობდა სპარსეთს და რეჟიმის აღებაში და შემდეგ სამხედრო ოპერაციებში დიდი ენერჯია და პირადი გამბედაობა გამოიჩინა.

მესამე დღეს მოხდა მოკლულების, ერთი სპარსელის და ჩვენი ამხანაგის შალიკო ჩიქოვანის დასაფლავება. მთელმა ქალაქმა მიიღო მონაწილეობა. სომხების სასაფლაომდე ერთად მივიტანეთ კუბოები, სადაც გაიმართა უზარმაზარი მიტინგი, რომელზედაც ილაპარაკეს სხვათა შორის მუიზი სულთანმა და ყიარიმ ხანმა. ყველა ორატორი შემდეგი ამოძახილით ათავებდა თავის სიტყვას: „მურდაბად შახ ალი მამედ

ხან“ — ძირს შახი ალი მამედ ხანი-ო. „ზინდაბად მარშრუტე“ — გაუმარჯოს თავისუფლებას, რასაც ხალხი ალტაცებით იმეორებდა. ამ მოკლულთა წინაშე მთელმა ჯარმა და შეკრებილმა ხალხმა შეჰფიცეს, რომ სამაგიეროს გადაუხდიან შახს.

რეშტის ალების შემდეგ სამხედრო ცტაბი შეუდგა ოპერაციების გაგრძელებას. ამავე დროს განსაკუთრებული გზირები გაიგზავნა ქალ. თავრიზში, სათარ ხანთან იმის საცნობელად, რომ რეშტი და თითქმის მთელი გილიანი რევოლუციონერების ხელში გადავიდა. მასვე გაეგზავნა 15 000 თუმანი (თუმანი — 2 მანეთი).

პირველ ყოვლისა საჭირო იყო სპარსეთის ჩრდილო-აღმოსავლეთში მდებარე, რეშტიდან 80 კილ. დაშორებულ ქალაქ არდაბილის ალება. ეს ქალაქი ცნობილია თავისი იარაღის ქარხანით, სადაც ამზადებენ სპარსულ თოფს ე. წ. „ვარანდილს“. არდაბილის დამორჩილება კიდევ იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ იარაღის შეძენის გარდა, ამ ქალაქის მიდამოები უნდა დაგვეწყნარებია. იქ მთიან ადგილებში ცხოვრობდნენ მოყაჩალო ქურთები, , ყოველთვის მოუსვენარნი, რომელნიც დიდი რაზმებით ჩამოდიოდნენ მთებიდან და ქარავანებს სცარცვავდნენ. ამიტომ საშიში იყო ყაზვინისაკენ ვალაშქრება, ვინაიდან მათ ადვილად შეეძლოთ რეშტის აკლება. ამის გამო შესდგა განსაკუთრებული რაზმი ვალიკო ივანაიძის მეთაურობით. მან ჩქარა, რამოდენიმე ცხარე ბრძოლის შემდეგ დაიმორჩილა არდაბილი და დაბრუნდა რეშტში. არდაბილის ალების გამო რეშტმა გადაიხადა დიდი დღესასწაული და ვალიკოს, როგორც ამ საქმის გამირს, ქება-დიდებას ასხამდნენ.

ქ. არდაბილის ალების შემდეგ მთავარი ყურადღება ქ. ყაზვინს მიექცა. მაგრამ მის ალებამდე მრავალი დაბრკოლება იყო გადასალახავი, ვინაიდან ცნობა იყო, რომ გავლენიანი ხანები ახალ მოძრაობას არ ემორჩილებიანო. მათ ჰყავდათ საკმარისი ძალა და თუმც იხინი რეშტზე გამოლაშქრებას ვერ გაბედავდნენ, მათ მაინც შეეძლოთ ყაზვინზე ჩვენი ვალაშქრებისათვის ხელი შეეშალათ. სიძნელე იმაში იყო, რომ ამ ხანების სოფლები ყაზვინისაკენ მიმავალ, 200 კილომეტრიან გზა-ტყეცილზე მდებარეობდნენ. ვიდრე ამ ძალებისაგან უზრუნველყოფილი არ შევიქმნებოდით, წინსვლა საფრთხილო იყო, ვინაიდან მათ ყოველთვის შეეძლოთ თავის მთებიდან ჩამოსვლა და ჩვენი რაზმების მოწყვეტა რეშტიდან. მაშასადამე ამ ხანების დამორჩილება აუცილებელი იყო. ყველაზე ძლიერი ამ ხანებში იყვნენ ნიაზი ბეი და დურსუდ ხანი. პირველი გამაგრებული იყო გზის მარცხენა, მეორე კი მარჯვენა მხარეზე. მათ წინააღმდეგ შესდგა ორი ძლიერი რაზმი, რომელშიც შევიდნენ ქართველები თანაბარი ნაწილით. პირველს ხელმძღვანელობდა მუიზა სულთანი, მეორეს კი ეფრემი. მე გავყევი მუიზა სულთანის რაზმს. მან განსა-

კუთრებული ხელოვნებით გაძოაწყო ჩვენი რაზმი. არ იქმნა გამოტოვებული წვრილმანიც კი. ნუ დაგვაგიწყდება, რომ ჩვენი გალაშქრება მთიან ადგილებში, უმეტესად თოვლიან, და რაც უმთავრესია, უგზო-უკვლო გზებით ხდებოდა. მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენს განკარგულებაში იყვნენ მთის ცხენები და აგრეთვე — განთქმული სპარსული — ჯორები, ეს სიძნელე საგრძნობლად მცირდებოდა. პირველი ერთი კვირის განმავლობაში ჩვენ არ გვქონია შეტაკება მოწინააღმდეგესთან. სოფლებთან მიახლოვებისას შორიდანვე გამოდიოდნენ ჩვენ შესახედრათ ადგილობრივი ხანები და მცხოვრებლები: ზოგნი თავისი სურვილით, რადგან ისინიც თანაუგრძობდნენ განმათავისუფლებელ მოძრაობას, ზოგნი კი უბრალოდ, შიშის ძალას ემორჩილებოდნენ. მხოლოდ რაც უფრო ვუახლოვდებოდით ნიაზი ბეის საბრძანებელს, მით უფრო ძნელდებოდა ჩვენი რაზმის წინსვლა. ბევრ ადგილას სოფლები გამაგრებული იყვნენ და საგრძნობ წინააღმდეგობას გვიწევდნენ შახის მომხრე ხანები. მაგრამ მუიზა სულთანის გამოცდილი ხელი ადვილად სძლევდა დაბრკოლებებს. ერთი-ორი დღის ბრძოლის შემდეგ სოფლები გვენებდებოდნენ. აღსანიშნავია, რომ ამ ბრძოლებში მუიზა სულთანი განსაკუთრებული სისათუთით უფროთხილდებოდა სისხლის დაღვრას, როგორც ჩვენი, ისე მოწინააღმდეგის მხრივ, რაც არ ითქმის ეფრემზე, რომელიც დიდ სისასტიკეს იჩენდა ბრძოლებში.

ამ რიგად, სამი კვირის ბრძოლების შემდეგ, მივალწიეთ უკანასკნელ სიმაგრეს, ნიაზი ბეის ციხეს, ქ. ყაზვინიდან 30 კილომეტრით დაშორებულს. ამ სიმაგრის აღებით ისპობოდა უკანასკნელი დაბრკოლება ქალაქ ყაზვინის დასაპყრობად და ჩვენი რაზმის მისსიაც შესრულებული იქნებოდა.

(დასასრული შემდეგ წიგნში)

ვ . ე მ უ ხ ვ ა რ ი

მასალები

ფულ-პოლიტიკური სტუდიისათვის

1

ფულის პოლიტიკა გერმანიაში

შესავალი

ფილოსოფოსი კანტი თავის უკვდავ ნაწარმოებში, რომელსაც სუფთა გონების კრიტიკა“ აქვს სათაურად, ეხება სხვათა შორის საკითხს, თუ რა განსხვავებაა ფორმალურ ლოლიკასა და იმ შემეცნების თეორიის შორის, რომელიც კანტმა შეიმუშავა და რომელსაც იგი თვითონ ტრანსედენტალურ ლოლიკას უწოდებს. კანტის შეხედულებით, ფორმალური ლოლიკა იკვლევს აზროვნების კანონებს დამოუკიდებლად თვით აზროვნების შინაარსისაგან, იკვლევს ამ კანონთა ურთიერთშორის დამოკიდებულებას, შემეცნების თეორია კი, ან კანტის სიტყვით რომ ვსთქვათ, ტრანსედენტალური ლოლიკა ეხება შემეცნების არა მარტო ფორმალურ მხარეს, არამედ თვით მატერიალურ მხარესაც, ე. ი. მასალას შემეცნებისას და იკვლევს დამოკიდებულებას შემეცნების ორივე ელემენტის — ფორმისა და მასალას შორის. თვით სიტყვა ტრანსედენტალური კანტის ნაწარმოებში ნიშნავს შემეცნების ელემენტს, საზოგადოთ თანამედროვე მეცნიერებაში ამ სიტყვის მაგივრად ხმარობენ სიტყვა ენ-გოლოგიურს ჩვენ შევეცდებით მოკლედ გავაცნოთ მკითხველს დედა-აზრი კანტის შემეცნების თეორიის, ვინაიდან ეს საჭიროდ მიგვაჩნია ზოგიერთ კითხვებში გარკვევისათვის, რომელნიც ფულ-მეცნიერებამ წამოაყენა.

კანტის შეხედულებით, ცოდნის წყაროს გამოცდა წარმოადგენს, ე. ი. ურთიერთობა ობიექტსა და სუბიექტს შორის. ადამიანს შეუძლია საგანთა ცოდნა იმდენად, რამდენად ეს საგანი მის გონებას ევლინება და ტარდება იმ ფორმებში, რომელიც ამ გონების კუთვნილებას წარმოადგენს.

ამ რიგად შემეცნება ორი ელემენტისაგან შესდგება — ერთი მხრივ მოვლენანი, როგორც მასალა, და მეორე მხრივ ამ მასალათა დამალაგებელი სუბიექტიური ფორმები ადამიანის გონების. თუ რას წარმოადგენს საგანი ადამიანის გონებაში გაუტარებლად, გარეშე ამ გონების სუბიექტიურ ფორმების, მაშასადამე თუ რას წარმოადგენს საგანი, როგორც არა მოვლენა ფენომენი, არამედ საგანი თავის თავად, ნოუმენი, ამის შესახებ ადამიანს არ შეუძლია რაიმე წარმოადგენა იქონიოს, ვარდა იმისა რომ ეს საგანი თავის თავად ან ნოუმენი იმყოფება მოვლენათა უკან როგორც ადამიანისათვის სრულიად უცნობი და შეუცნობელი იქს.

რათა გამოცდისაგან მიღებულმა მასალამ ობიექტიური ღირებულება მიიღოს ე. ი. საერთო სავალდებულო ცოდნათ იქცეს, ამისათვის საჭიროა, რომ იგი ადამიანის გონების მიერ იქმნას სათანადოთ დამუშავებული, ამ გონების ფორმებში იქმნას გატარებული. აქედან ცხადია, რომ თვით ეს ფორმები გამოცდისაგან კი არ გამომდინარეობენ, არამედ წინ მიუძღვიან თვით ამ გამოცდას ვითარცა მისი წინასწარი პირობანი. იმ ელემენტს ადამიანის შემეცნებისას, რომელიც გამოცდისაგან გამომდინარეობს, ეწოდება ემპირიული; შემეცნების იმ ელემენტს კი, რომელიც არ გამომდინარეობს გამოცდისაგან, არამედ წინ მიუძღვის ამ გამოცდას, ვითარცა მისი აუცილებელი წინასწარი პირობა — ეწოდება აპრიორული. შემეცნების მასალა ემპირიულია, და როგორც ასეთი იგი წარმავალი, პირობითია, ფორმა კი აპრიორულია და როგორც ასეთი იგი საერთო სავალდებულო ხასიათის არის. რათა ვანცდამ შექმნას საერთო სავალდებულო ცოდნა, ამისათვის საჭიროა, რომ იგი ფორმებში იქნას გატარებული დამუშავებული და დალაგებული. ეს ფორმები კანტის შეხედულებით შეიძლება ორ ჯგუფად იქნას დანაწილებული — პირველ ჯგუფს ფორმები წარმოადგენენ, რომელნიც თუმცა გამოცდათაგან არ გამომდინარეობენ, მაგრამ რომელნიც ამ გამოცდას მოყავს მოქმედებაში, ფორმები, რომელთაც გამოცდის გარეშე არავითარი ღირებულება არ აქვთ. ამ ფორმებს კანტი ტრანსედენტალურ ფორმებს უწოდებს.

ეს ტრანსედენტალური ფორმები კი თავის მხრივ ორ სხვა და სხვა ჯგუფად განიყოფებიან. პირველ ჯგუფს ეკუთვნიან ფორმები ეგრედ წოდებულ განსჯერების ანუ ინტუიციის ე. ი. საგანთან პირდაპირი დამოკიდებულების. სწორედ ადამიანის შემეცნების პირველ ეტაპს ეს განსჯერება ანუ ინტუიცია წარმოადგენს; ეს პროცესი შეიძლება დახასიათდეს როგორც შემეცნების შედარებით ყველაზე უფრო პასიური პროცესი. აქ რომელიმე ინდივიდუალური საგანი ან საგნის რომელიმე ინდივიდუალური მხარე ევლინება ადამიანის გრძნობათა ორგანოებს, მაგალითად თვალს; ადამიანი ღებულობს საგანს, ითვისებს მის ამა თუ იმ

მხარეს, ეს პროცესი ქმნის ადამიანში ამა თუ იმ შინაგან მდგომარეობას, აქ ჩვენ საქმე გვაქვს ეგრედ წოდებულ შეგრძნობასთან (სენსაციო); რამდენად ამ პროცესს ობიექტიური ხასიათი აქვს, რამდენად ამ პროცესში ხდება ინდივიდუალურ საგნის ან მის ამა თუ იმ ინდივიდუალურ თვისების (მაგალითად ფერის) შესახებ წარმოდგენის მიღება — იგი შეცნობას წარმოადგენს (კოგნიციო). როგორც შეგრძნობა, აგრეთვე შეცნობა წარმოადგენენ ორ სხვა და სხვა პროცესს მიმლეობისას (პერცეპციო). მასალები შეგრძნობის, როგორც ადამიანის შინაგან განცდის ესა თუ ის მდგომარეობა, უნდა იქმნას დალაგებული და დამუშავებული, ეს კი ხდება **დროის ფორმაში** მათი მოთავსებით. ემპირიულ მასალის შეცნობა, როგორც დალაგებული ცოდნა ნიშნავს მიღებულ საგნის ამა თუ იმ სივრცის ფორმაში მისი მოთავსება. ამნაირად საგნის განსჭვრეტა, ინტუიცია, რომელიც როგორც ვთქვით, წარმოადგენს შემეცნების პირველ ეტაპს გულისხმობს ადამიანის გონებაში ორ სუბიექტიურ ფორმის არსებობას, რომლითაც ადამიანის გონება ალაგებს მიღებულ ემპირიულ მასალას — **დროსა და სივრცის**. ეს წარმოდგენანი ე. ი. წარმოდგენა დროისა და სივრცისა შეადგენენ ელემენტს ინტუიციისას, ე. ი. საგნის პირდაპირ განსჭვრეტისას. მაგრამ ამ განსჭვრეტას არ აქვს ემპირიული ხასიათი. ის გეომეტრიული ფიგურები, რომელშიდაც ადამიანის გონება ათავსებს მიღებულ მოვლენათ, არ წარმოადგენენ მრავალ სხვა და სხვა საგანთ, არამედ ნაწილს ერთი საგნისას; სივრცის ამ წარმოდგენაში თავსდებიან ყველა ფიგურები, მაშასადამე შეუძლებელია, რომ განსჭვრეტას სივრცისას, როგორც ერთი საგნისას, ჰქონდეს ემპირიული ხასიათი; სივრცეს, როგორც ერთ საგანს, **ადამიანი თვალებით კი არ ხედავს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ გონებით**, მაშასადამე, აქ ჩვენ საქმე გვაქვს წარმოდგენასთან, რომლის საგანს წარმოადგენს ინდივიდუალური რამე, მაშასადამე ინტუიციასთან, თანაც არა ემპირიულ, არამედ აპრიორულ ინტუიციასთან; აპრიორულ ინტუიციას კი კანტი უწოდებს სუფთა ინტუიციას; სუფთა ნიშნავს ყოველივე წარმავალს მოშორებულს. ამნაირივე აპრიორული, სუფთა ხასიათი აქვს დროის განსჭვრეტასაც. ის მომენტები, რომლებშიდაც ადამიანი ათავსებს ცვალებადობას მის შინაგან მდგომარეობისა, რომელსაც შეგრძნობა იწვევს, არა სხვა და სხვა საგანთ წარმოადგენენ, არამედ ნაწილს ერთ საგნისა, რომელსაც დრო ეწოდება. დრო შეიცავს არა ამა თუ იმ მომენტებს, არამედ ყველა მომენტებს; ასეთ საგნის დანახვა არ შეიძლება თვალებით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ გონებით, მაშასადამე აქაც საქმე გვაქვს არა ემპირიულ, არამედ აპრიორულ, სუფთა ინტუიციასთან. როგორც სუფთა ინტუიციანი (განსჭვრეტანი) დრო და სივრცე წარმოადგენენ ფორმებს ემპირიულ ინტუიციისას; მათში ლაგდება მასალები ემპირიულ

ინტუიციით მიღებული; გარეშე გამოცდისა მათ არავითარი ღირებულება არ აქვთ; თუ მაგალითად მოისპო ყველა საგნები, ისინი არაფრად იქცევიან; ამიტომ ის, რასაც ეწოდება მარადისობა და განუსაზღვრელობა, წარმოადგენს მხოლოდ მუდმივ შესაძლებლობას გამოცდისას, სხვას არაფერს.

თუ პირველ ეტაპს ადამიანის შემეცნებისას განსჯერება წარმოადგენს, შემდეგი უფრო აქტიური ეტაპი შემეცნების — აზროვნებაა. განსჯერების პროცესში ადამიანის გონებას საქმე აქვს ინდივიდუალურ საგანთან, აზროვნების პროცესში კი მრავალ საგნებთან, და ეს სხვა და სხვა სახის საგნები ცნობის შემწეობით ერთდებიან ადამიანის გონებაში; ამნაირად ინსტრუმენტს აზროვნებისას ცნება წარმოადგენს. საიდან წარმოსდგებიან თვით ეს ცნებანი? არიან ცნებანი, რომელთა წყარო მხოლოდ გამოცდაშია საძებარი, რომელთაც მამასადამე სრულიად ემპირიული ხასიათი აქვს. მაგრამ არიან ისეთი ცნებანი, რომელნიც არა თუ გამოცდისაგან არ წარმოიშვებიან, პირიქით, თვითონ ისინი წარმოადგენენ წინასწარ პირობას გამოცდისას, როგორც ფორმანი ემპირიულ მასალის დამალავებელი და მისთვის ობიექტიურ საერთო სავალდებულო ღირებულების მიმცემნი. აი სწორედ ეს აპრიორული ცნებანი წარმოადგენენ ტრანსედენტალურ ფორმათა მეორე ჯგუფს; ამ ცნებათ კანტი კატეგორიებს უწოდებს, მაგალითად, კატეგორია სუბსტანციის, მიზეზ-შედეგობის. **გამოცდა იძლევა არა ამ ცნებათ, არამედ მათ სქემებს;** მაგალითად, სუბსტანციის სქემას წარმოადგენს რეალობის მუდმივობა დროთა მსვლელობაში, მიზეზ-შედეგობის სქემას კი წარმოადგენს რეალობა; მეორე რეალობას მუდმივ მოსდევს შემეცნების ტრანსედენტალური ფორმები, როგორც ფორმები განსჯერების — დრო და სივრცე — აგრეთვე ფორმები აზროვნების — კატეგორიები. თუმცა გამოცდისაგან არ წარმოსდგებიან, მაგრამ ამ გამოცდასთან განუყრელ კავშირში იმყოფებიან; გარეშე ამ გამოცდისა ისინი ყოველგვარ ღირებულებას მოკლებული არიან. მაგრამ არსებობენ კანტის შეხედულებით შემეცნების ისეთი ფორმები, რომელთაც არავითარი პირდაპირი კავშირი გამოცდასთან არა აქვთ, რომელნიც წარმოადგენენ მხოლოდ ახსნას თვით ამ გამოცდისას და მისი არქიტექტონიკურ დავვირგვინებას. ამ ფორმებს კანტი იღებებს უწოდებს; მაგალითად **იდეა თავისუფლების და იდეა ღმერთის,** კანტის მიერ **კოსმოლოგიურ იდეათ** წოდებული. ეს იდეები წარმოადგენენ **ტრანსედენტურ ფორმებს** ადამიანის გონებისას. ზემოხსენებულ ნაწარმოებში კანტი ეხება ერთ ფრიად საინტერესო საკითხს შესახებ იმისა, თუ რა გავლენა აქვს ლოგიკურ კანონების შესწავლას თვით აზროვნების უნარზე და ასკენის, რომ ეს უნარი წარმოადგენს ბუნებისგან ბოძებულ საუნჯეს, რომელსაც საღი შეგნება

ეწოდება. ლოდიკის შესწავლით იგი არ იქმნება, არამედ ვითარდება და ვარჯიშდება, მხოლოდ იმისათვის, რომ ლოდიკის შესწავლამ გაზღვნა იქონიოს აზროვნების უნარზე, განავითაროს და გაავარჯიშოს იგი, საჭიროა რომ ეს შესწავლა სწარმოებდეს არა ინ აბსტრაქტო, არამედ ინ კონკრეტო. საჭიროა რომ აზროვნების კანონები ცოცხალ მაგალითებზე იქნას შესწავლილი და შეთვისებული. კანტი ამბობს „რომელიმე ექიმს მოსამართლეს ამ პოლიტიკოსს შეუძლია თავი მრავალ მშვენიერ კანონებით ქონდეს გატენილი, პათოლოგიურის, იურიდიულის ან პოლიტიკურით; შესაძლოა, რომ ამ კანონთა ცოდნა ისეთ ხარისხს აღწევდეს, რომელიც პროფესორს ახასიათებს და ამავე დროს გამოიჩინოს სრული უმწეობა სინამდვილეში მათი გამოყენების ბუნებრივ ნიჭის უქონლობისა, ან ცოცხალ მაგალითებზე ამ ნიჭის დაუმუშავებლობის გამო“.

აქ კანტი პასუხს იძლევა იმ საკითხზე, რომელიც პოლიტიკურ მწერლობაში ხშირად დასმულა, საკითხზე იმის შესახებ — მეცნიერებაა პოლიტიკა თუ უნარი. კანტის შეხედულების თანახმად, პოლიტიკა მეცნიერებაც არის და უნარიც. პოლიტიკისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ბუნებრივად ბოძებული საღი შეგნება, მხოლოდ ამ საღ შეგნებას ანვითარებს და ავარჯიშებს მეცნიერება, გამოცდილებასთან შეკავშირებული, ე. ი. მეცნიერება ცოცხალ მაგალითებზე შესწავლილი.

ფილოსოფოსი კანტის მსჯელობა აზროვნებაზე და კერძოდ პოლიტიკურ აზროვნებაზე გვიკარნახებს ჩვენ სრულებით სხვა გზას, ვინემ არის ის გზა, რომლითაც მიდიოდა და დღესაც მიდის ქართული პოლიტიკა. ეს პოლიტიკა ეყრდნობა არა ცოცხალ მაგალითებს და მათ შესწავლას განათლებულ სახელმწიფოებში, არამედ იმ დოქტრინებს, რომელნიც უარყოფდენ იმ ძირითად პრინციპებს, რომლებზედაც აგებულია ამ ქვეყნების სოციალური და პოლიტიკური წყობილება. ამით იდევნებოდა პოლიტიკიდან საღი შეგნება, ნაცვლად ამ შეგნების დამუშავების და გაავარჯიშების. დღესაც ქართველი პოლიტიკოსები ებღაუჭებიან დოქტრინებს; თანახმად ამ დოქტრინებისა, ისინი უარყოფენ განათლებულ ქვეყნებში არსებულ სოციალურ წყობილებას, რომელსაც კაპიტალიზმი ეწოდება, ან არ უარყოფენ რა ამ წყობილებას, ებრძვიან იმ პოლიტიკურ ფორმებს, რომელიც ამ ქვეყნებშია გაბატონებული და ეძებენ სხვა მათი აზრით უკეთეს ფორმებს. ამ სტრიქონების დამწერი არ უარყოფს იმ ნაკლულევანებათ იმ კაპიტალისტურ წესწყობილებისა, რომელიც საბაბს აძლევს ჩვენს პოლიტიკოსებს ამ წესწყობილების უარყოფელ დოქტრინებს დაუკავშირონ ქართველი ერის ბედილობა, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქართული პოლიტიკისათვის სავალდებულოა ამ წესწყობილების მიღება და მისი პრაქტიკული გატარება საქარ-

თველოში. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ეს წესწყობილება მძიმე ტვირთს აკისრებს მუშას; ჩვენ არ უარვყოფთ მუშათა საკითხის არსებობას საქართველოში; ჩვენ ვფიქრობთ მხოლოდ, რომ ეს საკითხი, ისე როგორც ყველა საკითხი საქართველოში, წარმოადგენს მხოლოდ ტექნიკურ საკითხებს, რომლის გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ დასავლეთ ევროპიულ სახელმწიფოთა პრაქტიკის შესწავლით.

არინ პოლიტიკოსები ქართველებში, რომელნიც უარყოფენ განათლებულ ქვეყნებში გაბატონებულ ეგრედ წოდებულ დემოკრატიულ წესწყობილებათ და ებლაუჭებიან იმ დოქტრინებს, რომელნიც ამ წესწყობილების უარყოფაზეა აშენებული. ჩვენ არ უარვყოფთ დემოკრატიულ წესწყობილების ნაკლებეფანებათ, მხოლოდ ჩვენ ვფიქრობთ, რომ სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის საკითხი ქართველებისათვის არის მხოლოდ დ მხოლოდ ტექნიკური საკითხი და ავანტიურისტულ დოქტრინებისადმი ბლაუჭი ნიშნავს ქართველისათვის ტექნიკურ ცოდნათა შექენაზე უარის თქმას. ძებნა უკეთესი სახელმწიფოებრივი ფორმის, ვინემ ეს არის განათლებულ ქვეყნებში გაბატონებული დემოკრატიული წესწყობილება, ნიშნავს ისეთი სახელმწიფოებრივი ფორმის ძებნას, რომელიც მოქალაქეს გონიერებისაგან ანთავისუფლებს.

ჩვენ ვაფრთხილებთ ქართველ ახალგაზრდობას ამნაირ ვარჯიშობისაგან; ჩვენ მოვუწოდებთ მას სახელმწიფოებრივ ტექნიკის სტუდიისაკენ; ჩვენ ვაწვდით ამ შრომაში მასალებს სახელმწიფოებრივი ცხოვრების უმთავრეს დარგის შესახებ; ჩვენ ვთხოვთ ახალგაზრდობას სათანადო ყურადღებით გაეცნოს ამ მასალებს და შეისწავლოს იგი. მშრალია ეს მასალები, მაგრამ ვისაც გულწრფელად უყვარს ჩვენი ტანჯული ერი და აზრად აქვს მას ემსახუროს მომავალში, არ უნდა შეუშინდეს იმ შრომას, რომელსაც ამ მასალების შესწავლა მოითხოვს.

ედ. პ ა პ ა ვ ა

აღწერები ძველ საქართველოში

ხალხთა ისტორიაში მოსახლეობის აღწერებს უძველეს დროიდან ვხვდებით. მასალების შესწავლას ამ მხრივ ისტორიის შორეულ საფეხურამდეც კი მივყევართ, რაც ადვილი ასახსნელია, თუ გავითვალისწინებთ იმ მიზნებს, რისთვისაც ასეთ აღწერებს ჰქონდა ადგილი. ეს მიზანი ორგვარი იყო: — ხალხის სალაშქროდ გაწვევა და მოსახლეობაზე გადასახადის განაწილება.

ამგვარი მიზნების არსებობა უკვე თავისთავად გულისხმობს ჩამოყალიბებულ სახელმწიფოს თავისი ატრიბუტებით, რომლის გარეშე ასეთი რთული ოპერაციების წარმოება წარმოუდგენელია. მხოლოდ სახელმწიფოებრივად ჩამოყალიბებულ ხალხს შეუძლია იგრძნოს ამგვარი გარდაუვალი საზოგადო მოთხოვნილებები. აქედან შეგვიძლია ზოგადი დებულება მივიღოთ — რომ მოსახლეობის აღრიცხვა ხალხთა სახელმწიფოებრიობის შექმნიდან იწყება ე. ი. ბევრად უფრო ადრე, ვიდრე ჩვენ ამის შესახებ წარმოდგენას გვაძლევს ისტორიის მიერ შენახული მასალები.

სტატისტიკურ აღწერებში, თავისი სიძველისა და მრავალ-ფეროვნების მხრივ, ყველა ქვეყანაზე მეტ ყურადღებას ძველი ეგვიპტე იპყრობს. მეორე დინასტიის დროს (3 000 წ. ქრ. წინ), კანონით, ყოველ ორ წელიწადში ხდებოდა აღწერა. ასეთი სისტემატიური და ხშირი აღწერები, მიუხედავად იმისა რომ მის მასალებს ჩვენამდე არ მოუღწევია და, თუნდაც მარტო ამგვარი კანონების არსებობაც კი, გვარწმუნებს, რომ ამ მტკიცედ არსებულ წესს თავისი ფესვები კიდევ უფრო შორეულ წარსულში უნდა ჰქონდეს.

შემდეგ დინასტიებში, სახალხო აღწერებთან ერთად, ვხვდებით აგრეთვე მრავალ სხვა და სხვა ხასიათის აღწერებს, რომელთაგან ზოგიერთი სპეციალურად — ოქროს, მიწის, საქონლის (მსხვილ და წვრილ-ფეხა) აღრიცხვისათვის არის დანიშნული. ძველი ეგვიპტის საშუალო საუკუნეებში უკვე კლასთა აღწერებს აქვს ადგილი, საიდანაც შესაძლებელი ხდება მთელ მოსახლეობაზე ვიქონიოთ წარმოდგენა.

ასურეთსა და ბაბილონში საგადასახადო აღრიცხვების არსებობას ძველი აღთქმიდან ვტყობილობთ.

მოსახლეობის აღრიცხვებს ვხვდებით აგრეთვე ანტიურ ქვეყნებში — საბერძნეთსა და რომში, მათი აღორძინების პერიოდებში. განსაკუთრებით მდიდარ სტატისტიკურ მასალას რომი იძლევა.

საშუალო საუკუნეები კი, აღრიცხვის ამგვარ მასალების თითქმის სრული უქონლობით ხასიათდება. ერთად ერთ მდიდარ და სერიოზულ წყაროს წარმოადგენს ვილჰელმ დამპყრობელის 1086 წ. დომსდვი ბუკი, რომელშიდაც ინგლისის მოსახლეობის დაახლოვებით და შედარებით საიმედო ცნობებთან ერთად მოცემულია მოსახლეობის სოციალ-კლასობრივი დანაწილება. ამის გამო ის, ისტორიულ დემოგრაფიის ერთ ერთ საუკეთესო ნიმუშად ითვლება.

დემოგრაფიული სტატისტიკის ყველა ამ მასალეს — მათ შორის, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ქართულსაც — მათი სიზუსტის სხვადასხვაობის მიუხედავად, ერთი საერთო ნაკლი ახასიათებს: — ისინი არ წარმოადგენენ ისეთ სახალხო აღწერებს, როგორსაც ჩვენს დღევანდელ სინამდვილეში აქვს ადგილი. უმეტეს მათგანს კი არავითარი საერთო არა აქვს სახალხო აღწერებთან. ეს, ყველა დროისა და ყველა ქვეყნისათვის იმ მიზნით აიხსნება, რომელსაც ამ აღრიცხვებს უყენებდნენ: — სალაშქრო აღწერაში აღრიცხვებოდა მამაკაცთა ის ნაწილი, რომელსაც იარაღის ხმარების უნარი ჰქონდა; საგადასახადოში კი — უძრავი ქონების მებატონე და, ზოგიერთ შემთხვევაში, მოსახლეობის სხვა, განსაზღვრული კატეგორიები. ამათში უფრო საიმედო წყაროს სალაშქრო აღრიცხვები წარმოადგენს, ვინაიდან ის, მოსახლეობის უფრო ფართო ფენებს ხვევდა ხელს, უფრო საყოველთაო იყო, ვიდრე საგადასახადო. მაგრამ აქ, როგორც ვიცით, მხოლოდ ომისთვის უნარიან მამაკაცების აღრიცხვას აქვს ადგილი. ამ უნარს მოკლებულ მამაკაცთა, ქაღალთა და მცირეწლოვანთა აღრიცხვა კი არსად ხდებოდა. ამიტომ მთელი მოსახლეობის დაახლოვებითი სურათის წარმოსადგენად საჭირო ხდება თეორეტიული გამოანგარიშება. ეს თავისთავად არავითარ სიძნელეს არ შეიცავს იმ შემთხვევაში, თუ თვით მოლაშქრე მოსახლეობა სრულადაა აღრიცხული. სიძნელე სწორედ ამ უკანასკნელში არის და ხშირად იმდენად გარდაუვალი, რომ მასალა წარმოადგენს მხოლოდ დოკუმენტს აღრიცხვის არსებობის შესახებ და ამ მხრივ აქვს ღირებულება; დასკვნებისათვის კი არავითარ საშუალებას არ იძლევა ხოლმე.

უნდა ვიფიქროთ, როგორც სხვა ხალხთა ისტორიაში, ისე საქართველოშიც, სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებასთან ერთად, მოსახლეობის სალაშქრო მიზნებით აღრიცხვას ექნებოდა ადგილი, მაგრამ ჩვენმა ისტორიამ ამგვარი ხასიათის მასალები ბევრი ვერ შეგვინახა; ჩვე-

ნამდე მოღწეული ძეგლების უმეტესობა კი იმავე ნაკლს ატარებს და აქვე ზემოდ გვქონდა ლაპარაკი.

ქართულ საისტორიო მასალებში პირველ აღნიშვნას ხალხის აღრიცხვის შესახებ მეზიდე საუკუნეში ვხვდებით; არაბთა შემოსევის დროს ბერძნებმა, საქართველოს დატოვების წინ აღრიცხეს მოსახლეობა თავისი ქონებითურთ. შემდეგი აღნიშვნა მონგოლების შემოსევის დროს (1254 წ.) ეკუთვნის, როდესაც არღუნ ვეზირმა აგრეთვე ხალხისა და ქონების აღწერა მოახდინა. როგორც ვიცით, დავით აღმაშენებლის მიერ შედგენილი ყივჩაღთა ჯარი 50 000 მეომარს ითვლიდა. ჯარის აღრიცხვისათვის მეფის ცალკე ბრძანებას ქონებია ადგილი. აქედან შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ მაშინ, და საერთოდ ოქროს ხანაში, ხალხის საერთო აღწერებსაც ექნებოდა ადგილი.

უფრო გვიან, „დავთრების“ სახელწოდებით შენახული ძეგლების მიხედვით ვხედავთ, რომ აღწერებს სისტემატიური ხასიათი ჰქონდა და მათი გამოყენება, როგორც სამხედრო ისე საგადასახადო მიზნებით ხდებოდა. ვახტანგ მეექვსის კანონებში ვხვდებით დებულებას, რომლითაც ქართლის სამეფო წინედაც აღწერილა და იმავე წესით „უნდა აღიწერებოდეს“—ო. ამ წესის თანახმად აღწერა ყოველ შვიდ წელიწადში ერთხელ ხდებოდა.

ქართლის სამეფო ოთხ ადმინისტრატიულ (უფრო სწორედ — სამხედრო) ერთეულად ანუ ოთხ სადროშოდ იყო დაყოფილი. პირველ სადროშოდ ქვემო ქართლი ანუ სომხითი და საბარათიანო ითვლებოდა; მეორედ — ზემო ქართლი (სამილახვროთი); მესამედ — მეფის ანუ ბატონის სადროშო და მეოთხედ — მუხრანი და ქსნისა და არაგვის საერისთავოები. „სააღწერო რაიონები“ ამავე ოთხი ერთეულით განისაზღვრებოდა, სადაც აღრიცხვას თვით სარდალი (სადროშოს მეთაური) ხელმძღვანელობდა.

შენახულ ძეგლთაგან უძველესად ბარათიანთ (იოთამ და ორბელის) გაყრის წიგნი უნდა ჩაითვალოს რომელიც ს. კაკაბაძის აზრით 1536 წ. ეკუთვნის (იხ. საისტორიო მოამბე. წ. 1. 1924 წ. გვ. 173). ეს „წიგნი“ არც შინაარსით და არც თავისი დანიშნულებით არ წააგავს უფრო გვიან არსებულ დავთრებს. აქ საბარათიანოს კომლთა სია არის მხოლოდ მოყვანილი ე. ი. ის ცნობები, რაც ყმათა საკუთრებისა და მათი განაწილების თვალსაზრისით ყოფილა საჭირო. მისი გამოყენება იმ დროის სოციალ-ეკონომიური საკითხების შესასწავლად უდავოდ შესაძლებელი არის, მაგრამ ის მაინც არ შეიძლება იქნას დახასიათებული როგორც მნიშვნელოვანი დემოგრაფიული მასალა.

კანონით დაწესებულ აღწერების უძველესი ძეგლი მე-17 საუკ. მეორე ნახევარს ეკუთვნის. ასეთია ზემო ქართლის სადროშოს ერთი ნა-

წილის — „სამილახვროს დავთარი“ (ს. კაკაბაძის გამოცემა. 1925წ.) რომელიც, გამომცემლის აზრით, 1656 წლის მახლობლად უნდა იყოს შედგენილი. ამ სალაშქრო მიზნით შედგენილ დავთარში მოყვანილი არის, ერთის მხრივ, ბატონის ამილახორის ყმები ცალკე სოფლების მიხედვით და მეორე მხრივ, ამილახორის აზნაურების და ეფისკოპოზ-მონასტრების ყმები. ყოველგან აღნიშნული არის: „კომლი“ და „თავი“ (რაც მეომარს ნიშნავს), მათი შეიარაღების სახე — „თოფით“, „შუბით“, „მშვილდით“ ან „ცარიელი“. ამნაირად შესაძლებელი ხდება კომლთა საერთო რიცხვის და აქედან გამომავალ მეომართა რაოდენობის გაგება. გამომცემლის მიერ შედგენილ ცხრილში ამილახორის და მისი აზნაურების ყმათა რიცხვი **901 კომლს უდრის, 1326 მეომართით**, რომელთაგან 451 გამოდიოდა შუბით, 442 — თოფით, 309 მშვილდით და 114 — ცარიელი. (10-ზე იარაღი არაა ნაჩვენები). მეომართა საერთო რიცხვში 219 ბოგანო შედის, რომელიც იარაღის ყველა კატეგორიაშია.

ადგილი წარმოსადგენია, რომ ეს ცნობები სამილახვროს მოსახლეობას ვერ ამოსწურავს, რადგან აქ ყმების კომლთა და ბოგანოს რაოდენობას ვღებულობთ. არც აზნაურობა (საერთოდ უმაღლესი წოდება), არც სამღვდელოება და არც მოქალაქენი ამ აღრიცხვაში შეტანილი არ არიან. მაგალითად, ქალაქ გორისათვის ამ დავთრით ჩვენ 21 კომლს ვღებულობთ. ცხადია აქ მოქალაქენი არ შედიან და ეს გორში მოსახლე ამილახორის ყმებია. მაშინდელი ქალაქი გორი კი მოგზაურ შარდენის მიერ დახასიათებულია (1673 წ.) როგორც სვაჭრო ადგილი, სადაც იშოვებოდა ყოველგვარი აუცილებელი საქონელი და რომლის მოსახლეობა „მხოლოდ ვაჭრებისაგან“ შესდგებოდა; მარტო ციხის მუდმივი გარნიზონი 100 მეომარს ითვლიდა. (იხილეთ შარდენი: — ჟურნალ დე ვუაიაჟ. გვ. 203). ამ მაგალითზე ჩვენ ვხედავთ თუ როგორი მრავალრიცხოვანი კლასების გამოტოვებას აქვს ადგილი ამ აღწერაში.

შემდეგში არსებული აღწერებიდან დატულია საკმაო რაოდენობა დავთრებისა, რომელთა განხილვა მტკიცედ გვარწმუნებს ჩვენში არსებულ სტატისტიკურ სამუშაოთა პერიოდულობისა და საფუძვლიანობის ხასიათში. სახელმწიფოს მიერ წარმოებული აღწერები თითქმის ყველანი ერთი და იმავე პროგრამის მატარებელნი არიან. ამათგან განსხვავებულ ხასიათს ატარებს მონასტერ-ეკლესიების მიერ ჩატარებული აღწერები, სადაც მხოლოდ კომლებია მოყვანილი, მათზე საეკლესიო გადასახადის გასაწერად და ასაკრეფად. პროფ. ექვ. თაყაიშვილის მიერ გამოცემულ **სამროვლო დავთარში**, რომელიც 1715 წ. ეკუთვნის, აღნიშნულია: — „ამ სამწყსოს მატთანეს ნურას მეფის მოსაქმეს ნუ უჩვენებთ“ — (არხ. მოგზ. წ. 1. გვ. 128). აქედან სჩანს, რომ ეს დავთრები მეფის ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად და საიდუმლოდ სდგებოდა

და ამიტომ, მათი განსაკუთრებული მიზნებიც რომ არ მივიღოთ მხედველობაში, აქ აღწერა სხვა წესით და პროგრამით უნდა წარმოებულყო. საერთო აღწერათა ჩვენამდე მოღწეულ დავთრებიდან კი ჩვენ ვასკენით, რომ მოსახლეობის აღრიცხვა დაახლოვებით იმავე პროგრამით ხდებოდა, როგორც ჩვენ ეს საამილახვროს დავთრის გარჩევით დავინახეთ. დავთრებში ხშირად პროფესიებისა და სოციალურ მდგომარეობის აღვნიშნავ ვგვხდება. მაგრამ ყველა ამ დავთრებიდან, როგორც მთელი მოსახლეობის, ისე პროფესიებისა და სოციალურ დაჯგუფების მიხედვით მოსახლეობის განაწილების საიმედო ციფრებს ძნელად თუ მივიღებთ.

გავარჩევთ კიდევ ერთს, მეტად საინტერესო დოკუმენტს — **მეწინავე სადროშოს აღწერას**, რომელიც 1721 წელს ბატონიშვილს ვახუშტის და გივი თუმანიშვილს მოუხდენიათ, მეფის ვახტანგ მეექვსის ბრძანებით (იხ. სტატისტიკ. აღწ. საქართველოში. პროფ. ე. თაყაიშვილის რედაქციით). ამ წელში, როგორც დავთრის წინასიტყვიდან სჩანს, აღწერილია ყველა სადროშოები: „... ბრძანა (მეფემ) აღწერა თვითეულად, თვინიერ კავკასთა: ოვსთა და დვალთა და უჩინა სხვათა კადეთა სხვანი სარდალნი და მწიგნობარნი“. აღწერის პროგრამის შესახებ იქვე შემდეგია ნათქვამი: „აღწერეთ ამა დავთარსა შინა, რომელთა ძალედვა აბჯართა და ცხენთა ხმარებანი, გინა სამეფოთა ხარკთა და ბევართ გამოღებანი, ხოლო რომელთა არა ძალედვის ყოვლისა რასამესი ქმნა და გამოღება, განუტევით და არა აღვწერით წიგნსა ამასა შინა“...

დავთარში სოფლობრივ მოყვანილია ოჯახის უფროსთა სია (მეკომურთა სახელი და გვარი) და მოლაშქრეთა რიცხვი კომლში, შემდეგნაირად:

მამასახლისი ბობოქაშვილი ღვთისაგარ	კ-ი	ი	ა	თავი	კ
ნასყიდაშვილი ბერი	კ-ი	ი	ა	თავი	ბ
ივანიშვილი	კ-ი	ი	ა	თავი	ბ

რაიც ნიშნავს: კომლი ერთი, მოლაშქრე ორი.

სოფლის სიის ბოლოში ბოგანოს, მოლაშქრეს და უყმოს დასახელება ხდება: —

ბოგანო მიტიჩა

ბოგანო მამუა...

მოლაშქრე ოთარა (უნდა ვიგულისხმოთ სამხედრო ფუნქციების პირი)

ქ. უყმო მაწევანს ხოჯაშვილი ზურაბა...

ეს დავთარი თავისი შენახულობით და სისრულით წარმოადგენს სამაგალითო დოკუმენტს, სადაც მთელი სადროშოს მოსახლეობაა მოცემული. აქედან, მასალის შესაფერი დამუშავებით ჩვენ შეგვიძლია

თითქმის ზუსტი წარმოდგენა ვიქონიოთ მეწინავე სადროშოს მოსახლეობაზე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ საერთო სტატისტიკურ ცთომილებას, რომელსაც მაშინდელი აღწერის პირობებში უფრო მეტად ექნებოდა ადგილი, ვიდრე დღევანდელ აღწერებში.

თუ როგორ უნდობლობასა და ცნობების გადამახინჯებას ექნებოდა ძველ აღწერებში ადგილი, ამის ნათელსაყოფედ მოვიყვანთ ცნობას მონგოლთა მიერ მე-13 საუკ. მოხდენილ აღწერაზე: — „დიდსა ჭირსა მიეცნეს ყოველნი მკვიდრნი სამეფოსა დავითისანი, რათგან იწყეს აღწერად კაცთა და პირუტყვთამდე, ყანით ვენახამდე, წალკოტით ბოსტნამდე (იხ. ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. გვ. 4). ასევე უნდობლად და შიშით ხედებოდა მოსახლეობა ქართულ ხელისუფლებასაც, რადგან აღწერის პირობები (მისგან გამომავალ საგადასახადო შედეგები რომ არ მივიღოთ მხედველობაში) თავისთავდ მიიმე იყო მოსახლეობისათვის.

აღწერის ხელმძღვანელს — სარდალს — ასაწერად დიდძალი ამაღა და მოხელეები ყავდა. მოხელეებს ამისათვის განსაკუთრებული ხელფასი — „ასამწერლო“ და ჭამა-სმა ანუ „ულუფა“ ეკუთვნოდათ. ყოველივე ეს მოსახლეობას უნდა გადაეხადა; სოფელს, სადაც აღმწერლები ჩადგებოდნენ, კანონის ძალით, „დახდომის“ ანუ გამასპინძლების გარდა, ფულად უნდა გადაეხადა კომლზე ორი შაური და ბოგანოზე ერთი შაური. ხოლო სადაც აღმწერლები არ ჩადგებოდნენ, სოფელი ამისათვის „საამწერლოს“ მეტს იხდიდა, კომლზე აბაზს და ბოგანოზე ორ შაურს (იხ. ჯავახიშვილი. იქვე გვ. 7). აქედან გასაგებია ის შიში და უნდობლობა, რომლითაც მოსახლეობა აღმწერლებს ხედებოდა და ამას კი უეჭველად ცუდი გავლენა ექნებოდა მიღებული მასალის სისწორეზე. ხალხის აღწერისადმი დამოკიდებულებაზე უცნობი ფრანგი მოზაური (18 საუკ.) მეორე ნახევარი) შემდეგს მოგვითხრობს: — „სოფლის მცხოვრებნი გადამხდელების მოახლოვებისას, რამოდენიმე სახლიდან მთელს ავეჯეულებას ერთ სახლში მოაგროვებენ და დანარჩენებს გაანადგურებენ (დასწავავენ); შემდეგში კი ისევ იოლად ააშენებენ ხოლმე მათ“-ო. და ეს იმიტომ რომ აღმწერლებს გაეკცეს, დაემალოს, „ვინაიდან საგლეხო გადასახადი კომლზე გაიწერება და არა სულადობაზე“-ო. (იხ.

Memoires historiques et geographiques sur les pays situés entre la mer Noire et la mer Caspienne. Paris, 1797. p. 54

სტატისტიკურ ცთომილებათა გარდა, რომელსაც მოყვანილ მიზეზებით უნდა ჭარბად ქონოდა ადგილი, ჩვენთვის გაუგებარი ხდება და საერთოდ არც უნდა არსებულებო მაშინ ცნება „კომლი“-ს დეფინიცია. დავთრებში, ბოგანო, მოლაშქრე და უყმო არსად კომლად არაა ჩარიცხული. მეწინავე დროშის დავთარში არც აზნაურიშვილი ითვ-

ლება კომლად. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ კომლი და ოჯახი ერთი და იმავე აზრს არ გამოხატავენ. ამავე დროს ეს სალაშქრო ტერმინად არ შეგვიძლია მივიჩნიოთ, ვინაიდან სალაშქროდ ბოგანოც გადიოდა ხოლმე; არც საგადასახადო ცნებად ჩაითვლება „კომლი“, როგორც ეს ფრანგი მოგზაურის განმარტებიდან შეიძლება ვიფიქროთ, რადგან კანონით „გადასახადი, თუმცა ერთი ორად შემსუბუქებული, როგორც ზემოდ დავინახეთ, ბოგანოზეც იყო გაწერილი. მაშასადამე რაიმე განსაზღვრულ, ჩამოყალიბებულ ცნებას, როგორც ეს ეხლა გვაქვს, სიტყვა „კომლი“ წინედ არ წარმოადგენდა, არამედ ეს სახელწოდება უბრალოდ ყმათა აღსარიცხავად იხმარებოდა.

ყველა ამგვარ და სხვა სიძნელეთა ელიმინაციის გარეშე, ჩვენ მოვახდინეთ უბრალო ცდა მეწინავე სადროშოს მოსახლეობის გამოსაანგარიშებლად, საიდანაც ვლებულობთ დაახლოვებით **9 000 კომლს** და **11 000 მეომარს**; ანუ თუ, იმდროინდელ ოჯახების სიდიდეს მივიღებთ მხედველობაში და კომლზე საშუალოდ **ექვს სულს** ვიანგარიშებთ, მთელი სადროშოს ორივე სქესის მოსახლეობა **54 000 სულს აღწევს**. დანარჩენი სამი სადროშოს აღწერები შენახული არ არის და ამიტომაც ქართლის სამეფოს მოსახლეობის მთლიან სურათს მხოლოდ მათი აღმოჩენით და მათი შესაფერი საფუძვლიანი დამუშავებით მივიღებთ.

მეთვრამეტე საუკუნის ოციან წლებში, თურქების და შემდეგ სპარსელების შემოსევით გამოწვეულმა ჩვენი სახელმწიფოებრივობის დაცვამ ბუნებრივად გამოიწვია კანონით დაწესებულ და ყოველ შვიდ წელიწადში ერთხელ წარმოებულ აღწერების შეწყვეტა. დამპყრობელებს, როგორც ისტორიული საბუთებიდან სჩანს, თავისი მიზნებისათვის მოუხდენიათ აღწერები, მაგრამ ეს მასალებიც ჯერ აღმოჩენილი არ არის. ამგვარად, ჩვენ მიერ მოყვანილ 1721 წლის აღწერის შემდეგ, მეთვრამეტე საუკუნის შუა წლებამდე აღწერები არ წარმოებულა.

უცხო ბატონობის მოსპობის შემდეგ, აღწერის შესახებ არსებული კანონის მოქმედებაც უნდა განახლებულიყო და მე-18 საუკ. მეორე ნახევარში ჩვენ მართლაც მრავალ აღწერებს ვხვდებით, რომელთაგან სამწუხაროდ ხშირად მცირე ნაწყვეტებიღაა დაცული. ამათში ყველაზე მეტად საგულისხმეირო მასალას 1774 წ. აღწერის დავთარი წარმოადგენს რომელიც შეეხება არაგვის ხეობას (იხ. პროფ. ექვ. თაყაიშვილის რედაქციით: სტატისტიკური აღწ. საქართველოში). ამ დავთრის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: — „ქ: ზე აღიდნეს ღმერთმან მეფობა მათის უმაღლესობის მეფის მეორის ირაკლისა! გვებრძანეს ჩვენ მათ მიერ მონათა მათთა მაყასვილს ლუარსაბს და თუშანისშვილს მდაენის გორჯასპიშვილს მანუჩარს აღწერად არაგვისა. აღვსწერედ ბრძანებისაებრ მათის უმაღლესობისა. აღიწერა თვესა იანვარსა: ა: წელსა, უამბ

(1774)*). ზოგიერთ მცირე დეტალებს გარდა, ამ მასალის შესწავლა გვიჩვენებს, რომ მისი პროგრამა იგივეა, როგორც სახელმწიფოს მიერ წარმოებულ ყველა აღწერებში და კერძოდ ჩვენ მიერ ზემოდ გარჩეულ მეწინავე სადროშოს დავთარში.

არაგვის ხეობის დავთრის ამ წინასიტყვიდან შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ ეს აღწერა საყოველთაო იყო — მთელ ქართლის სამეფოს ენებოდა. პროფ. ი. ჯავახიშვილის აზრით, ამაში გვარწმუნებს კიდევ 1775 წლის ერთი საბუთი, სადაც მოყვანილი არის ცნობა ტფილისში მომხდარ აღწერის შესახებ. ამ საბუთიდან „სჩანს, რომ 1775 წ. უწინარეს და ახლო ხანში მეფის ბრძანებით ქ. ტფილისის ხალხის აღწერა შეუდგენიათ“ (საქ. ეკონ. ისტ. გვ. 23). დაბოლოს, ამ დებულების უტოთომელობაში გვარწმუნებს ერთი ძეგლი, რომელშიც მეფე ერთკლე მეორეს მიერ აღნიშნულია: „წელს ქართლი და კახეთი აღვსწერეთ“-ო. (იქვე). არც ტფილისის და არც სხვა ადგილების აღწერები, გარდა ხსენებულ არაგვის ხეობის დავთრისა, არაა შენახული.

შემდეგი ძეგლები ეკუთვნიან 1781 წელს, ე. ი. კანონით არსებულ შვიდი წლის ინტერვალის წესით მოხდენილ აღწერას. ამ საყოველთაო აღწერიდანაც მხოლოდ ქსნისა და არაგვის ხეობათა და ტფილისის მასალებმა მოაღწია ჩვენამდე. ესენიც პროგრამულად ძველ აღწერათა სისტემითაა ჩატარებული. ამიტომ აქ შევეხებით ტფილისის აღწერას.

ქალაქების მოსახლეობაც იმავე კანონით ყოველ შვიდ წელიწადში ერთხელ აღიწერებოდა მხოლოდ ეს აღწერა ცალკე იყო გამოყოფილი და ამიტომ ქალაქები ცალკე სააღწერო ერთეულებს წარმოადგენდნენ. უნდა ვიფიქროთ, რომ საქალაქო აღწერის საერთოდან გამოყოფა შემოღებული იყო მისი პროგრამული განსხვავებით, თავისებურობით.

სამწუხაროდ, 1781 წლის ტფილისის აღწერიდან ამ დებულების დამტკიცება სავსებით არ შეიძლება, ვინაიდან თვით დავთარი ამ აღწერისა დაცული არ არის; მოიპოვება მხოლოდ საერთო შენაკრების ნუსხა (იხ. სახსტორიო მოამბე. წ. 1. 1925. გვ. 227). არც შემდეგში, კანონით წარმოებულ აღწერების დავთრებია შენახული.

დაცული არის სავსებით მხოლოდ 1803 წლის ტფილისის აღწერა — რუსულად გამოცემული (საისტ. მოამბე. წ. 2. 1925. გვ. 33). ეს აღ-

*) მივაქცევთ ყურადღებას იმ ფაქტს, რომ ჩვენში ძველად წარმოებულ აღწერებისათვის იანვრის თვე ყოფილა მიღებული, როგორც ეს თანამედროვე დემოგრაფიაში საუკეთესო სეზონად ითვლება აღწერისათვის.

წერა რუსეთის ჩვენში შემოსვლას უშუალოდ სდევს თან. ის კიდეც არსებული ქართული აპარატი იყო ჩატარებული და ამიტომაც უეჭველია თავის მთავარ პრინციპში იმავე წესით და პროგრამით უნდა ყოფილიყო ჩატარებული, როგორც მისი წინამორბედი საქალაქო აღწერები.

დავთარში მოსახლეობის ყველა კლასები მოცემულია: 1) თვითმუშა მკომურის დასახელებით, 2) მათი ეროვნების აღნიშვნით, 3) ოჯახის წევრთა სქესობრივი განაწილებით, 4) ხელობისა და სოციალური მდგომარეობის აღნიშვნით და 5) ბინაში — ოთახების რაოდენობის აღნიშვნით.

აქედან მოვიყვანთ მხოლოდ ზოგიერთ საინტერესო შენაკრებებს, სადაც ტფილისის მოსახლეობა ეროვნული და სქესობრივ განაწილებით შემდეგნაირად გვხვატება: —

	მეკ.	მამაკ.	დედ.	ორ. სქ.	პროც.
ქართველი	636	1 401	1 261	2 662	22,5
სომეხი	2 170	4 490	4 239	8 729	73,8
თათარი	64	114	110	224	2,0
კათოლიკე	37	82	79	161	1,3
დანარჩენი	16	31	16	47	0,4
სულ	2 923*)	6 118	5 705	11 823	100

ამგვარად, ტფილისში 1803 წლის აღწერით 2 923 მკომური ირიცხებოდა 11 823 ორივე სქესის სულით (რუსულ გარნიზონის ჩათვლელად). რადგან აქ სამღვდლოება და უმაღლესი წოდების პირებიც არიან აღნიშნული, მკომურთა რიცხვი შეიძლება სანდოობის ნიშნის ქვეშ იქნას დაყენებული. ასევე არ ითქმის სულადობის საერთო რაოდენობაზე. ის აქ მეტად შემცირებული მოსჩანს; ამ რიცხვიდან (11 823: — 2 923) გამოდის, რომ კომლზე საშუალო სულადობის რიცხვი დაახლოებით 4-ს უდრის. ეს რიცხვი ძველად არსებულ ოჯახების სიმკვრივის პირობებში ძალზე დაბალ საშუალოდ უნდა ჩაითვალოს, რაც მცირეწლოვანთა აღრიცხვის გარეშე დატოვებით აიხსნება. მოყვანილ ცხრილში უნდა ყურადღება მიექცეს სომეხთა სიდიდეს. ამასვე ერთხმად აღნიშნავს აგრეთვე ყველა უცხო მოგზაური. მასალის დაკვირვება იმ ნაწილში, სადაც მოსახლეობის ხელობასა და სოციალურ მდგომარეობის დასახელებას აქვს ადგილი, ჩვენ გვარწმუნებს, რომ სომხური მოსახლე-

*) აქ შეტანილი არის რამოდენიმე მკომური, რომლებზეც დავთარში სულადობა არაა ნაჩვენები.

ობა ტფილისში — ხელოსნობისა და გაცვლა-გამოცვლის დარგში თითქმის სრულიად მონოპოლურ ფენას წარმოადგენდა.

ქართველი მეფეებიც, სომეხთა ამგვარი ფუნქციების გამო, ჩვენს დედა-ქალაქში მათ დამკვიდრებას ყოველთვის ხელს უწყობდნენ თუ სად არის დასაბამი სომეხთა ასეთი სიჭარბისა ტფილისში, ამის შესახებ ჩვენი ისტორიული დემოგრაფია არაფერს გვეუბნება.

1803 წლის აღწერა, როგორც მისი პროგრამიდან დავინახეთ, მეტად საყურადღებო საკითხებს გვიშლის წინ, მაგრამ ყველა მათი აღნიშვნა სპეციალურ მონოგრაფიებს მოითხოვს. ამიტომ ჩვენ კიდევ ერთ მხარეს შევეხებით მხოლოდ. 1781 წლის ზემოდ-დასახელებულ ტფილისის ნუსხაში კომლთა საერთო რიცხვად **3 248** არის ნაჩვენები. თუ მარტო ამ ციფრს შევადარებთ 1803 წელში არსებულ კომლთა რაოდენობას — 2923, დავინახავთ მოსახლეობის დიდ დაკლებას. მაგრამ ეს დანაკლისი კიდევ უფრო საგრძნობი ხდება სინამდვილეში, რადგან 1781 წლის აღწერა, უმაღლეს და სასულიერო წოდებას არ აღრიცხავდა. ამ მოსაზრებით ს. კაკაბაძეს ეს რიცხვი 3750-დე აჰყავს (იხ. საისტ. მოამბე. წ. 1. გვ. 228). ამ შემთხვევაში მოსახლეობის დაკლება 22,2 პროცენტს უდრის. ასეთი დაკლება აიხსნება ტფილისის აოხრებით, რომელიც ალა მაჰმად ხანის შემოსევით მოხდა. ამ მიზეზით ტფილისი, სპარსთა შემოსევის რვა წლის შემდეგაც, თავისი მოსახლეობის ნორმალურ მდგომარეობაზე თითქმის ერთი მეოთხედით დაბლა იდგა.

ჩვენ მიერ მოყვანილ დავთრებისა და მასალების გარჩევით, როგორც ვხედავთ, მთლიანი სურათის წარმოდგენა საქართველოს მოსახლეობაზე შეუძლებელია. აქ ჩვენი მიზანი იყო, მხოლოდ ნათელი მოგვეფინა ჩვენს ქვეყანაში ძველად არსებულ სტატისტიკურ აღრიცხვების და იმ დიდ სამუშაოთა არსებობისათვის, რომლებიც ამ პერიოდულ აღრიცხვებთან იყო დაკავშირებული. ასეთი უბრალო გაცნობაც მასალებისა ჩვენ მტკიცედ გვარწმუნებს მასში, თუ წინედ რა ფართე სახელწიფო აპარატის არსებობას უნდა: ქონოდა ადგილი ჩვენში და როგორი შესაფერი კულტურული დონე უნდა ხლებოდა ამგვარ ოპერაციათა მეთაურებს და მათ ჩამტარებლებს. რომ აღწერასთან დაკავშირებულ ყველა საკითხების მნიშვნელობა ჩვენს ხელისუფალთ ზედმიწევნით კარგად და თითქმის თანამედროვე სახით ქონდათ წარმოდგენილი და შეთვისებული, ამას ნათლად გვიმტკიცებს ის საბუთი (მთელი ქართლის სამეფოს მოსახლეობის შენაკრები), რომელიც მეფე ერეკლე მეორემ რუსეთის მთავრობას წარუგზავნა „იმდროინდელ საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობის წარმოსადგენად“ (საქ. ეკ. ისტ. გვ. 39). კიდევ უფრო ადრე — მე-16, მე-17 საუკ. ჩვენს ქვეყანაში პერიოდული აღწერების არსებობა ბევრი რამესი მეტყვევლია. ამ დროს არა თუ რუ-



სეთში, ევროპის არც ერთ ქვეყანაში, მთლიან სახელმწიფო აღწერებს ადგილი არ ქონია. მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ათეულებში ჩაეყარა ევროპის მოწინავე სახელმწიფოებში საფუძველი პერიოდულ, მთლიან და საყოველთაო აღწერებს. ძველმა რუსეთმა კი საყოველთაო აღწერა მხოლოდ ერთი იცის — 1897 წელში.

საქართველოს მოსახლეობის სრული სურათისათვის დაახლოებით საიმედო ცნობებს ჩვენ უცხო მოგზაურთა აღწერილობებში ვპოულობთ, ვინაიდან ისინი, როგორც თანამედროვენი ადგილზევე ეცნობოდნენ ქართულ სტატისტიკის მასალებს, რომელთა მიხედვითაც სდგებოდა, სჩანს, მათი აღწერილობანი ჩვენს ქვეყანაზე. შესაფერი ძეგლების დაუცველობის გამო, ეს წყარო ამ უმად ჩვენთვის განსაკუთრებულ ღირებულებას წარმოადგენს. ამიტომაც ჯერ ხანად მხოლოდ ამ წყაროებით თუ შეიძლება მოხდენილ იქნეს ცდა საქართველოს მოსახლეობის საერთო რიცხვის გამოსაყვანად.

მხოლოდ, პირველში, არ იქნება ინტერესს მოკლებული, თუ მათ ცნობებს მოვიყვანთ ტფილისის შესახებ და თან ამ ცნობებს შევადარებთ ჩვენ მიერ ზემოდ-მოყვანილ აღწერის მასალებს.

ტფილისის მოსახლეობაზე უცნობი ფრანგი მოგზაური შემდეგს მოგვითხრობს: — „მიუხედავთ იმისა, რომ მისი (ქალაქის) მოხაზულობა ორ ინგლისურ მილზე მეტს არ ვრცელდება, ის შეიცავს ოცი ათას მცხოვრებს, რომელთაგან ნახევარზე მეტი სომხობაა. დანარჩენი, უმთავრესად, შესდგება ქართველებისა და თათრებისაგან“. (იხ. დასახელებული წყარო. გვ. 53). გერმანელი მოგზაური და მეცნიერი გულდენ-შტედტიც ოცი ათას მცხოვრებს ასახელებს და ისეთივე ადგილს აკუთვნებს სომხებს.

ფრანგი მოგზაური კლაპროტი (1807 წ.) კი 18 000 მცხოვრებით განსაზღვრავს ტფილისის მოსახლეობას. ამ ორგვარ ცნობაში მაინც ვერ ვხედავთ იმ განსხვავებას, რომელიც ჩვენ 1781 და 1803 წ.წ. აღწერებში აღვნიშნეთ; მაგრამ 1803 წლის აღწერაში 11 823 სულს თუ ვარაუდით მცირეწლოვანთა რიცხვით შევავსებთ, ეს რიცხვი დაახლოებით 15-16 ათასამდე აიწევა. ამასთან, შედარებით ნორმალური ცხოვრების პირობების გამო, მოსახლეობის მატებასაც ექნებოდა ადგილი და 1807-08 წ.წ. კლაპროტის მიერ მოყვანილი რიცხვი (18 000) ევებისობასთან ახლო უნდა იყოს. ბევრად უფრო ადრე, ერეკლე პირველის მეფობის დროს, მეცნიერი ტურნეფორიც 20 000 სულს აღნიშნავს ტფილისისათვის: 14 000 სომეხს, 3 000 მაჰმადიანს, 2 000 ქართველს და 500 კათოლიკეს. მოსახლეობის ასეთი ეროვნული განაწილება მეტად განსხვავდება თავისი ხვედრითი წონებში იმ ციფრობრივ მასალიდან, რომელიც 1803 წლისათვის ჩვენ ზემოდ მოვიყვანეთ. აქაც ადგილი მოსა-

ლოდნელია სწორ ციფრებთან გვექონდეს საქმე და თითქმის მთელი საუკუნის მანძილზე ნამდვილად ქონოდეს ადგილი ეროვნული შემადგენლობის ამგვარ გადანაწილებას, თუმცა, კერძოდ, სომხობის პროც. აქაც დაახლოვებით იგივეა (70), რაც 1803 წელში.

აღმოსავლეთ საქართველოსთვის იგივე ტურნეფორი 60 000 კომლს ასახელებს. ამავე რიცხვს გვიჩვენებს უფრო გვიან უცნობი მოგზაური. მოგვყავს მისი მეტად ფრთხილი და საინტერესო დასკვნები: — „ფიქრობენ, რომ ირაკლის (მეორეს) ქვეშევრდომთა რიცხვი 60 000 ოჯახამდე აღწევს, მაგრამ ეს აღრიცხვა, უეჭველია, სინამდვილეზე დაბლა არის, მიუხედავად იმ ვაჭირვებულ მდგომარეობისა, რომელშიც ამ უამად ეს ქვეყანა იმყოფება. გლეხები, დედოფალს და კათალიკოსს რომ ეკუთვნიან, მეფეს გადასახადს არ აძლევენ და მაშასადამე, გადასახადზე დაქვემდებარებულთა სიაში არ არიან შეტანილი. მრავალი ამ სახის შეღავათი აქვს მინიჭებული მეფისაგან მის სიძეებს და მახლობლებს“. (იხ. იგივე წყარო. გვ. 54). აქედან და ზემოდ-მოყვანილ ამონაწერიდან, სადაც ავტორი გლეხების შიშზე და კომლთა რიცხვის ხელოვნურ შემცირებაზე მოგვითხრობს, ის ასკვნის: — „მაშასადამე საქართველოს მოსახლეობა 300 - 350 ათას მცხოვრებზე ნაკლები არ უნდა იყოს“-ო. მართლაც, თუ 60 000 კომლს ექვსზე (ოჯახზე საშუალო რაოდენობა სულთა) გადავამრავლებთ, როგორც ეს ზემოდ გვექონდა, ვღებულობთ 360 ათასს ანუ დაახლოვებით იგივეს, რაც ჩვენს ავტორს აქვს მოყვანილი. ამგვარად, აღმოსავლეთ საქართველოსათვის საკმაოდ საიმედო ციფრი მივიღეთ.

უფრო მეტ სიძნელეებს ამ მხრივ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ცნობებში ვხვდებით. ისეთ აღწერებს, როგორც აღმოსავლეთ საქართველოში დავინახეთ, დასავლეთ საქართველოში ადგილი არ ქონია. იქ, სახელმწიფოს მიერ აღწერის დაკანონების და ამის მიხედვით აღწერის ჩატარების რაიმე ძეგლი არ არსებობს. სამაგიეროდ მრავლად ვხვდებით საეკლესიო აღწერებს. ესენი თითქმის ყველა მე-16-17 საუკ. ეკუთვნიან. ამგვარი მასალები საკმაოდ არის შენახული, მაგრამ მათ გაგებას პროფ. ი. ჯავახიშვილის აზრით, უამრავი სიძნელეები ხვდება წინ. ეს სიძნელე დასავლეთ საქართველოს მაშინდელ სოციალ-ეკონომიური წყობის და საერთო ყოფა-ცხოვრების შეუსწავლებლობაში მდგომარეობს. მეთვრამეტე საუკუნეში კი მასალების ისეთ სიმცირეს აქვს ადგილი, რომ ეს სრული უქონლობითაც შეიძლება დახასიათდეს. ეს ადვილად ასახსნელიც არის იმ პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობით, რომელშიდაც მოექცა დასავლეთი საქართველო განსაკუთრებით მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში და მთელი მეთვრამეტე საუკუნის განმავლობაში, როდესაც დასავლეთი საქართველო ერთი მეორესადმი

მტრულად განწყობილ მრავალ სამთავროებად იყო დაყოფილი და თვით ცალკე სამთავროებშიც სახელმწიფო ხელისუფლების და კანონის არსებობაზეც არ შეიძლება ლაპარაკი ზოგიერთ საბედნიერო გამონაკლის გარდა. ფეოდალების ადვირახსნილობით და ურთიერთშორის შუღლის შედეგად აწიოკებულ და განადგურებულ ქვეყანას ადვილად ეპატრონებოდა ხოლმე უცხო ძალა და გაჟღეტას გადარჩენილი მოსახლეობა ათასობით და ათიათასობით გაყიდვის საგნად ხდებოდა; ქართველი ფეოდალებიც საექსპორტო საგნად, მატერიალურ დოვლათს მოკლებულნი, თავის ქვეშევრდომებს გაიხდიდნენ ხოლმე. ეს გარემოება მოსახლეობის რიცხვს მეტად ამცირებდა. მოვიყვანთ შარდენის მოწმობას (იმოგზაურა 1672 წ.): — „სამეგრელო დღეს ძალზე გაპარტახებულია, მას მხოლოდ ოცი ათასი მცხოვრები ყავს. 30 წელზე მეტი არაა მას შემდეგ რაც ის 80 000 მცხოვრებს ითვლიდა. დიდი ხანია რაც გაყიდვისა თუ საქონელზე გაცვლის წესით ყოველწლიურად 12 ათასი სული გაყავთ სამეგრელოდან“. (იქვე გვ. 82).

აქედან გამომდინარე დასკვნა მოსახლეობის მეტად მცირე რაოდენობის შესახებ, შარდენს რომ მოყავს, ადვილად შესაძლებელია გადაჭარბების ხასიათს ატარებდეს. აწიოკებული მოსახლეობა მთებსა და ტყეებს აფარებდა თავს, როგორც ეს ჩვენი ხანგრძლივი ისტორიიდან ვიცით, მაგრამ მშვიდობიანობის ჩამოვარდნის შემდეგ, ის ისევ თავის სახლ-კარს და მიდამოს უბრუნდებოდა. ეს გარემოება კი მოსალოდნელია მხედველობიდან გამორჩენოდა უცხო მოგზაურს და ამით შეიძლება აიხსნებოდეს ასე მცირე რიცხვის (20 000 სული) დასახელება.

როგორც ვიცით, მე-17 საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან მთელი საუკუნის განმავლობაში დასავლეთ საქართველოს მდგომარეობას საგრძნობი ცვლილებები არ დასტყობია: იგივე აწიოკება, იგივე შუღლი ცალკე მთავრებს შორის, ძმათა შორის განუწყვეტელი ომები, და ქართველ ტყვე ქალ-ვაჟთა მუსულმანურ ქვეყნებში გასასყიდათ გაზიდვის კიდევ მეტი გაძლიერება. მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენი უცნობი მოგზაური, რომლის ფრთხილ დაკვირვებას ზემოდაც აღვნიშნავდით, იმერეთის მოსახლეობას (მე-18 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში) 20 000 ოჯახით განსაზღვრავს (გაერთანებული იმერეთი — რაჭა, ლეჩხუმ-სვანეთითურთ) და ამავე დროს სამეგრელოს ახასიათებს, როგორც „ბევრად უფრო მოზრდილს“ (გვ. 60). თუ ამის მიხედვით, სამეგრელოს და გურიის მოსახლეობას ერთად აღებულს 30-35 ათას კომლად ჩავთვლით, მთელი დასავლეთი საქართველოს მოსახლეობა 50 ათას ან 55 ათას კომლს, (ანუ საშუალოდ კომლზე იმავე ექვსი სულის ანგარიშით) — 300 ათას ან 330 ათას სულს მოგვცემს, დაახლოვებით იმავე ციფრს რასაც აღმოსავლეთი საქართველო (300 - 350 ათასი).

ამნაირად, მეთვრამეტე საუკუნის მიწურულში მთელი საქართველოს (აღმოსავლეთი და დასავლეთი) მოსახლეობა, როგორც მოყვანილ მასალებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, დაახლოებით 600 ან 680 ათას მცხოვრებამდე აღწევდა. ეს რიცხვი გამოყვანილია, როგორც ვიცით, იმ აწიოკებულ მდგომარეობის მხედველობაში მიღებით, რომელშიდაც იმყოფებოდა მაშინდელი საქართველო. მორმალური, მშვიდობიანი ცხოვრების პირობებში კი, რაც, მართალია, თუნდაც ოდნავ ხანგრძლივ სახით ჩვენს ისტორიას იშვიათად ახსოვს, მოსახლეობის რაოდენობა გაცილებით მეტი იქნებოდა.

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

რ . ა რ ს ე ნ ი ძ ე

ბიბლიოგრაფიული შენიშვნები

„ვეფხის ტყაოსანის საკითხები“-ს

შესახებ

ზ. ავალიშვილი. „ვეფხის ტყაოსანი“-ს საკითხები. პარიზი. 1931

ბ. ზ. ავალიშვილმა ეს მეორე ჯილდო უძღვნა ქართულ საზოგადოებას და ქართულ მეცნიერულ მუშაკთ ემიგრაციაში. სწავგვარად არ შეიძლება იმ წიგნის დახასიათება, რომელსაც „ვეფხის ტყაოსანის საკითხები,, ეწოდება. წიხნი მეცნიერულია და დიდ ნაწილში სპეციალური. ამიტომ ჩვენ ერთნაირად გვერიდება კიდევ მისი ბიბლიოგრაფიის დაწერა. ყველა ხომ სპეციალისტი ვერ იქნება. მარა ჩვენ არც ვაპირებთ აქ მისი მეცნიერული თვალსაზრისით აწონ-დაწონვას. რამდენად სავსებით და სრულად ამოსწურა ავტორმა თავისი მასალები, ხომ არ დარჩა რაიმე არა ნაკლებ საყურადღებო, ვინემ ის, რაც მოყვანილია — ყველა ეს კითხვა „სპეცების“ საქმეა, ჩვენ კი ერთი რამ გვანტერესებს, — რაიმე ახალი და მნიშვნელოვანი მოგვცა მან შოთას პოემის გაგებასა, ახსნასა და განმარტებაში თუ არა? და თუ მოგვცა, რამდენად მისაღები და პოემის სულთან შეგუებული? ჩვენი მცირე შენიშვნები ამ საკითხებით განისაზღვრება. მკითხველი ნუ გაგვიჯავრდება, თუ ცოტა შორიდან გვინდა ამ კითხვებს მოვუაროთ.

საქმე იმაშია, რომ შოთაზე ბევრი რამ დაწერილა დღემდე; ბევრიც დაიწერება. შოთა უღვევი ზღვაა საკვლევად და საძიებლად.

აქ, პარიზშიც ორი წიგნია მის შესახებ გამოსული, ორივე ნიჭით დაწერილი და ყურადღების მიმპყრობი. პირველი შარშან გამოვიდა და ნ. ჟორდანიას კალამს ეკუთვნის. თავის დროზე მისი განხილვის საშუ-

ალება არ დაგვირჩია. თუ ხელი კვლავ არაფერმა შეგვიშალა, ამ ნაკლის შევსების განზრახვა არ დაგვიტოვებია. მარა მისი გვერდის ავლა აქაც არ შეგვიძლია და უნდა ვაკვირით მაინც შევეხეთ. მით უმეტეს, რომ ეს ორი წიგნი სხვა და სხვა სკოლას და მიმართულებას ახასიათებს.

შოთას უკვდავ პოემას, ექვი არ უნდა, ორი ძირი აქვს. ერთია ქართული სინამდვილე თავისი რაინდული ზნე-ჩვეულებებით, გამარჯვებული ომებით, ბრწყინვალე სახელმწიფოებრივი ცხოვრებით, განვითარებული კულტურით, აყვავებული მწერლობით, ხელოვნებით, მეცნიერებით. მეორეა იმ-დროინდელი მსოფლიო კულტურა, განსაკუთრებით სპარსულ-არაბული, საერთოდ აღმოსავლური და ბერძნული. ორივე ძირს უნდა ხანგრძლივი და საფუძვლიანი შესწავლა, გამორჩევა ერთი მხრით საჭიროა და ძალიან საჭიროც, შოთას-დროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების სინამდვილით აღდგენა, მასალების გამოძენით, გამოქვეყნებით, განხილვით, შემოწმებით. მეორე მხრით აუცილებელია სხვა აღმოსავლეთის ერთა კულტურულ მიღწევებსა და მეცნიერულიტერატურულ ძეგლებთან შედარებით ამ უკანასკნელთა კვალის და გავლენის აღნუსხვა, მსგავსება და განსხვავების, ანუ მიზაძვის თუ ორიგინალობის სისწორით გაშუქება და ასე შოთასათვის მათ შორის თავის ადგილის და როლის მიკუთვნება. ეს ჩვენთვის უდავოა. ჩვენში კი ამ უკანასკნელ დრომდე მაინც კვლევა-ძიება უმთავრესად სულ სხვა საგანს დასტრიალებდა. ეს იყო საკითხი ფაბულის წარმოშობის. თამარის ცხოვრებიდან ამოიღო ავტორმა პოემის სიტყეტი, თუ სპარსული ამბავი გალექსა.

ორი სკოლა გაიმართა ამ საკითხის გარშემო. ერთი ამტკიცებს ვ. ტ. ფაბულის ქართულობას თამარის ისტორიასთან შედარებით, მეორე მის სპარსულობას შიგ სპარსული ტერმინების, სიტყვების აღმოჩენით და ცნობილი ტაეპის მიხედვით: „ესე ამბავი სპარსული“... და სხვა.

ჩვენ ვფიქრობთ, ამ დავამ უკვე მიაღწია ერთგვარ საფეხურს, სადაც ყველა აწინდელ მასალებზე დამყარებული საბუთები ამოწურულად უნდა ჩაითვალოს. ნ. ჟორდანიას წიგნი („ვეფხისტყაოსანი.. 1930. პარიზი) საუკეთესოდ დასაბუთებული და საბოლოო სიტყვაა პირველი სკოლის პატრიოტულ უნარით გატაცებულ მკვლევართ რომ იზიდავს. ამ წიგნში ავტორმა მთელი თავისი კარგად ცნობილი ნიჭით და უნარით მოიტანა ყველა შესაძლებელი არგუმენტები, მარა, რომ ვ. ტ.-ნი, ეს იდეალური პოეტური ქმნილება, თამარ მეფის ცხოვრების ასლი იყოს, მაინც ვერ დაამტკიცა. ის უფრო ძლიერია იქ, სადაც მოპირდაპირე სკოლის თეორიას არღვევს, მარა იმდენადვე სუსტია, როცა თავისი დებულებების დამტკიცებას სცდილობს.

მისი მთავარი საბუთები — ეს მინავარის და მიმსგავსებულის ერ-

თი და იგივეობით გამოტანაა, რის გამო მეტად ხელოვნურია და ნაკლებ დამაჯერებელი. მსგავსებათა გამოძებნასთან ერთად რომ მას განსხვავებათა აღნუსხვაც მოესურვებია, მთელი მისი თეორია ყირამალა გადატრიალდებოდა. მარტო ის რად ღირს, რომ თამარი, წმინდანად ჩარიცხული და ნაქები, ბერ-მონაზვნების, ეკლესიების, წირვა-ლოცვის, ხატთა შემოსვის და სხვა ასეთ რიტუალის ვატაცებული თაყვანისმცემელი იყო, ხოლო შოთას გმირები სარიტუალო რამეს ხსენებითაც არ იხსენიებენ, თითქოს ღირსეულ და იდეალურ რაინდულ საზოგადოებაში ასეთი რამ არც კი უნდა არსებობდეს. მორწმუნე თამარი და უსარწმუნოებო (და არა უღმერთო) შოთას გმირები! განსხვავება ისეთი დიდია, როგორც იდეალსა და რეალობას შუა.

სამაგიეროდ არც სპარსული ვერსიის მოტრფიალენი არიან სხვა ბედის. მათაც ბევრი აქვთ საბუთები, თვით შოთას მოწმობა, მარა არ იქნა და ვერ იპოვეს ის მზეთუნახავი სპარსული მოთხრობა, რომელიც შოთას ხელთ უნდა ჰქონოდა, არც თარგმანი სჩანს მისი, არც ორიგინალი, არც მოწმეა ვინმე მისი მნახველი. მოთხრობის შესწავლით უნდა გაგვეგო მისი გავლენა შოთაზე. ნამდვილად კი გავლენას ვეძებთ ამ მოთხრობის შინაარსის გამოსარკვევად. ესეც, ვგონებ, დაკარგული შრომაა: — შოთას იგი არ გამოადგება.

და ასე ვართ საკვირველი გარემოების წინ: — ითხზება ჰიპოტეზები, თეზისები პატრიოტული და არაპატრიოტული, კეთდება დასკვნები, იხარჯება შრომა, მარა არსად სჩანს ფაქტი, რეალური საბუთი, სინამდვილე; მსგავსება მრავალი ყოველ მხრივ, მარა ნასესხობა არ მტკიცდება, არც „ქართლის ცხოვრების“ გალექსვა ეგუება. და გვრჩება ერთი — შოთამ დასწერა თავისი პოემა, თავისი იდეალები, თავისი ფილოსოფია და ამოიღო იგი ქართული სინამდვილედან, ქართული აზროვნებიდან, ამოიღო მსოფლიო მეცნიერულ და ლიტერატურულ სალაროდან, და გადაამუშავა თავისებურად, მოგვცა იგი თავმოყრილი, გაერთიანებული უმაღლეს სინტეზში, როგორც შეფერის გენიალურ ქმნილებას. ამას ვერაინ გაექცევა.

არსებითად ამ ქართულ-სპარსული თეორიების გაშლას მთელი თავისი უკიდურესობით არც აქვს ისე დიდი მნიშვნელობა; ხშირად ბორკავს კიდევ მკვლევარს და აზრის თავისუფლად განვითარების ნებას არ აძლევს. ჩვენ უფრო მნიშვნელოვანად მიგვაჩნია ის, რაც ორივესათვის უდავოა. ზემო თქმულის გარდა გავლენის შესახებ უდავოა ის, რომ ვ. ტ.-ის სიუჟეტი ზღაპრული ხასიათისაა, მარა ზღაპარი რეალობის საზღვრამდე ჩამოყვანილი. უდავოა, რომ ამ ზღაპარში — თუ ზღაპრებში არის ელემენტები წმინდა ქართული, მაგ. ქაჯები, და არის ელემენტები სპარსულ-აღმოსავლური წარმოშობის, იქნება ამბად გდმოსული,

იქნება მოთხრობად. და ეს მასალა დაამუშავა შოთამ, მარა როგორ? აი, ესაა გასარკვევი, რადგან ესაა ამავე დროს გამორკვევა შოთას გენიის და მისი ნაწარმოების ღირებულების.

მკითხველს არ შეევაწუხებთ აქ ამ ორი სკოლის შედარებითი შეფასებით. აღნიშნავთ მხოლოდ ერთს: — მეცნიერულ კვლევა-ძიებას მეტი ადგილი აქვს დღემდე სპარსული ვარიანტის მომხრეთა შორის. თვით ქართულ კულტურულ ძეგლთა გამოკვლევაც უმთავრესად მათ ბანაკს ეკუთვნის. ამ მხრივ იგი უფრო ნაყოფიერია, მაგრამ რამდენიმედ ასუსტებს ის გარემოება, რომ ამ ძიების დროს უმთავრესად მიზნად ისახავდნენ სპარსულ-ბერძნული და საერთოდ აღმოსავლური გავლენის გზების გამოძიებას შოთას შემოქმედებაზე. ქართული ძირი და ფესვები მაინც იჩენდნენ თავს. ქართული ვერსიის მომხრენი კი ერთიანად უარყოფდნენ უცხო გავლენას და მთელი პოემის ქართულ-ისტორიულ აღწერილობის საბუთად გამოყენებას სცდილობდნენ. შოთას „ქართლის ცხოვრების“ გალექსვაც კინალამ შესწამეს.. თამარის ბიოგრაფობა ხომ ღირსებად ჩაუთვალეს; „კარის გარიგების“ წესთაგან მცირედი გადახრაც უკიჟინეს! ეს კი ლიტერატურული ნაწარმოების დაფასებაში ნიშნავს მეცნიერულ-ლიტერატურული მეთოდის უარყოფას; სულ სხვა შეხედულებათა სფეროში მოკალათებას. და ჩვენ უნდა გადაჭრით აღვიაროთ — თუ სკოლამ გეზი არ იცვალა, და ნამდვილ მეცნიერულ კვლევა-ძიებას არ შეუდგა, და არ მართო იმ ვიწრო ფარგლებში, რომელსაც მას ნ. ჟორდანიას უყენებს თავის წიგნში, არამედ საერთო ქართულ და უცხო გავლენათა შედარებით შოთას ორიგინალობის და მსგავსების გამორკვევას, შეგვიძლია იგი უკვე გადასულად ჩავთვალოთ: ნ. ჟორდანიას წიგნმა სთქვა მისი უკანასკნელი სიტყვა.

ბ. ზ. ავალიშვილი ეკუთვნის მეორე სკოლას. იგი სპარსულ თეორიას იზიარებს. ერთ ადგილას მის გაფართოებასაც სცდილობს და უნდა გამოვტყდეთ, ეს მთელ წიგნში ერთადერთი სუსტი ადგილია. მართლაც, საექვოა შესაძლებლობა იმის, თითქოს ქაჯების ნაცვლად, რომელთაც ქართულობას თვით ბ. ავალიშვილი აღიარებს, იმ უპოვარ სპარსულ მოთხრობაში ნამდვილი ხალხი, მეომრობაში განთქმული ქალაქები უნდა ყოფილიყოს ნახსენები და მაშინ თვით მოთხრობაც სპარსეთ-ინდოეთის საზღვრებზე წარმოშობილად უნდა ვიგულისხმოთ და სხვ. ერთი მიბრძანეთ, რაც სიტყვა-ძვირ შოთას ამ ქაჯების განკაცებაზე და ზღვის გაღმა გავზავნაზე თავისტეხა დასჭირდა, რომ თავის გამირებისათვის მათთან ზღაპრული ომების წარმოება აეცილებინა, განა ამ ქაჯებს ვადაეკიდებოდა, რომ პირველ წყაროში ადამიანები, ქალაქები ყოლოდა?

და რომ ბ. ავალიშვილის წიგნი ამ თეორიის მტკიცებაზე იყოს აგებული, ჩვენ მის დახასიათებას, ამ წერილის თავში რომ მოვახდინეთ,

დაგვახარჯენებდა. მარა ავტორი თავის წიგნში, რომელიც ოთხი ეტიუ-
ლისაგან შესდგება, არკვევს სულ სხვა საკითხებს, რომელთა მნიშვნელო-
უდავოა. რა მოგვცა შოთამ? რა ადგილი უკავია მას მაშინდელ მსოფ-
ლიო მეცნიერულ და ლიტერატურულ სამეფოში? რა შეითვისა მათგან
და რა მიუძღვნა? რითი ჰგავს სხვა შესაფერ ნაწარმოებთ და რითი გა-
ნირჩევა მათგან? აი ესაა ზოგადი თემა კვლევის და ამ ზოგად თემის მან
მხოლოდ რამოდენიმე საკითხი გააშუქა.

მასალები მისი კვლევის უმთავრესად უცხო ლიტერატურა და მეც-
ნიერებაა. ქართულ ძეგლების გარკვევას შედარებით მცირედი ადგილი
აქვს მიკუთვნებული. შეიძლება იმიტომაც, რომ ეს უკანასკნელი ემი-
გრაციაში ხელ-მიუწვდომელია. მარა მთელ თავის გამოკვლევითა სი-
გრძეზე იგი ერთხელაც არ უშვებს შემთხვევას შეძლების და-გვარად
ხშირად მეტად ფრთხილ ფორმებში აღნიშნოს ის, რაც შოთას აქვს ქა-
რთული ან ნაქართულევი ე. ი. ჩვენი ერისგან ისტორიულად მიღებუ-
ლი და შეთვისებული მწიგნობრობიდან თუ ზეპირსიტყვაობით. ამით
სკოლის ცალმხრივობა და სივიწროე ერთნაირად დაძლეულია, გადალა-
ხულია, ხოლო ჩვეულებრივი ობიექტივობა, სიღინჯე და მიუდგომლო-
ბა, რომელითაც ხასიათდება ჩვენი ავტორი, საშუალებას აძლევს მას
მთელი თავისი ლოლიკური სიძლიერით გადაგვიშალოს წინ ყველა ის
დასკვნები, რომელნიც უხვად შეგროვილ და განხილულ მასალებიდან
ამოიკითხება.

აი, ამაშია თუ გნებავთ, ერთი უდიდესი ღირსება ამ წიგნის, თუნ-
დაც ბევრი რამ იქ გამოთქმული შემდეგში უფრო გასაღრმავებელი. შე-
სასწორებელი ან გადასამუშავებელიც აღმოჩნდეს. მეცნიერულ კვლევას
მოგვხსენებათ, საზღვარი არ უძევს.

მეორე ღირებულება კიდევ ის არის, რომ ეს წიგნი გამოსადეგია,
როგორც სპეციალურ მკვლევართათვის, ისე პოემის მოყვარულთა და
უბრალო მკითხველისათვის. ორივეს ბევრს შესძენს იგი და სიამოვნებას
აგრძნობინებს.

დავიწყოთ პირველი ეტიუდიდან: „შვიდ მნათობთა ლექსი“. თქვენ
ეს ლექსი წაგიკითხავთ და დამტკბარხართ მისი პოეტური პათოსით, აღ-
ტაცებაში მოუყვანიხართ გამოკვეთილ ფიგურებს, ვარსკვლავთ სამეფო
რომ ქვეყნად ჩამოყავთ სიყვარულის სამსახურისათვის.

მაგრამ ეხლა ვადაიკითხეთ იგივე ლექსი ამ ეტიუდის წაკითხვის
შემდეგ და თქვენს წინ ვადაიშლება უსაზღვრო ჰორიზონტი, მთელი
სამეფო, მთელ მნათობთა სისტემა, როგორც მაშინ ჰქონდათ წარმოდ-
გენილი; ლექსის თვითეული ტაეპი, თვითეული სიტყვა აღივსება ახალი
ღრმა აზრით, შინაარსით, ფილოსოფიით. მთელი მსოფლმხედველობა
კოპერნიკის წინ რომ ფლობდა კაცობრიობას, წარმოსდგება თქვენს წი-

ნაშე მარგალიტის მძივებით ასხმული, ულამაზეს სიყვარულის ულამაზეს ჩარჩოდ ქცეული. თქვენ შედიხართ მაშინდელი მკითხველის ცნებათა სამეფოში, ეზიარებით მაშინდელი საზოგადოების აზროვნებას, განცდებს, გრძნობებს და პოეტი ხდება თქვენთვის უფრო ახლობელი, უფრო გასაგები, ძლიერი. ეს უბრალო მკითხველისათვის. მეცნიერი კი აქ იპოვის შვიდ მნათობთა კულტის ისტორიას სხვა და სხვა აღმოსავლურ ერებში, ამ კულტის ევოლუციას; აქ იპოვის ვარსკვლავთა შესხმის პოეტურ გამოყენების ანალოგიებს სხვა და სხვა დიდი პოეტებისაგან: თქვენ წინ გაივლის ვირგილიუსი, დანტე, ვისრამიანი და სხვა აღმოსავლური მწერლობა, ერთი სიტყვით, ფართე და მდიდარი მასალა, რომელთა შორის შოთას მიღწევა წარმოგიდგებათ, როგორც ყველაზე სრული, სწორი, ბუნებრივად ჩაქსოვილი პოემის მსვლელობაში, სქოლასტურ სიმშრალისაგან თავისუფალი და ამით უმშვენიერესი. და იგრძნობთ, რომ იგი მეფეა მხატვრული სიტყვის და თვით მეცნიერი „წყობილ მარგალიტად“ ჩამოსხმის. უნდა გადაიკითხოთ, რომ მისი ფასი გაიგოთ. მოკლე სიტყვით ვერ გადმოიცემა.

აქ უნდა აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ შემდეგ, მესამე ნარკვევში ბლომად გვხვდება შოთას სხვა თქმათა და ხმარებულ პოეტურ ფიგურათა აზრის ასეთივე მეცნიერული გამორკვევა, მათი წარმოშობის მოძებნა უცხო თუ ქართულ წერილობით ან ზეპირ წყაროებიდან, წარმართულ თუ ქრისტიანულ ეპოქის მწერლობიდან, ან ორივედან შეერთებულად. ყველას რომ გამოვუდგეთ, შორს წაგვიყვანდა. მკითხველმა თვით უნდა ნახოს, წაიკითხოს, მოისმინოს. აქ კი განვაგრძობთ სხვა ეტიუდების განხილვას.

მეორე და მესამე ეტიუდზე დიდ ხანს არ შევჩერდები. შოთას მანიქველობის საკითხის გარჩევა, ღვთის პრობლემის გამორკვევა, სპარსული დუალიზმის, სიბნელის და სინათლის დაპირდაპირება, სუფიზმი და სხვა სწავლის ნაშთები, აჩრდილად რომ სჩანან, ღვთისა და ქვეყნის დაპირდაპირება, ძველ ქართულ წარმოდგენას რომ სავესებით ეგუება — ყველა ეს შოთას პოემის გაგებას დიდათ გვიადვილებს, ყოველ შემთხვევაში ახალი სხივი შეაქვს მის გაშუქებაში. ქართული ძირი, ქართული ნაკადი, უცხოეთიდან შემოჭრილთან შეზავებული და ერთ მთლიანად ქცეული — მრავალ-სახეობის და სიდიადის მომხიბვლელ სურათად იქცევა, თუმცა იგი მშრალი მეცნიერული ანალიზით არის მოტანილი.

„გველი და მთვარეს“ საკითხში მოცემულია საინტერესო ცნობა გველუშაბისგან მზის და მთვარის ჩანთქმის შესახებ, რომელიც ჩვენი ხალხის ისტორიულ რწმენას ან უკეთ, ცრუმორწმუნობას წარმოადგენდა, ფაქტურად შემოტანილი ყოფილა ინდოეთიდან, სადაც ამის გარშემო მწერლობითი და სარწმუნოებრივი დავაც არსებულა.



ავტორი ამავე ნარკვევში ცდილობს შემოხაზოს გეოგრაფიული არე, რომელშიც შოთას გმირებს უხდებათ მოქმედება. სპარსული მოთხრობის თეორიისათვის ამ გეოგრაფიის გამოყენება დიდ დადებით შედეგებს ვერ იძლევა, მაგრამ შოთას რომ თავისი ზღაპრის ფარგალი იმ დროში ცნობილ განათლებულ ქვეყნის ქარტასათვის დაუმორჩილებია, ეს ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ ამ დიდ პოეტს უნდა თავისი გმირები ზღაპრულ არსებებს დააშოროს და ადამიანებათ, მარა დიდ-ბუნებოვან, ზეკაცის სიმაღლეზე ასულ ადამიანებათ გამოიყვანოს.

ვეწვიოთ მეოთხე ნარკვევს: „მიჯნურობისათვის“. ეს ნარკვევი ყველაზე მნიშვნელოვანი და საყურადღებოა. აქ მოცემულია სული და გული შოთას უკვდავების. მიჯნურობა — აი თუ ვნებათ, ნამდვილი თემა ვეფხის ტყაოსანის, ნამდვილი არსებითი ფაბულა. მეფეთა ამბავი სამკაულია, მიჯნურობა კი — არსი, სისხლი და ხორცი მთელი პოემის.. ავტორი გვეუბნება, რომ მიჯნურობა გადაიშალა ორი ფორმით — სიყვარული და მეგობრობა.

წიგნში გარჩეულია შესავალის ცნობილი ამბები: თაშარის შესხმა, როგორც საკარიკაცი ჩვეულება, სიყვარულის კოდექსი, რომელიც სიმოკლით და სიძლიერით წააგავს ევროპაში, საფრანგეთში და გერმანიაში გავრცელებულ სამიჯნურო კოდექსებს. ფართო შედარებანი მსგავს მსოფლიო მოვლენებთან მისაღებად ზღიან მის განმარტებებს, რომელიც ბევრისაგან, და მათ შორის ნ. ჟორდანიას წიგნშიაც სულ სხვაგვარად არის წარმოდგენილი.

მარა თუ შესავალში შოთა რაინდულ სამიჯნურო წესებს გვამლევს, სამაგიეროდ თვით რომანში მოცემულია სრული, ინტეგრალური სიყვარული, ხორციელი და სულიერი სილამაზით შთანერგილი, რაინდული განცდებით და საზოგადოებრივი იდეებით ამალღებული; სიყვარული ადამიანური, წმინდა და ძლიერი, უსაზღვრო, ვით ზღვა და ანკარა, ვით მთის ძირის ნაკადული.

აქაც მთელი მაშინდელი წარმოდგენა და ფილოსოფია სიყვარულზე მიღებულია, ამალღებულია, გამშვენებულია და სრული სახით, თავისებურობით და ორიგინალურად შეზავებული სდვას ჩვენს წინაშე.

სიყვარულის გვერდით სდვას მეგობრობა. იგი სიყვარულთან ერთად პოემის ფაბულის მთავარი კვანძია. სიყვარულის ფათერაკებმა შექმნეს ტრადედია, ნესტანის დაკარგვა, ტარიელის გაჭრა, ცრემლი და ოხვრა. მეგობრობა გვევლინება როგორც მხსნელი ძალა. და რომანი უნდა ტრადიკულად დათავებულყო, რომ ეს სიკვდილზე უმტკიცესი და ადამიანის უმაღლესი შემამკობელი ძალა — იდეალური მეგობრობა არ გამოსჩენოდა. მეგობრობამ გახსნა სიყვარულით გაბმული კვანძი, სძლია დაუძლეველი, გადალახა დაბრკოლებანი; ტრადიკული კონფლიქტები

და განცდები, ბერძენთა ტრალედიებში (სოფოკლეს) რომ სისხლით, სიკვდილით, თვალების დათხრით სრულდება, სიცოცხლის ძლევა-მოსილებით, სიყვარულის განმტკიცებით დაავიზრგვინა. ამაშია ერთი უდიდესი ორიგინალობა შოთასი, როგორც ბრძოლის წუთისოვლის უკუღმართობასთან „რადგან ღმერთი არ გასწირავს კაცსა მისგან განაწირსა“. მეგობრობა უდიდესი იარაღია მის ხელში და უძვირფასესი განძი ადამიანთა ადამიანობის მსჩვენებელი, მძლეობის მომნიჭებელი; იგი ღვთაებრივი სულია ადამიანის ზეციურ ბუნებაში ჩანერგილი. ბედი, რომელსაც ღმერთი განაგებს და არა ბერძენთა ფატუმი, აქ არის არა მომსაბობი და გამანადგურებელი ადამიანთა არსებობის, როგორც ეს ბერძენთა თქმულებებშია, არამედ მწყალობელია, დამხმარეა, სოფლის ქირთავან მხსნელია. და მისი პოემაც სიცოცხლის ხსნის და გამარჯვების ყიჟინაა, ძლევა-მოსილების სიმღერაა, ტრალედიის ბედნიერად დამთავრების ქადაგებაა, ქირთ დათრგუნვის მქადაგებელია და ამ მხრივ ვგონებ, ერთად ერთი უნდა იყოს მსოფლიო ლიტერატურაში.

დღეს, როცა მეგობრობა ასე ძვირ-მოსაპოვარია, ხოლო მეგობარი ხშირად მტერზე უარესია, ძნელია იმ სიმაღლის მიწვდენა და მკითხველისათვის შეგრძნობა, რომელიც შოთას აქვს თავის პოემაში გამოყვანილი. რაინდულ საზოგადოების იდეალურ წარმომადგენელთათვის კი რომელნიც თითქმის ზეკაცებს ედრებიან, მეგობრობის ასე უმწვერვალესად განცდა თითქოს სავალდებულო და ჩვეულებრივია. ავთანდილს შეუყვარდება ტარიელი არა ნაკლები ძლიერებით, ვინემ თავისი მზე — თინათინი — უყვარს. როსტევენი სიყვარულის სიტყვებით იხსენიებს თავის გაზრდილ ავთანდილს. ფრიდონი, შეყვარებული მეგობარი ტარიელის, ძმობს და იყვარებს ავთანდილსაც, როგორც უკანასკნელის ძმად ნაფიცს. ამ რაინდებში, როგორც იტყვიან, სულმა სული იცნო და გულმა გული შეიტკბო. შოთა მეტად მაღალი და სათუთია, ნაზი და უმწიკვლო ამ დიად და ადამიანის დამამშვენებელ თვისებათა გამოხატვაში, მარა თან გაბედულია და დაუზოგველი ფორმების და ფიგურების გამოძებნაში. მეგობრობისათვის მას სიყვარულის მხურვალე სიტყვები მრეპოვება. მარა მან იცის საზღვარი და ზომა, სად თავდება გრძნობის მწვერვალი და სად იწყება „ხელობანი ქვენანი“, რომელნიც აღმოსავლურ ლიტერატურაში მოიპოვებიან. შოთას კალამი თამამად იჭრება ადამიანის წმინდათა წმინდაში, მარა ერთხელაც არ შეურაცყოფს მის სიფაქიზეს. მისი მეგობრობა ამ მხრივ შეუდარებელია, ხოლო მხატვრული გადმოცემა შედევრია, შეიძლება ერთად ერთიც მთელ მსოფლიოში.

ნუ შეგვაფიქრებს ის, რომ ბ. ზ. ავალიშვილმა გრძნობათა ანალიზიც მეცნიერული დოსტაქრის დანით გააკეთა და მის გვერდით მოგვცა ყველა ის ფორმები, რომელშიაც მეგობრობის სხვადასხვასახეობა იხატე-

ბოდა ძველად: შოთა მათ შორის მოსჩანს, როგორც წმინდა სანთლის შუქი ბნელ არეში. ბ. ზ. ავალიშვილი დინჯი ენით გვეუბნება: — „იდეალური მეგობრობა, სიყვარულის მიზნად და ფორმად დასახული, ერთ ერთი თემათაგანია ვ. ტ-ისა, თავისებურად დამუშავებული შოთას მიერ, და საკმაოდ განიხილვა იმისაგან, რაც (ეს ჩვენ წინადაც ვახსენეთ) არაბულ სამიჯნურო კრებულებში და სპარსულ სიტყვა-კაზმულ მწერლობაშიაც კარგად არის ცნობილი“ (გვ. 153). შოთას ყველა ეს ლიტერატურული შემკვიდრება შეთვისებული აქვს, და დაძლეული, გადამუშავებული., განსპეტაკებული. მისი მეგობრობა — ეს რაინდული იდეალური მეგობრობაა, ძლიერი, როგორც სიყვარული, განუწყვეტელი, განუშორებელი, მტკიცე. მისი საფუძველია — ის მაღალი გარეგანი და შინაგანი თვისებები, რომლითაც შეამკო შოთამ თავისი გმირები. „მკვლელი ტანი“, სილამაზე კალმით აუწერელი, მომჯადოებელი, მთელი ქალაქი რომ გადარია, ქალი და კაცი! სულით და სხეულით სრულდ. უნაკლო ადამიანთ შეუძლიათ განიცადონ და შეიღირსონ უდიდესი გრძნობა: — ქალსა და კაცს — სქესობრივი სიყვარული, კაცებს — მეგობრული. ასევე ქალებსაც. მიტომ ირევა მათი შემხედვარე ყოველი სული და სულიერი, რაც შოთას არა ერთი გზის აქვს პირდაპირ გენიალურად გამოხატული. შოთას მეგობრობაში მოცემული აქვს სინტეზი იმ ფაქიზ და უზადო გრძნობების, რომელნიც ძმად ნაფიცთათვის ჭირის და ლზინის განუყრელად გაზიარების სათავეა. ეს მეგობრობა ამავე დროს არ არის არც სპარსული, არც არაბული, იგია შოთასებური, მაშასადამე ქართული, ქართული გენიის შენაძენი, მარა თავის არსებით იგი ზოგად ადამიანურია, ზოგად კაცობრიულია, ამით იგი ერის ფარგლებს სცილდება. მსოფლიოს ეზიარება, ადამიანთა საერთო საგანძურის შენაძენი ზდება, და ასე შოთას გენიალობას ამჟღავნებს.

ეს თემა, რამდენათაც ვიცით, სრულიად ახალია და ბ. ზ. ავალიშვილისაგან პირველად აღძრული. ამით ათავებს იგი თავის ეტიუდებს და უნდა ვსთქვათ, ამშვენებს კიდევ.

ეჭვი არ უნდა ამ საგანზე კიდევ ბევრის თქმა შეიძლება და ბევრ თქმას და რკვევას დაუბრუნებ ადგილი. შოთა ხილულია და მრავალფეროვანი, როგორც ნათალი ბროლის სხივები; მრავალ ცოდნათა მატარებელი, მასთან თავისებური და ორიგინალი. მასში იყრის თავს მიმდინარეობათა და სკოლათა არა ერთი თაობის შემოქმედებანი, მარა გადამუშავებული, გენიალობის პრიზმაში გატარებით განსხივოსნებული. და რაც მეტს ადარებთ მას მის წინაპართ და მის მომდევნოთ, შინაურს თუ უცხოს, იმდენათ უფრო აშკარა ზდება, რომ მას ჰყავს წინამორბედნი, ჰყავს მიმდევრები, მარა არა ჰყავს ტოლი. მისი პოემა „უცხო წყაროთგან“ უხვად მორწყული და ქართული ნიადაგიდან აღმოცენებული, სდგას,

როგორც უმაღლესი მწვერვალი დიდი მთაგრეხილის, და ამ ციური სიმაღლიდან დასცქერის საქართველოსთან ერთად მთელ კაცობრიობას.

ერთი ბოლო სიტყვა კიდევ: ენის მხრივ ბ. ზ. ავალიშვილის წიგნი საკმაოდ კარგად გაშალაშინებულია და საკითხავად საამო. სტილს არ დაუკარგავს თავისი სიმაგრე, მარა შეუძენია ქართულობა: სასიამოვნოდ აღსანიშნავი პროგრესია. და პირდაპირ ცოდვია, ასეთმა წიგნმა თვით დღევანდელ კრიზისის ხანაში, და ჩვენი ემიგრაციის მძიმე ნივთიერ პირობებშიც გზა ვერ გაიკაფოს მკითხველისაკენ. ცოდვია მკითხველიც, რომ ამ საუნჯეს ვერ ეზიაროს, რომელსაც ეს წიგნი წარმოადგენს.

ლ . კ ვ ა რ ა ც ხ ე ლ ი ა

მართი წიგნის გამო

რევოლუციის პირველ დღეებში, როცა საქართველოს თავისუფლებას ლაპარაკი დაიწყო და თვით დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგაც, დიდი დავა იყო ჩვენს პრესაში და კრებებზე ეგრედ წოდებულ „ორიენტაციის“ გარშემო. საკითხი იდგა, თუ რომელი მიმართულებით უნდა ეცხოვრა საქართველოს — რუსეთისა თუ ევროპის. ბუნებრივია, და საღი, რომ ერი ისე როგორც კერძო პიროვნება, ირჩევდეს მეზობელთა შორის მეგობარსა და მოკავშირეს. ხოლო ქართველთა დიდი ნაწილის თვალში ორიენტაცია არ იყო საგარეო პოლიტიკის დროებითი კომბინაცია. ასარჩევი იყო არა მოკავშირე, არამედ მფარველი და პატრონი, ვინც ერს ძიძობას გაუწევდა. ყველა ეს კამათი ზერეღე და ბიზანტიური იყო და საქართველოს ნამდვილი საჭიროებანი სხვათა შორის თუ გაერეოდა არგუმენტაციაში. რა თქმა უნდა ასეთი კაზუსტიკა და ყოყმანი ტრადიცია-დაკარგულ ქართველთ სიმხნეს ვერ შემატებდა და როცა თავის დაცვაზე მიდგა საქმე ნების ყოფის სისუსტე გამოგავაჩნდა.

თუ საქართველოს დამოუკიდებლობის ხანმოკლე ისტორია მწარე განსაცდელით გათავდა, ოცდა ერთს ამ მოვლენამ ის ნაყოფი მაინც მოიტანა, რომ ერის კულტურული ძალების მობილიზაცია მოხდა. ნო-



რმალურად მუშაობა აქედან უნდა დაწყებულიყო და მაშინ ჩვენ შეგვიძლია მარეობა სულ სხვა იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში ნუგეშად ის უნდა გვეყოს, რომ საქართველოს კულტურული აღორძინება დაიწყო, რასაც უეჭველია მისი პოლიტიკური თავისუფლება მოყვება. ამ აღორძინების ყველაზე აშკარა სიმბოლო არის ერის წარსულისადმი და მისი კულტურის ისტორიისადმი ინტერესის გაცხოველებებაში მქადავდება. და ვისაც თავისი წარსული ინტერესებს და მით ამაყობს, მას ხელქვეითად ყოფნა არ შეუძლია.

დავით აღმაშენებელი საქართველოს რომ აერთიანებდა ბევრად უფრო რთულსა და ძნელ პირობებში, ქართველთა ბანაკში ორიენტაციის ძებნა არ იყო და აკი ქართველმა ერმა სულ მოკლე ხანში განსაცვიფრებელ მიზანს მიაღწია: არამც თუ სამშობლო მიწა-წყალი განთავისუფლებულ იქმნა უძლიერეს მტრისაგან, არამედ სახელმწიფო ტერიტორია საგრძნობლად გადიდდა და საქართველოს პრესტიჟი ისეთი იყო, რომ მისგან შეველას თხოულობდა ევროპის უზარმაზარი კოალიცია ჯვაროსანთა ომის დროს. (იხ. ბ. ზ. ავალიშვილი. ჯვაროსანთა დროიდან). საქართველოს მდგომარეობა მეთორმეტე და მეოცე საუკუნეში სამაგალითო ანალოგიას წარმოადგენს გარეგნულად, რაც ბ. ავალიშვილის მახვილ გონებას არ გამოეპარა. მხოლოდ იქ გენიალური ბელადი ხელმძღვანელობს ერს და ერიც არ ორჩანობს სისხლის გაღებას. ესლა იმედი რომ გამართლებულიყო, საქართველოს კვლავ შეეძლო როლის თამაში იმავე ევროპის კოალიციის მოქმედებაში. ანალოგიის პროექცია შეილებოდა და მაშინ ადვილი წარმოსადგენია, თუ რა იქნებოდა საქართველოს ხელახლა ამბღლებს შედეგი. დავით აღმაშენებლის მიერ გაქანებული საქართველო არ შეჩერდა ამ პირველ გამარჯვებაზე. ერმა წინსვლა განაგრძო და რუსთველი წარმოშვა.

საქართველოს კულტურისა და ცივილიზაციის სინტეზი ჯერ კიდევ გასაკეთებელია და თუ დღეს ქართველი ორჭოფულად უყურებს თავის ერის მომავალს, ეს იმიტომ არის უმთავრესად, რომ მას მის მიღწევათა სურათი სათანადოთ გათვალისწინებული არა აქვს. ბ-ნი ზ. ავალიშვილის „ვეფხისტყაოსანის საკითხები“ დიდი ცდაა ამ მხრივ და ვისაც საქართველოს ბედი ინტერესებს ამ წიგნს გვერდს ვერ აუხვევს.

ვეფხისტყაოსანი ერთნაირ საპატიო დაწესებულებას წარმოადგენდა ქართულ ეროვნულ ტრადიციაში; მას კითხულობდნენ განათლებულ ოჯახებში, უყვარდათ იგი და ამან შეინახა უთუოდ საღმრთო წერილთან ერთად ქართული ენა. მისი შესწავლა კი მომეტებულად აკადემიურ წრეებში სწარმოებდა, სადაც ლიტერატურული გემო ნაკლებ არის განვითარებული, და უბრალო მკითხველს მაინც და მაინც

საექვო და მშრალი ერუდიცია ნაკლებად აინტერესებდა. ბ-ნ მარსს ამ შემთხვევაში განსაკუთრებული ადგილი უნდა მიეკუთვნოს, მაგრამ მისი ნაწერები რუსულია უფრო, რაც ქართველ მკითხველს მაინდამაინც არ აქეზებს. პ. ინგოროყვას „რუსთველიანა“ როცა დასრულდება, მიუხედავად მისი სადავო თეზისებისა, მეტად საყურადღებო შემატება იქნება ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის...

ბ-ნ ზ. ავალიშვილის წიგნი ვეფხის ტყაოსანის შესახებ შესანიშნავია მრავალმხრივ. ჯერ ერთი ფორმა! ფრანგულსა და ინგლისურ მწერლობაში ძალიან მიღებულია ეგრედ წოდებული ესეი, რაც მეტად მოხდენილია და სასიამოვნო საკითხავად. ჩვენში ეს დარგი არ იყო და ავალიშვილის წიგნები („ჯვაროსანთა დროიდან“ და „ვეფხის ტყაოსანის საკითხები“) ახალი ტონია ამ მხრივ ქართულ მწერლობაში. ავტორის ლიტერატურული გემო მეტად განვითარებულია და მკითხველი მას ნდობით მიჰყვება. ამას დაუმატებ ვრცელი და მიზანშეწონილი ერუდიცია, და მახვილი კრიტიკული აზროვნება ნიუანსებით სავსე.

ისეთი დიდი ნაწარმოები, როგორც ვეფხის ტყაოსანია, არ შეიძლება მარტივი იყოს. იგი შეიცავს გენიალური ავტორის მთელს მსოფლმხედველობას, და ეს მსოფლმხედველობა წარმოადგენდა არაბულ-ელენისტურ-ქართულ კულტურის ჯამს. ბ-ნი ავალიშვილი გვიხატავს გენერალურ ფრესკოს იმ მსოფლიოსი, სადაც მოძრაობს პოემა და ჩვენ წინ იშლება არა მარტო ვეფხის ტყაოსანის წყაროები, არამედ მთელი ის ნიადაგი, რომელზედაც აღმოცენდა და გაიშალა ქართული ცივილიზაცია. ეს ცივილიზაცია მეტად რთულია და მრავალ-ფეროვანი რომ მისი მარტივი და ცალმხრივი ფორმულით გამოთქმა შეიძლებოდეს და ბ-ნი ავალიშვილიც კმაყოფილდება მხოლოდ პერსპექტივების ჩვენებით.

წიგნის პირველ თავში — „შვიდ მნათობთა ლექსი“ — იგი იძლევა პტოლემეს ასტრონომიის სქემას და მის არაბულ-სპარსულ ნაკადების მოხაზულობას. ავთანდილის ლოცვა შეიცავს სამავალითო სინტეზში მთელი იმ სისტემის ესენციას. მხოლოდ ამ სინტეზის ელიპტიური ფორმულების გასაგებად და სათანადოთ შესაფასებლად საჭიროა თვით სისტემის ცოდნა. მეთორმეტე საუკუნის ქართველი რუსთველს რომ კითხულობდა, ალბად განმარტება არ ესაჭიროებოდა. აქედან ადვილად შეგვიძლია დავასკვნათ, თუ რა იყო საქართველოს ცივილიზაციის პორიზონტი მაშინ.

იგივე თემა გაღრმავებულია წიგნის მეორე ნაკვეთში — „გველი და მთვარე“, სადაც ავტორი გვიხატავს რუსთველის მეტაფორების გენეალოგიას. დღევანდელ მკითხველისათვის ეს მეტაფორები უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ ლამაზი სიტყვებია. ბ-ნი ავალიშვილის ინტერპრე-

ტაციის შემდეგ მთელი სურათი წინ გვიდგება და რუსთველის მსოფ-
ლიოში თვალ-ღია შევდივართ.

წიგნის ერთი თავი — „შოთა მანიჭეველი“ პ. ინგოროყვას თეზისის
წინააღმდეგ არის მიმართული და ამ საკითხის გარშემო ავტორი გვი-
ხატავს საქართველოს რელიგიურ ატმოსფერას რუსთველის ეპოქაში.
ძლიერი და ამაყი ერი, რომლის მოქმედების ასპარეზი სხვა და სხვა ერ-
თა გზაჯვარედინზე იმყოფება, არ შეიძლება სარწმუნოებრივ სექტარიზმ-
ში დახშული იყოს და ვეფხის ტყაოსანიც შეუღარებელი გამოიხატევილია
ქართველთა ეკლექტური და თავისუფალი მსოფლმხედველობის. ელი-
ზაბეთის ინგლისი არა ერთ ანალოგიას წარმოადგენს ამ მხრივ თამარის
საქართველოსთან.

ვეფხის ტყაოსანი არ არის მხოლოდ იდეური ნაწარმოები; ის უწი-
ნარეს ყოვლისა „ადამიანურია“. ადამიანის მოქმედების უმთავრესი ძა-
რღვი ხომ სიყვარულია და რუსთველმა სწორედ ამ თემაზე ააშენა თავი-
სი პოემა. ბ-ნი ავალიშვილის ესკიზი „ მიჯნურობა“, რომლითაც თავ-
დება მისი წიგნი ვეფხის ტყაოსნის ზნეობრივი ატმოსფერას გვაწვდის
(ზნეობა აქ იგულისხმება განსაზღვრული მნიშვნელობით). რუსთველი
როგორც თავის დროის ნამდვილი შვილი იმავე რაინდული იდეალების
მატარებელია, რამაც ასაზრდოვა ტრუბადურთა პოეზია. ყველას გვახ-
სოვს ნ. მარრის თეორია რაინდულ პოეზიის გეოგრაფიასა და მის წყა-
როებზე. ბ. ავალიშვილი არსებითად იზიარებს ნ. მარრის ინტუქციებს
ამ საკითხზე; ხოლო ის კიდევ აშუქებს მეტად საინტერესო ანალოგიებით
და პერსპექტივას საკვირვლად აფართოებს. ჩვენი კულტურის ფილია-
ციის გამოსარკვევად ამ პრობლემის გაღრმავება და საზოგადოთ საქა-
რთველოს დამოკიდებულება ხმელთაშუა ზღვის ერებთან არა ერთ სი-
ურპრიზს გვპირდება. მაგრამ ნესტან-ტარიელის მგოსანი ფატმან-ავ-
თანდილის ეპიზოდის ავტორიცაა. ჩვენი პოეტის რეგისტრი ამ მხრივ
განუსაზღვრელია და მისი შედარება შექსპირთან თუ შეიძლება. ხოლო
რუსთველი მეტად არისტოკრატია რომ ადამიანის ქვენა-გრძნობები
დეტალებით გადაგვიშალოს: მას „შეფრფინვით“ ლაპარაკი უფრო უყ-
ვარს... თანაც ვეფხის ტყაოსნის ელიპტიური სტილი ყოველთივის არ
აადვილებს ტაქსტის ინტერპრეტაციას და კრიტიკოსი ძლიერ ფრთხილი
უნდა იყოს თავის კომენტარიებში. ბ. ავალიშვილს უსაყვედურეს მისი
წიგნის ბოლოში გამოთქმულ ზოგიერთ „გაბედულ“ მოსაზრებათა შე-
სახებზე; არ უნდა დავივიწყოთ, რომ ლიტერატურული კრიტიკა ისეთი
დარგია, სადაც სიჩუმეს ხშირად მეტის თქმა სჯობია და ვინც ფრანგულ
ლიტერატურას თვალყურს ადევნებს, ამ მეთოდის ნაყოფიერებაში და-
რწმუნდება. შექსპირმა არაფერი დაჰკარგა თავის თითქმის ღვთაებრივ

პრესტიჟში, პირიქით, — მას შემდეგ რაც მის სონეტებზე ახდილად ლაპარაკობენ.

აკი დავინახეთ რომ საქართველო მეტორმეტე საუკუნეში მთელ აღმოსავლეთ ერთა კულტურულ ცენტრში იყო და ურთიერთ გავლენის სიო იქ თავისუფლად მოძრაობდა. ქართველი მკითხველი უთუოდ იცნობდა ქსენოფონტეს კვროპედიას და ბერძენთა აღმოსავლეთზე გავლენას. მეორე მხრივ, სპარსთა და არაბთა „პრაკტიკა“ ხომ მის წინაშე იშლებოდა. ყველაფერი ამისი ანარეკლი ვეფხის ტყაოსანში უნდა დარჩენილიყო. ნუ დავგავიწყდება ამასთან, რომ პოემის სცენა არაბეთია და ამის „ატმოსფერაც“ შენახული უნდა იყოს. (პოეტური ასიმილიაციის ძლიერების პარალელისათვის შეადარეთ ოტელო ან ანტონი და კლეოპატრა).

ვეფხის ტყაოსანის წყაროების პრობლემა მეტად რთულია. ბოლოს და ბოლოს ეს ქართველი ერის ჩამოყალიბების პრობლემა და ამის გადაჭრა ერთ პატარა წიგნში არ შეიძლება. ბ. ავალიშვილმა საკითხი დასვა და ინტერესი მისდამი აღძრა. პასუხი ალბად მოვა, ვინაიდან ეს ჩვენი კულტურის არსებობის საკითხია.

რომაელთა რწმენით ყოველ კერას ჰყავდა მისი მფარველი გენიოსი. იგი იყო ოჯახს რომ იფარავდა მაცნესაგან; ლხინის დროს კიდევ პირველი ძღვენი-შესაწირავი მისთვის იყო. ერის ცხოვრებაში, რომელიც იგივე ოჯახს წარმოადგენს, ამისთანა მფარველი გენიოსი ე. ი. კეთილი სული, მისი ნაციონალური პოეტია. ურუსთველოდ ქართველი ერი უბრალო ტომთა კრებული იქნებოდა და უთუოდ გაითვლებოდა უცხოელთა იმ ჯირითში, რომლის მოედანი საქართველო მუდამ იყო. ამისი მაგალითი არა ერთია ჩვენს ახლო-მახლო. თუ აქამდე ჩვენ შევინახეთ ეროვნული გრძნობა და კერა არ ჩავვიქრია, ამისათვის მსხვერპლი რუსთველს უნდა შევსწიროთ. ჩვენმა წინაპრებმა სხვა და სხვა ცივილიზაციათა ნალექზე დიდი ეროვნული კულტურა შექმნეს, რომლის უფაქიზესი ყვაველი ვეფხის ტყაოსანია. სანერგე უკვე გვაქვს; წალკოტის გაკეთება და ჯიშის გამრავლება გვმართებს. ამისი გახსენება იყო საჭირო ამ ეროვნულ უკულმართობის დროს და ბ-ნი ავალიშვილი ამის გამო დიდი მადლობის ღირსია.

ვიკ. ნოზაძე

ქართული სახლი

Dr. Friedrich Baumhauer. Forschungen ueber die Hausformen in
Georgien. Mitteilungen aus dem Museum fuer Voelkerkunde in Hamb.

დაუფასებელია დრ. ფრიდრიხ ბაუმჰაუერის ეს შრომა! მას უცხო-
ვრია ჩვენში, შემოუვლია მთელი საქართველო და თავისი დაკვირვება-
სწავლა-გამოკვლევა ქართული სახლის შესახებ ამ თავის შესანიშნავ
წიგნში მოუთავსებია. საბედნიეროდ, ჩვენში გატარებული დრო მას
ტყუილ-უბრალოდ არ დაუკარგავს!

„რომელიმე ქვეყნის სახლის ფორმები“, ამბობს ბაუმჰაუერი. „გა-
ნსაზღვრულია ერთდღიამვე სიძლიერით, როგორც ბუნებით, ისე მკვი-
დრთა კულტურით. ჰავა, მცენარეულობა, უფრო ნაკლებ აგრედვე ცხო-
ველთა სამეფო, საამშენებლო მასალა და საამშენებლო ნიადაგი არიან
ბუნებრივად განსაზღვრული წინაპირობანი, რომელნიც სახლთა ამშე-
ნებლობის დროს მხედველობაში უნდა იქმნან მიღებული.

„განვითარებული ტექნიკის დროს შესაძლებელია თუმცა ერთი ან
მეორე პირობა დაძლეულ იქნეს. საამშენებლო მასალა შეიძლება შო-
რიდან იქმნეს მოზიდული, საამშენებლო ნიადაგის სიძნელენი შეიძლება
მოსპობილ იქმნენ, ისე რომ ამით სანუკვარი სახლის ფორმამ რაიმე
ცვლილება არ განიცადოს. თავისებურებანი ჰავის და ქვეყნის სამეურნეო
მდგომარეობისა, რომელიც თავის მხრივ, პოლიტიკურ მდგომარეობას-
თან მჭიდროდ დაკავშირებული არიან, — არიან საფუძველი სახლის
ფორმისათვის...“

ამ თვალსაზრისით უდგება ავტორი ქართული სახლის ფორმის სა-
კითხს და რასაკვირველია, პირველ რიგში არკვევს საქართველოს გეო-
გრაფიულ და კულტურულ პირობებს სახლის განვითარებისათვის. იგი
აღწერს საქართველოს ჰავასა და მცენარეულობას, შემდეგ მოკლედ
თვალს ავლებს საქართველოს კულტურულ-ისტორიულ სვლას და მერ-
მე უკვე სპეციალურად ქართულ სახლთა ფორმებს ეხება.

პირველად ყოვლისა, ავტორი სწავლობს აღმოსავლეთ საქართვე-
ლოს სახლებს და წინა რიგში აღწერს ბრტყელ სახურავიან ქვის სახლს,
რომლის სახელი ყველასათვის ცნობილია: **ბანი, სახლი ბანური, მიწური**.
აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის სახლი გავრცელებული ყოფილა შიგნითა
მცირე აზიაში. ამგვარად, ამ ტიპის სახლი წმინდა ქართული არ უნდა
იყოს, და წარმოშობილია იმ ქვეყნებიდან, სადაც წვიმა ნაკლებია და
ტყევი არ იზოვება. თუ სახლის ასეთი ტიპი ჩვენში უკანასკნელ ხანამდე
შერჩენილია, ავტორი ამას მიაწერს იმ მოვლენას, რომ მის ასაგებად

არავითარი განსაკუთრებული ცოდნა და იარაღი არაა საჭირო. სხვა ავტორი, ლეონჰარდი, ასეთი სახლის დღეს არსებობას ხსნის მიწისძვრის მიზეზით. ეს საერთოდ შესაძლებელია, მაგრამ ჩემი აზრით, რაც საქართველოს შეეხება, სხვა მიზეზიც უნდა მოვუძებნოთ მას — ის მუდმივი ომიანობა და ნგრევა, რომელსაც ჩვენი ქვეყანა განიცდიდა, და როდესაც მე-19 საუკ. ასეთი განუწყვეტელი უბედურება საერთოდ შესწყდა, როლს თამაშობს ამ სახლის — მიწურის — შენარჩუნებაში ერთი მხრივ კონსერვატორობა და მეორე მხრივ, რაც უმთავრესია, სიღარიბე. მაგრამ, როგორც ავტორი ამბობს, ამგვარი სახლი ჩვენში საბედნიეროდ ისპობა.

ბ. ბაუმშაუერი აღწერს და ახასიათებს ქართლურ ბრტყელ-სახურავიან ქვის სახლის განსაკუთრებულ ფორმას — **დარბაზი** — და ფიქრობს, რომ იგი არის ბანის ანუ მიწურის ფორმის შემდეგი განვითარება, რასაც ხელს უწყობდა მეტი (ვინემ შიგნითა მცირე აზიაში) ხეტყის მასალის ქონება. აქ მას მოაქვს მოსაზრება, რომ დარბაზის წარმოშობა გამოწვეულია ჩრდილოეთის ზამთრის და გაზაფხულის ქარების წინააღმდეგ და აგრეთვე მიწისძვრისადმი გამძლეობით. ამ გეოგრაფიულ პირობებს ვარდა ავტორი ქართულ ხალხურ სულსაც ეხება და ამბობს: „სახლის თვითეთლი ფორმა განსაზღვრულია არა მარტო კლიმატიური მოვლენებით, არამედ იგი არის აგრეთვე მის მცხოვრებთა სულიერი აღნაგობის გამოხატულება. ქართლური დარბაზი განვითარებულია ადამიანებისაგან რომელნიც თავის ზღუდეზე არიან მიბმული და ოჯახურ ტრადიციებს დიდ ღირებულებას აძლევენ. ასეთი გრძნობანი ბუდობენ მხოლოდ მიწის მომქმედში. მართლაც, ქართლელი ადამიანი არის ნამდვილი გლეხური ხასიათის .. დედაბოძი არის სარწმუნოებრივ ადათთა მატარებელი... ჩემის ფიქრით, დარბაზი არის შემომქმედი მოქმედება მოღვაწი სულისა... ამგვარად, დარბაზი იყო, როგორც ბუნების პირობებისათვის შესაფერისი, ისე გამომხატველი ფორმა ქართლის ხალხის სულისა, რომელშიც, ოჯახური გრძნობა, ქრისტიანული რწმენის ერთგულება, მშობლიურ ზღუდისადმი სიყვარული უმნიშვნელოვანესი შინაარსი იყო. და გასაკვირველი არ არის, რომ სწორედ ქართლში, საქართველოს გულში სერთოდ, იგი წარმოიშვა“... რასაკვირველია, თანამედროვე ცხოვრებას დარბაზი აღარ შეეფერება და ამ სახლის ფორმა სწრაფად ხმარებიდან გამოდის.

კახური სახლი წარმოადგენს უძველეს, განცალკევებულ და თავისებურ ტიპს (ქვემო სართული ქვიტკირის, სახურავის ქვეშ ღია, ჰაერის სამოძრაოდ). იგი გავრცელებულია მთელს კახეთში და გვხვდება აგრეთვე ქართლში და სომხეთშიც. კახური სახლი ავტორს ხალდეურ ტიპარს მოავგონებს.

მეგრული სახლის ტიპური ფორმა არის **ფაცხა**, **დაწნული**, რომე-

ლიც უუძველესია და მეტად გავრცელებული ქველ კოლხეთში, როგორც ამას მოწმობს ჰიპპოკრიტესი (მე-4 საუკ. ქრისტეს წინ). ამ სახლის ტიპი სწრაფი ნაბიჯით ისპობა და მისი უკანასკნელ ხანამდე შერჩენა აიხსნება მისი სისადავით, სიმარტივით; მის კეთებას არ სჭირდება არც ცოდნა, არც რკინეულობა, არც ხელსაწყო, არც ხარჯი. იგია სახლი ტყით მდიდარი მხარის, და როგორც ადვილად დასაშლელი და წასადები, გავრცელებული უნდა ყოფილიყო მომთაბარე ან მწყემს ხალხთა შორის. იმერული სახლის ფორმა (სახურავი ორ გვერდზედ), რომელსაც გრძელი ისტორია აქვს, და რომელმაც უკანასკნელ ხანამდე გასძლო, მოისპო. დათუ იგი მე-18 ს. მეტად გავრცელებული იყო, ამას დუბუა დე მონპერიო ხსნის ოსმალების ხშირი შემოსევით. — რად უნდა ავაგოთ უკეთესი სახლი, როცა ორი კვირის შემდეგ დავინახავთ, თუ მტრები როგორ გადასწვავენ მასო — ეუბნებოდენ დუბუას მაშინდელი მკვიდრნი. ამ ტიპის სახლი მოისპო უმთავრესად დასავლეთ საქართველოს თბილი და ნოტიო ჰავის მიზეზით — ხე მალე ღებოდა.

დღეს დასავლეთ საქართველოში სახლის სხვა ტიპია გავრცელებული — ესაა **ოდა**, (სიტყვა ოსმალურია) **კრამიტიანი სახლი**, რომელმაც დაიპყრო მთელი იმერეთი, მთა და გადადის აღმოსავლეთშიც, განსაკუთრებით ქართლში. ეს სახლი შედარებით დანარჩენ სახლებთან მეტად გაუმჯობესებულია. საძირკველის ჩაყრა ხელს უწყობს ნიადაგის გაშრობას, რაც ციების კოლოებს თავშესაფარს უსპობს. სახლი ჩვეულებრივ ორსართულიანია, ან ქვის, ანგურის, ან მაგარი და გამძლე ხისაგან. დახურულია კრამიტით. არც ერთ სახლს არ აკლია აივანი. შესანიშნავია ავტორის აზრით ეს აივანი! — „სახლს ისე აშენებენ ხოლმე“, ამბობს ავტორი, „რომ თვალისათვის ყოველთვისაა სასიანოვნო გადასახედი... სჩანს რომ ქართველები სახლის აგების დროს ესთეტიური მიზნებით ხელმძღვანელობენ“... არის სახლის სტილი მართლა ლაზისტანიდან გადმოღებული, თუ არის იგი წმინდა ქართული? — არდგენს ასეთ საკითხს ავტორი, მაგრამ გადაჭრით ვერ უპასუხებს. იგი ამბობს შემდეგს: —

„ყოველ შემთხვევაში მე იმისაკენ ვიხრები, რომ ეს სტილი წმინდა ქართულ სტილად აღვიარო“, რასაც იგი ფონ ტალმანის მოწმობითაც ადასტურებს. გასკვირველიაო, ამბობს ავტორი, რომ სახლის ეს ფორმა — ოდა — გავრცელებულია ისეთ ადგილებშიც, სადაც მას ადგილობრივი ჰავა სრულებითაც ხელს არ უწყობს, მაგალითად, ზემო რაჭაში. კახეთში კი, სადაც სიცხისა გამო, ჰაერის მოძრაობა სანატრელია, ასეთი სახლის ფორმა შეუფერებელიცაა. მაგრამ რატომ ვრცელდება ოდა ასე სწრაფად და ყოველგან?

„შხოლოდ ფსიქოლოგიური საფუძვლები შეიძლება იყოს ამისი გამომწვევი“, ამბობს ბაუმჰაუერი, „სჩანს თითქოს ქართველი ხალხის სუ-

ლიერი კულტურა ბუნებისაგან მოცემულ პირობებზეც კი იმარჯვებს. რომ საქართველო ახლო მომავალში თავის ერთიან საამშენებლო სტილს განამტკიცებს, ჩემის აზრით იმითია გამოწვეული, რომ ქართულ სულში, შეიძლება მხოლოდ შეუცნობლად, აზრი მთელი ხალხის ერთობისა, რომელიც საუკუნეთა წინ პატარა თავადთა ბატონობის გამო დაიღუპა, ისევ ბატონდება; ამასთან აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველოს მკვიდრნი უფრო აქტიურად არიან განწყობილი, ვინემ აღმოსავლეთის, და ამიტომ მისი სახლის ფორმას აგრეთვე მეტი საბრძოლო უნარი და ძალა აქვს“...

შემდეგ ავტორი აღწერს სვანურსა და მთიელთა სახლის ფორმას; აქ სახლია ციხეა, თავდაცვის საშუალება. ავტორი არ ივიწყებს არც აისორულ, თათრულ, ჩერქეზულ და გერმანელ კოლონისტების სახლის ფორმას; ეხება აგრეთვე ბაკურიანისა და ბახმაროს სახლის ტიპს.

წიგნს დართული აქვს რუკა, რომელზეც აღნიშნულია სხვა და სხვა სახლის სტილის გავრცელების არე და დასურათებულია მრავალი ნახაზითა და ფოტოგრაფიული სურათებით.

უკანასკნელი საკითხი, რომელსაც ავტორი ეხება, არის სახლების გაშენების არე. მთებში, ვინაიდან თავისუფალი მიწა იშვიათია და მტრული თავდასხმა კი ხშირი იყო, სახლები შეჯგუფებულია. დასავლეთ საქართველოში (აბხაზეთი, სამეგრელო, გურია, იმერეთი) სახლები ერთი მეორესაგან დაშორებულია და გაბნეული. (ლეჩხუმში და რაჭაში შეჯგუფული არის). მოსახლეობის ასეთ განცალკევებას რადღე ხსნის მიწის მეტობით, მაგრამ უმთავრეს მიზეზს კულტურულ განსხვავებაში ხედავს. მთიელები, დამოუკიდებელნი, თვით იცავდნ თავს და ამიტომ ერთად უნდა ყოფილიყვნენ; ბარში კი, დამცველი იყო ბატონი, და მტრის თავდასხმის დროს, ადვილი ხდებოდა გაბნევა, ოჯახების გადაძვრა. კიდევ სხვაა ქართლში. აქ სახლები შეჯგუფებულია, და თავდასაცავად ციხეს ან ეკლესიას მიაშურებდნ ხოლმე. კახეთში სახლები გაბნეულია. გულდენშტედტი მოგვითხრობს, რომ ძველა კახური სოფლები ქვიტიკირით იყო შემოვლებული და ზარბაზნით აღჭურვილი.....

სხვა და სხვა აგრეთვე სოფლების წყობაც. დასავლეთში სოფლები შორი-შორ არიან, აღმოსავლეთში შეჯგუფებული....

დღეს კი „სინათლე და ჰაერი იჭრება ახალ სოფლებში. დეე, განაწამებ ქართველ ხალხს მიეცეს ძალა შინაგან და გარეგან სრულოვნებისაკენ აწი ვზა გაიკაფოს“-ო, ამბობს ავტორი.

ასეთია მოკლედ დრ. ფრ. ბაუმჰაუერის წიგნის შინაარსი, რომელიც მკითხველში დიდ კმაყოფილებასა და მადლობის გრძნობას იწვევს თავისი სიყვარულით საკითხისადმი, თავისი ცოდნით და მეცნიერული ღირსებით.

კ ა ვ კ ა ს ი ო ნ ი

წიგნი მეექვსე

ზინაარსი

ბმ.

გ. გამყრელიძე — ვრცელი ქალაქი	3
გ. გამყრელიძე — დამშვიდობება	4
რალფი — დედ-მამა	5
გიორგი ყიფიანი — ფერადი სურათები	6
გიორგი ყიფიანი — ქარხანაში	8
დ. ყურულიშვილი — ფიქრები საქართველოზე	10
—*—*—* ფიქრები ორი ამბაზი ემიგრანტის	11
ა. ქეიბური — ჩემი ცხოვრების დღე	12
გიორგი ჟურული — „ნატვრის თვალი“	28
შ. ამირეჯიბი — უბნობანი ურგებნი თორნიკესნი	38
გ. ა. უტეხელი — მწერლობის მეგობრისადმი	52
ისახარ — დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში	70
დ. საღირაშვილი — სპარსეთის რევოლუცია	86
ვ. ემუხვარი — მასალები ფულ პოლიტიკურ სტუდიისათვის	98
ედ. შაპაგა — აღწერები ძველ საქართველოში	104
რ. არსენიძე — ბიბლ. შენიშვნები ვ. ტ.-ის საკითხების შესახებ	118
ლ. კვარაცხელია — ერთი წიგნის გამო	127
ვ. ნოზაძე — ქართული სახლი	132

სარედაქციო კოლეგია

მისამართი:

V. NOSADZÉ, 15. Chemin du Reposoir. Paris, (XIV)

